

დავით კავშინი



სინა და ვიწო მონი ნიჭანი

პ ო ვ ზ ი ა



წიანი  
IV

სიუმიზის უმევი





*Handwritten signature or initials, possibly 'CJ' or 'M'.*



ღვით ღახუნის

კისა და მიწის  
ოთხი სეივანი

წიგნი

წიგნი IV  
სიძინის ეგზეტი

წი, ძითძინე, ძითძინე, ძლიან  
ძინს ყელფეზი უუე ჩეილან!

სეთ

ძანა, გე საუუნ აღ-სეფანული ჩემი  
ღიღილ ბანბან

ვინც გეფანლან ღეიფე მანლ ის,  
სეღანეფით ღანისუნე მანლან!

განო წეღეფელი



გამომცემლობა „ჯინჯვატალი“  
თბილისი 2013

© დ. გაბუნია, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-994-5

## წინათქმა

ყველაფერი წარმავალია სამყაროში! როგორც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ეფესელი ამბობს: „ყველაფერი მიედინება, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ.“ როგორც არ უნდა ეცადო მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციური განვითარების მიუხედავად, ბუნების ამ ყოვლისშემძლე, უნივერსალურ კანონს ვერ გაექცევი!

ყველაფერი მიედინება თავის კალაპოტით... იცვლება ყოველივე არსებული, მაგრამ ხსოვნის ოკეანიდან ვერ ამოშლი, — „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის.“ (ნ.ბარათაშვილი)

„ჟამს მოაქვს მუდამ ფერიცვალება და რჩება მანც რალაც მარადი!“ — ამბობს პოეტი.

„საიდან მოვდივართ? ვინ ვართ? საით მივდივართ ჩვენ?“ — ამბობს პოლ გოგენი. ეს კითხვები ყველა დიდ შემოქმედს დასაბამიდან დღემდე აწუხებდა და აწუხებს, მაგრამ კითხვა კითხვადვე რჩება ხოლმე!..

ყველა შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა, თავის წარსულიდან მოდის!.. ცხადია, არც მე ვარ გამონაკლისი. ბავშვობის თვალწარმტაცი ბალიდან მზისა და მთვარის ხეივნების გავლით მივდივარ დასასრულისაკენ, სიშორეში...

ვინ მოთვლის, ამ რამდენიმე ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რამდენი რამ ვნახე, ვიგრძენი და განვიცადე! ბევრი ძვირფასი და სანატრელი დღე მახსოვს და ბევრიც — სულით ხორცამდე შემადრწუნებელიც! ჩვენს ცხოვრებაში მანც, როგორც პოეტი ამბობს: „დღეებს ვარდისფერს, მერს, სჭარბობს დღეები ლურჯი!“ რას იზამ, ბუნების ყოვლისმომცველ კანონს ვერავინ წაუვა!

რამ უნდა დამავიწყოს ჩემი ბავშვობის სანატრელი ნათესაურები, ცმაწვილობისა და სტუდენტური ცხოვრების სათაყვანო და სილამაზით განუმეორებელი დღეები?! ხშირად ხსოვნა სიცოცხლესთან ერთად ქრება!.. მაგრამ, ჩვენ მწერლებს, განსხვავებით უბრალო ადამიანებისაგან, ხშირად ქალაქდზე გადაგვაქვს ნანახი და განცდილი (თუმცა, არასრულყოფილად!) და დასტაქარივით მას, გარკვეული დროით ვუნარჩუნებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას!

ბესიკის დარად, მეც დაგეხეტებოდი ხშირად ჩემი სევდის ბაღში, ხან უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი, ხანაც ცხოვრების წარმატებაზე ათასგვარი ფიქრით შეპყრობილი!.. ბევრჯერ ისიც მიფიქრია, ვინ იცის, ჰერაკლიტე ეფესელის „კოსმოსის“ მსგავსად, იქნებ ჩვენი სულიც უკვდავია და დროდადრო ინთება და ქრება კიდეც?!

აქვე მინდა გავხსენო სახელგანთქმული ბერძენი პოეტის საფოს უკვდავი სტრიქონები: „ჰო, მოითმინე, მოითმინე! ძალიან შორს ყველაფერი უკვე ჩავიდა!..“ და სანამდის ჩემი ცხოვრების დღეები გაუჩინარდებოდეს ჰორიზონტს იქით, მინდა ჟამთა სვლის მოგანგაშე და მარად მღვრიე დინებას დაუნდობლად გამოვსტაცო ყველაფერი ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რომელიც დღემდე ანთია, ფეთქავს და ირხევა ჩემი ხსოვნის უსაზღვრო ოკეანეში!.. ხოლო: „რაც არ იყო მახსოვრობის ღირსი, გავატანე დავიწყების ქარებს!..“

ამიტომაც დავარქვი მეოთხე წიგნს: „სიშორის ფერები.“

15. 07. 09.

მოსკოვი

# სიძინის ფურები



ლიბრა





\* \* \*

მარტის თვის სუსხი ჩამოწვა და ისევ მიჩენს საფიქრალს,  
ატირდა ია ლურჯთვალა,

როდესაც თოვლმა დაფიქრა...

ქორთა ყვავილმაც ჩურჩული შესწყვიტა შიშით ქარების,  
სად გაქრა ასე უეცრად

ცა ანგელოსის თვალებით?

ამღვრეულ სივრცეს გავცქერო,

ვიცოდე, ნეტავ როდემდის?

და გულს სატკივარს უმატებს,

გულს მწუხარებით მოთენთილს!..

25. 03. 07.

ბანძა





**ნუ ასრემლავებით, დედაბო!**

ამ ვეფხვეებს ვუთხრათ შენდობა, ვემთხვიოთ მკერდებს ნატყვიარს!  
ნუ ატირდებით, დედებო!

ცას შუქი შემობარდნია...

მამულს სუფთა ცა აჩუქეს, ეს მზის ჩანჩქერიც მათია,  
რა ვუყვოთ, თვითონ დაჩუქდნენ,  
ხარობს გელა და ნათია!..

ომში აბჯრები გაცვითეს, იცავდნენ მთებს და ხევიანს,  
მომხდურის სისხლი აწვიმეს,

არცერთს არ დაუხეგია!

ამ ვეფხვეებს ვუთხრათ შენდობა, ვემთხვიოთ მკერდებს ნატყვიარს!  
ნუ ატირდებით, დედებო!

ცას შუქი შემობარდნია...

09.05.47.

ბანძა



\* \* \*

გაიფლის წლები გიჟური ქროლოვის, მოგვენატრება  
მდეღვარე ხანა!..

მოგვენატრება თოვა და თოვლი,  
რტოებში ქარის შრიალი, ნანა!  
და შორს გაფყვებით ფიქრებით დაისს და შემოგვრჩება  
თვალები სველი!..

გული ათასჯერ დაგვწყდება მაინც,  
გული ესოდენ ნაზი და წრფელი!  
ხსოვნაში ყველა ბილიკს მოვივლით, ვეღარ დავიჭერთ  
იღუმალ ფერებს!

დარჩება გზები გადათოვილი  
და სხვა გაიფლის ბილიკზე მერე!..

19. 04. 50.

ბანძა





**რად გაურბინარ, მზეო!**

რად გაურბინარ, მზეო, ქალაქს სიჩუპით საგსეს?  
ნუთუ სიკვდილის შიში  
შენც გაცხცახებს ასე?!

რად გაურბინარ, მზეო, საფლავს დაღუპულ ბავშვის?  
შენ ხომ უყვარდი ერთდროს  
და სხვის იწნავდა თმაში..

და ყვაგილების ცეცხლი შენ რომ აჩუქე მაშინ,  
ან ის ჟღერტული მერცხლის  
სად გაფანტულა ქარში?!

თოვლმა დაზნიქა თითქოს სველი ტოტები ჟამის,  
სად გაიფანტა სითბო  
და იმ ფოთლების ჩქამი?!

რად გაურბინარ, მზეო, ქალაქს სიჩუპით საგსეს?  
ნუთუ სიკვდილის შიში  
შენც გაცხცახებს ასე?!

29. 05. 50.

სოხუმი





## რა უსასრულოდ გარბიან გზები?!

ხასხასა მოღზე იღვრება სხივი, იღვრება სხივი მიხაკისფერი,  
ეს გული ბევრჯერ აიტანს ტკივილს

და კიდევ ბევრჯერ გაუძლებს ღელვას!

ხასხასა მოღზე იღვრება სხივი, სველი ჩრდილები აწყდება კედლებს,  
ხასხასა მოღზე იღვრება სხივი

და მე შორეულ სივრცეებს ვენდე...

ნიაფის ფრთებზე ქანაობს ტოტი და მდინარეზე — ნისლები ხშირი,  
მთელი სამყარო შემოდის ჩემში,

როგორც ფილტვებში ჰაერი დილის...

რა უსასრულოდ გარბიან გზები?! ნეტავ ამ სივრცეს სადა აქვს ზღვარი?  
მიხაკისფერი იღვრება სხივი

და ალვის რტოზე თამაშობს ქარი...

30.05.50.

სოხუმი



ბავშვი

ბაქანზე იდგა პატარა ბიჭი ცნობისმოყვარე  
ლურჯი თვალებით!  
ბაქანზე იდგა პატარა ბიჭი  
და გუგუნებდნენ ზღვარზე ქარები!..  
არ შორდებოდა მზერა ნათელი ცის დასალიერს  
არცერთი წუთით,  
ქრებოდა ნელა დიდი სანთელი,  
მზე ჩადიოდა — წითელი ბურთი...  
როკავდნენ წყალში თეთრი კენჭები და ღუღუნებდა  
სველი ნიჟარა,  
იდგა პატარა დიდი ეჭვებით და  
ჩუმად, როცა ჰორიზონტზე მზე წაიშალა, —  
ატირდა ბავშვი!..

29. 08. 50.

სოხუმი





ვარდისფერი ფოთოლი

მორჩა, გათავდა! არარის შეგელა  
და ყველა ძაფი ერთბაშად გაწყდა!  
ვინ დამაჯეროს, ძვირფასო ლელა,  
რომ იყო მხოლოდ უბრალო განცდა?  
ღრო მიდის ჩუმი ფერების კვდომის,  
ცა არის ახლა მკრთალი და თოთო!  
და გადაღლილი მზე შემოდგომის,  
შორს მიაქროლებს ვარდისფერ ფოთოლს...

14. 09. 50.

ბანძა



ვის ქვაზე ბოლოქანქარა

უკვე დაფარა ბალახმა შენი საფლავი მწირო,  
ზის ქვაზე ბოლოქანქარა  
და გულსაკლავად წივის!..

შემოდგომაა, მინდორზე წვიმა ჩამოდის წვრილი...  
უკვე ჩამოწვა ბინდეები  
და ჟრუანტელი მივლის!..

მზე ღრუბლის ტევრში გამქრალა, მოსწყდა ფოთოლი წყვილი,  
ზის ქვაზე ბოლოქანქარა  
და გულსაკლავად წივის!..

10. 11. 50.

ბანძა





### ჩვენი თვალები!

რტო ირხეოდა კუნელის, ქროდა ნიაფი ნელი,  
მათრობდა თმების სურნელი  
და ბაგეები სველი!..

რა არის გარდის სინაზე, ან ფანტელები თოვლის?  
მე იმ სიყვარულს ვინახავ,  
ო, უპირველეს ყოვლის!..

მზე გაზაფხულის იცინის და ჟამს მაგონებს ყრმობის!  
ჩვენი თვალები ერთმანეთს,  
რომ უცქეროდნენ ტრფობით!..

29. 04. 51.

სოხუმი



**სულ სხვა გუმბათი მახურავს!**

ჰა, მიიწურა ზაფხული და შემოდგომა მოდის!  
სულ სხვა გუმბათი მახურავს,  
სულ სხვა ხავერდი ტოტის!..

დაცხრა ფრინველთა გალობა და გულს სიჩუმე ზარავს!..  
მხოლოდ მდინარის წყალობით  
რეკავს ზვირთების ზარი!..

თვალს არაფერი ათრობს, სულს კი სხვა რამე უნდა!  
ვდგავარ მინდორზე მარტო,  
შორს წეროების გუნდი,

საით მიილტვის ნეტაე, ან რა ტკივილი მიაქვს?!  
და რჩება ზეცის სევდა,  
როგორც ჭრილობა ღია!..

14. 07. 51.

ბანძა





### ცა რამ ბააუხეშა?

გულს მიმძიმებს ლოდინი და სულს ცეცხლი მიაჩვენებს,  
ქარი ღრუბლებს მოდენის

და ცა კარგავს სიმაღლეს!

გზა გამოჩნდა დახრილი, მზე ზღვის მკერდზე ეშვება,  
მიდის დარდი ტახივით

და გულს მიგლეჯს ეშვებით!..

ცა რამ გააუხეშა, გზა რად გაუდაბურდა?  
ხედავ, სადღაც მუხებში

ყვავი ეძებს საბუღარს...

გულს მიმძიმებს ტკივილი! შენ არ ჩანხარ ნათია!

ქარი მოქრის კივილით,

ქარი — ჩემი ნათლია!

09. 11. 51.

სონუმი



იმ ღამით

იმ ღამით დიდი თოვლი მოვიდა და სიხარულით  
ვთრთოდით ორივე!..

იმ ღამით დიდი თოვლი მოვიდა,  
ღელავდა ქარში თეთრი მორევი...

იმ ღამით დიდი თოვლი მოვიდა გადაფერილი  
მთვარის ღიმილით

და აწყდებოდა სარკმელს შორიდან  
მატარებლების მძაფრი კივილი!..

დღენი გაფრინდნენ, სადღაც გედებად, მას შემდეგ ბევრი  
ჩაქრა სანთელი!

ის ჟრუანტელი ახლაც მედება  
და უჩინარი თოვლის ფანტელი!..

17. 12. 51.

სოხუმი





\* \* \*

მზე ამოენთო! სივრცე კვლავ ელავს,  
ისევ ფარფატებს  
მტრედი ჩინაზე...  
კვლავ ვდგავარ მედგრად და გული ღელავს...  
და ისევ ვიბრძვი  
მტრების ჯინაზე!..

15. 08. 51.

სოხუმი



## ყვავილთა სინათლე

მიყვარდა შენი ხმის ლამაზი ხავერდი  
და ატმის კვირტივით  
მთრთოლვარე ტუჩები!..

ხეები ყვავილთა სინათლეს გვაფენდნენ,  
ვთვრებოდით მთვარით და  
მთვარიან ქუჩებით!..

სივრცეში ფთილატ კი არ ჩანდა ღრუბელის,  
ხეები იხვევდნენ  
მთვარის ლურჯ ხვარებს...

გეხიბლავდნენ: სეზანი, მონე და ვრუბელი  
და ბახის მუსიკა  
ლალი და მზიანი!..

12. 04. 52.

სოხუმი







## სიზმარი

ჩემთან შეხვედრა ინებე, მარტო შემომხვდი გზაზე,  
ცურავდი მთვარის სხივებში, —

ისევ ნორჩი და ნაზი...

და მზე კოცნიდა ბალახებს, ცისარტყელები ენთო,  
ჩემი ბავშვობის ქალაქი

მღეროდა, როგორც ერთ ღრეს!

ფერდობზე ნისლი დაცურდა, წყალმა გაიღო ჩქამი

და ეს სიზმარიც დასრულდა

იმ ჯადოსნური ღამის!

15. 04. 52.

სოსუმი



მიდიოდი!..

საარაკო შუქი თრთოდა ზღვაზე,  
საოცარი ფერი ჰქონდა მინდორს!..  
მიდიოდი დღის ნათელით სავსე,  
მზე ნაფუნურს გიკოცნიდა თითქოს!..  
მიდიოდი, როგორც ამორძალი  
და ხავერდი ეღვრებოდა მინდორს...  
და ცას ჰქონდა საარაკო ძალა,  
სიოს ჰქონდა საოცარი სითბო!..

12. 05. 52.

სოხუმი





მოდის, მოღელავს...

შეხედე, მაღალ მწვერვალებს მზე სხივებს როგორ ახვევს,  
მერე მოვა და ეწვევა

მინდორ-ველსა და ბაღებს...

შეხედე, ზვირთი მოღელავს და მზე უვარცხნის ქოჩორს,  
ფოთლებში ფეთქავს ხოხობი,

მოღზე კაკანებს როჭო!..

პირი უცინის პირიმზეს, შენც გაიცინე, ქალო!

მოდის, მოღელავს დილის მზე...

ცხრა ანგელოსი გალობს!..

21.05.52.

სოხუმი



\* \* \*

შენ არ ენდობი არვის ო, სულო მეამბოხე!  
უსახურება გზარავს,  
                                    ებრძვი ბოროტს და ოხერს!..  
შენ არ ენდობი არვის, არც მკერდს იფარავ ჯავშნით,  
მაგრამ სული გაქვს მძლავრი  
და ის გრანიტსაც დაშლის!..  
შენ არ ენდობი არვის და მარტოობას ირჩევ,  
აღარ მოითხოვ მთარგელებს  
                                    და არც დაუთმობ გამჩენს!  
ფიქრით ლაყვარლებს ერთევი, გამბედაობა გყოფნის!  
ცოტაა მიწა შენთვის  
და ფრთების გაშლა ორბის!..

07.07.52.

ბანძა



აჰა, შემოდის აბვისტო!..

შენ ვეღარ დაგემღერები, ვერც გაზაფხულის სიცილს,  
ღრო მიდის, მიედინება

და მზე კალაპოტს იცვლის!..

ვერ გავექეცი ცღუნებას, ვერც ელვარებას სივრცის,  
ღრო მიდის, მიედინება

და, იცი, როგორ მიმძიმს? —

მე უშენობა, ძვირფასო, ო, იმ თვალების ფერის!

სადღაც ბალახი ხასხასებს,

სადღაც ჩიტუნა მღერის!..

აჰა, შემოდის აგვისტო და კრთის ყვავილი ველის,

სადღაც შრიალებს ატმის რტო

ჩვენი ბავშვობის ფერი!..

18. 07. 52.

ბანძა



## ნაქალაქარი

აქ ხომ სიცოცხლე ენთო, როგორც ბალი მაისის  
და შუქს აღვრიდა  
გაზაფხულის ზეცა ხალისით!..  
მერე ეკვეთა ქარიშხალი ზეცის კამარას  
და გაჰყვა სადღაც  
წეროების სევდა ტრამალებს!..  
რეკავს ღუმილი უსაშველოდ, ისევ შორიდან!..  
მხოლოდ ძელქვები ხმაურობენ  
აქ მუხლმაგარი!..  
ო, დრო იცვალა, უკვე სხვაა, სხვა დრო მოვიდა!..  
ახლა რა ხარ შენ?  
და რა გქვია? — ნაქალაქარი!..

21. 08. 52.

ნოქალაქევი





**ხსოვნა ლურჯ თვალებს ახელს!..**

რად გააღვიძე ჩემში ხსოვნის სიმები მძაფრი?  
მე ეს ტკივილი შექმლის,  
მწეწავი სულის აფრის!..  
მე ეს ტკივილი შექმლის, როცა ჩაგივლი ახლოს!  
რად გააღვიძე ჩემში  
ხსოვნა, პატარა სახლო?!  
ამ ცის მოლურჯო თვალებს რად შეერია სევდა?  
მოქრის სექტემბრის ქარი  
და მზე დაღლილი ფეთქავს...  
მოქრის სექტემბრის ქარი, შეწყდა გალობა ჩიტის!  
ღრუბელი სადღაც მიდის,  
თუ ქარი მიაქანებს?..  
მე ეს ტკივილი შექმლის, როცა შენთან ვარ ახლოს,  
რად გააღვიძე ჩემში  
ხსოვნა, პატარა სახლო?!

24. 08. 52.

ბანძა



ხსოვნის სამეფო

ვრცელია ჩემი ხსოვნის სამეფო და უთვალავი  
განძის მფლობელი!..

ფერიცვალებას უძკლავდება  
დროთა წიაღში, როგორც კლდეები  
ზამთრის ცივი ქარების გუგუნს!..  
ვრცელია ჩემი ხსოვნის სამეფო  
და ოკეანის ფსკერის მსგავსად, — მოშრიალე  
და იღუმალნი!..

06. 09. 52.

სოხუმი





კივილით მიხმობენ შორს!..

ღრუბლები, ღრუბლები, ღრუბლები, ეთერში  
მიქრიან შორს!..

ღრუბლები, ღრუბლები, ღრუბლები  
და მთებზე ო, ისევ თოვს!..

ნისლები, ნისლები, ნისლები და ველარ  
ვშორდები ხევს,  
ნისლები, ნისლები, ნისლები,  
იღუშალ ფიქრებში მხვევს!..

ხეები, ხეები, ხეები, მიწვიდან  
უთვალავ შტოს,  
ქარები, ქარები, ქარები,  
შორს, ზღვაზე იწყებენ შტორმს!..  
ზარები, ზარები, ზარები, კივილით  
მიხმობენ შორს!..

08. 09. 52.

სოხუმი



**აღმავნება**

აღმავნება ხეივანებს ქროლოვით, ო, ლეგა ქარნი  
მკაცრი და ცივი!..

აღმავნება ხეივანებს ქროლოვით  
და ვისმენ მერე ხეების კვილს!..

აღმავნება ხეივანებს ქროლოვით, მიდამოს მკრთალი  
ბურუსი ფარავს,

აღმავნება ხეივანებს ქროლოვით  
და ჩამოდიან ფოთლები ღვარად...

და სული ჩემი ფარულად ღელავს, ზღვაზე მიწყდება  
ტალღების ჩქამი,

შეაცვდება სივრცეებს მზერა  
და ღვება მერე ღუმილის ქამი!..

25. 10. 52.

სოხუმი





### საით გარბინარ?!

ხედავ, მზე ეთამაშება და ამსხვრევს მარტის ყინულს,  
ისევე გალობენ შაშვეები,

სადღაც ხოხობი ყივის!..

ხედავ, მზე ეთამაშება და ჟრუანტელი მივლის  
და მიბრუნდება ბავშვობა,

ვუცქერ ტალღების ლივლივს...

მინდორზე ნისლი მიცურავს... ციდან იღვრება ოქრო!..

ისევე ბავშვობა მოსულა,

საით გარბინარ, გოგო?!

15. 03. 53.

ბანძა



## გღვიის შერიბა

ნიავს მოჰყვება პატარა ქალი, პატარა  
 ქალი ზამბახისფერი,  
 ნიავს მოჰყვება მთვარიან ღამით  
 და ზღვას ათრთოლებს  
 სიმღერა წრფელი!..  
 ოლეანდრებში შრიალებს ქარი და თეთრ უბეში  
 ნებივრობს მთვარე,  
 ზღვის პირას მღერის პატარა ქალი  
 და შუქი ავსებს  
 იღუმალ თვალებს!..  
 უნაზეს მკლავებს ფრთებივით გაშლის და ლურჯ სივრცეში  
 გედევით ფეთქავს!..  
 ხან კიდევ კენესის ლერწამი ქარში  
 და ხმაში აქსოვს  
 ტკივილს და სევდას!..  
 გარშემო უნვად ფანტავს სინაზეს, ხან ზღვის ხავერდზე  
 დაღლილი წვება,  
 აღიბეჭდება კვალი სილაზე  
 და მთვარის შუქზე  
 ასული ქრება...  
 და ასე მოდის ყოველ საღამოს, პატარა  
 ქალი ზამბახისფერი,  
 ნიავს მოჰყვება დაუსაბამოდ  
 და ზღვას ათრთოლებს  
 სიმღერა წრფელი!..

05. 05. 53. სოხუმი



\* \* \*

ამ იისფერი ლანდების იქით მე გავცქერო ცაზე  
მეწამულ ღრუბლებს,

ამ იისფერი ლანდების იქით  
ფიქრით ივსება  
ლაქვარდის უბე...

ამ იისფერი ლანდების იქით ერთი ვარსკვლავი  
ინთება მალვით!

ამ იისფერი ლანდების იქით  
მიიღტვის სული  
უსაზღვრო კრძალვით!..

06. 08. 53.

სოხუმი



სამტყეპბრის გარეშე

ქარს მიაქვს ყვითელი ფოთლები...  
რეკავენ სექტემბრის ზარები!..  
ვინ მოდის, ვინ გვიანლოვდება?  
ან საით მიქრის ქარები?!  
ქარს მიაქვს ყვითელი ფოთლები...  
აივსო მინდვრები, ხეები...  
ქარს მიაქვს ყვითელი ფოთლები  
და დგანან შეშლილი ხეები!..  
რეკავენ სექტემბრის ზარები,  
ო, საით მიქრის ქარები?!

17. 10. 59.  
სონუმი





### ჩამოდიოდა წვიმა

იწვა გათელილ ბალახზე მღვრიე მდინარის პირას,  
მძიმედ სუნთქავდა ქალაქი,

ჩამოდიოდა წვიმა!..

მას აჩნდა მკერდზე ჭრილობა სულ უმნიშვნელო ზომის!

ეგო ბალახის ჭილოფი,

ცას ჰქონდა ფერი ლომის!

ღღე იყო მეტად უფერო და იდუმალი კვდომის...

და აწვა ქალაქს ღრუბელი

გვიანი შემოდგომის!..

19. 11. 53.

სონუმი



\* \* \*

მოდის აბრილი და ჩემი ცა იცვლის სამოსელს,  
გარბის ღრუბელი ცის ტრამალზე  
დაღლილ—დაცლილი...

მზე გაზაფხულის ჩემს იარას ალბათ ამოწვავს  
და ატირდება ორღობეში  
სადმე მაცილი...

სულს არასოდეს ეშინია თურმე მანძილის  
და მძლავრი ფრთებით  
მიაწყდება მღვრიე სამანებს!..

ვერც გრიგალ-ქარი შეაშინებს და ვერც ხანძარი,  
ვერც ხაფსიანი  
ლოდი სამარის!

20.03.54.

ბანძა







### ღრო არასოდეს დაშრება

ღრო მიდის ზავითით, მუქარით, სულს უშენობა აბერებს!  
მიდის ფრინველი უშქარი,

მოიზღვა ცა უნაპირო...

სული სულს ითხოვს აფრიანს და ფერთა ღელვას ვარდების,  
ახლაც მინდორზე დარბიან,  
ო, ის პატარა ლანდები!..

ღრო არასოდეს დაშრება, როგორც არაგვი ორფერი,  
და ასე ფერთა თამაშით  
მიდის და მიდის სოფელი!..

23. 03. 54.

სონუმი



**ყველაფერი მიდის ღრმის ბასწვრივ!..**

ხედავ, ყვაველს უმოწყალოდ აწვიმს, სიოს ფრთები  
გაუშლია სველი,  
ყველაფერი მიდის ღრმის გასწვრივ,  
ღელვით უნდა გაიაროს ველი...

ხარობს მზეზე ო, ეს ღერწმის ღერო და ზამბახმაც  
მოიღერა ყელი!..  
შენ კი მიხვალ ისევე უსიმღეროდ,  
საიშედოს არც არავის ელი!

მზე ჩავიდა... ტყემ იცვალა ფერი, იისფერი  
ეფინება ფერდობს...

მეც მსხვერპლი ვარ  
ამ უსაზღვრო რღვევის,  
რას ხარხარებ, რა გაცინებს, ბედო?!

24. 04. 54.

სოხუმი





## ნოქტიურნი

ცაზე ღრუბელი არ ჩანს, ზღვას ოდნავ უცემს მაჯა,  
ზღვა ჰგავს ხანხანა მინდორს,  
როცა ეცემა ბინდი...

ზღვას უყვარს მზე და სიფრცე და მთვარის  
რბილი ხეში,

ზღვას უყვარს მზე და სიფრცე,  
ტალღების თეთრი მსხვრევა!..

ზღვას უყვარს შემოდგომა და ვარსკვლავები თოთო,  
ზღვას უყვარს შემოდგომა  
და ცას შვიდფერა ტოტი...

08.09.54.

სოხუმი



ყვითელი ხე

ახლა ღუმს შენი გრძნეული ჩანგი, განათებული  
თიბათვის მთვარით!..

ახლა ღუმს შენი გრძნეული ჩანგი  
და აქანავებს ყვითელ ხეს ქარი!..

მაღალ გუმბათებს მოსწყდება სხივი შენი სიმღერის  
ფერებით მთვრალი!..

ნუთუ არასდროს იკლერებს სიმი,  
ზღვასთან არ მოვა ფერმკრთალი ქალი?!

სულს შერჩა წრფელი სინაზე ჰანგის ისე, ვით ლოტოს  
წვეთები ცვარის!..

ახლა ღუმს შენი გრძნეული ჩანგი  
და აქანავებს ყვითელ ხეს ქარი!..

10. 09. 54.

სოხუმი



ო, რა მწუხარება ქნარი!

ის დღე მასხენდება ისევ და ის ბილიკები ვიწრო,  
მინდორს ეფინება ნისლი,

გულსაც მოედება, ვინძლო?!

ჟამმა ცივი ფრთები გამკრა და სულს მწუხარება ათრობს!..

ო, ის აღტაცება გაქრა,

სევდა მოგონების მათოვს!..

სივრცეს ახმაურებს ქარი და ტყე იძარცვება ერთობ!..

ჟამის მწუხარება ქნარი,

ო, რა მწუხარება, ღმერთო!..

07. 10. 54.

ბანძა



ცვალებალობა

სადღაა ახლა ძველი ეგვიპტე, ან თარაონთა მზე  
და დიდება?!

დრო ნანგრევებზე, როგორც  
სფინქსი წევს

და ცხოვრობს იგი მხოლოდ მითებით!..

სადღაა ახლა ძველი ელადა, ექვსინის-პონტოს  
შმაგი ზვირთები?!

თუ კი ოდესღაც მძლავრად დელავდა,

გაუდაბურდა გზები დიდების!

სადღაა ახლა ის იბერია და მხედრიონთა

გამოქანება?!

ვერ გადაურჩა დროს და სიბერეს,

მხოლოდ მტვერს თანტავს ველზე ქარები!..

13. 10. 54.

სოხუმი





\* \* \*

მზე ჩადის ნელა ნანგრევებს იქით  
და ჩამოდინა ნისლევი მთიდან...  
მზე ჩადის ნელა ნანგრევებს იქით,  
საგნები ფრთხილად იცვლიან ფერებს...  
და ამოდინა ნიჟარებიდან  
შავი ლანდები!..

21. 09. 55.

სოხუმი



\* \* \*

დღეების ხსოვნას გაიტაცებ შორეულ გზაზე,  
როგორც ქარები შემოდგომის

ფოთლების შრიალს!..

და მოყვითალო მინდვრის ხავერდზე,  
კვლავ ივლის შენი მწუნარე ლანდი, —

შორეული და უზინარი!

ცისკენ ოცნების აღმართავ კიბეს

და ოკეანის ლურჯი ფსკერიდან, როგორც ზარები,  
იკივლებენ მირიადი

ტკივილის წლები!..

25. 09. 55.

სოხუმი







\* \* \*

ქარმა გაჰპანტა ღრუბლები თალხი  
და ცა ინთება ატმის ფერებით!  
ჩემში შემოდის მუსიკა ბახის, —  
მზით, ჩანჩქერებით, ლურჯი ველებით...  
ირხევა ზღვაზე სველი ნისლეები  
და იფერტლება მთვარის ნათელი...  
ფიქრში წასული კიპარისები  
გზაზე დგანან და ღამეს ათევენ!..

10. 04. 56.

სოხუმი



არ მავიწყდება

არ მავიწყდება წუთით მე ის სიმღერა ერთი  
და გატანილი გუთნით  
შენი გვირგვინი თეთრი!  
არ მავიწყდება, არა, ო, ის ალვის ხე წყვილი,  
ახლა დუმილი ფარავს,  
მაგ შენს სინაზეს, ლილი!  
შუქი მისდევდა რელსებს და იისფერი ჩრდილი,  
შენ მეხვეოდი ყელზე,  
როგორც ნიაფი დილის!  
გულს რად მოაწვა სევდა ღამის ბურუსის ფერი?  
საით გაიქცა ნეტავ,  
შენი ღამაზი შეგელი?  
არ მავიწყდება წუთით მე ის სიმღერა ერთი  
და გატანილი გუთნით  
შენი გვირგვინი თეთრი!..

29. 06. 56.

ბანძა





## ლურჯი მებობარი

ო, რა სევდიანი მოჩანს მთა-გორები!..  
ისევ ოცნებები,  
ფიქრი შენეული!..  
მიხმობს შთაგონება, - ლურჯი მებობარი,  
დეღვა უსამანო  
ბინდში შერეული!..  
ბევრჯერ გავარღვიე სივრცე უღაბური,  
გზები შორეული  
ახლოს მეჩვენება!  
სულში სინარული ბევრჯერ დავაბრუნე,  
ქროლვა უსაშველო,  
არსად შეჩერება!..  
ისევ მეძახიან შორი ნაპირები!..  
გზები იღუმალი  
შუქით იბადრება!..  
შენით, თუ იმსხვრევა ყველა დაპირება,  
ყველა იმედი ხომ  
შენით იბადება?!

14. 07. 56.

ბანძა



რაზე დალონდი?

რაზე დალონდი, ბერდიაგ, შუაფხოს, ხატობა დღეს?  
იქნებ მოგედო ფიქრები,

როგორც ხანძარი ტყეს?!

რაზე დალონდი, ბერდიაგ, რატომ გახედე მთას?  
შენი ქავციხე ბებური,

ხომ ძველებურად დგას?!

რაზე დალონდი, ბერდიაგ, ხომ არ ემღერი ბედს?  
იქნებ უთქმელად ბერდები

და გულის დარდები ფლეთს?!

რაზე დალონდი, ბერდიაგ, როცა გახედე ტევრს?  
შენი ნასროლი გულის კვლავაც

გაუნადოძებს მტერს!..

როცა გახედე საჯიხვეს, ცრემლ რად მოედო თვალს?!

იქნებ დაფიქრდი იმაზე,

თუ რა იქნება ხვალ?!

ჭიუხზე ნისლი ქანაობს, ხევში გრიგალი თვლივს!..

იქნებ გეწყინა რაიმე,

იქნებ გადუღე ქოქი?!

რაზე დალონდი, ბერდიაგ,

შუაფხოს, ხატობა დღეს?!

02. 08. 56.

თბილისი





## რაა სიკვდილი?

გაიფანტება ჩემი ტანის ყველა ატომი,  
რაა სიკვდილი? —

სიშორეში ერთი ნახტომი!..

სად წავა სული დაკაწრული შხამის ეკლებით?  
ბრუნავს სოფელი

და ყველაფერს მიერეკება!..

იცვალა სივრცე, მოლალურის ფერი გამეფდა  
და სულის დავა გაძლიერდა

დროის ქარებთან!..

მაგრამ შორიდან მიღიმიან შენი თვალები,  
ღუმს სივრცეები

უცნაური ფერიცვალებით!..

როგორ მინდოდა, მაგრამ ველარ მივსწვდი შორეულს,  
რა ვუყო ამ სულს

უსაშველოდ გრძნობამორეულს?!

გაიფანტება ჩემი ტანის ყველა ატომი,  
რაა სიკვდილი? —

სიშორეში ერთი ნახტომი!..

06. 08. 56.

ბანძა



პარტიზანი ქალიშვილი

ფენშიშველი გარბენიეს თოვლში, დაწეწილი  
სამოსელი გეცვა!

იზგელიე იდგა შემზარავი თოში  
და იფენდი ტანზე თოვლის ზეწარს!..  
გერ გაექეც ჯალათების ხარხარს,

თუმცა გყავდა ანგელოზი მოწმედ!

ფენშიშველა გარბენიეს თოვლში,  
მერე ისიც შენი სისხლით მორწყეს!..

15. 08. 56.

ლენინგრადი



მღვრიე შერიცხვალება

სიფრცეს უკვე შეჰპარგია სიბერე,  
სადღაც მწყობრად მიფრინავენ მერცხლები...  
და ქარები ფოთლებს ფეხქვეშ იფენენ,  
ჰა, საცაა მთებიც შეიფერცლება...  
ეს ტკივილი, სულო, შენც შეიფერე,  
შეურიგდი მღვრიე ფერიცვალებას!..  
სიფრცეს უკვე შეჰპარგია სიბერე  
და ცრემლებით სველდებიან თვალები!..  
განშორება, ვიცი, დაგენანება!  
ეს ქარებიც ცხრა მთას გადაიზბენენ...  
სიფრცეს უკვე შეჰპარგია სიბერე,  
ეს ტკივილი, სულო, შენც შეიფერე!..

18. 08. 56.

ბანძა



რბიან ღვებში!

რბიან ღვებში ჩემი ცხოვრების, მე შესმის მათი  
მძაფრი ხმაური!..

შენი ნაზი ხმა, ხმა უცნაური,  
ძვირფასო, მუდამ მემახსოვრება!..

ბევრჯერ მიგრძენია გულისტკივილი ამ მარადიულ  
ღელვის წინაშე!..

მწუხრში შესმოდა ზარის კვილი  
და მივდიოდი ქარში, წვიმაში!..

იქნებ დაიძვრეს ეს ჩემი ქნარი, მაგრამ არასდროს  
დასცვივა ცრემლი!

სული საესეა სინაზით მთვარის  
და ასე რბიან ღვებში ჩემი!..

18. 09. 56.

ბანბა







\* \* \*

სულს ტკივილი მოეძალა ისევ, როგორც მარტის  
ქარიშხალი რტოებს,

შელამების მოირღვევა ნისლი  
და უცნაურ ნაფეხურებს სტოვებს...  
ო, შეხედე, დღე ხმაურით მოდის, ზვირთი მკერდით

ეხეთქება კბოდეს...

ეს ტკივილი სულს აგიმღვრევს ისე,  
როგორც მარტის ქარიშხალი ტოტებს!

გულს ეყოფა სულ პატარა სითბო და მზის მცირე

ნაპერწკალი თვალებს!

დამიჯერე, სხვას არაფერს ითხოვს,  
მხოლოდ შეუქის სილამაზეს დალევს!..

24. 10. 56.

სოხუმი



საშუაარი ღეღის აჩრდილთან

შენ მეკითხები: იღუმალი რად გაწევს სევდა?  
რად გახდი ასე, —

უცნაურად მოუსვენარი?!

გთხოვ, მბაბტო, ეს ღუმილი, ძვირფასო ღედა!  
მეცა ვარ ერთი მეცინოვნე,  
ძალით ზენარის!..

ნუ მეკითხები, რად მაწვება ცრემლი თვალებზე!  
ჩემს საიდუმლოს

გამოიცნობს ქვეყნად ვერაგინ!

მომენატრება მხოლოდ შენი ჩუმი ალერსი,  
როცა მეწვევა შელამების  
ბინდი მზვერაფი!..

04. 04. 57.

ბანძა





\* \* \*

ის მზის ჩასვლისას წაფიდა სადღაც  
და თან წაიღო ტკივილი ყველა!..  
მუქი და მძიმე დაეშვა თარღა,  
ამ ნისლიანი მდინარის გაღმა...  
ის მზის ჩასვლისას წაფიდა სადღაც,  
თვალს მიეფარა და ახლა მხოლოდ,  
იზხევა მისი ცისფერი სული,  
ვით იღუმალის ჩრდილები მთვარის...

28. 04. 57.

ბანძა



რა უსაშველოდ ქრიან..

გხედავ ანძების რიალს, მოდის ზვირთები ზავითი!..  
რა უსაშველოდ ქრიან,  
ო, ეს ქარები ზამთრის!..

მოჩანს ცხრა კარი ღია, ჟამს თვალები  
აქვს აფთრის!

რა უსაშველოდ ქრიან,  
ო, ეს ქარები ზამთრის!..

18. 06. 57.

სოხუმი





\* \* \*

სასაცილო კია, — ჟამი ისე ურევს,  
რომ ძირს დასცემს ჭკვიანს,  
აღა ზევეებს სულელს!  
სასაცილო კია, — ოსტატს ხელებს სჭრიან,  
ტაშს უკრავენ სულელს  
და დევნიან ჭკვიანს!

12. 08. 57.

სონუმი



**ნუთუ ვერასდროს მოვა?!**

ნუთუ ვერასდროს გნახავ, ნუთუ ვერასდროს მოვა?!  
ხსოვნას ტკივილი ახლავს,

სივრცე სავსეა თოვლით!..

არხევს ალვის ხეს ქარი, ღამე ცახცახებს შიშით,  
ისევე მეძახის გარეთ

შენი თვალები გიშრის!..

სადღაც გაზაფხულს სძინავს ულამაზესი ძღვენით,  
როგორც სიზმარში ცირას

დაღლილს ფიფქების ცქერით!..

ხსოვნას ტკივილი ახლავს და

ვარდფურცლობის კრთომა!

ნუთუ ვერასდროს გნახავ,

ნუთუ ვერასდროს მოვა?!

12. 01. 58.

სონუმი





### ცისფერი თვალები

ცისკრის მკლავებზე გაწოლილხარ ცისარტყელებით  
დასერილო, მდინარევე ჩემო!

და ნარინჯებით

საფსე გაქვს უბე...

მე დილით ადრე შენს ნაპირზე ვსეირნობ

მარტო...

და ფიქრი ჩემი მიილტვის სადღაც —

უკაცრიელ სივრცეთა მიღმა!..

მე ვეფუერები: ბალახებს, ფოთლებს, რომელსაც ასე

ირეკლავს უხმოდ, —

შენი ცისფერად გახელილი

ფართო თვალები!..

27. 04. 58.

სოხუმი



**სულ სხვანაირად ანათებს!**

სულ სხვანაირად ანათებს მზე ჩემს მინდორს და გზაშარას!..  
ო, იმ ლამაზი დღეების,

სად გაქრა თოვლი ფაშარი?

სულ სხვანაირად ანათებს მზე ჩემს ეზოს და მთა — გორებს!

ის სულ სხვა რამეს ამბობდა

და სულ სხვა რამეს მაგონებს!..

დაისის ლურჯი ფერები, ნეტავ, ასე ვინ აშალა?

სულ სხვანაირად ანათებს

მზე ჩემს მინდორს და გზაშარას!..

16. 06. 58.

ბანძა







## ლანდების ლონგვა

იყო საღამო სევდანარევი,  
ქარი ამღვრედა მყუდრო სამანებს!  
შემომხვდა სახე ნაიარევი  
და დაღვრემილი, როგორც სამარე!..

იყო საღამო და ცას სწვდებოდა  
ლოცვა — ვედრება შორი ლანდების!..  
კიბარისი კი იდგა საფლავთან,  
მწუხარე, როგორც ლურჯი სანთელი!..

17. 09. 58.

სოხუმი



**ჩიტიანი**

შეკრთნენ ჩიტები ისე, როგორც ფოთლები ქარში!  
მინდორს ემოსა ნისლი,

სადღაც ტიროდა ბავშვი!..

ცას თვალზე ცრემლი ადგა... იწვა უღაბნო ქვიშის...  
მერე გაფრინდნენ სადღაც  
ცივი ქარების შიშით!..

19. 11. 58.

ბანძა



მიდიოლა, საღვას შორს!..

ვალაკტიონ ტაბიძეს

შუქთა აელოვარებას ო, რამდენ ხანს ელოდი!..  
მთვარის ღურჯღი იალქნით  
გახსოვს, რომ ირხეოდი!..  
და გრძნობათა მეუფე მზის ფერადი ქარებით,  
მიდიოდი, საღვას შორს,  
უცნაური რკალებით!..  
გრძნობდი დღეთა სიცივეს და მოგსდევდნენ ზვავები!..  
მიკიოდნენ სიგრცეებს  
ღამეული ზარები!..

06. 04. 60.

სოხუმი



**გზები მოითხოვენ განახლებას**

როგორ არ მინდოდა განმეცადა,  
სივრცეს გაგცქეროდი ფერიულს...  
მაგრამ ის ბავშვივით გამექცა და  
ლანდებს მოგონების შეერია...  
და სულს შემოდგომის ბალახივით  
სევდა იღუმალი მოერია!..  
გზები მოითხოვენ განახლებას  
და შენს დაბრუნებას მოელიან!..

15. 04. 60.

სონუმი





## არისტოტელე

როცა დაკარგა ქვეყანამ სულ ერთიანად გონი!  
შენ მოადექი არაქსს და  
ველარ იბოვე ფონი!  
სივრცეს გრიგალი ამღვრევდა და ცა კიოდა ღამის!..  
და ტალღებს თერმოდონტის  
მიჰქონდა შენი გვამი!..

04. 08. 60.

მოსკოვი



**რომ არ ღამიბერდე!**

ზღვა ხმაურობს და ფიქრებით მავსებს, ამ ხმაურში  
რამდენ რამეს მალავს!..

მზე ეშვება შემოდგომის ზღვაზე  
და უეცრად იცრიცება ალი!..

დვას ნაპირზე, როგორც ამორძალი, ეს ალვის ხე  
და ირხევა წყნარად...

ზღვა აწყდება ჯებირს უმოწყალოდ  
და ფერდობზე მოიხევა წყალი...

ის გუგუნებს და ზვირთების ზარით ემუქრება  
ხაფსმოდებულ კედლებს!..

იგუგუნე, იგუგუნე, ზღვაო!  
რომ უღროოდ აღარ დამიბერდე!..

18. 09. 60.

სოსუმე





## რა შეშრჩა?!

ქარი ფანტავდა ყვავილებს ფერადს  
და ჩვენ ვიჭერდით ფერებს უნაზესს...  
შემოდინდი ჩემში სიმღერად  
და ცეცხლს მინთებდი სულის ქურაზე!..  
ქარმა დაფლითა აფრა მრავალი  
და საოცარი გაქრა ღიმილი!..  
შორს, იწურება მზე ჩამავალი...  
რა შეშრჩა? — ღელვა  
და სიმძიმე!

19. 09. 60.

სოხუმი



ღრო მიდის..

მე მაგონდება პირველი თოვლი,  
თავბრუდამხვევი ცვენა ფიფქების...  
მე მაგონდება პირველი თოვლი,  
მერე გზები და  
გზებზე ფიქრები!..  
თავდავიწყება ისევ მომინდა  
და ღამეები სავსე მითებით...  
მე მაგონდება ის გარინდება  
და გაფრენილი  
თეთრი ჩიტები!..  
ღრო მიდის — აფრებს მისდევს ზღვაური,  
სველი ღრუბლები სულში გროვდება!..  
ღრო მიდის სადღაც ღელავით, ხმაურით  
და არასოდეს  
განმეორდება!

26. 12. 60.

სოხუმი







იყო ზღაპრული თოვა და თოვლი!..

გუშინ, ძვირფასო, თოვდა მთელი დღე, გუცქერდი ქართან  
ფანტელებს შეხლილს!..

და თოვლთან ერთად სულიც მღეროდა,  
როგორც ნიაგში ფოთოლი ვერხვის!..

გუშინ, ძვირფასო, თოვდა მთელი დღე და მევესებოდა  
თვალეები შუქით,

და თვალწინ მედგა შენი ხატება  
და მივდიოდი ნაცნობი შუკით...

მტაცებდა მზერას ფიფქების თრთოლვა და დათოვილი  
ხეების წყება,

იყო ზღაპრული თოვა და თოვლი,  
რომელსაც ვეღარ წაშლიან წლები!..

შენი ხატება ო, ჩემში თრთოდა და შლიდა ხსოვნა  
ქათქათა აფრას!..

ვეფერებოდი ფიფქების ქსოვილს  
და გული რატომ მეტკინა მძაფრად?!

ფეთქავდა ჩემში ყოველი ძარღვი, ძვირფასო ჩემო,  
ო, როგორც მაშინ!..

და ირხეოდა ბავშვობის ბაღი,  
უხმოდ ვაბამდი წარსულთან კავშირს!..

გუშინ, ძვირფასო, თოვდა მთელი დღე, გუცქერდი ქართან  
ფანტელებს შეხლილს!..

ფიფქებთან ერთად სულიც მღეროდა,  
როგორც ნიაგში ფოთოლი ვერხვის!

09. 02. 61. სოხუმი

ო, ქარო, მოდი!..

შენ, გაზაფხულის ქარო, მოდი და აამღერე  
ეს მინდორ-ველი!..

შენ, გაზაფხულის ქარო, მოდი,  
სიმღერა შენი სულ სხვანაირად ააჟღერებს  
ვარსკვლავთა სიმებს!..

და მოაწვება ჩემს ფანჯარას  
ო, უზადო მშვენიერებით!..

შენ, გაზაფხულის ქარო, მოდი და ამ ხრიოკებს,  
უმწეოდ რომ გასცქერის სივრცეს, —  
გადაუარე ვარდების ცეცხლით!..

22. 02. 61.

სოსუმი





## შენი აჩრდილი

*ლალო ასათიანს*

შენი აჩრდილი გადმოლახავს მღვრიე მდინარეს,  
მერე გაწვევა ბალახებში

*სადმე გულადმა...*

ატეხილ ჭალებს შეათრთოლებს ხმა უჩინარი,  
რომელიც სივრცეს

სიყვარულით შემოუნახავს!..

აედევნები ოცნებებით ზეცას შორეულს  
და მზე მაისის აინთება

*ცისფერ მდელოზე...*

თვალეზე უხმოდ მოგადგება ცრემლის შორევი  
და მერე ფიქრით

დაიღლები საქართველოზე!..

15. 05. 61.

სოხუმი



**დედაო ღვთისაჲ!**

მავთულხლართები!.. შიმშილი!.. ცრემლი!..  
ცანცანებს სივრცე გადაღლილი  
ტყვიით, ქარებით!..

მე მიმაქვს ტანი დაკაწრული ეკლებიშ უხამით  
და ძარღვებიდან  
მოჟონავს სისხლი!..

ო, რა მძიმეა ხეტიალი ნაპრალებს შორის!..  
ო, რა მძიმეა  
ტკივილი ჩემი!..

დედაო ღვთისაჲ! მომაშველე შენი თვალები!  
და ჭრილობაზე დამაღვარე  
ყვავილი ცრემლის!..

28. 10. 61.

სოხუმი





ეპიტაფია

მ-ს

მე ხომ ლამაზი სიცოცხლე მსურდა  
და ქვეყნად თქვენი ნაზი ღიმილი!..  
გაი, რომ აღრე შემიწყდა სუნთქვა  
და განშორების  
გამყვა ტკივილი!..  
მშვიდობით, ჩემო ძვირფასო დედა!..  
აღრე სიკვდილის ქსელში გაგები!..  
მე ცივი მიწა მარგუნა ბედმა,  
შენ, - საუკუნოდ  
შუბლზე დარები!..

01.03. 62.

სოსუმე



მგუს მონაქვს

უსმინე მთებიდან მოყვრილ ხარირემს,  
როდესაც ცისკარი

იისფრად ნათლება!..

ო, სულო, მითხარი, მითხარი რაიმე!

მზეს მოაქვს, მზეს მოაქვს,

ურიცხვი სანთელი!..

უსმინე სიმღერას მინდორზე ნიაგის,

ღელაგენ მღელოზე

ფერები ნატულა!..

უმღერე სიცოცხლის რხევას და მოძახილს

და მალლა აჭყევი

სამყაროს სართულებს!..

12. 04. 62.

სოხუმი





\* \* \*

აქ მზე ისევ აფერადებს მინდვრებს...  
ბალახებში მოხასხასებს წყარო...  
გულო, მითხარ, სევდას რამდენს იტევ?  
რად გექცევა  
ბედი უმოწყალოდ?!  
ქარი ფეთქავს, ქარი ისევ ჩქარობს  
და მსხვერპლს ისევ სამსხვერპლოზე ჰკიდებს...  
ბალახებში მოხასხასებს წყარო  
და მზე ისევ  
აფერადებს მინდვრებს!..

20.07.62.  
ბანძა



ო, ღრთო ღაუჭინყარო!

ის სიგრცე რატომ დამუნჯდა მზე რომ  
ათრობდა მარადის?!

და ის ნიაფი ფრთალურჯი  
ბილიკზე ველარ ნაფარდობს!

ეს რა ნალველი მერევა! ან ზვირთი  
რატომ გუგუნებს?

მზე ველარ მომეფერება,  
მთვარეც დამცქერის უგულოდ!..

ფრენენ ჩიტები გუნდ-გუნდად  
და სული ველარ ისვენებს!

ნიაფიც გამიორგულდა,  
თვალეებს მოედო სისველე!..

მალლობზე ნისლი იზრდება, მოჩანს  
მწვერვალთა კენწერო!..

ჩემი ბავშვობის სიზმრებო,  
მარადის ჯვარი გეწეროთ!..

20. 09. 62.

ბანძა







## ალარ შივხველრივარ მერა

ვნახე, მდინარესთან იდგა, რალაც უჩვეულო გრძნობით!  
მაშინ არათფერი მითხრა,

მხოლოდ პური ვჭამეთ ძმობის!

მე კი მივაშურე ქალაქს, ის კი მკვიდრი გახდა სოფლის,  
ასე დაგვაშორა ძალამ

და ეს მწუხარებად მყოფნის!..

ალარ შევხვედრივარ მერე, გვიან მივაგენი საფლავს!  
თრთოდა დარდიანი ღელე,

ეცვა გაზაფხულის კაბა!

სევდა ამექოჩრა თვალზე, ცრემლით დავასველე ლოდი,  
ოღნავ მოდებოდა ხავსი,

მწვანე ირწეოდა ტოტი...

იდგა გაზაფხულის ჟამი და მზის ჭინვინებდა კვიცი,

ქვაზე ამოვტვიფრე ცრემლით,

ო, იმ ერთგულების ფიცი!..

29. 04. 63.

ბანძა



კვილი ბალი

ამ ბალში ახლა არაფინ დადის, მხოლოდ ხეები  
დაობენ ქართან,

ამ ბალში ახლა არაფინ დადის,  
ჩვენი ბავშვობის

ლანდების გარდა!

ამ ბალში ახლა არაფინ დადის და შემოდგომის ფოთლები ცვივა...

ამ ბალში ახლა არაფინ დადის,  
მხოლოდ თარეშობს

ქარი და წვიმა!..

ამ ბალში ახლა არაფინ დადის, ხმელი ფოთლები გადააქვს ნიავს...

ამ ბალში ახლა არაფინ დადის,  
მხოლოდ ბავშვობის

ლანდები რბიან!..

12. 06. 63.

ბანძა





**ახლა არავის ახსოვს!**

ო, ის დღეები მძაფრი ახლა არავის ახსოვს,  
დრო კი მიატურებს ატურებს  
მთვარის სხივებით ნაქსოვს...  
ის ჟამი გამარჯვების არხევს ლანდების წყებას,  
ზღვა კი აწყდება ჯებირს,  
მერე დუმილი წეება...  
ის შუქი მახალისებს ხსოვნის სიმებს რომ სწვდება,  
შენ მაგონდება ისევ  
და იმ დღეების წყება!..

09. 07. 64.

სოხუმი



იყო ტკივილი სოფლის..

იწვა მინდორზე გულადმა, მზე ეცემოდა პროფილს,  
ის იწვა უიარაღოდ,

იყო ტკივილი სოფლის!..

არც სისხლი და არც ჭრილობა, არც გასანთლული თოკი,  
მიტხარი, ლომის შვილობას,  
ვინ აბატეებს ბოკვერს?!

21. 10. 64.

ბანძა





### ისევ მომინდა!

შენი ჩურჩული ისევ მომინდა,  
როგორც გაზაფხულს ჩიტის გალობა!  
ღროის მდინარე მიდის ხმაურით,  
ისევ წამართვა  
რაც მიწყალობა!..  
მოხანს შორიდან მთები მაღალი  
და საოცარი ღელვა მეღება!..  
აჰა, მეღვრება თმაში ჭაღარა  
და ნუთუ გულიც  
დამიბერდება?!  
შეხედე, სივრცე როგორ იმღვრევა  
და ვგრძნობ უშენოდ თითქოს დაცემას!  
შენი ჩურჩული ისევ მომინდა,  
როგორც ყვავილებს  
მზის აღტაცება.

22. 10. 64.

ბანბა



**რეკავინ გამთრის თეთრი გარეაბი**

თოვლის ფანტელებს ფანტავდა ქარი, სული უსაზღვრო  
ღელვას მინებდა,

ტანზე მებვია თეთრი ნამქერი,  
ამღერებული მთვარის სიმებით!..

თოვლის ფანტელებს ფანტავდა ქარი და დაბურული  
იყო ქვეყანა,

რეკავდნენ ზამთრის თეთრი ზარები  
და ყველგან მხოლოდ თოვლი ეყარა...

ჩვენ მივდიოდით, ო, მივდიოდით და ირხეოდა  
სივრცე ნათელი!..

მიწაზე იწვა თეთრი სინათლე,  
მიწაზე ენთო თოვლის სანთელი!..

14. 01. 66.

სოხუმი





## წყარო

ტყის პირას ისევ გალობს ჩემი ბავშვობის წყარო,  
ვისსენებ წარსულს და ნაკვალევს

დავეძებ თოთოს!..

ეს ცა და მიწა სიყვარულით ბოლომდე მწყალობს  
და არხევს სიო გაზაფხულის

უთვალავ ფოთოლს...

სიშორეში კი ვარსკვლავები ირხევა ბროლის  
ფერთა სიმრავლით...

და ბავშვობის ბილიკებს მივსდევ...

არ ვიცი, როგორ შევასრულე მე ჩემი როლი

და ცა ბავშვობის უჩვეულო

თვალებით მიმზერს!..

ვიცი, ბევრი რამ გამოცანად დარჩება მერმისს,

მაგრამ დემონი ჩემს სივრცეში

ფრთებს ველარ გაშლის,

გზას მიკათავდა სიშორიდან ჭინვინი მერნის

და გავცქეროდი სილაჟვარდეს

თვალებით ბავშვის!..

ტყის პირას ისევ გალობს ჩემი ბავშვობის წყარო,  
ვისსენებ წარსულს

და ნაკვალევს დავეძებ თოთოს!..

ეს ცა და მიწა სიყვარულით ბოლომდე მწყალობს  
და არხევს სიო გაზაფხულის

უთვალავ ფოთოლს...

12. 04. 66.

ბანძა

**რა შორს დარჩა!**

ის ბილიკი რა შორს დარჩა, იმ ყვავილთა შეკვრატ,  
გახსოვს, მაშინ როგორ შეკრთი,  
რომ აფრინდა ყანჩა!  
გუცქეროდით მთვარის ეკრანს, სივრცე იყო მკრთალი,  
ის ბილიკი რა შორს დარჩა  
და ბაგშეფობის კვალიც!..

12. 07. 66.

სოხუმი







## იმ ბაღს შერჩა

იმ ბაღს შერჩა თრთოლვა მხოლოდ და ღიმილი ბავშვობის,  
მერე, სადღაც სოფლის ბოლოს

ჩვენ ერთმანეთს დავშორდით!..

იმ ბაღს შერჩა ღელვა ჩვენი, ღმერთმა ასე ინება,  
როგორც ბედის განაჩენი,

როგორც შუქის დინება!..

იმ ბაღს შერჩა სევდა წრფელი, როგორც მწუხრის იარა...  
და ბავშვობის წლებმა ფრენით

სიფრცე გადიშრიალა!..

03. 08. 66.

სოსუმი



\* \* \*

ცაზე მზის ზარი რომ დარეკავს სიცოცხლის მაცნე,  
ზღვაზე გრიგალი ეკვეთება

ფოლადის ბურჯებს!..

და სული მაშინ თუ გაუძღვება საკუთარ განცდებს,  
მთა მოიხსნის და გადაისვრის

ღრუბლების ხურჯინს...

და შენ, მხატვარო, თუ გეყოფა სიმდიდრე ფუნჯის,  
ამეტყველებ დამუნჯებულ

ქვებსა და კედლებს!..

შენს ქმნილებაში ზღვა ჩადგება საოცრად ლურჯი  
და არასოდეს არ ჩაქრება

სიცოცხლე მერე!..

09.03.67.

სოხუმი





### აუმღვრევია სული!

მითხარ, ეულო კაცო, ასე სანამდე ივლი?  
აჰა, საცაა, მალე შენ  
ხელს დაუქნევ ივლისს!..  
და მზე აგვისტოს ციდან დაგეფინება რილით,  
მერე კი ზამთრის ტვირთი, —  
აიკედე და მიდი!..

აუმღვრევია სული: მინდვრებს, გზებსა და ჭალას,  
ზამთრის გაგფანტავს ზვირთი,  
როგორც ქარები ჩაღას!..  
სულო, მომეცი ძალა ულამაზესი ხილვის!..  
აჰა, საცაა, მალე, შენ  
ხელს დაუქნევ ივლისს!..

12. 07. 67.

სოხუმი



## მამას

მე მთვარის ჩრდილებს ცრემლებით ვნამაგ,  
 მაწყდება სევდა შორეულ რიცხვის!..  
 შენი აჩრდილი შემოდის, მამა!  
 მინდორზე კავშია  
 ჭიხვინებს კვიცი...  
 მახსოვს, ცა ტანზე ისხამდა აბჯარს  
 და სული მწარედ ეძახდა მაშველს!..  
 და ჟამი როცა იქნევდა ნაჯახს,  
 ფრთებს გვაფარებდი  
 უმწეო ბავშვებს!..  
 ღრუბლებს ხმაურით არღვევდა შუქი,  
 დღეებს უსაზღვრო მოჭქონდა სევდა!..  
 შენ მზის ამბორი გშვენოდა შუბლზე  
 და ჰგავდი ქარში  
 გაფრენილ მხედარს!..  
 შენ იყავ თითქოს წარსულის მაცნე  
 და მძაფრად ხსოვნის არხვედი სიმებს!..  
 ო, ჟამმა შხამი რამდენი გასვა  
 და მაინც აღარ  
 კარგავდი იმედს!  
 ერთი შეხედვით იყავი მკაცრი  
 და თითქოს ჰგავდი ვარსკვლავთა მრიცხველს!  
 ცხოვრებამ ვეღარ მოგღალა კაცი,  
 გსდევდა ქარები,  
 თოვლი და სიციხე!..  
 ახლა, როდესაც ჩამოწვა ღამე,



ამ ხორციელი სიკვდილის შემდეგ,  
შენ საოცარი იყავი, მამა!  
ამ ფიქრით ვზომავ  
ცხოვრების შედეგს!..  
არ ვიცი, როგორ გაკავებს ლოდი,  
ძლეული ურჩი ბალახით, ხავსით?!  
და მეჩვენება აჩრდილი მოდის,  
რომ ქვაზე სევდის  
დალეწოს თასი!  
მე შენს აჩრდილთან საუბარს ვბედავ  
და მღვრიე ცეცხლი მედება გულზე!..  
შენ მზის ამბორი გშვენოდა შუბლზე  
და ჰგავდი ქარში  
გაფრენილ მხედარს!..

12. 09. 67.

ბანძა



\* \* \*

შორს, სადღაც იქით, მზე მოქანცული ეშვება ზღვაზე,  
მე გაგცქერ სივრცეს  
და ჩუმად ვითვლი მეწამულ ხაზებს...  
ქვაფენილებზე სეირნობენ ლანდები მკრთალი,  
შორს, სადღაც იქით, უსიერ ტყეებს  
ტყვიისფერი ღუმილი ავსებს...  
და იკარგება ბინდში ბილიკი  
ჩემი ბავშვობის ცეროდენა ნათესურებით!..

26.09.67.

სოხუმი





## ჟალარი

აქ უწინ დიდი ჭადარი იდგა მიმტაცი მზერის!  
აქ იდუმალი ჭადარი იდგა  
ჟირაფისფერი!

აქ ერთადერთი ჭადარი იდგა ნარხევი ქარით,  
ამოდოდა ჭადრის იქით  
ბებერი მთვარე...

ახლა აღარ ჩანს, მხოლოდ მკრთალი დუმილი ირგვლივ...  
და მეჩვენება სულ სხვა მხრიდან  
ამოდის იგი!

28. 09. 67.

ბანძა



**ღბას ორთქმავალი რელსზე**

გამოვეთხოვე მინდვრებს და ყვაფილების ფშვინვას,  
დგას ორთქმავალი რელსზე  
და რა საშინლად ქშინავს?!

შორს მოვიტოვე უკვე სოფლის პატარა ხიდი  
და ვეკითხები ჩემს თავს, —  
ეს გზა საითკენ მიდის?!

25.05.68.

სოხუმი





ო, იმ ღლიდან მოდის!..

შენ რომ შინდის გადახარე ტოტი, სიყვარული ო, იმ  
ღლიდან მოდის!..

გახსოვს, იყო ვარდისფერი წლები,  
ჟამი ფოთლებს ათრთოლებდა ვნებით!..

მზე მაისის შრიალებდა მინდვრად და ბალახებს სიო  
ოდნავ ხრიდა...

ჩურჩულებდნენ ყვავილები სველი,  
შენს მუხლებთან ლოცულობდა ღელე!..

ახლა უკვე შელამება წვება,  
რა შორს დარჩა ვარდისფერი წლები!..

12. 07. 68.

სოხუმი



## ქალი ქვიშაში

იყო საოცრად მორცხვი, როგორც ყვავილი ველის!  
და ორი თეთრი ბორცვი  
თრთოდა ზღვის ბაგით სველი!..

ქვიშაზე მარტო იწვა და შუქს აფრქვევდა მნახველს,  
ფრთხილად სუნთქავდა მიწა,  
მართლაც ზღაპარი ვნახე!

მზე ჰორიზონტის ხაზზე გაოგნებული იდგა,  
ზღვა კი ღელავდა, — რაზე?  
ზღვა კი ღელავდა დიდხანს!..

17. 07. 68.

სოხუმი





### რა მოხდა?!

რა მოხდა? — მოკვდა და გათავდა!  
დუმილმა დაიდო სათავე!..  
სიცოცხლეს ღმერთები მართავენ,  
რა მოხდა? — მოკვდა და გათავდა!..  
რა მოხდა? — მოკვდა და გათავდა!  
ასევე გაქრება ხსენებაც!  
მიქროდა, მზის ეტლი დაემსხვრა  
და ჟამის გაქუსლეს ცხენებმა!..

04. 09. 68.

სოხუმი



## როგორ მენანება!

როგორ გაცებდა ზეცა შეღამების,  
ცაზე ვარსკვლავების

ჩუმი ხეტიალი.

მე ის ბილიკები მუდამ მეყვარება  
და ეს მთა—გორები  
მარად სევდიანი!..

ისევ ვეომები დღეებს დაუნდობელს  
და სულს იღუმალი

ღელვა ემატება!..

ისევ მომენატრა შენთან საუბარი  
და ის ვაჟკაცური  
შენი შემართება!

ეს ცა უშენობით როგორ მენანება,  
სივრცეს ეფინება

ფერი მოლაღურის...

გული მოგონების ცრემლით მენამება  
და დღემ შემოდგომის  
ნისლი მომახურა!..

ღელვა უჩვეულო სადღაც მიმაქანებს,  
თოვლით შეფერილი

მოხანს მწვერვალები,

მინდა დავიწყება აღარ მიეკაროს,  
ო, მაგ ულამაზეს  
თვალთა ელვარებას!

როგორ გაცეხდა ზეცა შელამების,  
ცაზე ვარსკვლავების  
ჩუმი ხეტიალი,  
მე ის ბილიკები მუდამ მეყვარება  
და ეს მთა-გორები  
მარად სევდიანი!..

09. 10. 68.

სოხუმი



მესმოლა ხეთა ჩუმი ქვითინი

*პოეტ არჩილ ფირცხალავას ხსოვნას!*

ქარმა მოხვეტა მინდვრად ფოთოლი  
და გაატანა ცისფერ დინებას...

მესმოდა ხეთა ჩუმი ქვითინი  
და სული მძიმე ფიქრებს მინებდა!..

დაცხრა გუმბათზე მზე მოგუგუნე,  
გახუნდა ცის და მიწის ხავერდი!..

და მიაქვს სადღაც ღამის უკუნეთს —  
შენი ლოცვა და შენი ვედრება!..

21. 10. 68.

ბანძა





\* \* \*

ვერ ვფრთხილდები მე უშენობას და უჩვეულო სახშილით ვიწვი!..  
ო, რა ცივია დღეს ეს უშენობა,

რაც ჩემში მძიმე ტკივილებს იწვევს!

ჩვენ გაზატყულის მოსვლას ველოდით,

ვერ ჩამოთოვა შუქი მნათობმა!

და შემჩრა მხოლოდ

მთები მელოტი

და ჟამი საგსე უკუღმართობით!..

იყავი ჩვენი ძმობის სიმედვრე, რომელიც ღრობით ვერ დაძლეულა!

შენი აზრდილიც დამაიმედებს,

როცა ნანგრევთან მოვალ ეულად!

11. 11. 68.

სოხუმი



\* \* \*

ნუთუ, ძვირფასო, ვერასდროს მოხვალ,  
ო, გაზაფხულის უნაზესი სიტყურფით საფსე!..  
ეს გული ძლიერ იტანჯება და როგორ ოხრავს  
და ჩემს ცხოვრებას ეკარგება  
ფერი და აზრი!..  
ნუთუ ოდესმე ვერ შეარხევ ფოთლების ლაქვარდს  
და ეს დღეები უმოწყალოდ  
იმედებს მაცლის!..  
ნუთუ ბაგეზე ნაკადულის გალობა დაშრა  
და მხოლოდ დარდის  
ღრუბელი მაწვიმს?!

29. 04. 69.

სოხუმი







## ო, მომავალო!..

მზე უხვად აღვრის მინდორს ფერების სიანკარეს,  
ჩემი პატარა ბაღი

ისევ მეძახის გარეთ!..

ეს გული კვლავაც გულობს და აღტაცებას ითხოვს,  
ჩემი დაფნა და სურო,

ისევ შრიალებს თითქოს!..

და მომლოდინე ბევრის სული წამებას უძლებს!

მე შენს სიყვარულს ველი,

რომ ამიყვავოს ფუძე!..

საგაზაფხულო ქარი ატმის მომალერის სიცილს,

კვლავ ამიმღერე ქნარი

იმ შორეული სივრცის!..

ო, მამავალო, მითხარ, ღელავით რომ სიზმრებს მივსებ...

არ დამიძველო რითმა,

არ მომახვიო ნისლი!

მზე უხვად აღვრის მინდორს ფერების სიანკარეს,

ჩემი პატარა ბაღი

ისევ მეძახის გარეთ!..

04. 05. 69.

ბანძა



\* \* \*

დავდივარ ცვრიან მინდორზე, ო, რა ტკივილი მახლავს!  
 სულს მიმღვრევს სევდის სინდრომი,  
 ჟამი მიმიზნებს ლახვარს!  
 ჩემ წინ ირხევა აღვის ხე მდგარი ბეჭობზე ცაღად,  
 სული შრიალთ აძივსო  
 და ცრემლი მომეძალა!..  
 ნიავმა გაღითამაშა და დგას ყვავილთა კრთომა,  
 ხსოვნის სანთლები ამინთო  
 და სევდა მომათოვა!..

05. 05. 69.

ბანძა



მივაყურადებ წარსულს

ზღვასთან შრიალებს პალმა და ქრის ნიაგი ნელი,  
კვლავ ყვაფილების აღმა

მოახავერდა ველი...

არ ვიცი, საით მივალ, მიმაქვს თვალები სველი,  
გალობს სხივების წვიმა,

მოდის ფერების ჩქერი...

ისევ ხმაურობს წყალი, მთაზე ღრუბლები თვლებენ  
და გული უმოწყალოდ,

ასე ვინ გამითელა?!

მივაყურადებ წარსულს, სევდამ გაიდგა ფესვი!..

ჟამით გაძარცულ რტოზე,

კვლავ ის ჩიტუნა კგნესის!..

16. 05. 69.

სოსუმი



\* \* \*

ტყეში ვართ, წვიმა ჩამოდის და ცა  
საშინლად ბორგავს!..

ვდგავართ წყლის პირას ორივე  
და ხე გვახურავს ქოლგად!..  
ვერ გვთიშავს წვიმის ხარევა, ფეთქავს  
ფოთლები ქორტა...

შინის კენ არ გვეჩქარება,  
ხე, რომ არ დარჩეს ობლად!..

24. 05. 69.

სოხუმი



მსირო ბალადა სიყვარულზე

გრძნობა არ გაიზომება, არც დაედება ზღვარი,  
და მიდიოდა ცხოვრება

გზაზე, ვით ამოჩაღი...

ღრომ სევდა შემოაპარა, ჰოი, რარიგად სწყინდათ?!  
და დარჩა როგორც ზღაპარი, —

ის სიყვარული წმინდა!..

ცა ირზეოდა მაისის... მზე იღვა შინ და გარეთ,  
მერე წაფიდნენ, არ ვიცი, —  
საით და რომელ მხარეს?!

16. 06. 69.

ბანძა



მე მესმის!..

მე მესმის ახლა ჩურჩული შენი,  
 ო, როგორც თოვლის ფიფქების ჩქამი,  
 მე მესმის ახლა ჩურჩული შენი  
 და უცნაური შრიალი ღამის!..  
 მე მესმის ახლა ჩურჩული შენი,  
 როგორც ბალახში ხმაური წვიმის...  
 მწვანე ხავერდზე გადარბის შველი,  
 ყაყაჩო გზაზე მოათენს ღიმილს!..  
 და სულს ეღება დღეების ხსოვნა,  
 ვით ტყეს დაბურულს სხივები დილის...  
 ო, ახლა უკვე ძნელია პოვნა  
 და ვუსმენ მამლის სევდიან ყივილს!..

26.06.69.

ბანძა





## წყურვილი

წვიმა მოსწყურდა ბალახს, ხეებს, მთებსა  
და მინდვრებს,  
წვიმა მოსწყურდა ქალაქს და  
რამდენ რამეს კიდევ!..  
ცას გუცქერ ყოველ დილით... იქნებ  
მაპკუროს რამე?  
უწყლოდ ბუნება ტირის,  
ვით ფოთოლცვენის ღამე!..  
და სიცხით მოთენთილი წყარო თვალს ახელს  
ოდნავ,  
ბაიას ღრუბლის ჩრდილი  
ესიზმრება და ბოდავს!..

27.07.69.

ბანძა



მზგავრობა მთაში

ვერ გხედავ, საით მივდივართ თუ შუქი აღარ იალებს,  
სადა ხარ, ბერო მინდიავ,

იქნება ჩამოიარო?!

ფენი გვისხლტება ქარაფზე, რამდენი დავიგვიანეთ!  
როდისღა გავალთ შარაზე,  
თუ უგზო-უკვლოდ ვიარეთ?!

19. 08. 69.

სოსუმე







## მე მხოლოდ ხსოვნა დამაქვს

იმ მზის და ზეცის ფერი ახლა მხოლოდ მე მახსოვს,  
ჰგავდა მინდორი ვრცელი

ცისარტყელებით ნაქსოვს!..

იმ ზღვის და მინდვრის ფერი სულში ირწყვედა, ლელა!  
ახლა იქ ვინმე მღერის?

ახლა იქ ვინმე ლელავს?!

ჟამმა ცა გამიძარცვა და სადღაც მიმაქანებს  
ო, ის ზვირთები დაცხრა,

იმ გაზაფხულის ზარიც!

მე რა ვარ ახლა, რა მაქვს, ლანდებს სანამდის ვსდიო?  
მე მხოლოდ ხსოვნა დამაქვს,

როგორც ყვაფილი სიოს!..

08. 09. 69.

სოხუმი



სამი ჩიტი

მე მახსოვს სამი ყვითელი ჩიტი!..  
 ჩემს ყვავილნარში სუსტ რტოებზე  
 ისხდნენ ყოველდღე  
 და გალობით ათრობდნენ სივრცეს  
 გამჭირვალეს წყაროს წყალივით...  
 მე ვუცქერდი სიყვარულით მათ  
 ცისფერ თვალებს,  
 მე ვუცქეროდი აღტაცებით სამოთხის ზღაპარს  
 და ჟღურტულებდნენ ისინი დიდხანს...  
 მე მახსოვს სამი  
 ყვითელი ჩიტი!..  
 მოფრინდებოდნენ ისინი ადრე მზის ამოსვლამდე  
 და მზის ჩასვლისას მიფრინავდნენ, —  
 არ ვიცი, საით?  
 როცა დაჰქროლეს შემოდგომის ცივმა ქარებმა,  
 ისინი ბუმბულაცვენის  
 და შემკრთალნი გაფრინდნენ სადღაც...  
 მე მახსოვს სამი ყვითელი ჩიტი!..

17. 09. 69.

ბანძა





## მიეღინება წყალი

ჰქონდა დიდების ხანა, უიმედობის ჟამიც,  
სულმა ვერ გაიხარა,

სივრცე ღელავდა შავი!..

მიღის ღრუბლების ფარა... ბილიკს მიყვება მგ ზავრი,  
იდუმალება ფარავს, სადღაც  
ყრუდ რეკავს ზარი!..

ჩუმიად სანთელი ანთო, დარდის სიურჩე კლავდა!  
სულმა გაუძლო რამდენს,

ხორცი ვერ გაუმკლავდა!

ჰქონდა როგორი ძალა, გახდა საოცრად წყნარი!  
იყო ბრძოლები ცხარე,  
მიეღინება წყალი!..

29.09.69.

ბანძა



მოდის ღრუბელი განბი

მასსოვს, ფერდობზე წყარო ჩამოდისა თრთოლვით  
იყო საღამო წყნარი

და ყვავილების თოვლი...

ო, ამ სანახებს ახლა გავერანებულს ვხედავ,

არც ყვავილების ბალი

და არც ის გამოხედვა!

მოახლოება ზამთრის, ასე რად გვაკრთობს ოდით?!

მოდის ღრუბელი ზანტი

და დუმს საფლავის ლოდი!..

12. 10. 69.

ბანძა





### შემთხვევა შრონტვა

გაცვიდა გული! ახლა უკვე ვერაფერს არჩევს,  
შეგბოჭა ღამის გამყინავმა

მკლავებმა თითქოს!

უკანასკნელი ნაბიჯისთვის წყევლიდი გამჩენს,  
მზე ჩავიდა და შენი წილი

წაიღო სითბო!..

უკანასკნელად დაეძებდი ლაჟვარდის ნაჭერს,  
რომ გაგეღიმა, ალბათ,

კიდევ იპოვე ბოლოს!..

თქვი: რაღა დარჩა? — გაზატუნულის თვალები მწვანე  
და საუკუნო

სიჩუმე მხოლოდ!..

03.05.70.

ბანძა



**სიცოცხლეს გაეთამაშა!**

სიცოცხლეს გაეთამაშა, მინდვრის ფერების რხევას,  
სიცოცხლეს გაეთამაშა,

ჰქონდა ასეთი ჩვევა!

სიცოცხლეს გაეთამაშა თუ შუქს მოწოლილს სვეტად?

რა უხაროდა დამაშვრალს,

ვის უღიმოდა ნეტავ?!

იმ ბოღმას გაუნელებელს და ჟამის მიმოხედვას

ველარ შეეხო ხელებით,

მხოლოდ ღიმილით ხევდა!..

10. 06. 70.

სოსუმი



სარკმელთან ისევ ირხევა ტოტი

წვიმის წვეთები ეცემა მინას და ცახცახებენ  
ფოთლები გარეთ,  
ფიქრით ივსება პატარა ბინა  
და სადღაც ჩუმად რეკავენ ზარებს!..

სარკმელთან ისევ ირხევა ტოტი... ოთახს ანათებს  
სანთელი სუსტი,  
ო, ის მსუბუქი ნაბიჯით მოდის  
და ქარი მაღალ სართულებს უსტვენს!..

ინთება ზეცის კამარა ლურჯი, სიღრმეში თეთრი  
სვეტები ბრწყინავს!..

სარკმელთან ისევ ირხევა ტოტი...  
წვიმის წვეთები ეცემა მინას...

31. 06. 70.

ბანძა



\* \* \*

მე ამ ცხოვრების დაფიჯერო? მითხარი, როგორ?  
სად არის გუშინ, რომ

ცეკვავდა პატარა გოგო!

მზემ გაიტყუა ფერთა ლელვით და დაჰკრა სიცხემ  
და ახლა უხმოდ მარმარილოს  
სიღრმიდან მიცქერს!..

მე ამ ცხოვრების დაფიჯერო, — ძალიან მიჭირს!  
სად არის, აქ რომ

ფეხშიშველა დარბოდა ბიჭი?

წვიმაში, ქარში, რომ დასდევდა სიცილით ლელას,  
აი, ამ ხესთან, ალვის ხესთან  
დაბუგა ელვამ!

04.07.70.

ბანძა







## ეს ხომ არავინ იცის!

ვისი მზე ჩაესვენება ეს ხომ არავინ იცის!  
ღამე რა მოგეჩვენება,

ხვალ რა მოჰყვება სიცოცხლს?

ვისი მზე ჩაესვენება ეს ხომ არავინ უწყის!

ვისი იქნება ხსენება

და ვინ გაქრება უწინ!..

როგორ გარღვევს, მზე ნისლებს და ჩრდილებს

როგორ მოჰკვეთს!

ვისი მზე ჩაესვენება

ვერაფინ იტყვის მოკლედ!

შეხედე ჭამის ღინებას და ცის თვალების ციმციმს!..

ვისი მზე ჩაესვენება

ეს ხომ არავინ იცის!

10. 07. 70.

სოხუმი



უნდა იჩქარო!

სევდიან თვალებს ახლაც ვხედავ და სული მიწუხს!  
არ ვიცი რა ვქნა, და საღამო

მოდურჯო ფრთებს შლის!..

მიტხარი, შენთვის რატომ გახდა პლანეტა ვიწრო?

მიტხარი, სულო, რატომ ასე

უსაზღვროდ ხენეში?!

სევდიან თვალებს ახლაც ვხედავ, გავექცე მინდა,

მაგრამ გაქცევა, —

ეს ხომ თითქმის არაფერს ნიშნავს!

გასავლელია, — გაიარე ეს ბეწვის ხიდი,

სანამ სხეული შეერევა

შლამსა და ქვიშას!..

უნდა დააჩნდეს მიწას შენი სინათლის კვალი,

უნდა იჩქარო,

რომ მაგ სულის ტკივილი გახსნას!..

სანამ, მაგ თვალებს ამოგივსებს სიშავე ღამის

და სანამ სხეულს არ აცდება

გვემა და გახრწნა!..

უნდა იჩქარო, სანამ სული ტკივილებს ებრძვის!

სიმღერა შენი უნდა ჰგავდეს

ვარსკვლავთა ცვენას!..

მერე მომავალს უსახსოვრე ეს ოქროს ვერძი

და, როგორც ვაჟკაცს ეკადრება,

დატოვე სცენა!

16. 08. 70.

ბანძა



\* \* \*

მე კვლავ მაფიქრებ — შენ, მე კვლავ მაფიქრებს — ის!  
ქამის ციკლონი ქრის,  
ღროის დემონი ქშენს!..  
არ დაემონოს შურს ეს სიდიადე ცის!  
მე კვლავ მაფიქრებ — შენ!  
მე კვლავ მაფიქრებს — ის!..

14. 09. 70.

სოხუმი



**ჩემში კრთის მარად!..**

ჩემს ცას და მიწას შენი სხივი მოეფინება  
და გადაწვეება მთვარის ლანდი  
ტანზე მდინარის...

მე გამოგყვები, სადაც გინდა, ოღონდ ინებე!  
ჩემში კრთის მარად  
შენი ჩუმი ხმა იღუმალი!..

22. 09. 70.

სოხუმი





## ჟამი მიდის!..

*მანც კი ლამაზი არი,  
მანც სიტურფით ჰყვავისა...  
ვაჟა-ფშაველა*

ჟამი მიდის და ვბერდები, მეცვლება ხმა და იერი,  
გულს კი ტკივილად ეღება,

ო, ის ხმა გადამთიელის!..

მზეო, სიმღერით დაგსდევდი და რა ტკივილით გშორდები,  
მისწყდა გალობა და დღეთა  
მესმის ტლაშუნი შოლტების!..

სად მიმაქანებ, ტიალო, ო, გზაო, დაუნდობელო?  
თავბრუდამხვევად ტრიალებ, —

მანც ტკბილი ხარ, სოფელო!

მოლიპულ გზებზე ვიარე, ბევრჯერ დავცურდი კიდევაც,  
ვინღა დამითვლის იარებს, —

სიცოცხლეს მანც დიდება!..

ჟამი მიდის და ვბერდები, მეცვლება ხმა და იერი,  
გულს კი ტკივილად ეღება,

ო, ის ხმა გადამთიელის!..

25. 10. 70.

სოხუმი



**ღარეკავს ქაში!**

ღარეკავს ქაში და თუ ბრძოლის დაკარგავ უნარს,  
ღურჯი ფრინველი მოაწყდება

ხაფიან სარკმელს...

ღრო კი ხმაურით გაფრინდება — ფეხმარდი ურა,  
დაემსგავსება შენი ყოფნა  
უფერულ ნარკვევს!

ვერ დაასველებს ღრუბლის სუნთქვა გვალვიან მინდორს,  
ცისკენ ამაოდ,

საცოდავად აღაპყრობ ხელებს!..

შენ საკუთარი თავის უფრო შეგრცხვება თვითონ,  
დაიშლამება შენი სულის  
ფერმკრთალი ღელე!..

29. 10. 70.

ბანძა





## ქარი არხევს შემოღგომის ნაძვებს

ეს რა ღელვა მომეძალა უცებ?

ქარს ფოთლები მოყვითალო მიაქვს...

მე აქედან მთელ სამყაროს ვუცქერ

და სული გრძნობს

უჩვეულო რიალს...

ვერ ვისვენებ! ჩუმი სევდა მიპყრობს,

ხან ღიმილი გამიბადრავს სახეს!..

წვიმს და ხეებს უსველდებათ კალთა,

წვიმს და ქარი

შიშველ რტოებს არხევს...

ღღეს მიმაფალს რა ტკივილი გაჰყვა,

მიდის შორეთს და მიაარხევს ანძებს...

მინდორს ბინდი ეფინება გაღმა,

ქარი არხევს

შემოდგომის ნაძვებს...

12. 11. 70.

ბანბა



იანვრის დღია

ჩემს ძმას — გიორგი გაბუნიას

თოვლით დაფარულ მინდორზე ვხედავ,  
გადარბის ორი პატარა ლანდი...  
მე მასხენდება იანვრის დღია,  
სახურაგებზე დაკიდულ სანთლებს  
ანთებდა ნელა მზე მოწითალო და სიხარული  
ჩვენი ბავშვობის, —  
ბელურებს ფრთებით  
მიჰქონდათ სადღაც...

06. 01. 71.

ბანძა







## მომიტავთ!

მომიტვევთ, ჩემო სახლო და ხეებო ვაშლის!  
რომ არ მღერის თქვენთან ახლოს

ის პატარა ბავშვი!

სახურავ ზე, ბუნრის თავთან არ ირხევა კვამლი,  
სეგდას ალვა მოურკალავს,  
არ ჩანს თოვლში კვალი!

სად ხარ ახლა ჭაბუკობის ო, ცისფერო ქარო!  
მორღვევია ამ ცას ქობა,

დადის ძაძით ქალი!

შორით ურმის ჭრილას ვისმენ, მარცვლავს მთვარე ქარვას,  
ვესაუბრო მინდა ვინმეს,  
მაგრამ არვინ არის!

მომიტვევთ, ჩემო სახლო და ხეებო ვაშლის!  
რომ არ მღერის თქვენთან ახლოს

ის პატარა ბავშვი!

08. 02. 71.

ბანძა



## მიღიხარ

ო, ეს დღეები შენთვის იქნებ არაფერს ნიშნავს,  
მიღიხარ ჩუმად, ირგვლივ

თითქოს ვერაფერს ამჩნევ!

მოვა გრიგალი, ამ კლდეებსაც განაბნევს ქვიშად  
და გაწყვევლინებს საუკუნოდ  
ბედსა და გამჩენს!

ო, ეს დღეები არ იქნება ამაოდ და შვრეს!  
ქარი არა ჩანს

და ზღვა მაინც ხმაურობს, შფოთავს!..

შენ ისევ დუმხარ, მიღიხარ და ვერაფერს ამჩნევ,  
ნუთუ არ გესმის ეს გუგუნო,  
წყველა და მოთქმა?!

09.03.71.

სოხუმი





ჩიტი

მარტო გალობდა ფერმკრთალი ჩიტი  
და ირწეოდა

ცისფერი სიმი!..

შემოღამების დაეშვა ფარდა,

დაეცა ფოთლებს

წვეთები წვიმის...

უცებ შეირხა რტო ნაცრისფერი,

გაფრინდა ჩიტი —

პატარა ჩრდილი!..

და დარჩა ჩემთან რტო მოწყენილი

და ბინდით სავსე

მდინარის ფსკერი!..

03.04.71.

სოხუმი





## რას კრთი?!

რას კრთი, პატარა იაფ, ო, ეს რა ფიქრებს ისევ?

მზე გამოგზავნის ნიაფს,

მოგეფერება ისევ!..

რას კრთი, პატარა იაფ, რა დარდებს ფარავ უთქმელს?

ვერსად პოულობ ნიაფს,

ვერსად პოულობ კუთხეს?!

ეს რა ქარები ქრიან? — ან რა გზებია მრუდე?!

რას კრთი, პატარა იაფ,

რად გდის ცრემლები მწუთხე?!

12. 04. 71.

სოხუმი



ო, ეს ღღეპი!..

ხან უჩვეულო დელოვით გამიზბი,  
 ხან ალტაცებით მიახლოვდები!..  
 ო, ეს რამდენი სიმი გამიბი  
 და სული ფეთქავს  
 ცეცხლის მოდებით!..  
 ვდგავარ და მიკვირს მე ამ დღეების, —  
 ეს უეცარი ფერიცვალება!..  
 მე მეჩვენება შენი თვალები  
 და ხშირად  
 ცრემლიც მომეძალება!..  
 ვდგავარ და მიკვირს, რომ ეს მდინარე,  
 ასე, რომ იცვლის ფერს და კალაპოტს!..  
 ქანაობს ზეცა, ვით ოწინარი  
 და დღემ მინდვრები  
 გადიბალახა...

24. 04. 71.

სოხუმი





\* \* \*

ნელა ილევა დღე და მზე ჰორიზონტზე წვევა,  
მივალ, მივდივარ, გული  
რამდენ რამეზე მწყდება?!  
დგება საღამო ჩუმი, მზე უმფოთველად ჩადის  
და ეფინება სივრცეს  
შენი დაღლილი ლანდი...

27. 08. 71.

სოხუმი



### ირხევა ჟამის ფარდა

უკვე არათუერს დარღობ და არც განიცდი რამეს!  
ირხევა ჟამის ფარდა  
და მიქანაობს ღამე...

უკვე არათუერს დარღობ, სადღაც კომეტა მიქრის...  
წევხარ ბექობზე მარტო, —  
კიპაროსები ირგვლივ  
მგლოვიარენი დგანან,  
როგორც მხედრების რიგი...

უკვე არათუერს დარღობ და არც განიცდი რამეს!  
ირხევა ჟამის ფარდა  
და მიქანაობს ღამე...

09. 09. 71.

სოხუმი







**ქარმა აღარ დამიწყვიტოს სიმი!**

მიმზერ ისე, როგორც თოფის ლულა,  
გინდა სულ ში ჩამისახლო შიში!  
ეს დაღლილი დედამიწა ბრუნავს  
და სააგდრო ღრუბლის  
ვისმენ შიშინს!..  
ცას და მიწას ეს რა ხმები თიშავს?  
ქარმა აღარ დამიწყვიტოს სიმი!  
ეს ვინ არის, ვინ აპყარა ქვიშა?  
რა ღრუბლები  
ირევიან წვიმის?!

14. 09. 71.

ბანძა



მიდიოდი, საღვაც შორს!..

შუქთა აელვარებას ო, რამდენ ხანს ელოდი!..  
მთვარის ლურჯი იალქნით,  
მანსოვს, რომ ირხეოდი!..

და გრძნობათა მეუფე ლანდთა აკანკალებით,  
მიდიოდი, საღვაც შორს,  
უცნაური რკალებით!..

გრძნობდი ჟამის სიცივეს და მოგსდევდნენ ზგავეები,  
მიკიოდნენ სიგრცეებს  
ღამეული ზარები!..

16. 09. 71.

სოხუმი





## ჩემი ლოცვა

თუ შეგწევს ძალა, გახდი საჩინო, დასწყევლე  
სული ლუიციფერის!

თუ შეგწევს ძალა, გადაარჩინე  
ჩემი მიწის და ჩემი ცის ფერი!..

თუ შეგწევს ძალა, გახდი საჩინო და ამაშორე  
შხამის ისრები!

თუ შეგწევს ძალა, გადაარჩინე  
ჩემი შთები და ჩემი ნისლეები!..

თუ შეგწევს ძალა, გადაარჩინე ჩემი მზისა და  
მთვარის ქსოვილი!..

თუ შეგწევს ძალა, გადაარჩინე  
ჩემი მცხეთა და სვეტიცხოველი!..

თუ შეგწევს ძალა, გახდი საჩინო, შთამბერე უხვად  
მადლი მისნობის!..

თუ შეგწევს ძალა, გადაარჩინე,  
დალოცე მგზავრი მარადისობის!..

25. 09. 71.

სოხუმი



\* \* \*

მე ვერ ვიცანი შენი ლურჯი თვალების ფერი,  
შერწყმია იგი გახუნებულ  
სიგრცეებს თითქოს...

ახლა მინდორზე შემოდგომის ნიაფი მღერის  
და მიაქვს სადღაც  
შორეული დღეების სიტბო!..

ახლა მინდორზე შემოდგომის ნიაფი მღერის, —  
ფოთლების ჩრდილი  
მიაყარა ხმაურით ფერდობს...

მე ვერ ვიცანი შენი ლურჯი თვალების ფერი,  
ო, ლაყვარლივით მონახასსე,  
ზღაპრული ერთდროს!

12. 10. 71.

სოხუმი





## მდინარესთან ილანდება ქალი

დღემ დაუშვა უმოწყალოდ ფარდა და სივრცეებს  
გამოსტაცა ფერი!..

სხვა რა დარჩა მოგონების გარდა? —  
ვარხევ სიმებს მაგ ცრემლებით ფენილს!..  
ღამემ მთვარეს აუხილა თვალი და სივრცეში გზას  
მიიკვლევს მშვიდად...

და წარბების მოზიდული მშვილდით  
მდინარესთან ილანდება ქალი!..

სული ღელავს სევდით დანასეტყვი! თვალი ხარბად შიშველ  
მკლავებს ღანდავს!..

სხვა რა დარჩა მოგონების მეტი?  
სხვა რა დარჩა მოგონების გარდა?!

20. 10. 71.

სოხუმი



\* \* \*

მზეო, რად გადაიხარე, როცა შექს გთხოვდი, პირიქით!  
მზეო, რად გადაიხარე,  
რად ჩამიქუფრე ბილიკი?!  
მზეო, საითკენ გამექექე, ან ეს რა ნისლეებს ეღებო?  
რისხვის ქარები დამეცნენ,  
უკვე არ შეიმედებო!  
მზეო, რად გადაიხარე, რად გახდი მიუკარები?  
ო, ეს რა ჯაფრი იყარეს  
ჩემზე ნოემბრის ქარებმა?!  
მთებში ზვავები ჩამოწვა, ეს რა გრიგალი მიკვივის,  
უკვე ზამთარი ჩამოწვა,  
სივრცეს დაადო ბორკილი!..

28. 11. 71.

სოსუმი



. . . და ქვეყნს ამაყად ჩანგო!..

ვინც ქმნის ცხოვრების სქემას, ის ცოტა რამეს ამბობს,  
დღეს აღტაცების, ემა,

დღე მწუხარების სჭარბობს!

ვერ გაარღვია გემმა წყება ზვირთების ურჩი!  
დღეებს ვარდისფერს, ემა,

სჭარბობს დღეები ლურჯი!..

მწარედ მაჩნია გულზე, ო, იმ დღეების ჭანგი!  
მანც მომავალს ვუმზერ  
და ქვეყნს ამაყად ჩანგი!..

31. 12. 71.

სოსუმი



**გღვან თეთრად ღელავდა მაშინ!..**

მე თოვლის გესროლე გუნდა, უეცრად შევლივით შეკრთი!  
 ის დილა რა იყო თუნდაც? —

ქუჩაში შემთხვევით შეგხვდი!

მარჯუქე ღიმილი ვარდის და თოვლში დილის მზე ენთო...

შენ ზღაპრულ ფიფქიას ჰგავდი, —

ო, ის დღე რა იყო, ღმერთო?!

არ მახსოვს სითეთრე ამდენი!.. ამდენი ყვაველი თოვლის!..

ცვივოდა ურიცხვი ფანტელი

და სული სინაზით თრთოდა!..

არ მახსოვს ამდენი ციმციმი... ვლელავდი სითეთრის რკალში...

ზღვას, როცა გაგხედეთ სიცილით,

ზღვაც თეთრად ღელავდა მაშინ!..

მას შემდეგ დარდისგან გაუთეთრდი და დაესდევ ქუჩაში აჩრდილს,

ის თოვლის ფრინველი გაფრინდა

და ჟამთან პირისპირ დაფრჩი!..

15. 02. 72.

სოხუმი





იღბა სასაფლაოს კართან

ღრუბლებს ჩაფხრეწოდა კალთა, იყო გაზაფხულის ჟამი  
იდგა სასაფლაოს კართან,  
ქალი შემოსილი შავით!..

ეპყრა ყვაფილების კონა, შლიდა გაზაფხული აფრებს,  
ის რტოს მაგონებდა ატმის,  
მარტის ქარ-წვიმებით ნარბევს!..

ვიღაც ეძახოდა ნონას, ასე ოცდაათის ჩანდა,  
ეპყრა ყვაფილების კონა,  
იდგა სასაფლაოს კართან!..

05. 03. 72.

ბანძა



ყვავილები სცვივა ტყეშალს

მე გულისთქმა შენ ერთს განდე, აქ დაფრბოდი ჩემს ტოლებთან,  
ამ მინდვრებზე აღვიზარდე

და შენი მზე მათროლოვდა!..

აქ ოცნების კოშკი ვაგე და ტყის პირას მედგა ოდა,  
გეოცნე შენი ფარდის ბაგე  
და შენი ხმა მეძახოდა!..

ყვავილები სცვივა ტყეშალს და მზე მიცქერს აღმაცერად,  
იმ თვალების ახლაც ტყვე ვარ,

მესმის შენი გულისცემა!..

ჟამმა მაინც გამიძევა და სხვა სიფრცე მომიქსოვა,  
მაინც მოდის შუქი სვეტად,  
მაინც მათბობს მე ის ხსოვნა!..

27. 03. 72.

ბანძა





### საით წავიღა?!

აქ დადიოდა ქალი ლამაზი ლაქვარდოვანი თვალთა ციმციმით,  
აქ დადიოდა ქალი ლამაზი,

ათრობდა სივრცეს ხმით და სიცილით!..

აქ დადიოდა ქალი ლამაზი ვარდ-ყვავილეების თრთოლვით ნაბანი  
და ბაგეებით შუქს ღვრიდა ლალის,

ქალი კი არა, — იყო ზღაპარი!

როგორ უყვარდა ბილიკი მთვარის და გაზაფხულის არხევდა ფერებს,

აქ დადიოდა ქალი ლამაზი,

საით წავიღა, ნეტავი, მერე?!

27. 04. 72.

სოსუმი



ისევ ბავსქერი ტრფობით

ხედავ, ნაზამთრალ მინდვრებს მზე ისევ აფერადებს,  
ვღგაფარ მდინარის პირას

და ვისვრი წყალში ბადეს...

მიწა სხვის იწოვს ხარბად, მთა ნისლს იშორებს ტანზე,  
სიო აღვიძებს ზამბახს,

დღე გახდა შუქით საესე!..

ჩემს მინდვრებსა და ჭალას, ისევ გავცქერი ტრფობით  
და წლებს მიბრუნებს დილა  
ო, იმ ზღაპრული ყრმობის!..

28. 04. 72.

ბანძა





**შენი ბავშვობა მუდამ!**

როგორ გიყვარდა, სულო, ფერი ატმის და შინდის!  
შენი გეგონა მუდამ:

ეს ტყე, მინდორი, ხიდი!

შორს წვეროების გუნდი და მთვარის მინანქარი,  
შენი გეგონა მუდამ, —

ეს შემოდგომის ქარი!

როგორ გიყვარდა თუნდაც მზის სხივი აღმაცერი,  
შენი გეგონა მუდამ და

ვერ ძღვობდი ცქერიით!..

როგორ გიყვარდა თუნდაც წყაროს დაღევა პეშვით,  
შენი გეგონა მუდამ

მზის ხავერდი და ეშხი!..

ო, გულს სხვა რაღა სურდა, ხე ირხეოდა ნატვრის!..  
შენი გეგონა მუდამ

თეთრი ღრუბლების ხატი!

სვამდი ბაგეთა შარბათს, სივრცეს ხატავდი ფუნჯით,  
შენი გეგონა მუდამ

მერის თვალები ღურჯღი!..

თოვლის ფიფქების ჩერო და ყვავილების ეშხი  
შენი გეგონა მუდამ,

რადგან ღელავდა შენში!..

როგორ გიყვარდა, სულო, ფერი ატმის და შინდის!  
შენი გეგონა მუდამ:

ეს ტყე, მინდორი, ხიდი!

10. 05. 72.

ბანძა

თან მღევს!..

ბინდი ეცემა ჭაღას და ჩემს დაბურულ კბოღეს,  
აქ ჩემი სიყმაწვილის

ჟამი ცისფერი ქროდა!..

ახლა შორსა ვარ, სადღაც, თავდავიწყების გზებო!..

თქვენი აჩრდილი მადგას,

ო, დიდო წინაპრებო!

ჩემო აბაშის წყალო, რომ რბი მთებიდან ბარად,

ჩემი პატარა ლანდი,

სად მიგყავს ასე ჩქარა?!

თქვენზე მომყვება ფიქრი და იმ ჯადოსნურ დღეთა, —

თან მღევს უსაზღვრო სითბო,

თან მღევს მარადი სევდა!..

17. 06. 72.

სოხუმი





### იქნებ ჰგონიათ?!

ჩემგან ღალატი არ იქნება, რაც უნდა მოხდეს!  
და ჩემი სული ღმრთის ქარში

განგაშებს ერთობ!..

ჩემგან ღალატი არ იქნება, რაც უნდა მითხრა,  
ჩემგან ღალატი არ იქნება,  
რაც უნდა მენდო!..

ჟამის ქარები შემოტევას ბედავენ ისევ,  
ო, რა კივილით შემწარავით

გამოსცდნენ ბეჭობს!..

იქნებ ჰგონიათ ჩემი ტანი ფერმკრთალი ნისლი?  
იქნებ ჰგონიათ ჩემი სული  
ფოთლების ექო?!

13. 08. 72.

ბანძა



## ბაქრა ზღაპარი

ჩემი ოცნების გუმბათები ნისლმა დაფარა,  
 მე, რომ მიყვარდა იმ  
 მინდვრების გაქრა ზღაპარი!  
 ჩამოიქროლა მთიდან სველმა სიომ დილისამ  
 და შენს თვალებში მე ვიცანი  
 სულ სხვა თილისმა!  
 გამოვიარე უღრანები, როგორ ბნელოდა  
 და სულში მაინც  
 გაზაფხულის დილა მღეროდა!  
 მზე შუბლით სადღაც მიეხეტქა ძალაღ წარაფებს,  
 ნუთუ მე შენთან საუკუნოდ  
 ომი წავაგე?!  
 მაგრამ მე მაინც არ მჩვევია უიმედობა,  
 შემოვიხიე ტანზე  
 ღამის მღვრიე ბინდები...  
 რომ შენს თვალებში სიყვარულის შუქი ეფინოს,  
 შეუძლებელი, ღმერთო,  
 იქნებ შემადლებინო!..

15. 08. 72.

ბანძა







## მშობლიური ელვა

ფთილაც არ ამოდის კვამლის, ჟონავს ხავსიანი ჭერი,  
აგერ წაქცეული სკამი,

ღოქი მორღვეული ყელით.

სურათს ვეფერები დედის, ლანდი მამაჩემის მოდის,  
ჭასთან ოწინარი თეთრი,

როგორ დაუღლია ლოდინს?

მუხას შეხიზენია ჭოტი, ჟანგი მოსდებია სახნისს,

ქარით შელახული ტოტი

კედელს შეჰქვითინებს სახლის!..

სარკმლით შუქი მოდის ვიწრო, არ კრთის კერიაზე ცეცხლი!

სული მწუხარებას იწოვს

და თან მოგონებებს ერწყმის!..

ბუნარს გაჰყინვია ყელი, სევდა შეგაჟრჟოლებს ნახვის!

ჟონავს ხავსიანი ჭერი

და ღუმს დაღვრემილი სახლი!

25. 08. 72.

ბანბა



**ჩიტებო!**

ო, ეს დღეები უღიმღამო და მოჭამული,  
ამ შემოდგომამ — ეს რამდენი

სევდა მოდენა!..

ჩიტებო, მე გთხოვთ, არ შეწყვიტოთ, ეს ჟრიამული,  
რატომ ატირდი, შენ

ტირიფო მოულოდნელად?!

ო, რას ბუტბუტებ, შენ ბინულო, — ჟამზე მიმწუხრის?  
რად ჩამიშავეს ცის ღაწვები,

ასე ღრუბლებმა?

თქვენ, ყვავილებო, იმედი რად გადაიწურეთ,  
ნუთუ გგონიათ

ყველაფერი დაიღუპება?!

საით გატრინდნენ ვარდისფერი ჩემი დღეები?  
რატომ არ მესვრის

სიყვარულის ისრებს ამური?

ჩიტებო, ახლა მხოლოდ თქვენი შეიმედება!

ო, არ შეწყვიტოთ, არ შეწყვიტოთ, —  
ეს ჟრიამული!..

15. 09. 72.

ბანძა





### იყო სალამოს შვიდი!

შენ თეთრი კაბით იწექ, თითქოს გეძინა მშვიდად,  
შუქი სწყდებოდა მინდორს,

იყო სალამოს შვიდი!

მთვარე იხსნიდა ნილაბს, სიო გაფენდა ფოთოლს,  
დარჩა ცხოვრების მიღმა  
შენი სხეული თოთო!..

შენ ცისკრის იყავ სხივი, ჰგავდი აპრილის კოკორს!  
რატომ დაგეცა ჩრდილი, —

ასე პატარა გოგოს?!

ველარ დაუფლი ანცი ვარდებს სათუთად მოვლილს,  
როგორ გაზოგოს აწი,  
როცა ჩამოვა თოვლი?!

შენგან დარხეულ სიმებს — რა ეშველება, ნეტავ?  
სანამ ჩამოვა წვიმა,

სანამ იგლოვებს დედა?!

შენ თეთრი კაბით იწექ, თითქოს გეძინა მშვიდად,  
შუქი სწყდებოდა მინდორს,  
იყო სალამოს შვიდი!

17. 09. 72.

ბანძა



\* \* \*

შელამებისას მოვდივარ შენთან და მესმის სადღაც  
ზარებს რეკავენ!..

ნელა ირხევა რტოები ხეთა  
და ზღვა ირეკლავს  
ფერად რეკლამებს...

შელამებისას მოვდივარ შენთან, ისევ ქანაობს  
ტალღების წყება...

შელამებისას მოვდივარ შენთან,  
ვერ გამიქარვეს  
ტკივილი წლებმა!

შელამებისას მოვდივარ შენთან და მოჩანს სივრცის  
ლურჯი ზმანება!..

შელამებისას მოვდივარ შენთან,  
ისევ დარეკეს  
მწუხრის ზარებმა!..

22. 09. 72.

სოხუმი





### ფერლოზგი ლურჯი საღამო წვევა

ახლაც აღმართებს მიჰყვები უხმოდ,  
თუმცა დაღმართისკენ გეწევა წლები!..  
კვლავ ებრძვის თოვლს და ქარიშხალს მუხლი  
და ყალყზე დგება  
ზვირთების წყება!..  
შენ ბევრი რამე წაგართვეს წლებმა,  
სულს შერჩა მხოლოდ სიმტკიცე რგალის!..  
ფერდობზე ლურჯი საღამო წვევა  
და მაინც მიზანს  
დაეძებს თვალი!..

18. 10. 72.

ბანძა



## გამთრის სურათი

შემოდგომა მიიწურა და თოვლს ველოდები,  
ვუცქერ ახლა ზამთრის სურათს,

ცანცანებენ მთები!..

შემოდგომა მიილია, ცა ივსება ღრუბლით,  
გაუხუნდა ფრთები ნიაფს

და დუმს მთვარის შუბლი!..

ის ასული სად ვეძიო, რომ ბილიკზე შეკრთა?

მინდა დროს და სივრცეს ვსძლიო,

რომ მოვიდეს შენთან!..

შემოდგომა მიიწურა და თოვლს ველოდები,  
ვუცქერ ახლა ზამთრის სურათს,

ცანცანებენ მთები!..

22. 11. 72.

სოხუმი





## შერალი ქარი

ისე იცვლება შენი ამინდი,  
როგორც ალერსი მაცდური ქალის,  
როგორ გაფრინდა, როგორ გაფრინდა,  
შენი ბავშვობის  
ფერადი ქარი?!  
წეწავს გრიგალი სულის იალქნებს  
და ცა გუგუნებს, როგორც დიზელი!..  
ნუთუ ოდესმე ისევე მიაგნებს, —  
იმ შუქს შორეულს  
თვალი ფხიზელი?!  
ბევრჯერ აგიტანს რისხვა დღეების,  
შემდეგ სიზმრებში დაგაბნავენ...  
მოგენატრება შენ ის ხელები  
და ტანი, როგორც  
თეთრი მდინარე!..

25. 11. 72.

ბანძა



**ერთხელ კიდევ შემახვედრე!**

დაუტბორავს თოვლს მთა-ბარი, ტირიფების ოხვრა მესმის,  
მხრებზე აწევს ცა დაბალი

ჩემი ქვეყნის მთებს და ქედებს...

ისევ ყრმობის ფრთები მესმის და გავცქერი მინდვრებს ტრფობით,  
ერთხელ კიდევ შემახვედრე,  
ღმერთო, დღეებს ჭაბუკობის!..

20. 12. 72.

სოსუმი







\* \* \*

ეს დემონი მკლავს მოგხვევდეს ვიდრე,  
ფრთა გაშალე და გაფრენა სცადე!..  
თორემ ფეხქვეშ ჩაგიტყდება ხიდი  
და დინება ღრმად  
ჩაგითრევს სადმე...  
ხვალინდელ დღის გჯეროდეს და გწამდეს,  
მოვა სიო აამღერებს ფოთლებს!..  
ოღონდ სული სიყვარულით თრთოდეს  
და უთუოდ  
აფრინდები ცამდე!..

21. 02. 73.  
სოხუმი



\* \* \*

ნაძვის ხეზე ბალიშები თოვლის  
ირწვევიან და შორს  
მზე კი ჩადის...

მანსენდება, სიო მონათრთოლი,  
რომ გირხევდა  
ხეივანში მანდილს!..

ზღვა კვლავ ფრთებს შლის... მიიზხევა წყალი  
და მტრედები  
მიფრინავენ ღრუბლის...

რად ძეპყრობა წლები უმოწყალოდ,  
დარდით რატომ  
დამელარა შუბლი?!

12. 03. 73.

სოხუმი





## მარტოობა

ვერ შევეჩვიე მე უშენობას  
და დაბურული სიშორიდან გეძახი ისევ!..  
ამაოდ ვუცდი შენეულ ნობათს  
და მახვევს ვილაც  
იისფერ ნისლებს...  
ვერ შევაჩვიე ნელი-ნელ ქრობას,  
ფიქრები მუდამ ყველაფრის მწვდომი.  
ვერ შევეჩვიე მე უშენობას  
და გეძებ, როგორც  
შორეულ ცდომილს!..

14. 06. 73.  
სოხუმი



**რა უღმრთელი შიძრი მისევა!..**

მოვინახულე ჩემი აკვანი, ჩემი პატარა დედე!  
სადაც ბავშვობის ჩრდილი კანკალებს,  
როგორც ბელურა სველი...  
ვნახე ვენახი ქარით აშლილი, ჭასთან ნატეხი დოქის,  
აქეთ მოიწევეს მამის აჩრდილი.  
კიდევ გამოსცდა ბოგირს!..  
გადაფერდილი ვნახე მესრები, გადატეხილი ტოტი,  
რა უღმრთელი ფიქრი მესევა,  
თითქოს ყორანი მკორტნის!..  
მე ჩემს ბავშვობას ვუხმობ ისევე, გული გასივდეს ლამის,  
ეზოს ესევა ხავსის სისველე,  
როგორც ნაყოფი ჟამის!..

14. 08. 73.

ბანძა



\* \* \*

რატომ დაგეუფლა ფიქრი უჩვეულო?  
 იქნებ გეჩვენება,  
                     იქნებ გაგონდება?!  
 სული უშენობას ვეღარ შეეჩვია,  
 დღეთა რელსებზე კი —  
 რბიან ვაგონები!..  
 მითხარ, რაზე სწუხხარ? ხომ არ გახსენდება  
 ცრემლით ანთებული  
                     გრძელი წამწამები?!  
 ო, ეს ვარსკვლავები, ლურჯი ვარსკვლავები,  
 ასე უცნაურად  
 რატომ ცახცახებენ?!

17. 09. 73.

ბანძა



ღრო კვლავ მიაქანებს ხომალდს

ო, ის ბილიკები ღუშან და მე მოგონება მიძიმს!  
როგორ ვუცქეროდით ჩუმად, —

შორი ვარსკვლავების ციმციმს!..

იყო დაბურული ტევრი, რაღაც იღუშალი რხევით!..  
ღამე მახსენდება ღელვის,  
მთვარის მინდორი და ხევი!..

მახსოვს ბალახების კრთომა, წყაროს უცნაური ჩქამი,  
ღრო კვლავ მიაქანებს ხომალდს,

ო, იმ უჩვეულო ჟამის!..

ვეღარ დავიბრუნებ ჩავლილს, უკვე შემოდგომა მოდის,  
ხმელი შრიალია ჩალის

და მზეს გაუხუნდა ტოტი!..

ო, ის ბილიკები ღუშან და მე მოგონება მიძიმს!  
როგორ ვუცქეროდით ჩუმად, —  
შორი ვარსკვლავების ციმციმს!..

24. 09. 73.

სოხუმი



ახლა სხვა ბაქვს მიზნები

ესწრაფოდი სხვა რამეს, ახლა სხვა გაქვს მიზნები,  
მოხანს ღამე წკვარამი,

სევდა უფრო იზრდება!..

ესწრაფოდი სხვა რამეს, სივრცეს ფრთებით ზომავდი!..

გქონდა შენი სანავე,

ქროდა შენი ხომალდი!..

სულო, რაღას ინაღვლი? — იყავ ბევრის მდომელი!

აღარ იყო სიმაღლე

შენთვის მიუწვდომელი!

დღე მიდის თუ ილევა, რამდენ რამეს ელოდი!

მუხლი გქონდა ირემის,

ქარსაც დაეწეოდი!

ესწრაფოდი სხვა რამეს, ახლა სხვა გაქვს მიზნები!

მოხანს ღამე წკვარამი,

სევდა უფრო იზრდება!

16. 01. 74.

სოხუმი



ო, შეხედი!

სულს ტკივილი მოეძალა ისევ, როგორც მარტის  
ქარიშხალი რტოებს,  
უცაბედად ტბა გამოჩნდა ნისლის  
და უცნაურ ნათესურებს ტოვებს!..

ო, შეხედე დღე კივილით მოდის, ზვირთი მკერდით  
ეხეთქება კბოღეს...  
ეს ტკივილი სულს აგიმღვრევს ისე,  
როგორც მარტის ქარიშხალი ტოტებს!

გულს ეყოფა სულ პატარა სითბო და მზის მცირე  
ნაბერწკალი თვალებს!  
დამიჯერე, სხვა არაფერს ითხოვს,  
მხოლოდ შექის სილამაზეს დაღვეს!..

02. 02. 74.

სოხუმი







ახლა სინთონსავე ყვავილობს

ქარმა გაპჰანტა ყვავეები და მოზგავება ღრუბელთა,  
ახლა სინთონსავე ყვავილობს,  
სადაც სიკვდილი სუფევდა!..  
ისმის ბუბუნის ხარირმის, მზემ სხივი გადაუფერდა...  
ახლა სინთონსავე ყვავილობს,  
სადაც სიკვდილი სუფევდა!..  
ღრომ გაიტაცა ბლავილით, — ის შმორი სისხლის გუბეთა!..  
ახლა სინთონსავე ყვავილობს,  
სადაც სიკვდილი სუფევდა!..

07. 05. 74.

სოხუმი



ისევ ის გენა მიზიდავს წმინდა!..

ისევ ის ზეცა მიზიდავს წმინდა...  
 ისევ იმ ზღაპრულს მივყავარ სივრცეს!..  
 ჩუმაღ ამოდის ფერია წყლიდან  
 და მეოცნებე ბავშვივით მიცქერს!..  
 ისევ ირხევა ფიფქები ციდან  
 და ჩემი ბაღის სიმშვიდეს ათოვს...  
 აქ დარბის ლანდი სულ ერთი ცილა  
 და გაზაფხულთან  
 შეხვედრას ნატრობს!..  
 ახლაც ყვავილობს რტოები შინდის  
 და უცნაური ტკივილით მავსებს!..  
 ო, რა საოცრად ჟღერტულებს ჩიტი  
 და ცისარტყელას  
 ირეკლავს ტანზე!..  
 შეხედე, სივრცეს ბოლო არ უჩანს  
 და იმ დღეების შორეულ ლოდინს!..  
 სად არის ახლა პატარა უჩა?  
 რად მიცქერს ცივად  
 საფლავის ლოდი?!  
 სადღაც ფარული ჩურჩული მესმის  
 და უნაზესი ირხევა სიმი!..  
 სადღაც ჩაუწყდა სიცოცხლეს ფესვი  
 და დამსხვრეული  
 კანკალებს სხივი!..  
 ფიქრებით ჟამის ვაღვიძებ სამანს  
 და ცისარტყელას ირხევა ჩრდილი...



წარსული ისევ იხურავს საბანს  
და უცოდველი  
ბავშვივით ტირის!..  
ისევ ის ზეცა მიზიდავს წმინდა...  
          ისევ იმ ზღაპრულს მივებნდე სივრცეს!..  
ჩუმაღ ამოდის თერია წყლიდან  
და მეოცნებე ბავშვივით მიცქერს!..

10. 05. 74.

ბანძა



მონცა ცოტა!

არაფინ იცის, შენ დევნილი, მოხველ საიდან?  
მონცა ცოტა და მოილხენს  
შენი სანთური!..  
მონცა ცოტა და სიყვარულს ცამდე აიტან,  
მონცა ცოტა და მორჩები  
სოფლის სამდურავს!  
მონცა ცოტა და შეუქს მოგფენს დილა მზიანი,  
მონცა ცოტა, შეგეცვლება  
ყმაწვილს გუნება!  
დასაბამიდან, რადგან იყავ ცათა ზიარნი,  
იხეტიალებ სიფრცეებში  
დაუსრულებლად!

23.06.74.

სოხუმი





**ო, ნუ მისვალ!**

ო, ნუ მისვალ, იქ სიკვდილი ღრეობს  
და სიცოცხლეს მორღვევია ნირი!..  
გაზაფხულის გაფრენილო დღეო,  
გეგედრები წუთისოფლის ჩრდილი!..  
ახლაც ტანში ჟრუანტელი მივლის,  
შენი თრთოლვა მახსენდება როცა!  
ღრომ რა უყო იმ ტალღების ლივლივს  
და ბაგეთა იმ  
ვარდისფერ კოცონს?!  
და ჩემს თავზე მელიძება მორცხვად!  
სად დაცურდა გაზაფხულის ტივი?!  
ვეღარ ახლავს ის ხავერდი კოცნას,  
სული ისევ ობოლივით ტირის!..

24. 07. 74.

სოხუმი



**შემორჩა ხსოვნას!**

ის წლები ჭაბუკობის ხსოვნას შემორჩა ჯერაც!  
მას არ ედება ობი,  
მზის თავთავივით ელავს!..

ის წლები ჭაბუკობის ხელებს მიშვერენ ახლაც,  
როგორც ყმაწვილი მორბის,  
არ გრძნობს სრულებით დაღლას!..

მიდის მდინარე სწრაფი, თუ ცისარტყელას ტალღა?  
მზე და აპრილის თოვლი,  
ო, მეძახიან ახლაც!..

ის წლები ჭაბუკობის ხსოვნას შემორჩა ჯერაც!  
მას არ ედება ობი,  
მზის თავთავივით ღელავს!..

24. 07. 74.

სოხუმი



მოდის აგვისტოს ღამე

მითხარ, გეტყვინა რამე, როცა მზე ზენიტს გასცდა?  
მოდის აგვისტოს ღამე

და უჩვეულო განცდა!..

მითხარ, იგრძენი რამე, ასე რომ გაიზინდე?

მოდის აგვისტოს ღამე, —

ხსოვნა რამდენი კიდევ!..

მოდის აგვისტოს ღამე და ირევს ფერებს ყვითელს!

მითხარ, გეტყვინა რამე,

ასე, რომ გაიზინდე?!

31. 07. 74.

ბანძა



## ბედის კარუსელი

ბედის ანგელოზებს მთლად არ გაუწირავთ,  
 იდგა ზღვის ნაპირზე  
 გრძნობამორეული!..

გნახე, სიყვარულით მზეს რომ გაუცინა,  
 ვიგრძენ ნეტარება  
 რაღაც შორეული!..

სევდა მოსდებოდა თვალებს გაუხუნარს,  
 რაღაც იღუძალი და  
 თან აუხსნელი!..

გზა, მას ვარდისფერი ხომ არ გაუღუნეს?  
 უხმოდ ტრიალებდა  
 ბედის კარუსელი!..

ლანდებს შეღამების სივრცე დაუსერავთ,  
 ფიქრი აწვალებდა  
 დაუსრულებელი!..

სახე ხორბლისფერი ცრემლმა დაუსველა,  
 ისევ ტრიალებდა  
 ბედის კარუსელი!..

17. 08. 74.

სოხუმი





მიღის ჟამის ბასწვრივ

ხელაგ ყვაფილს უმოწყალოდ აწვიმს,  
სიოს ფრთები გაუშლია სველი!

ყველაფერი

მიღის ჟამის გასწვრივ,

ღელვით უნდა გაიაროს ველი!..

ხარობს გზებზე ბალახების ღერო

და ზამბახმაც

მოიღერა ყელი!

შენ კი მიხვალ ისევ უსიმღეროდ,

საიმედოს არც

არაფერს ელი!

მზე ჩავიდა... ტყემ იცვალა ფერი!

იისფერი ეფინება ფერდობს...

მეც მსხვერპლი ვარ

ამ უსაზღვრო ღელვის!..

რას ხარხარებ,

რა გაცინებს ბელო?!

19. 08. 74.

ბანძა



**შენ დამიბრუნებ!..**

ჩამოიშალა ჩემს მხრებზე ისევ,  
მაგ შენი თმების ყოპრალი ჩრდილი...  
და შელამების შორეულ ვარსკვლავს  
აანთებს ლურჯი თვალების კრთომა!..  
მე დამძიმებულს შემოდგომურ ფერიცვალებით,  
შენ დამიბრუნებ  
უჩვეულო დღეების ხსოვნას!..

10. 09. 74.

სოხუმი



ღღერო, მოსილო შუქით

ღღერო, მოსილო შუქით, რა აღტაცებას მგვრიდი?  
მანსოგს ბავშვობის შუკა,

მანსოგს ბავშვობის ხიდი!

ღღერო, მოსილო შუქით, მათოვდი ფერთა მტევნებს,  
კვლავ მინდა გაშიღიმო,  
კვლავ მინდა აგედევნო!..

ღღერო, მოსილო შუქით, გამიცისკროვნე გზები,  
და დამირხიე, ცაო,

კვლავ მთვარის მიმოზები!..

ღღერო, მოსილო შუქით, მაშორე ფერთა ცვენა,  
მზეო, მიცურავ ჩუმად  
და მიცქერ აღმაცერად!..

ღღერო, მოსილო შუქით, რა აღტაცებას მგვრიდი?  
მანსოგს ბავშვობის შუკა,  
მანსოგს ბავშვობის ხიდი!

24. 09. 74.

ბანძა



ყვითელი სევდა

ვეფერები შემოდგომის ყვავილს,  
 ახლა ყველგან ფერი მეფობს მთვარის!..  
 რტოზე ორი შემომჯდარა ჩიტი  
 და ირხევა ტოტი მოყვითალო...  
 ღრუბლის ქულა ქრიზანთემისფერი  
 სიშორეში მიირხევა ნელა...  
 სოფლის თავზე შემოდგომა მღერის  
 და სული კი  
 მოგონებით დელავს!..  
 ცრემლი ისევ რად მოაწვა თვალებს,  
 ან ეს ბალი რატომ ოხრავს ასე?!  
 ელოდება შემოდგომის ქარებს  
 და რუხ ღრუბლებს  
 ცაზე მოლასლასეს...  
 ყველაფერი ფერს იცვლის და მიდის  
 და ცრემლებით ეთხოვება ყრმობას!..  
 ჟამის მკლავზე წევს ნისლების ხიდი  
 და აერთებს წარსულსა  
 და მყოფადს!..  
 ვეფერები შემოდგომის ყვავილს,  
 ახლა ყველგან ფერი მეფობს მთვარის!..  
 რტოზე ორი შემომჯდარა ჩიტი  
 და ირხევა ტოტი მოყვითალო...

27. 09. 74.

ბანძა



ვერსიონი მოქანსული ქვაზე

ზეცა ოცნებებით ვხაზე და გარს შემოვავლე სხივი,  
ვერსიონი მოქანსული ქვაზე,  
ქარი შემოდგომის კივის!..  
მარად ერთგული ვარ ფიცის, გაფხდი მარტოობის  
მსხვერპლი!

ჩემად ჩემი გული იწვის  
და ქარს სადღაც მიაქვს ფერთი!..  
კვნიესა განწირულის მოდის და სულს  
მიშველება უნდა,  
ქამის ველარ ვზიდე ლოდი,  
დღეთა გამიფრინდა გუნდი!..  
ველარ დამამშვიდებს აწი ო, იმ გაზაფხულის მოსვლაც!  
ხიდი დასახევი დაწვი  
და სულს მწუხარება მოსავს!..

ზეცა ოცნებებით ვხაზე და გარს შემოვავლე სხივი,  
ვერსიონი მოქანსული ქვაზე,  
ქარი შემოდგომის კივის!..

28. 09. 74.

სოხუმი



## ო, ვერ ვიპოვე!

ჩემი ბავშვობის ვერ მივაგენ მთვარისფერ ბილიკს!  
 არც მზეს ვახსოვარ, არც ბალახებს  
 და არც ამ მინდორს!..

რამ გაახუნა უმოწყალოდ ფერები დილის?  
 მხოლოდ ფოთლები მოცურავენ  
 შრიალით ხიდან...

რატომ დუმს, ნეტავ, ასე უღვთოდ ეზო და კარი?  
 რამ დაამსგავსა იგი, ასე  
 დაქანგულ ლითონს?

მხოლოდ მინდორზე მოყვითალო გადარბის ქარი  
 და მიაქვს სადღაც გაზაფხულის  
 ეშხი და სითბო!..

ჩემი ბავშვობის ვერ ვიპოვე ბალახის ღეროც, —  
 წვიმა და თოვლი თითქოს  
 შლიდა ათასი წელი!..

სად არის წყარო, რომ ფეთქავდა ფერებში წინათ?  
 აუტანია ბედისწერას  
 აქ ყველაფერი!..

მხოლოდ ყვითელი ჩიტი გალობს და არხევს ლანდებს...  
 ადგილის დედა ცას

მიაპყრობს სევდიან თვალებს!..  
 ჟამის ობობა ქსოვს სივრცეში ნაცრისფერ ბადეს  
 და ჩრდილი მკრთალი  
 ორღობეში სეირნობს მთვარის...

07. 10. 74.

ბანძა



## ჩემი სახლი

სამასი წელი შენ იდექი ამაყად, სახლო!

სამასი წელი გაუძელი

კვეთებას ჟამის!..

ხავსმოდებული და უძლური არ მინდა გნახო

და არც თვალეზზე უბოლოო

ნაღველით შავით!..

აჰა, საცაა, განშორების დარეკავს ზარი!

ვწუხვარ, რომ ჭერი

ვერ აგინთე თეთრი სანთლებით!..

რა მემართება? სულში რატომ გამიჩნდა ბზარი?

გულდაწყვეტილი მთვარიანში

მივილანდები!..

08.05.74.

ბანძა



\* \* \*

მზერას მივაპყრობ ხავსიან ლოდებს  
და დაბურული საგნების მიღმა, —  
შენი ტკივილი ჩემამდე მოდის  
და მეჩვენება  
იშორებ ნიღაბს!..  
მზერას მივაპყრობ მაღალ მწვერვალებს  
და ვიცქირები სივრცეში დიდხანს...  
სული ზღვა არის მარად მღელვარე,  
სხეული — ერთი  
სადოქე თიხა!

10. 10. 74.  
სოხუმი







## სიჩუმის შრიალი

ეზოში ლურჯი ბინდი მიცურავს, როგორც ლოდებზე ხავსი,  
აქ ფეხაკრეფით დადის სიჩუმე

მძაფრი ტკივილით სავსე!..

გადაზნექილა სახლი ფიცრული და ჟამს ვერ უჭერს აღვირს,  
ეზოში ლურჯი ბინდი მიცურავს,  
არ ჩანს ფხიზელი ძაღლი!

მხოლოდ ლანდების ჩუმი რიალი, ხესთან აჩრდილი მამის!  
აქ დგას სიჩუმის დიდი შრიალი  
და ფოთოლცვენის ჟამი!..

15. 10. 74.

ბანძა



მაინს მომავლის ბჰარა

არაფინ იცის სოფელს რა განსაცდელი ელის,  
 შორს იცქირება მაინც  
 მისი თვალები სველი!  
 დღეს კი სიო ქრის ნელი, ხვალ ზვირთი მოვა ზავით,  
 აიკლებს ცას და მიწას  
 აბობოქრება ზამთრის!  
 მზე ღრუბლებს გამოარღვევს, გაშლის ოქროსფერ კალთას,  
 მერე გახედე ბაღებს,  
 თუ რა ნათელი ადგას!  
 მოვა აპრილის დილა, რტო გაიცინებს ატმის  
 და ბუდეებში ტკბილად  
 აყდურტულდება ბარტყი...  
 ნიაფი გაიმინდვრებს, ფრთებს ცისარტყელად გაშლის  
 და ქვეყნად ცოცხლობ ვიდრე,  
 შენც ვერ დარჩები ვალში!  
 მოვა სურნელი მაჭრის, იწყებს ფოთლები ცვენას...  
 გულში ძალუმად დაგჭრის,  
 მაინც მომავლის გჯერა!..

04. 04. 75.

ბანძა





## ქალი სასაფლარზე

შეუღწევია მის ნორჩ სულში უღმობელო ტკივილს,  
სასაფლაოზე მიდის ქალი

მოსილი ძაძით!..

ბეჭობზე ღვანან გარინდული ხეები ნაძვის  
და ცის სიღრმეში ღრუბლის  
რუხი მიცურავს ტივი...  
ო, მე არ ვიცი, ამ წამებას რა უნდა ერქვას!  
აწყდება მზერა ხავსმოღებულ

მთვლემარე ლოდებს!..

მის ნორჩ თვალებში დარდის შავი ფრინველი ფეთქავს  
და ქარი ამსხვრევს  
გაზაფხულის ღვთაებრივ ტოტებს!..

17. 07. 75.

ბანძა



\* \* \*

ო, ზეტას პირი მოერღვა, გარეთ წვიმს, ისევ ქარია,  
არ წამილეკოს მეწყერმა

ჩემი ოდა და ნალია!

ცახცახებს ჩემი ალვის ხე, სივრცე ავდარმა არია!..

კოშკი ოცნების დამემსხვრა!

გარეთ წვიმს, ისევ ქარია!..

10. 09. 75.





ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი!..

ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი  
და ქარმა თეთრი გაშალა აფრას...  
ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი  
და თითქოს განზრახ  
მაღაგდა საფლავს!..  
ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი!  
დაფარა ეზო, ქუჩა და ხიდი...  
ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი  
და ტოტებს ხეთა  
მიწამდე ხრიდა!..  
ო, იმ წელს აღრე მოვიდა თოვლი  
და ყველაფერი დაფარა თითქოს...  
ვცურავდი თოვლში ფერმკრთალი ლანდი,  
ვეძებდი დედის  
თვალების სითბოს!..  
სამყარო თუკი მეგონა ბადი,  
სად ტოტებს ფერადს ნიაფი არხევს...  
ო, ღებულობდა ტკივილი ჩემი,  
რადაც უცნაურ  
ფორმას და სახეს!..  
ღრო მიდის, როგორც ღრუბელი ზანტი  
და მიაქანებს დაწეწილ აფრას!..  
მე მეჩვენება პატარა ლანდი  
დაეძებს თოვლში დაკარგულ საფლავს!..

08. 10. 75.

ბანძა

\* \* \*

საით მივდივარ, მეგობარო, უკვე ვერ ვარჩევ,  
 კვლავ ირწევიან  
 სიოს ფრთებზე პურის ყანები...  
 ამ სილამაზის ჩვენებისთვის მაღლობა გამჩენს  
 და მე სიცოცხლეს  
 სიცოცხლითვე ვეთაყვანები !..  
 დრო მიდის ნელი ნაბიჯებით, ხან კიდევ ჩქარით,  
 ო, რა ძლიერად ქანაობენ  
 ქარში მუხები...  
 ფერიცვალების უნაპირო უბერავს ქარი  
 და როგორც ძაღმის  
 საუკუნეს ვეპასუხები !..

23.10.10  
 თბილისი





## შემოღამების გარი

გამინახევრდა ცხოვრების გზა და ჟამი რეკავს!  
და ჟამი რეკავს, როგორც

ზარბი შემოღამების!..

მზე გადიფერდა და ირიბი სხივების ქსელში  
ჩემი სული წრიალებს ისე,

როგორც ფოთოლი სექტემბრის ქარში,

ან როგორც წერო

ცის სიღრმეში — სევდის წერტილი!..

09. 10. 75.

ბანბა



\* \* \*

მზე ზღვაზე ოხვრით დაეშვა, დგანან ღრუბლები ბორცვებად,  
სული ვერ მალავს კაეშანს

და სიყვარულზე ოცნებას!..

მიდის განგაშით მდინარე და ზღვის ხმაური არ წყდება!

ცა ნისლში გაუჩინარდა

და ქარი სივრცეს აწყდება...

გავცქერ მინდორ-ველს ტრიაშელს, ბალი დატოვებს მგოსნებმა,

გული ვერ ითმენს სიავეს

და მწუხარების მოსევას!..

ჭირის ოფლს ველარ ვიმშრალე, სული გრძნობს ჟამის სატკივარს,  
მე არ ვარ კაცი მშიშარა

და არც ვწყვეტ ბრძოლას ადვილად!..

მიდის განგაშით მდინარე და ზღვის შეტევა არ წყდება,

ცა ნისლში გაუჩინარდა

და ქარი ნისლებს აწყდება!..

12. 10. 75.

სოხუმი





ახლა ჩაღარა მათოვს!

სულს ათრობს ეს სასწაული და გაზაფხულის თრთოლვა!

მე ვიცი, ველარ წაუვალ

ვნების ქარების ქროლვას!..

ვიცი, ვერ გადაფურჩები შენი თვალების ჯადოს!

მე გეოცნე შენი ტუჩები,

ახლა ჭაღარა მათოვს!..

14. 10. 75.

სოხუმი



ისევ თოვლია ბარათ

მე მოგონების ტყვე ვარ და ფიქრით ღამეს ვათევ,  
 კვლავ თოვს, ძვირფასო, გარეთ  
 და მიწხევს სულის სანთელს!..  
 გახსნა ჭრილობამ პირი, თითქოს მოძენთო ცეცხლი,  
 მოდის ფიფქები ხშირი  
 და ზარი რეკავს ვერცხლის!..  
 ზამთარი ისევ ფრთებს შლის და გული ძლიერ მტკივა,  
 მე მოგონება შემშლის  
 და თოვლის თეთრი წვიმა...  
 მაგრამ უშენოდ რაა — ეს ყველაფერი ნეტავ?  
 ეს თოვლიც უფრო ღრმაა,  
 ვიდრე სხვა ვინმე ხედავს!..  
 მე მოგონების ტყვე ვარ და ფიქრით ღამეს ვათევ,  
 კვლავ თოვს, ძვირფასო, გარეთ  
 და მიწხევს სულის სანთელს!..

06. 01. 76.

სოხუმი



**მე ისევ ჩემი ზგით მივალ**

ეგ შენი ღიმილი მაცდურია, იცოდე, არაფის უნდა!  
რამდენი მორევი გავცურე,  
მეხვია ლანდების გუნდი!..

ამ კედლებს გავცდები საცაა, არათურის არა მაქვს შიში!  
თვალეში მაყრიდით ქვიშას!  
თვალეში მაყრიდით ნაცარს!

მე ისევ ჩემი გზით მივალ, მომავალს ვუცქერი საღად,  
იცინეთ, რამდენიც გინდათ,  
მე ვამსხვრევ სიცილის ტალღას!..

14. 01. 76.

სოხუმი



**შენ ქარაფების რა იცი?!**

სად მიიჩქარი ამაღამ, ხელაგ მოიწეგს ავღარო!..  
მდინარეს ველარ გადახვალ,  
ხილიც არ იცი სად არის.

შენ ქარაფების რა იცი, ან ჭიუხების ამბავი?  
ო, ცოტა კიდევ დაიცა,  
თორემ გახდები საბრალო!

სადმე ჩაგითრეგს ზვაგები... არც ბილიკები გატარებს!  
დაგესევიან სვაგები  
გამთენიისას ყრანტალით!..

19. 03. 76.

ბანძა



სა იყო ოდნავ მოლურჯო

ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, საღ ზღვას ჩაღბაში ერთვის  
ვიღაც უკრავდა ბეთჰოვენს,  
მელანდებოდა ღმერთი!..  
მინდოდა შენთვის მეთხოვა, მაგრამ შევჩერდი წამით...  
მთვარის ცურავდა ხომალდი,  
თრთოდა ყვავილი ჟამის...  
ამ განშორებამ შექმნა, ჰოი, რამდენი შხამი,  
ცა იყო ოდნავ მოლურჯო  
და ზღვა ღელავდა შავი!..

10. 04. 76.

სოხუმი



**მოჩანს შენი თვალები!**

ო, იმ ზღაპარს ეძინა და მე ვერ მოვასვენე,  
 დღეს ვერაფერ ვერ შევლის  
 ამ გულს სევდით დასერილს!..

ის დრო თვლემდა სიზმარში და არხევდა მიმოზებს,  
 შორს, იმ ზღაპარს ეძინა,  
 სადღაც მთვარის მინდორზე...

გაზაფხულის დღეები ფეთქავს სულ სხვა ხალისით,  
 მივდივარ და შორიდან  
 კვლავ ლამაზი ხმა ისმის!..

ის მდინარე, ის ხევი, ცა ვარსკვლავთა ქაოსით,  
 სხვა ფერებით ირხევა,  
 მაგრამ მაინც მაოცებს!

მოჩანს შენი თვალები და ზღვა ლურჯი ბლონდებით,  
 ქრიან ნიაფქარები  
 გულზე ცეცხლის მოდებით!

17. 04. 76.

სოხუმი





ღრღ

მუდამ კალაპოტს იცვლის და არ ჩერდება არსად,  
არც შებრალება იცის

იაგუარის მსგავსად!

ღღეს სიყვარულით გათბობს, ტოტებს დაგირხევს  
მწვანეს!..

ხვალ კი წამოგკრავს კლანჭებს,  
ბედს გაწყველინებს მწარედ!..

ხან აღტაცებით მოდის, გაგიშლის მზისფერ აფრას,  
ხან არც მოგიხდის ბოდიშს,

ჩუმაღ გაგიტხრის საფლავს!

მოდის ხმაურით, ზავით და რამდენ რამეს მალავს!

მუდამ კალაპოტს იცვლის  
და დემონივით ხალათს!

11. 04. 76.

სოხუმი



**ბახსოვდეს!**

მოდის და ჟამის მდინარეა გამიადვილე  
და შინდისთეერი ღვინო  
  შევესვათ ბრძოლის თასებით!  
მე ამ ცხოვრებამ ეჰ, რამდენჯერ ცრემლი მადინა,  
მე ამ ცხოვრებამ ო,  
რამდენჯერ შემკრა თასებით!..  
დახევა? — არა, — მხოლოდ გულის გააღმასება!  
ნუ შეგაშინებს, მეგობარო,  
  ეს ქარაფები!  
გახსოვდეს, უკან, რომ მოდიან სხვა ათასები  
და მხოლოდ წინსვლა,  
მხოლოდ წინსვლა,  
სხვა არაფერი!

14. 07. 76.

ბანძა







### რად ღელავ?!

რად ღელავ, დედაბუნებაგ, ან რა  
იალქნებს არხევ?

რად ღელავ, დედაბუნებაგ,  
რად ჩამოგტირის სახე?!

რად ღელავ, დედაბუნებაგ, რად იკლებ  
ოხვრით სივრცეს?!

რად ღელავ, დედაბუნებაგ,  
იქნებ არ გყოფნის სიბრძნე?!

გულს გიღრღნის შავი დემონი, სამოსს  
გიხუნებს მწვანეს!

რად ღელავ, დედაბუნებაგ,  
რად იცრემლები მწარედ?!

16. 07. 76.

სოხუმი



\* \* \*

ბინდი მეხვევა შემოლამების, ნისლეები დააქვს  
მთებზე ნიაგქარს...  
ცაზე მიქრიან ღრუბლის ნავეები  
და ზღვა შეარხევს  
მთვარის იალქანს!..  
თრთიან გარშემო სველი ტოტები და ირზევიან  
ლურჯი სიმები...  
სული ღელავს და მიწას შორდება,  
ო, მოქანცული ქარით, წვიმებით!..  
გზებზე დაღლილი ბრძოლით, კივილით, აწყდება  
ფრთებით მაღალ სამრეკლოს!..  
რომ დაუბრუნოს მიწას დიმილი  
და ვარსკვლავების ზარი დარეკოს!..

12. 08. 76.

სოხუმი



ფოთოლცვენის ლანღები

მზეს შეხედე, ყორანი რომ უყეფს,  
ცას შეხედე შეაძრწუნებს მნახველს!  
მე მივათრევ წუთისოფლის უღელს  
და ცხოვრება  
მიტლაშუნებს სახრეს!..  
სად მიღელავს ეს მდინარე თავქვე,  
ხევხუეებში ხეტიალი უჯობს?  
მზე გერ არღვევს ამ ნისლეების ნამქერს  
და ამაოდ ეცვითება ფუნჯი!  
ხედავ სუნთქვა ბალახებსაც უჭირთ,  
სიბერე რომ შეჰპარვიათ ადრე!..  
მზეს ამაოდ ეცვითება ფუნჯი,  
ქარი არხევს  
ფოთოლცვენის ლანღებს...

21. 08. 76.

ბანძა



ნატოს

მზის მიწურვისას მოდიოდი წყაროსთან მარტო  
და ეცემოდა წყლის სარკეზე  
ფერადი ჩქერი!..

მე მახსოვს, შენი მეოცნებე თვალები, ნატო!  
ვით სიყვარულის  
იღუმელი სიმღერა ჩემი!..

ნაპირზე იდგა მოშრიალე ალვის ხე სამი,  
მოჰქონდა ნიავს ბუღბუღების  
გალობა წრფელი!..

მერე კი ჩუმად, რა უეცრად გაფრინდი ღამით  
და წყაროს შერჩა  
მაგ ლამაზი თვალების ფერი!..

30.08.76.

ბანძა



შემოღობის შრაბენტი

უჩვეულოდ მოთენთილი ზეცა,  
ქარი არხევს რტოებს უმიზეზოდ...  
სიხარული გაატანა მერცხალს  
და წუხს ახლა  
ჩემი მცირე ეზო!..  
ტყეებს ლურჯი დაუკეცავთ აფრა  
და მზე უხმოდ ეფარება ღრუბლებს...  
ნისლი მთიდან ჩამოცურდა დაბლა  
და სიგრცეებს  
ღელვა გადაურბენს...

20. 09. 76.  
სოხუმი



ვფურცლავ ალბომს დღეების

ის ზღაპარი დასრულდა, იმ ოცნების ბილიკიც,  
 ვფურცლავ ალბომს დღეების,  
 კრთის სხივები ირბიბი!..

ის ზღაპარი დასრულდა, როგორც ქროლვა ნიაგის,  
 ჟამი ფერგადასული  
 ცრემლით მოვაიავე!..

მოჩანს მთები ზვიადი, რეკენ დროის ზარები,  
 მოდის სხვა განთიადი,  
 სულ სხვა თანამე ზაფრებით!..

ისევ მომელანდება ტანი შუქისმრხეველი,  
 ანთებული სანთლები  
 და შრიალი ტყე-ველის!..

ის ზღაპარი დასრულდა, იმ ოცნების ბილიკიც,  
 ვფურცლავ ალბომს დღეების,  
 კრთის სხივები ირბიბი!..

9. 10. 76.

ბანძა



გავსქერ სევდიან მაღლობს

წონასწორობას დიდხანს ინარჩუნებდა სული,  
მერე დამთავრდა იგი

აფეთქებებით სრულით!..

ახლა დუმილი სუფევს და შენს საფლავთან ვდგები,  
გავცქერ ქათქათა ღრუბელს,  
რომ არხევს ლაყვარლს ფრთებით...

ისევ ფარული ოხვრით ვილაც მიმოღის ახლოს,  
თითქოს შენი ხმა მესმის,

გავცქერ სევდიან მაღლობს!..

დაისის ქნარი სიმებს უცნაურ ხმაზე არხევს  
და შემოდგომის ნისლი  
სევდას ილუმალს მახვევს!..

11. 10. 76.

სოხუმი



შენ, საით მიხვალ?

დღეო, იმედით ამაგსე და გზა მაჩვენე ნანატრი!..  
შენ, საით მიხვალ, ლამაზო,  
რომ არ გჩვეოდა ღალატი?  
ისევ მოიჭრა დემონი, იწყება: ღელვა, შეტევა!..  
მაგ თვალებს ბევრი ვემონე,  
კვლავ სადმე შემეფეთება!..  
მინდა მარადის ხარობდე, მესმის ფარული ვედრება!..  
და შენი ხილვით აროდეს  
გული არ დამიბერდება!..  
ბევრჯერ მზე მწვავდა ანაზღად, გულიდან სისხლი  
მსდიოდა!..  
და ბევრჯერ ვნახე ალაზა  
მთებიდან ჩამოკიოდა!..  
დღეო, იმედით ამაგსე და გზა მაჩვენე ნანატრი!..  
შენ, საით მიხვალ ლამაზო,  
რომ არ გჩვეოდა ღალატი?!

14. 10. 76.

სოხუმი







## რა ჩქარა მიქროს?

ო, იგრძნო სულმა შემოდგომის მოახლოება  
და გულს უჩუმრად  
განშორების სევდა მოება!..  
ქრება თანდათან გაზაფხულის შუქი ცხოველი,  
სულ ცოტა დარჩა, მაგრამ მაინც  
რამდენს მოველი!..  
გზა ეკლიანი ოპ, რამდენჯერ ცრემლით დავნამე!..  
მე წავალ, მაგრამ აქ დარჩება  
ჩემი საფანე..  
მიქრის დღეები მოვიტოვე გზები საჩინო,  
ხორცზე არ ვფიქრობ,  
ოღონდ სული გადავარჩინო!..  
ო, ვიგრძენ უკვე შემოდგომის მოახლოება  
და გულს უჩუმრად  
განშორების სევდა მოება!..

20. 10. 76.

ბანბა



**შენი ყოველთვის მშურდა!**

ო, განახლების ქარო, ჩამოიქროლო უნდა!..  
შენით ყოველთვის ვთრთოდი,  
შენი ყოველთვის მშურდა!  
ალარ დაინდო უნდა სივრცეს შხამით  
რომ წამლაგს,  
ო, ეს ლანდების ურდო  
უნდა წაიღოს წყალმა!..  
ღელაგს ვარსკვლავთა გუნდი, თუ დღემდე  
სივრცე დუმდა!  
ო, განახლების ქარო,  
ჩამოიქროლო უნდა!..

23. 10. 76.

სოხუმი





**უკრავს დუღუკავა დემონი!..**

გავცქერ მიდამოს ნასოფლარს და რა ტკივილებს მგვრის,  
თუ ზურგის ქროდნენ ქარები,

ახლა პირისპირ ქრის!..

ცა იცრემლება დაღლილი, სული კეთილი კრთის,  
მიდის მდინარე მღელვარე,

მესმის ხმაური წყლის!..

სოფლები იქცა უდაბნოდ! დაბრუნდა ხანა ქვის!..

უკრავს დუღუკავა დემონი

და თან ხარხარებს ის!..

25. 10. 76.

ბანძა



საით გაფრინდნენ?

ო, თვალებს როგორ მიღლის ერთფეროვნება დღეთა!  
ჩემი მტრედები სიყრმის, —

საით გაფრინდნენ ნეტავ?!

და სულს მოაწვა ბინდი, როგორც ფარული თრთოლვა,  
ჭკნება ყვაველი მინდვრის  
და სვედამ მომათოვა!..  
ჟამის იღუმალ თვალებს აქვს უღმობელი მზერა!..  
მოქრის ნოემბრის ქარი

და ზღვა საოცრად დელავს!..

ხეებს ფოთოლი სცვივა, ღროის დინებას მიაქვს!..

ვხედავ ქარმა და წვიმამ  
ფრთა დაუღეწა ნიავეს!..

ო, თვალებს როგორ მიღლის ერთფეროვნება დღეთა,  
ჩემი მტრედები სიყრმის

საით გაფრინდნენ ნეტავ?!

27. 10. 76.

სოხუმი



**ნუთუ შენც შეკრთი?!**

ონერა არაფერს შევლის, ოღონდ აშუშებს ტკივილს!  
ონერა არაფერს შევლის

ამ გრიგალების კივილს!..

ვხედავ ღრუბლების ქაოსს და მებრალეები ახლა!

მოდის მრისხანე ტალღა,

მოდის და მოქანაობს!..

ელვა სივრცეებს სერავს და მწვერვალებთან დაობს,

რომ მოიხვიე ნისლი,

ნუთუ შენც შეკრთი, მთაო?!

29. 10. 76.

ბანძა



თეთრი უღაბნო

თოვლმა დაზნიქა ტოტები და თვლემს უღაბნო თეთრი...

მე ისევ შენ მაგონდები,

მხოლოდ შენ — ერთადერთი!..

ო, ისევ შენ მაგონდები და შეღამების თოვლი

და ის ფიფქები თრთოლოვით,

რომ აღნებოდა ბაგეს!..

14. 12. 76.

სონუმი





\* \* \*

გუშინ მე ისევ მოვედი შენთან,  
სივრცე არხევედა მეწამულ ხაზებს...  
რტოზე კი ვერხვის ფოთოლი შეკრთა  
და ჩამოცურდა  
საფლავის ქვაზე...  
ხსოვნამ მოზიდა რამდენი რამე  
და ფიქრით ვსდევდი ლანდებს უხილავს...  
ურთხელისფერი ჩამოწვა ღამე  
და მოგონება  
მექცა წუხილად!..

24.06.77.

ბანძა



ფრთხვი შაბაბი...

მაქვს მკერდს მიღებული  
ქნარი, როგორც მინდა...  
გ. ტაბიძე

შენ ვერ შემოგებდავს ბინდი დაბერების,  
დგახარ იღუძალი  
შუქით დაბურული!  
ღროთა ქარიშხალი ბევრჯერ დაუბერავეს,  
რომ სულს მოაშოროს  
ნისლის საბურველი!  
ანძებს შეასკდება ჟამის ნიაგარი...  
სივრცის უსაზღვრობას  
ქროლვით გადაუვლი...  
როგორც შორეული ზეცის სიანკარე,  
როგორც პოეზიის  
ლურჯი ნიაღვარი!..  
ზვირთი დაფიწყების შენ ვერ შეგეხება,  
სუნთქვით პოეზიის  
სივრცე გაიზინდა,  
ფრთხვი უსაზღვრობას მედგრად შეაგებე,  
მაქვს მკერდს მიღებული  
ქნარი, როგორც გინდა!..

14. 08. 77.

სოხუმი





ისევ თუ გავსიზმრებ?!

ის დღეები ლამაზი, ისევ თუ გვესიზმრება?  
ცას მზე ისევ ანაზებს

სიყვარულის მიზეზით!..

და აფრები ზღაპრული საით მიექანება,  
იმ ლამაზი დღეების

საოცარი ქნარებით?!

სულს თუ ისევ იტაცებს ოცნებები ფარული  
და დადინარ მიწაზე

სხვა გზით, სხვა სიყვარულით?

სულო, იქნებ მიენდებ დღეთა ფერიცვალებას?

ტოტს არხევენ მაისის

კვლავ ქარები თავნება!..

ის დღეები ლამაზი, ისევ თუ გვესიზმრება?

ცას მზე ისევ ანაზებს

სიყვარულის მიზეზით!..

23.08.77.

ბანძა



\* \* \*

ვიყავ მსურველი ბევრის, რა ცოტა რამე გნახე?  
ვერ გადავსერე ზღვები  
და ვარსკვლავების ბაღი!  
გაფიხედე და ღელვა მიმაქანებდა თავქვე,  
ქარი მაყრიდა ქვიშას,  
ქარი მაყრიდა ნამქერს...  
ვიყავ მსურველი ბევრის და შემრჩა ცოტა რამე!  
ამბოხით საგსე ქვევრი  
და ღვინისფერი ღამე...  
ხელში ხელადა სველი  
და ყრუ კედელი ჟამის!..

10. 09. 77.

ბანძა





## ბველი ხეივანი

ისევ გეწვიე იმ ბველ ხეივანს,  
სად მთვარის შუქზე ვთრთოდით, გცურავდით!..  
სადღაც გამქრალა ცა მოზეიმე  
და მოხანს ღამის  
მკრთალი სურათი...  
მანსოვს, რტოები გადაბინდული,  
ჩემი მდინარის ტანი შრიალა!..  
რა შერჩა სივრცეს? — მთვარის ფიტული  
და ცრემლიანი  
მინდვრის ნიაჭი!..

20. 09. 77.

სოხუმი



ვღვაწვარ ზღვასთან ახლოს

ვღვაწვარ ზღვასთან ახლოს და გავცქერი შორეთს,  
კვლავ ყრმობის წლებს ვუხმობ, —

აქ რომ ჩაიქროლეს!..

ვღვაწვარ ზღვასთან ახლოს, ქარი არხევს აფრებს,  
მზე ჩადის და მთვარე

ცხრა მთას გადამაფრენს!

ვღვაწვარ ზღვასთან, იმ წლებს მინდა მოვეფერო!..

სიფრცეს მკლავზე უწევს

ცეცხლოვანი სფერო!

ვღვაწვარ ზღვასთან ახლოს, სევდას არვის ვუძებელ  
და რტოები პალმის

ზღვას მარაოს ურხევს...

ვღვაწვარ ისევ მარტო და გავცქერი შორეთს,

კვლავ ყრმობის წლებს ვუხმობ, —

აქ რომ ჩაიქროლეს!..

29. 09. 77.

სოხუმი





### გზავნის მოლურჯო სხივებს

სადღაც ღრუბელი დაეშვა და მზე დაღლილი მიწვა,  
სადღაც გრიგალი თარეშობს

და მკერდი ტკივა მიწას!..

სადღაც ვარსკვლავი ციმციმებს, გზავნის

მოლურჯო სხივებს...

სადღაც დემონი იცინის

და არხევს ჟამის სიმებს!..

06. 10. 77.

ბანძა



**ოსკვ მიჰსტირი!!**

ასე უეცრად, როგორ გაქრა შენი ხატება?  
 და შენზე ფიქრი უკვე  
 მაწივებს გულზე ლოდვიით!..  
 რა ვუთხრა მზეს და შემოდგომის ზეცის ნათებას,  
 რომ სული ერთობ ამიმიღვრიეს  
 სევდის მოტივით!..  
 გული შემომჩრა და კაწრული ჟამის ეკლებით,  
 დავეხეტები უშენობით,  
 როგორც ყარბი,  
 ქუჩაბანდებში სადმე შენს ლანდს შევხვდე ეგების,  
 რომ სიყვარულით შემთფოთლოს  
 სიგრცე ღარბი!  
 სული სიმშვიდეს ხშირად კარგავს ავადმყოფურად,  
 მე შენი ხსოვნა შემჩრა  
 მარად სათაყვანები!..  
 შორს, შემოდგომის მწვერვალები მოხანს ჩოფურა  
 და ცა მაღალი  
 ანთებული შენი თვალებით!..

19. 10. 77.

სოხუმი





## დაღლილი სირცხელი

ყვავილი სიოს უღიმის და როგორ ეაღერსება,  
მომაგონდება ის წლები,

ცრემლით თვალები მეფსება!..

მომაგონდება იმ დღეთა ნიაფის გამოქროლება  
და ხსოვნის ღამაზე ბილიკზე

ყრია ბავშვობის ქონება...

ჩემი ღამაზე ალვის ხე ქარმა რად გადამიმსხვრია?

სივრცემ ნისლები მოისხა

და გზას მივიკვლეე ნისლიანს...

წასულა ჟამი თიბათვის, მზე — რა უგულოდ მიცქერის

და წყაროს პირად ვირხევი,

როგორც დაღლილი ცირცელი!..

25. 10. 72.

სოხუმი



\* \* \*

შენი თბილი გაღიმება ისევ მომენატრა!  
მივალ გზაზე დაღლილი  
და მიმაქვს ჩუმი ნატვრა!..

ის მდინარე ისევ ღელავს და მიჰყვება დაღმართს,  
მიმაქვს სევდა ო, რამხელა,  
იმ დღიდან რომ დამყვა!..

მაგ თვალების ლურჯი მზერა, როგორ შეემებრალა!  
ცრემლით ბევრჯერ დაფასველებ  
ამ ბავშვობის ბალახს!..

იმ სიზმრებში სული ოხრავს და ლურჯ  
აფრებს გაშლის!..

ქორტა იყო შენი ლოყა,  
ვით ყვაფილი ვაშლის!

ის მდინარე ისევ ღელავს და მიჰყვება დაღმართს,  
მიმაქვს სევდა ო, რამხელა,  
იმ დღიდან რომ დამყვა!..

28. 11. 77.

სოსო







**გულო, შამართიების დროა!**

თვალი მოლოდინის ტყვეა, ჟამის იეროგლიფს უმზერს,  
ვიცი, გაფარდება ტყვეა,  
მწარედ დაგეხლება გულზე!  
სიფრცემ ამოზიდა ღუნა, მთებზე ქარბორბალა ბრუნავს,  
ვიცი, გახურდება ღუნა,  
ცეცხლი მოედება ბუნავს!..  
ზღვაზე იალქანი მოჩანს, ეს რა აღტაცება მოაქვს!..  
მზეო, შეაგებე დრო შა,  
გულო, შემართების დროა!..

22. 04. 78.

სოსუმი



\* \* \*

ჰორიზონტზე თუ გამოჩნდა სადმე,  
სანამდვილე წაშლის ყველა ზღაპარს,  
ქამი დასწყვეტს ამ ბინდისფერ ბადეს  
და მუქ ღრუბლებს  
გარს კვლავებს რომ ყლაპავს...  
ღრო მოგიქსოვს ყვაფილების კაბას  
და დაგადგამს მზის ვარდისფერ გვირგვინს,  
სინამდვილე წაშლის ყველა ზღაპარს, —  
თუ გამოჩნდა იგი!..

29.05.78.

სოსხუმი





\* \* \*

მიწურება... ეს დღეც სადღაც მიდის ლანდივით,  
შეხედე მუხას, ჰორიზონტზე

როგორ ქანაობს!..

ღმერთის გრიგალი უდაბნოში, როგორც ნადირი,  
ნუთუ ანძებიც აწყდებიან  
სივრცეს ამაოდ?!

04. 06. 78.

სოსუმე



**საით წავიდნენ კაცები თოვლის?!**

აქ აღარ ისმის ყივილი მამლის, მე რომ უსაზღვროდ  
მიყვარდა ერთდროს!

აღარ ამოდის ბუხრიდან კვამლი,  
მხოლოდ ნისლეები მიჰყვება ფერდობს...  
წამწამებს სწყდება ობოლი ცრემლი და სიო არხევს  
იისფერ ფარდებს...

სად არის მცირე ბილიკი ჩემი,  
მე რომ უსაზღვროდ მიყვარდა ადრე?  
იზნევა კაკლის გაშლილი ჩრდილი, რტოები ქარებს  
აწყდება თრთოლავით!..

სად არის თეთრი იანვრის დილა,  
საით წავიდნენ კაცები თოვლის?!  
ისევ ხმაურობს მდინარე ღამით, სიმები ნელა  
არხევენ ფიქრებს!..

სად არის ჩემი პატარა ნავი?  
შორს გაიტაცეს ქარებმა იქნებ?!  
სად არის შენი თვალები მკვირცხლი და ჩვენი ფიცი  
ესოდენ მტკიცე?

სად არის ჩემი პატარა კვიცი,  
რომ აწყდებოდა ჭინვინით სივრცეს?  
აქ მთვარე ისევ ღრუბლებში შედის და მუქი ჩრდილი  
ეცემა გზაზე,

სად არის თეთრი მანდილი დედის  
მე პატარას რომ მიყვარდა ასე?!  
ბალახზე ისევ ციმციმებს ნაძი, დედის ცრემლივით  
ნაზი და თბილი!



სად არის დიდი ოცნება მამის,  
სად გაქრა მისი ღიღინი ტკბილი?!  
ნისლები ისევ მიჰყვება ფერდობს, ღრუბლები ცაში  
ცურავენ მძიმედ!..

დაობლდა ჩემი ჭერი და ერდო  
და მხოლოდ ქარი აჟღერებს სიმებს!..

05.06.72.

ბანძა



ო, ვინ იცის?!

მზის კივილით ამეგსება სხეული  
 და განვიცდი მძაფრად ფერიცვალებას!..  
 სიცოცხლეა ქროლვა ეფემერული,  
 ვინ გაიგებს შენს  
 წვასა და წამებას?!  
 ო, ვინ იცის ღამეული ღანდები,  
 რად არხევენ ხსოვნის სიმებს უხილავს?  
 რას ჩურჩულებს მთვარე ოლეანდრებთან  
 და მერე კი, რად  
 შორდება წუხილით?!

22. 06. 78.

სოხუმი





\* \* \*

ყველაფერი გაირინდა მოლოდინში წვიმის,

ყველაფერი გაირინდა

ჩიტაც ალარ წივის!

ყველაფერი გაირინდა: ტყეც, მთაცა და ველიც,

ყველაფერი გაირინდა

და ქრის ქარი ცხელი...

მე კი ჩუმაღ ვდგავარ გზაზე მომოლოდინე ბევრის

და მიკაწრავს სულს ტკივილი

ყამით მონაბერი!..

30.06.73.

სოსუმი



**ნუთუ ატირებს ქამი ნიჟარებს?!**

ო, ასე მწარედ ეს ვინ ქვითინებს? ფანჯრებს აწყდება  
სმა შემწარავი!..

და მინას ფხაჭნის  
ლანდი თითების,

გაფიხედავ და არ ჩანს არავინ!..

ნაპირთან ისევ ტალღა თამაშობს, ნუთუ ატირებს  
ქამი ნიჟარებს?

შენ ქვითინებ და  
სული განგაშებს

და თითქოს გვთიშავს ღამის სიშაფე!..

ნუთუ დავკარგე სულის სიმშვიდე? რა უცნაური  
თრთოლვა შედება!..

ო, ასე მწარედ ეს  
ვინ ქვითინებს

და მიაქვს ღამეს ჩემი ვედრება!..

10. 07. 78.

სოხუმი







\* \* \*

მე შენზე ფიქრები იმედით ამავესებს,  
ატმის რტო უნაზესს ყვაველებს მოისხამს!..  
და ვერხვის ფოთოლი შუბლს გაგილამაზებს,  
ძვირფასო, ო, ცოტა  
სულ ცოტა მოიცა!  
ეს სული უსაზღვრო ყველაფერს მოიცავს  
და უძლებს ო, რამდენ ღელვას და წამებას!..  
ოდონდ, კვლავ დარეკონ, დარეკონ ზარებმა!  
ძვირფასო, ო, ცოტა,  
სულ ცოტა მოიცა!

11. 07. 76.

ბანძა



ო, სიყვარულო!

შეუტეე და გაარღვიე რკალი ღღეების,  
შეათამაშე სივრცეებში

ფრთები არწივის!..

თუ საჭიროა, მაგ გულიდან სისხლიც აწვიმე,  
რომ საუკუნემ იგრძნოს

შენი სულისკვეთება!..

ეს რა ჟამი ღვას დანასავით ცივი, პრიალა!

ეს რა ჟამი ღვას, —

სულის, გრძნობის გაჩანაგების?!

ვინ აქლარუნებს თერმობირთვულ ზემძლავრ იარაღს,  
რომ ჩამოგვექცეს საუკუნოდ

თავზე თაღები?!

ეს რა ჟამი ღვას, რა სასტიკი მესმის ხავილი?

ნუთუ მას მართავს

უჩინარი ხელი განგების?

ო, სიყვარულო! გეძებ, მაგრამ ვერ მოგიხილე,

ო, სიყვარულო! გეძებ, მაგრამ

ვერ მოგაგენი!..

02. 08. 78.

სოხუმი





## მომღიპარ შენთან

სახურავებზე გარინდული მტრედები სხედან,  
მზე კი, საცაა, ჩაეშვება

ჰორიზონტს იქით...

მე მეჩვენება შენი ლურჯი თვალების სევდა  
და შენი შუბლი დასეტყვილი

უნომო ფიქრით!..

მიათრევს სხეულს შემოდგომის დღეები ოხვრით,  
ირხევა ოდნავ ხეთა

მკრთალი ლანდების წყება...

მე ზღვასთან ახლოს დატენილი დავდივარ ბოღმით,  
რომ უმოწყალოდ გამიძარცვეს

იმედი წლებმა!..

დღეების მიღმა ირეკლება ბავშვობის თრთოლვა  
და ზღვა ნაპირებს საუკუნის

მღვრიე ფრთებს ახლის!..

მოვდივარ შენთან, უჩვეულო ტკივილი მომაქვს  
და სურნელისგან გამარცული

ყვავილი ბალის!..

სახურავებზე გარინდული მტრედები სხედან,  
მზე კი საცაა, ჩაეშვება

ჰორიზონტს იქით!..

მე მეჩვენება შენი ლურჯი თვალების სევდა  
და შენი შუბლი დასეტყვილი

უნომო ფიქრით!..

09. 08. 78.

სოხუმი

## ფაუსტი

წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი! ნისლი მოლურჯო  
ფარავდა ფერდობს...

წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,  
კაცი ნაპირზე თოვლივით ენთო!..  
წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი, იდგა მოხუცი  
ქცეული სახტად!..

წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი  
და ნილბიანი  
მრჩეველიც ახლდა!..  
წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი! ზღვაზე მზის ჩასვლას  
უცქერდა დიდხანს...

წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,  
არ დასცდენია არც ერთი სიტყვა!  
სადღაც სივრცეებს ფიქრით მისდევდა... რბოდნენ ტალღები  
ქარით დევნილი...

მე ვნახე იყო სწორედ ისეთი,  
როგორაც მყავდა  
წარმოდგენილი!..  
წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი! მთლად დაეფარა  
სახე ნაოჭებს!..

წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი  
და ეს ხატება ახლაც მაოცებს!..  
წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი... და ნილბიანი  
ვიცან მრჩეველიც!



წუხელ ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,  
კაცი სინარულს შეუჩვეველი!

12. 08. 78.

სოხუმი



**ხომ არ გახსენებს რამეს?!**

რატომ არიდებ თვალებს სევდა დაფენილ მაღლობს?  
ხომ არ გახსენებს რამეს, —

ეს მინდორი და ბაღი?!

რატომ არიდებ თვალებს ამ ორღობეს და ახოს?  
ხომ არ გახსენებს რამეს,

როცა ჩაუვლი ახლოს?!

რატომ არიდებ თვალებს ჩრდილებს ზღვის პირად ფენილს?  
ხომ არ გახსენებს რამეს

ამ შეღამების ფერი?!

ისევ ქანაობს აგერ ო, ის ცისფერი ხილი,  
ხომ არ გახსენებს რამეს, —

ნავი ზღვაზე რომ მიდის?

რად აადევნე ოხვრა ო, ამ ხეივანს მთვარის,  
ხომ არ გახსენებს რამეს

ეს შემოდგომის ქარი?!

რატომ დახედე დელფით ფოთლებს მიწაზე ფენილს,  
მზეს, რომ გახედე ჩამაგალს,

რად მოგეძალა ცრემლი?!

07. 09. 78.

სოხუმი



მეცხვის სიზმლის კენესა!

მე ფურცელ-ფურცელ ვფურცლავ ჩემი ცხოვრების სიზმრებს,  
რადროს გასულა, თუმცა,

შენ მაგონდები ისევ!..

ო, რადროს იყო მაშინ, რადატყუების ჟამი!

ვთრთოდით ყაყაჩოს ეშხით,

ვსვამდით მზის სხივებს ჯამით...

ქუდად მიგვაჩნდა ზეცა და მზე ათოვდა მუხნარს,

მესმის სიმების კენესა!..

ო, ის დღეები სწუხან!..

09. 09. 78.

სოსუმი



აქ მგუს ვუნნავდით დალალებს

მანსოვს, ცისფერი ბინული ფარშეგანგივით მოვლილი,  
 ფოთლებით გადაჩრდილული,  
 ვარდებით გადათოვილი...  
 აქ მზეს ვუწნავდით დალალებს, ახლა ვერაფერს ვცნობილობ!  
 ის დრო წასულა, ძმობილო,  
 ჰარალე, ჰარი-ჰარალე!..  
 სად არის ლელა, მანანა, ის ხსოვნა რამდენს მავალებს!  
 დრომ რამდენი რამ მანანა,  
 კვლავ რამდენ რამეს მანანებს!..  
 ის გუთნისდელა ვერ ვნახე, დაბერდა, ალბათ, ვალალებს!..  
 აღარ ყვავილობს ვენახი,  
 ჰარალე, ჰარი-ჰარალე!..  
 ჩემი ლამაზი დღეების კვლავ დაფურცული სანახებს,  
 შეხედე, ჟამის რაშეპმა  
 მინდვრები გადიბალახეს...  
 უკვე გაფრინდა ალალი!  
 ჰარალე, ჰარი-ჰარალე!..

21. 09. 78.

ბანძა







## მოვალ

პირველი თოვლის მოსვლამდე მოვალ,  
სანამ ფიფქები დაიწყებს ფეთქვას!

პირველი თოვლის  
მოსვლამდე მოვალ,  
რომ გეამბორო

შენს საფლავს, დედა!

პირველი თოვლის მოსვლამდე მოვალ,  
სანამ ფიფქები  
იწყებენ თამაშს!

პირველი თოვლის მოსვლამდე მოვალ,  
რომ დავუჩოქო  
შენს საფლავს, მამა!

პირველი თოვლის მოსვლამდე მოვალ,  
რომ ისევ ჩემი  
ბილიკი ვნახო!

პირველი თოვლის მოსვლამდე მოვალ,  
პირველი თოვლის  
მოსვლამდე, სახლო!

17. 11. 78.

სოხუმი



საღვთისმეტყველების

ხედება ზამთარს ბუნება უცნაური თრთოლოვით,  
ისევე დაიბურება  
ყველაფერი თოვლით!..

მოგა დრო და გეწვევით იმ ძველ ნამოსახლარს,  
თოვლის თეთრი მეწყერის  
მოგვეწყურდება ნახვა!..

აქ, იმ ქამის ზმანება გაშლის ლამაზ აფრებს  
და წარსულის ზარები  
საღვთისმეტყველებს!..

22. 12. 78.

სოხუმი





\* \* \*

ეს გული ერთობ აფეთქდეს ღამის,  
ვინ ამიკივლა კვლავ სისხლი ეგზომ?!  
რად ამეფარა თვალებზე ღამე,  
როცა ღუმს ჩემი  
ბაგშეობის ეზო!..  
ჩემი ერთგული ძაღლები ყვეფით,  
ო, უკვე ველარ გარბიან ტყისკენ...  
თოვლით დაბურულ ბეჭობზე ვდგები,  
უკვალო თოვლი  
მაშფოთებს ისევ!..

29. 01. 79.

სონუმი



\* \* \*

რატომ აწყდები, ჩიტო, შენ ჩემი ფანჯრის მინას?  
იქნებ გაშინებს ზამთრის —

ქარი, თოვლი და წვიმა?!

იქნებ მეგობარს ეძებ სადმე შორეულ მხარეს?!

და გაურბინარ მარად —

წვიმას, თოვლსა და ქარებს?!

14. 02. 79.

სოხუმი



**ვიცი, ათას წელს გაძლებ!**

ჟამის სიძიმე გაწევს, როგორც ღრუბელი მაღლობს,  
ვიცი, ათას წელს გაძლებ

და მერე კიდევ ვნახოთ!..

ღელვით სავსე ხარ, მაგრამ აღარ ნებდები ქაოსს,  
შენ ბრძოლით ირჩენ წყლულებს

და სულს წამებით ნაოსნს!..

ოცნებით სწვდები ზეცას და გული მძლავრად გიციქვს,  
ველარ დაგძლია ჟამმა,

ვერც უღმობელმა სივრცემ!

ყველა სატკივარს დასძლევ, როგორც ქარები მაღლობს,  
ვიცი ათას წელს გაძლებ

და მერე კიდევ ვნახოთ!..

17. 02. 79.

სოხუმი



\* \* \*

შენ ის თვალები იწამე და სატკივარი მისი!  
სივრცემ თუ ფერი იცვალა,  
გამოარღვიე ნისლი!

შეხედე მინდვრებს საყანეს, მზეს ელოდება თრთოლვით,  
უკვე ბალახი ღაღანებს,  
ცვივა ყვავილის თოვლი...

სიკვდილს სიციცხლე ამარცხებს, როცა მზე  
გალობს ცაზე,  
პატარავ, სიტყვა დამარცვლე  
შუქის სინაზით საფსე!..

ამ მინდვრებს ესიყვარულე და  
მოჩურჩულე ფერებს,  
ტალღა გააპე მხარულით,  
გაღმა გასცურე მერე!..

12. 04. 79.

ბანძა





\* \* \*

ძვირფასო! ახლა შორსა ხარ ჩემგან  
და ეს გულისთქმა უკვე არ გესმის!  
ტკივილმა ერთ დიდ სხეულად შექმრა  
და ჩემში მკაცრად  
გაიდგა ფესვი!..  
ველარ დაგშორდი მთვლემარე ჭაობს,  
ვერ გავარღვიე საზღვრები ბედის!..  
და ცხოვრებასთან ამაოდ ვდაობ,  
გაფრინდა ჩემი  
ოცნების გედი!..

15. 04. 79.

სოსხუმი



\* \* \*

ჩემი მაღალი გუმბათები ნისლმა დაფარა,  
 მე, რომ მიყვარდა იმ მინდვრების  
 გაქრა ზღაპარი!..  
 ჩამოიქროლა მთიდან სველმა სიომ დილისამ  
 და შენს თვალებში მე ვიცანი  
 სულ სხვა თილისმა!..  
 გამოვიარე უღრანები, როგორ ბნელოდა?!  
 და სულში მაინც  
 გაზაფხულის სხივი მღეროდა!..  
 მზე შუბლით სადღაც მიეხეთქა მაღალ წარათებს,  
 ნუთუ მე შენთან საუკუნოდ  
 ომი წავაგე?  
 მაგრამ მე მაინც არ მჩვევია უიმედობა,  
 შემოვიხიე ტანზე  
 ღამის მღვრიე ბინდები...  
 რომ შენს თვალებში სიყვარულის შუქი ეფინოს,  
 შეუძლებელი, ღმერთო,  
 იქნებ შემაძლებინო?!

27. 05. 79.





**რატომ იცვალა შერი?!**

ჩემი ბავშვობის ზეცამ, რატომ იცვალა ფერი?  
ფერი ეცვალა მზესაც!..  
და ჩემი წყაროსთვალი, —  
ეს რა სიმეზზე მღერის?!  
ჩემი ბავშვობის ბალახს, რა ესიზმრება ვითომ?  
ნისლი ზო ზინებს გაღმა  
და იისფერი ბინდი,  
რად ეფინება მინდორს?!  
რად არ ხმაურობს ქარი და ის ფერები მკვეთრი?  
მიღის მდინარე სადღაც  
და ნაპირები ბინდის, —  
უსასრულობას ერთვის!..

05.06.79.

ბანძა



ბასსოვართ?!  


აბაშის ჭალავ! შენს მწვანე კაბას,  
 ჩემი ბავშვობის თრთოლვა აჩნია!..  
 მე არ ვიქნები, ძვირფასო, მაგრამ  
 გთხოვ, შეიფარო  
 ჩემი აჩრდილი!..  
 მე არ ვიქნები, შენს ლამაზ ჩქერებს  
 ფრთებს შეახლიან მერცხლის გუნდები...  
 მე არ ვიქნები, და ვიცი, მერეც,  
 რომ ვერასოდეს  
 დაგებრუნდები!  
 აბაშის ჭალავ! მავსებდი ღელვით,  
 შენი მზითა და ლურჯი ქარებით!..  
 განსოვართ, — მე და ის თეთრი გოგო, —  
 ზღვა სიყვარულით  
 სავსე თვალებით?!

12. 06. 79.

ბანძა





\* \* \*

გაგაღე ფანჯარა ღამით, ცა არხევს სევდიან სიმეხს!..  
ჩემს ტკივილს ირეკლავს ჟამი  
და მაინც მოფუხმობ იმედს!..  
ო, სული განბანა ცრემლმა, ვით ცვარმა ყვაფილი მინდვრის,  
ზღვა ღელავს ზვირთების ცემით  
და მთვარე ზო ზინით მიდის...

14. 06. 79.

სოსუმე



**იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი!**

იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი და მომავალს  
 მიაღებენ თვალი,  
 იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი,  
 რომ ვღელავდით  
 განაფხულით მთვრალი!..  
 იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი, ნუ იქნები  
 საწუთროზე მწყრალი!  
 იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი,  
 როცა უკვე  
 ჩაგლილია წყალი!..  
 იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი, რომ ვფეთქვდით  
 სიყვარულის ძალით!..  
 იმ დღეებზე დაივიწყე ფიქრი,  
 სამუდამოდ დაივიწყე,  
 ლალი!..

28. 06. 79.

სოსუმე



ღრუბლებს – თქმრონებს

„მოგ ზაურო, ვინ გიყვარს შენ ყველაზე  
უფრო მეტად? — ღრუბლები, შორეული  
ღრუბლები...“

ბოდლერი

ბაგეები გაგ შრობიან წყურვილით  
და მაინც არ ჩამოდიხართ ძირს!  
ხუთუ არ გაქვთ ჩამოფრენის სურვილი?  
აგრე, რატომ  
მისცემიხართ ძილს?  
ივლისის მზემ მოგაღვარათ ტანზე ღველფი,  
მსურვალებით ის ყველაფერს სწვავს!  
ხუთუ აღარ გეშინიათ დაიდვენთოთ,  
ჩემოდით და  
დაეწაფეთ წყალს!..  
სივრცეს ყველგან ამჩნევია თქვენი ტერფი,  
უთქვენობით წყარო ცრემლებს ღვრის...  
მეშინია მზეზე რომ არ დაიფრთლოთ,  
ფერიებო, გაჩენილნო ღვთის!  
ოცნებებით თქვენს კენ ბევრჯერ გაფიჭერი,  
უთქვენობა აფერმკრთალებს სულს!  
კაცო, თქვენი სიყვარულით დაფიჭერი,  
აწი ვინღა  
მომიშუშებს წყლულს?!  
ეს სამყარო კიდით კიდე მოვიარე  
და სიტურფე ვერ ვიპოვე სხვა!  
ჩემს საფლავთან მოდით თეთრად მგლოვიარე

და სინაზის  
დამაღვარეთ ზღვა!..

09.07.79.

სოხუმი





## ბავრჯერ დაბუბა სრემლი თვალებში

არ გაქცევიხარ დღეებს უდაბურს  
და უგულობას ვერვინ დაგწამებს!  
ფიქრის მერცხლები ცას შეესია  
და ლაყვარლების  
არხევს წამწამებს...  
ბევრჯერ დაგუბდა სრემლი თვალებში,  
არ გიძებნია ყალბი დიდება!  
დრომ რა უღმობლად გადითარეშა  
და უღროობის  
გცემდნენ ზვირთები!..  
არ დაგიკარგავს გრძნობა სიკეთის,  
ცას უცქეროდი ბავშვის თვალებით...  
ზღვაზე მზის ჩასვლა გამოიკვეთა,  
რალაც ჯადოსნურ საღებავებით!..

22. 07. 79.

სოხუმი



აჰა, შემოდგომა მოღის!..

ის ხე მესიზმრება ალვის — მარტოდ მდინარესთან მდგარი,  
 ჟამს რომ მოვიგონებ ჩავლილს

და იმ ვიწრო ბილიკს მთვარის!..

სევდას აღარ ვანდობ არვის, აჰა, შემოდგომა მოღის!..

ის ხე მესიზმრება ალვის

და ის ხაფსიანი ლოდი!

გაჰყვა დავიწყების ზვირთებს ო, ის აღტაცება სოფლის!..

მე რომ ტკივილები ვზიდე,

აღბათ საუკუნეს ყოფნის!..

უკვე მოგონების ტყვე ვარ, ფოთლებს შემოდგომა მალღრის...  
 და თან იღუძალი რხევით

მიცქერს სევდიანი ბაღი!..

ის ხე მესიზმრება ალვის — მარტოდ მდინარესთან მდგარი,

ჟამს რომ მოვიგონებ ჩავლილს

და იმ ვიწრო ბილიკს მთვარის!

19. 08. 79.

ბანძა







### საკმარისია მათი ხსენებას!

დღეს ვის სჭირდება მყუდრო საკანი, უნდა იცხოვრო  
კაცმა ლამაზად!..

კლდე შემოგარტყეს ირგვლივ მაგარი? —

ზედ გადაეფლე, როგორც ავაზა!..

თუ სისხლიანი ლანდი გაშინებს, მაშინ მოეშვი

ნულარ იომებ!

სივრცეს მიაღწევს ბარათა შვილი,

სივრცეს მიკვივის გალაკტიონი!..

საკმარისია მათი ხსენებაც, რომ ათასობით

აღი აინთოს!..

ისმის სივრცეში მერნის თქარუნი

და შორს მიქრიან ლურჯა ცხენები!..

14. 10. 79.

სოხუმი



### მგეო ამომავლო!..

შემოგხარი მხოლოდ შენ, მზეო ამომავლო!..  
 მე მგ ზავრი ვარ ეკლიან  
 ბილიკებზე მავალი!..  
 მივდივარ და მივარღვევ ჟამის უდაბურებას,  
 ხან ზარების ხმა მესმის,  
 ხან ცა მეხმაურება!..  
 ო, ფრიალო კლდეებო, ცის შეხსენით კარები,  
 რატომ ღმუის გრიგალი  
 ასე შეუბრალებლად?!  
 მიდის წუთისოფელი: ღელვით, აურზაურით  
 და სულს ეხლისება  
 ჩანჩქერების ხმაურით!..  
 შემოგხარი მხოლოდ შენ, მზეო ამომავლო!..  
 მე მგ ზავრი ვარ ეკლიან  
 ბილიკებზე მავალი!..

13. 10. 79.

სოხუმი





\* \* \*

რა იყო, რა გემარტება, რად გიწვავს ცრემლი თვალებს?

რა იყო, რა გემარტება,

სულო, მითხარი რამე!

კვლავ შემოდგომა ჩამოდგა და გულზე თათებს გაჭერს?

სულო, მითხარი, რა მოხდა? —

ვინ მართავს ჟამის საჯეს?!  
—

22. 10. 79.

ბანძა



**ჩემი ღღეების უფალი!**

ატმის ყვავილი მათოვეთ, რომ აფერადებს ცისკარს,  
შენი თვალები მათრობენ

და მიბრუნებენ სიზმარს!..

ჩემი ღღეების უფალი, ო, მორცხვი, როგორც ია!

ქარი ოქტომბრის უბერავს

და სულში მაინც მზეა!..

მისღევს სივრცეებს მზერა, სადღაც ოცნების ახლოს,

სხივი გასცილდა მაღლობს

და სულში მაინც მზეა!..

ბალახი ტირის ბალღივით და ეხუტება ნიავს,

შენი თითებით დაღლილი

ქარს ის ფოთოლი მიაქვს!..

ატმის ყვავილი მათოვეთ, რომ აფერადებს ცისკარს,

შენი თვალები მათრობენ

და მიბრუნებენ სიზმარს!..

23. 10. 79.

სოხუმი





## მასხენლება

ო, ის ყრმობის დღეები მასხენებენ თავს  
და ჭიხვინით ცხენები

ნისლს ფანტავენ შავს...

ო, ის ყრმობა წასული, რა ფერებით მწვავს  
გხედავ, მოდის ასული

მზის დალაღებს წნავს!..

მასხენდება, და რა რიგად ის წარმტაცი გზა!..

ზღაპარ იყო თუ იგავი

მზე რეკავდა ზარს!..

ეფერება ბალახს სიო და მდინარის ტანს,

იმ ბავშვობის რია-რია

მე დამყვება თან!..

მასხენდება, ასე გვიან, — ფოთოლცვენის ჟამს!..

რა შორს ქრიან ის მერნები,

ნისლს ფანტავენ შავს...

26. 10. 79.

ბანძა



**ვერ ამბობრებს შენი გიტარა!**

მე მომწყინდება წოლა უმზეოდ და სიბნელეში  
 ხელის ფათური...

ვერ ამბობრებს შენი გიტარა,  
 ვერ შემათრთოლებს შენი ფანდური!  
 მე მომწყინდება წოლა უმზეოდ, გამოვექცევი  
 დუმილს ლოდების

და გაზაფხულის ხასხასა მოღზე  
 გულგაღელილი კვლავ გავგორდები!..

მე მომწყინდება წოლა უმზეოდ და ღამეების  
 ლანდი ვეება,

თუ ვერ დაგტოვე წამთრის სიზმარი,  
 ო, მე არ ვიცი რა მეშველება!

მე მომწყინდება წოლა უმზეოდ, მიწის და შეავის  
 სუნი უხეში,

გამოვექცევი დუმილს ლოდების  
 და ჩამიდგება ქარი მუხლებში!..

რომ გზებზე ისევ ვინეტიალო ნარინჯისა და  
 ატმის ტოტებით,

გამოვექცევი მიწის იარას,

გამოვექცევი დუმილს ლოდების!..

მე მომწყინდება წოლა უმზეოდ და  
 ღამეები უდასასრულო,

შენ მოხვალ ჩემთან, ჩემო ვაჟკაცო,

შენ მოხვალ ჩემთან, ჩემო ასულო!

რომ ცრემლიანი თვალი შეავლოთ ლოდზე ამოსულ ხავს  
 და ბალახებს,



ახადღეთ ფრთხილად საფლავს სარქველი  
და ჩემი მზე და ზეცა მანახეთ!..  
ერთხელ შეგავლო თვალი მთა-ველებს და ვნახო  
მუხა ტანდაკორძილი!  
მზეზე ყვავილი როგორ ფეთქდება,  
ხიდან ფოთლები როგორ მოცურავს!..  
როგორ ირხევა თოვლის ფიფქები, ან ეს მდინარე  
ჩუმი ხმაურით...  
ეს ჩემი სუნთქვა ყველას მისწვდება,  
ეს ჩემი ლანდი ყველას ჩაუვლის!..  
მე მომწყინდება ყოფნა უმზეოდ და უთავბოლო  
ჩუმი ტრიალი,  
ჩემი აჩრდილი თქვენთან წამოვა, —  
მშობლიურ გზებზე სახეტიალოდ!..

27. 10. 79.

ბანძა



ხომალდი

ხომალდი გადაურჩა დაღუპვას,  
    მან გადაუქროლა შტორმს...  
და გზები უდაბური დახურა,  
სიკვდილი მოიტოვა შორს!..  
დაცხრა ბობოქარი სტიქიონი,  
    აფრა ირხეოდა მზის...  
ქარებს იალქნები გაულუნა,  
პორტში შემოვიდა ის!..

06. 11. 79.





**ის ცისფერი ოცნება!**

ახლოვდება ზამთარი, გერათფერი აჩერებს,  
ახლოვდება ზამთარი, —

თოვლის თეთრი ჩანჩქერით!..

სივრცეს ფერიცვალების მღვრიე სევდა ედება,  
არ ჩანს შენი თვალები,

ისმის მხოლოდ ვედრება!..

გიტაცებდა სხვა რამე, იყავ სხვა იმედებით,  
ხედავ, მოდის ზამთარი

და ბუნება ბერდება!..

ის ცისფერი ოცნება გაქრა, გაუჩინარდა,  
დარჩა ჭრელი ბორცვები

და ფერმკრთალი ჩინარი!..

26. 12. 79.

ბანძა



**ხომ არ ღაებნა გზა?!**

ო, ჩემო ბედისწერავ, შენს სადღეგრძელოს ვსვამ,  
საით გაფრინდა წერო,

ხომ არ ღაებნა გზა?!

სიფრცეს გრიგალი წეწავს... დრო რეკავს მძაფრად ზარს!..  
საით მიფრინავს წერო,  
ხომ არ ღაებნა გზა?!

20. 08. 80.

ბანძა



ჩემი ბავშვობის ხანა!..

ბერიკაცები, მახსოვს, მღეროდნენ ჩარიჩამას!..  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

შორს ჩანდა მთები ასხის, ქვემოთ აბაშის ჭალა...  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

მე და პატარა ანა ვსწავლობდით ანა-ბანას,  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

მახსოვს იტირა მწარედ, როცა დაფხატე ანა,  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

სიმღერის აგუგუნება და სიმინდების ყანა,  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

მემახსოვრება, ხსოვნას გული გასწვდება სანამ,  
ჩემი ბავშვობის დღეები,  
ჩემი ბავშვობის ხანა!..

21. 08. 80.

ბანძა



\* \* \*

რად გააღვიძე ჩემში ხსოვნის სიმები მძაფრი?!  
მე ეს ტკივილი შემშლის  
მწეწავი სულის აფრის!..

მე ეს ტკივილი შემშლის, როცა ჩაგივლი ახლოს!  
რად გააღვიძე ჩემში  
ხსოვნა, პატარა სახლო?!

ო, ცის მოლურჯო თვალებს რად შეერია სევდა?  
მოდის სექტემბრის ქარი  
და მზე დაღლილი ფეთქავს!..

ჟამი სინაზის კარგავს, ხსოვნა ლურჯ თვალებს ახელს!..  
ჩუმად ვჩურჩულებ, კარგო,  
მაგ უძვირფასეს სახელს!..

27.08.80.

ბანძა





## გაფხულის უკანასკნელი ღღე

რას ნიშნავს, ნეტავი, ასეთი სიჩუმე  
ამ მთების, ზღვების და მინდვრების?!  
ფოთლებიც, ფოთლებიც, რომ აღარ ჩურჩულებს?  
შეხედე, ზეცაზე მზეც  
როგორ ფითრდება?!  
რას ნიშნავს, ნეტავი, ასეთი სიმშვიდე?  
ო, ნუთუ ყველაფერს დუმილი მოედო?..  
შეხედე, ღრუბლებიც, რომ აღარ შიშინებს?  
დუმს ცინეც, ტაძარც,  
კოშკიც და ქორედიც!..  
რას ნიშნავს, ნეტავი, ასეთი სიჩუმე?  
ასე რამ მოღალა, ასე რამ მოთენთა?!  
ბალახიც, ბალახიც, რომ აღარ ჩურჩულებს?  
არც ჩიტის ხმა ისმის  
და აღარც ფოთლების!..

31. 08. 80.

ბანბა



მივეყრდნობი შემოღობის ჭაღარს

„მაბატე საუკუნოდ-სიყვარულო ჩემო!  
ლორდ ბაირონი

ისევ ღვივის ნაკვერცხალი ტრფობის!  
ციდან მთვარის კვლავ იღვრება ჩქერი...  
ნაღვლიანი გამოხედვა სოფლის,  
რა უძწეო  
მეჩვენება მერი!  
ვდგავარ ჩუმად და რაღაცას ვეძებ...  
გატრენლა გაზაფხულის ქარი...  
ვერ აინთო ის ვარსკვლავი მეცხრე,  
მწუხარება შეღამების ქნარი!..  
სული ოხვრით მღუპარებას არღვევს,  
გულმა ღელვით ამოვარდნა იცის!..  
მე ერთბაშად სიფრცე გადავლახე  
და ვაწყდები მაგ  
თვალების ციმციმს!..  
მივეყრდნობი შემოღობის ჭაღარს,  
რომ იმ დღეთა სურნელება ვიგრძნო!..  
მზე ჩავიდა... ახლა მთვარეც ჩადის...  
და ჩემს ტკივილს  
ქამი ველარ იწოვს!  
ისევ ღვივის ნაკვერცხალი ტრფობის!  
ციდან მთვარის კვლავ იღვრება ჩქერი...  
ნაღვლიანი გამოხადვა სოფლის,  
რა უძწეოდ  
მეჩვენება, მერი!

12. 09. 80. სოხუმი



## ის მგუს უსძეარდა

გზაზე უეცრად შედგა, მიხვდა ყველაფერს ალბათ!  
მზე უცქეროდა მხედარს,  
ის მზეს უცქერდა ხარბად!..

ცრემლი მოედო თვალებს, ქარი მრისხანე ჩადგა,  
ვიღაც ტიროდა მწარედ  
და არაფერი ჩანდა!..

არ გაპყოლია ვალი და არც უგრძნია ჩაგვრა,  
სადღაც ავარდა ალი,  
მერე ერთბაშად ჩაქრა!..

29. 09. 80.

სოხუმი



მონაწვე ღელვა გარემოს

ფერებს სად მიერეკებით, ნოემბრის ურჩო ქარებო?  
მოაწვა ღელვა გარემოს,

როგორც ლაშქარი ლეკების!..

საით მიფრინავთ ფოთლებო, მაგ სევდიანი ჩურჩულით?

მე ვდგავარ შენაშფოთები

და ფრთებს შლის ქარი უქმური!..

ირხევა ჟამის ზამბარა და სივრცე შიშით ცაცხახებს,

ო, ნუთუ რისხვა დაფარავს

ამ ფერიების სასახლეს?!

მზე ჩადის... სივრცე მკრთალდება, მოდის დღეები დეკემბრის,

მოაწვა ღელვა გარემოს,

როგორც ლაშქარი ლეკების!..

12. 11. 80.

სოხუმი





**მგემ სხვანაირად დამხედა!**

მთვარე გულცივად მიცინის, მზემ სხვანაირად დამხედა,  
ვიგრძენი ჟამის სიმძიმე,  
თუ ზამთრის სუსხი თავხელი?!

არ ვიცი თუ რა მაჩერებს, როცა ქარებმა დაჰბერეს,  
იქნებ მამშვიდებს გამჩენი,  
იქნებ ჭრილობა მახერებს?!

ვიცი, მზეც გაიზარება და სიფრცე ქართთ ნაცემი,  
აქ ჩუმად ფერიცვალებას,  
სჯობს ბრძოლის ველზე დაცემა!

მთვარე გულცივად მიცინის, მზემ სხვანაირად დამხედა,  
ვიგრძენი ჟამის სიციფე,  
თუ ზამთრის სუსხი თავხელი?!

21. 11. 80.

სოხუმი



ნაპირს შორდება ბავში

აწი ვერ მოგეფერება, ვერც რტოს მოგიტანს ატმის,  
შორს მიდის ფიქრი ჭენებით,

დარდს ემატება დარდი!..

რა უმოწყალოდ მოიწევს ზამთრის დღეები ურჩი,  
ცრემლებით დაგებერება,

ო, ეს თვალები ლურჯი!..

დრო ისევ ტკივილს მოდენის, ნაპირს შორდება გემი,  
არ მინდა მოულოდნელი, —

იყოს დაღუპვა ჩემი!

24. 11. 80.

სოსუმი





\* \* \*

ასფოდელოსის ველზე მიცურავ, ჩამოიშორე ნისლი  
და სულში შეუქის მტევნებს იწურავ,  
მხოლოდ შრიალი ისმის!..

შენ მიწიერი დათმე გზა-კვალი, არხევ შორეულ სიშვებს...  
ვერას დაგაკლებს ჟამი მზაკვარი,  
ულმობელი და მძიმე!..

შემორჩათ ხსოვნა ყვაველებს მინდვრის, მუდამ წრფელი და სათნო,  
აქ კი ცხოვრება თავის გზით მიდის  
და შენს სინაზეს ნატრობს!..

01.11. 10.

თბილისი



ის აშრა ქარმა ღანძანა!

ის წლები რა შორს წავიდა! ბაღებმაც გადაგვივიწყეს!  
შენ არ მოდიხარ, ძვირფასო,  
გული კი შენკენ მიიწევს!..

მდინარის პირას დავდივარ, აქ ბევრი მიოცნებია!..  
წარსულს ვისვენებ... სანახებს  
მზერას ვაყოლებ ცრემლიანს!..

რა შეპრჩა? დარდი ვეება, ო, ღმერთმა  
ასე ინება!

ის აფრა ქარმა დაწეწა  
და ნავიც გაჰყვა დინებას!..

24. 03. 81.

სოხუმი





## შენ მოლიოლი

ო, იწვა გზაზე შემოდგომის ნისლი მთვლეპარე...  
შენ მოლიოლი... და რამდენი

განძი გეზარა!

ათიათასი შენში რეკლა ზარი ფოლადის  
და ვერ დააბეს შენი სულის  
თეთრი ნომალდი!..

ვერ მოგახვიეს ტანზე მაინც სურო ნანგრევის,  
ვერ ამოლესეს შენი სულის

ყველა სარკმელი!

მე შენ გიგალობ, შენს იღუმალ სიმებს ვეხები,  
სულის ქონგურზე შენი თეთრი  
სხივი მეხვევა!..

საიდან მოდის, ნეტავ, ეს ხმა დილის საარის?  
ეს ჩემში ფეთქავს,

თუ ინთება შენი კამარა?!

იდვრება დილა... ფრთხილბენ ოქროს ჩიტები  
და ცაზე ტოტი  
ცისარტყელას დაეკიდება!..

18. 04. 81.

სოხუმი



## ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

აი, ამ ხეს და ლელეს, ამ მინდორს მთვარით ნაქსოვს,  
რტოზე ჩიტი რომ გალობს,

ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

ამ ორღობეს და ნისლებს და ამ პატარა ახოს,  
რომ მეფეერება ისევ,

ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

წყაროს კამკამა სიცილს, ჩიტი ტოტზე რომ ანცობს,  
მე რომ ფუყვარვარ ვიცი,

ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

ღრუბლებს მთებზე რომ წვება, ბილიკს თოკივით

ნასროლს

და ალვის ხეთა წყებას,

ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

ჭალას მოფენილს ქვებით, ტალღებს, რომ მოხასხასებს,  
ყვავილს მზეზე რომ თვრება,

ჩემი ბავშვობა ახსოვთ!..

მოგონებათა წყება ო, რამდენ რამედ ფასობს!

ვერხვი ზღაპარს რომ ჰყვება,

ჩემი ბავშვობა ახსოვს!..

09. 05. 81.

ბანძა



**მინდა სიცოცხლეს ვაპოვო!**

მზე რა ღამაზად ამოდის, დღეს გაეზადრა სახე!..  
მზე რა ღამაზად ამოდის,  
თითქოს პირველად ვნახე!

ირხევა, როგორც ქალთამზე, მავსებს ფარული გნებით,  
სიცოცხლეგ, მე შენს კალთაზე,  
როგორც ჰამაკში ვწვები!..

ცა და ხმელეთი მაოცებს ამ მოჩახჩახე შუქზე,  
მინდა სიცოცხლეს ვაკოცო,  
როგორც ღამაზ ბავშვს შუბლზე!

21. 06. 81.

სოხუმი



დღემ შუქით ველარ ამავესო

წავიდა ის დრო ბაიის, წავიდა ის დრო იების...  
მიდი და ლოკე მარლი,   
ო, სულო, მონანიების!..

გახუნდა სივრცე ლამაზი და ჟამმა პირი იბრუნა!  
დღემ შუქით ველარ ამავესო და  
ნისლი ჩამოიბურა...

ვიცი, რომ ბრძოლა მომიწევს, კიდევ შევიხსენს საყელო!  
ახლა გრიგალიც მოიწევს,   
რომ ერთობ გამაცამტვეროს!..

წავიდა ის დრო ბაიის, წავიდა ის დრო იების...  
მიდი და ლოკე მარლი,   
ო, სულო, მონანიების!..

16. 07. 81.

სოხუმი







## რა ვუთხრა!

*არსენ დარჯიანიას ხსოვნას*

რა ვუთხრა სიკვდილს მუხანათს! რა ვუთხრა სიკვდილს გარეწარს!  
ჩაგვიქრო ძმობის ბუნარი,

ჯაჭვის პერანგი დაღეწა!

შენ გული გქონდა ვეება, მაგრამ შეგეხსნა იარა!..

სიკვდილს პირისპირ შეეხი,

როგორ შეგბედა ტიალმა?!

მოლიპულ გზაზე დაქანდი... არ გაეკარე სარეცელს!

შენ ფრთები როდი დაკეცი

და ფრთებგაშლილი დაეცი!..

ზღვასთან შენს აჩრდილს დავეძებ, სად ხარ, ხმა მაინც გამეცი?!

ჩემს ტკივილს ვინლა გაიგებს,

ზღვა ყრუა, როგორც ტაიგა!..

რა ვუთხრა სიკვდილს მუხანათს! რა ვუთხრა სიკვდილს გარეწარს!

ჩაგვიქრო ძმობის ბუნარი,

ჯაჭვის პერანგი დაღეწა!..

09. 08. 81.

სოხუმი

**შენ, გულმართალო კაცო!**

მუდამ გინმობენ გზები... მზე ზენიტს ოხვრით გასცდა,  
ყველას სიკეთით ხვდები,

შენ, გულმართალო კაცო!

მკლავებს წაერთვა ძალა, ომში ბეგთარი გაცვდა!

მაგრამ შემოგრჩა მარად

დიდი მოძავლის განცდა!

ცრემლი მოგადგა თვალზე!.. ქარი ხეთა რიგს ძარცვავს,

წედან ატირდი, რაზე?

შენ, გულმართალო კაცო!

19. 08. 81.

ბანძა





\* \* \*

ხედავ, სუსხმა შეაყვითლა ტოტი  
და მზეს როგორ გაუხუნდა კალთა?  
ისევ ჩუმი შემოდგომა მოდის  
და ჩერდება  
ალაყათვის კართან...  
ერთხელ კიდევ გამიწოდე ხელი,  
სანამ შუქი გვეფინება მთვარის...  
ხედავ, როგორ მოღუღუნებს ღელე  
და ღუღუნებს  
სევდიანი ქნარი!..  
მზევ, ყვავილი შემატოვე ცოტა  
და ის მზერა უმანკო და თბილი!..  
ქამმა აღარ გამძიარცვოს ტოტი,  
არ ჩამიქროს  
სიყვარულის სხივი!  
ხედავ, სუსხმა შეაყვითლა ტოტი  
და მზეს როგორ გაუხუნდა კალთა?  
ისევ ჩუმი შემოდგომა მოდის  
და ჩერდება  
ალაყათვის კართან...

28. 08. 81.

ბანძა



ფოსტალიონი

მისდევდი მარჯვენდ ბილიკებს ვიწროს ფეხმარდი კაცი,  
ვეება ჩანთით!

შენ ჭირის ოფლი  
გსდიოდა, ვინძლო?!  
და მაინც სოფლის  
იმედად ჩანდი!..

ზოგს სინარულით ავსებდი ერთობ, ზოგისთვის მძიმე  
მოგქონდა სევდა!..

სოფელი მაინც იმედით ენთო  
და ის ჭირ-ვარამს  
ებრძოდა მედგრად!..

კვლავ მოგონება მეძახის, მიხმობს!.. ო, ჰგავდი ელვას  
ბილიკზე ნასროლს...

შენზე ნაწყენი არავინ იყო,  
შენზე ნაწყენი  
არავინ მახსოვს!

ის ღრო წაყვიდა განგაშით, წყევლით, თუმც მოგონებას  
გულწრფელად ითხოვს!..

ისე გაგრძელდა  
ეს ოთხი წელი,  
რომ საუკუნეს  
უღრიდა თითქოს!..

დამთავრდა ომი და შენ იმ დღიდან მოიხსენ ჩანთა,  
დაღლილმა მძიმედ!

იქნებ ცხოვრება  
იმისთვის ღირდა,



რომ არიგებდი

სევდას და იმედს!..

ინაწილებდი სოფლის სატკივარს, როცა არ იყო

იგი იოლი!

და აწერია

ლოდზე მარტივად: —

სევასტი — სოფლის ფოსტალიონი!

07. 01. 82.

ბანძა



როსა ბრიბალი ღაცხრა

რამდენ ნიაღვარს გაუძლო, რამდენ მსხვრევას და ხანძარს?!  
და მაინც ყველას გაუსწრო,  
  ჟამის სამანებს გასცდა!..  
გაუძლო ღროის გამოცდას და სივრცეების ცახცახს,  
უფრო ლამაზი გამოჩნდა,  
როცა გრივალი დაცხრა!..

22. 01. 82.

სოსუმი



ალბომი

რა აღტაცებას მანიჭებ! სული საოცრად ღელავს!  
აქ გზვდები მე ჩემს ძმაბიჭებს, —

თითქმის უკლებლივ ყველას!..

რა ნეტარებას ვეძლევი, მოაქვს ვარდები ნიავს...

აქ გზვდები ყრმობის გოგონებს:

თეას, ნათიას, ლიას!

ო, რა სინარულს მანიჭებს ეს სურათები ახლა!

აქ გზვდები ჩემი ყრმობის წლებს,

რომ მომწყურდება ნახვა!

23. 03. 82.

სოსუმი



ქამი ბალახებს თიბავდა

მაინც არ გახდა გულცივი, ჟამის გამოცდას ელის!  
მან ჩამავალ მზეს უცქირა

და თვალები აქვს სველი!..

ცრემლები უხმოდ დამალა, შეამჩნევია არვის!  
ჩუმად იწნავდა დაღალეებს

და ხბოს უსმენდა ბღაფილს!..

მოიწვავდა ზვირთი თიბათვის, არ იცის

რაა მოლლა!

ქამი ბალახებს თიბავდა

და ის ყვავილიც მოჰყვია!..

04.06.82.

ბანძა





ქაში არხევლა ზარღას

ო, რამდენ რამეს ველოდი, მზე გაზაფხულის მწვავდა,  
შენი თვალების მჯეროდა,  
შენი თვალების მწამდა!..

ო, რამდენ რამეს ველოდი, შუქი იმედის მადგა,  
მზე გაზაფხულის მღეროდა,  
ქაში არხევლა ფარღას!..

ო, რამდენ რამეს ველოდი, რა თრთოლვა იყო ანდა?!  
შენი თვალები მშველოდა!  
შენი თვალების მწამდა!..

03. 07. 82.

ბანძა



შემოდინდა აგვისტო

ო, თუმცა ველარ შევლოდი, მაინც იმედად ვღექ,  
შენ მწუხარებაც გშეგნოდა,  
  შუქი სწყდებოდა ქედებს!..  
მზე ჩადიოდა... ქარათებს ნისლის მისდევდა ფარა,  
ის თხოულობდა არაფერს,  
ცა კი არხევდა ფარანს!..  
შემოდინდა აგვისტო და შრიალებდა ყანა,  
და ფანჯარასთან  
  ატმის რტო  
ტირილით დაიღალა!..

05. 07. 82.  
სოხუმი





## ირხევა სიმი

კვლავ შემოდგომის მასველებს წვიმა ლოდინით დაღლილს!  
სულში ფარული ირხევა სიმი,

მიმატებს ნაღველს!..

კვლავ ფოთოლცვენის დღეები მოდის, ტკივილით, კვენესით!  
ასე არის და ასე იქნება

ბუნების წესით!..

გაიფენს ქარი ამ ჭაღარა ფოთლების წყებას,  
ღრო მიდის ერთმხრივ

და საწუთროს ყვაფილი ჭკნება!..

შენ, სად ხარ ახლა, საოცარი ნათელი თვალის?

გაქრა ღრუბლებში

ნაფეხური აპრილის მთვარის!..

კვლავ შემოდგომის მასველებს წვიმა ლოდინით დაღლილს,  
შეხედე, როგორ გაჭაღარავდა

ბავშვობის ბალი?!

02.08.87.

ბანბა



**რა სილამაზე მახსოვს!**

ნიაფის ქროლვა მსუბუქი, ჩიტის გალობა ხეზე  
 და ყვავილების ღიმილით  
 დამშვენებული ეზო!..  
 აღვის ხეების რიგი, დედა ძველმანებს კემსავს,  
 მაგონდება და იგი  
 სულს ანეტარებს დღესაც!..  
 შუქით მოსილი ზვარი, ხნულში მზისფერი თესლი,  
 სულში კვლავ რეკავს ზარებს  
 და ის ხმა ახლაც მესმის!..  
 ჩემი პატარა კვიცი მინდორ-მინდორ რომ ქროდა, —  
 ის ფრთებით სივრცეს კეცავდა,  
 რა აღტაცება ჰქონდა!  
 რა სილამაზე მახსოვს, ო, რა სიმდიდრე მქონდა!  
 ჩემი ცისფერი ეზო,  
 ჩემი პატარა ოდა!..

03. 08. 82.

ბანბა





## ისევ მიდის

უთავბოლო ბრუნვა სოფლის, მძაფრი ღელავით მავსებს,  
ო, ამ დღით, ეს ყოვანი

რას დამჩხავის თავზე?!

გული მტკივა, რომ ის ვერ ვთქვი, ო, რაც უნდა მეთქვა!  
შემოდგომის მზე ღრუბლებში, —

რა უმწეოდ ფეთქავს?!

ამ აღვის ხეს რა ატირებს, ან ამ ატმის რტოებს?

შენ წახვედი და ეს ღელავა

მე ერთს შემატოვე...

ისევ მიდის სიშორეში ჟამი მოგანგაშე,

ო, ვით ეს ზღვა მიაქროლებს

ზვირთებს ისევ მლაშეს...

უთავბოლო ბრუნვა სოფლის მძაფრი ღელავით მავსებს,

ო, ამ დღით, ეს ყოვანი

რას დამჩხავის თავზე?!

14. 08. 82.

სოხუმი



შენთან მოველ

ქ-ონ ც. ფალავას

შენთან მოველ, წამებულო დედავ!  
    ღამეს შეილის საფლავთან რომ ათევ!..  
შელამების ქარი არხევს კეღარს,  
მთვარე ანთებს  
ცივ ლოდებზე სანთელს!  
სული ებრძვის უსაშველო ტკივილს,  
    ნუთუ არსად აღარ არის შეველა?!  
შენი ცოდვით ცა მაღალი კივის  
და ნაღველით  
დედამიწა ღელავს!..

14. 09. 82.

ბანძა





## ოსკვ მამახის მენავე

მე დარდიც გავინაწილე და სიყვარულის ფანტელიც,  
ცაო, რამდენი მაწვიმე,

შუქიც მათოვე რამდენი!..

მეც ვარ მზის ერთი მარცვალი, მაქვს აფეთქების უნარი,  
ცეცხლი ვარ გაუხუნარი

და უმნიშვნელო ნაცარი!

ვერ ჩამიხერგავთ ბილიკებს, რადგან ფრთები მაქვს არწივის,  
მე დარდიც გავინაწილე,

როცა გლოვობდა პირიმზე!..

თვალეები ისე ელაგენ, არ ვარ შიშისთვის შობილი!

ისევე შეძახის მენავე,

ჩემი ერთგული ძმობილი!..

25. 09. 82.

სოხუმი



\* \* \*

შეკრთნენ ჩიტები ტოტზე, როგორც ფოთლები ქარში,  
მინდვრად ჩამოწვა ნისლი,

შეწყდა ჭახჭახი შაშვის!

თვალეში ცრემლი ჩადგა, ჩანდა უღაბნო ქვიშის,  
მერე გაფრინდნენ სადღაც  
ცივი ღღეების შიშით!

08. 10. 82.

სოსუმი





მე ცისფერს დავუშვებოვრდი

სად დამეწევი, სიკვდილო! სიცოცხლევე, შენ სად მიგანებ?  
ვერ გამიზომავს საწუთროს,

ვერც სიგრძე და ვერც სიგანე!

მე ცისფერს დავუშვებოვრდი და ვარსკვლავების ნათებას,  
აქ გუშინ თუ მზე მეფობდა,

დღეს სადღაც მიიღანდება...

მე ველარ გავითავისე საწუთროს ვნება-ღელვანი!

ირხევა შუქი დაისის

და ზეცა შუქმოვლვარე!..

თრთოდა მანისის ყვავილი, სულს იქით მიუხაროდა,

ისმოდა ყვავის ჩხავილი,

მაგრამ ბუღბუღივც გალობდა!..

სად დამეწევი, სიკვდილო! სიცოცხლევე, შენ სად მიგანებ?

ვერ გამიზომავს საწუთროს,

ვერც სიგრძე და ვერც სიგანე!

29. 10. 82.

ბანბა



\* \* \*

შენ იყავ ძალზე პატარა კაცი  
და სული გქონდა საშინლად ურჩი!  
მაგრამ ხომალდის დაგემსხვრა ანძა  
და ჟამის ზვირთებს  
ვერ გადაურჩი!  
ვერ გიხსნის უკვე მაშველი რგოლი,  
ხომალდი სწრაფად ივსება ზვირთით,  
ნავსაყუდარი იპოვე მგონი, —  
ეშვები ფსკერზე  
ცხოვრების ტვირთი...

02. 12. 82.  
სოხუმი





## მომავლის ლანდი

სანამდე ვმალო ეს ტკივილი, მითხარით, სანამ?  
ო, ახლა ამ გულს

ულმობელი ცეცხლი ედება!..

სანამდე ვმალო ეს ტკივილი, მითხარით, სანამ?  
რომ არ ბერდება?!

სანამდე ვიყო დამხობილი წინაშე ხატის?

მეგონა დარღებს დაითრევდა

ჟამის მდინარე!..

ო, თოვლიან ფრთებს მახლის ახლა დღეები მარტის,

ეთამაშება ჩემს ფანჯარას

მომავლის ლანდი!..

17. 03. 84.

სოხუმი



\* \* \*

აღუბლის რტოებს კვლავ მაისის ნიაფი არხეფს,  
მზე ზღვის ქვიშაზე აღტაცებით

ო, ისევე წვეება!..

ჩემს ხსოვნას მარად შემორჩება ეგ შენი სახე,  
რომელსაც დღემდე

ვერაფერი დააკლეს წლებმა!

მზე გაზათხულის მინდვრის ფერებს საკმევებს უკმევს!..

და ლურჯ ფერდობზე კვლავ ჩამორბის

წყარო ანკარა...

ყოფნა-არყოფნის გამოუცნობ საზღვარზე უკვე,

ირხევა მძაფრად ჩემი გულის

თეთრი ქანქარა!..

14. 05. 84.

ბანძა





**მე ჩემი ლურჯი ცა მახურავს!**

მე ჩემი ლურჯი ცა მახურავს, ვცახცახებ  
სიცოცხლის ტკივილით!..

თუ ქარი ამაგლეჯს სახურავს,  
სამყაროს მისწვდება კივილი!..  
დაწეწილ იალქნებს ვადარე ეს სული  
ბრძოლებით დაღლილი!

მე შენი თვალები გადამრევს,  
რომ ელაგს მაისის ბაღივით!..  
ამ ველობს ყვაფილით მოფენილს მე ჩუმი  
ცრემლებით ვასველებ!..

უქაროდ რა არის სოფელი,  
ის მხოლოდ მიწაა ნასენი!  
მე შენი სახელი ვახსენე ო, ცისკრის სხივებით ნაფერი!  
ზეცა ღუმს და ველარ ავხსენი,  
ჭრილობას ჩრდილს რატომ აფენენ!  
ქარს მიაქვს ღრუბლების ნაფოტი და გალობს  
ჩიტუნა სამოთხის!..

მე ისევ შენს სახელს ვაბოდებ  
და სულში ასი მზე ამოდის!..  
მე ჩემი ლურჯი ცა მახურავს, ვცახცახებ  
სიცოცხლის ტკივილით!..

თუ ქარი ამაგლეჯს სახურავს,  
სამყაროს მისწვდება ტკივილი!..

19. 06. 84.

სოსუმი

**თურმე მეშობან ღრონი!**

მე იმედს დაფუძეგობრდი, მაძლევეს ფერსა და ხალისს!

მე იმედს დაფუძეგობრდი,

მზის ამონთებას ხვალის!..

მე იმედს დაფუძეგობრდი, ვით გულს მეგობარ ქალის!

მე იმედს დაფუძეგობრდი,

მესმის ხიფილი ქარის!..

მე იმედს დაფუძეგობრდი, თვალი რამდენი მიმზერს!..

მე არ ვშორდები იმ გზას!..

მე არ ვშორდები იმ მზეს!..

მე იმედს დაფუძეგობრდი, არ შემიცვლია როლი! —

არა მეფენი მეფობენ,

თურმე მეფობენ ღრონი!..

მიღის მდინარე ხმაურით, არ ვიცე, სანამ ივლის!

მესმის ყვირილი ხევში

გადაჩხილი ირმის!..

მე იმედს დაფუძეგობრდი, დრო რეკავს მძათურად ზარებს!

მე იმედს დაფუძეგობრდი

და გაზაფხულის ქარებს!..

07. 09. 84.

ბანძა





## მე ვხედავ!

ღექსებში მე შენი ხსენებაც არ მინდა  
და უღრან ღამეებს

გაჰყევი უკვალოდ!..

მე ვხედავ, საოცრად იცვლება ამინდი  
და მღვრიე ეპოქის

ბობოქრობს ვულკანი!..

შეხედე, ეს რა კუდს მიათრევს კომეტა  
და ღელვა შორეულ

ცდომილებს მოედო!..

შეხედე, მსოფლიოს სისხლიან მოედანს,  
რას დგახარ! რას უცდი!

იყვირე პოეტო!

16. 09. 84.

სოხუმი



## ვაყრა ქნარი ეოლის!

ის არ იყო ზირშავი, არც არავის მტერი,  
 ის არ იყო მშიშარა,

არც ჟამთა სვლის მტერი!

ეპყრა ქნარი ეოლის, მზეც რამდენი სურდა!..

სძულდა ქამელონი,

რომ ფერს იცვლის მუდამ!..

გრძნობდა იყო შიშველი, აქლერებდა ლირას,

მზესთან ჰქონდა კავშირი,

მთის მწვერვალზე ბინა.

იყო დაუდეგარი, ტეხდა ჟამის ყამირს,

არც ჯავშანი ეფარა

და არც ფარი ტყავის!

განვლო წუთისოფელი, ძვლებს უმტვრევდა სეტყვა!..

ხან გრიგალი მისდევდა,

ხან გრიგალებს სდევდა!..

02. 10. 85.

სოხუმი







## ღამობა ღროსთან, სივრცესთან

თავისით მიედინება, ღმერთს არ სჭირდება ფაბულა,  
სული კივილით აწყდება

და ხეთქავს ჟამის საბურავს!

რამდენჯერ გადამილახავს ჯებირი უიმედობის,

ბევრჯერ ვიტკინე მუხლები,

ბევრჯერ დავცურდი ფერღობზე...

ტვირთს მაინც ვეზიდებოდი, ო, როგორც ხარი ნიკორა!

ჩემი ცხოვრების ბორბალმა

ქვეყნად რამდენი იგორა!..

მედგა მამულის უღელი, მისი ვალეები მემარტა!

სულს კი სინათლის ნაკადი

გზადავსა შემოვამატა...

წინ ვისწრაფოდი... და ჟამი თუმც ბევრჯერ ჰგავდა ნეგატივს!

ღროსთან, სივრცესთან დაობდა

ჩემი ცისფერი ფრეგატი!..

და მომავალშიც იდავებს, არა აქვს შიში ქარების,

შიგ ფეთქავს ჩემი ცხოვრება,

შიგ რეკავს ღროის ზარები!

22. 11. 84.

ბანძა



\* \* \*

ჩემი ეზო თოვლით დაბურულა,  
არსად არ ჩანს ნაკვალევი კაცის!  
ქამი მიცქერს, როგორც თოფის ლულა  
და დარაჯად დუმილი  
დგას მკაცრი!..  
გული მტკივა და კოდილი ისრით  
და ერთბაშად დამწყდა ყველა ძარღვი!  
არც ჩიტების ჟრიაში იშვის  
და არც ყეფა  
მონადირე ძაღლის!..

24. 12. 85.

ბანძა





**ო, ამ სახლს ჰქონდა ჟამი გმობის!**

ამ სახლში იდგა შუქი უღრევი  
და აღტაცების ცა გუგუნებდა!..  
წასულან ო, ის გაზაფხულები  
და ებრძვის ახლა  
ღამის უკუნეთს!..  
ღღეს განშორების ზღვართან მისულა  
და მწუხარების იდგამს ობელისკს!..  
ცა შემოდგომის გადანისლულა  
და ებრძვის  
ჟამი დაუნდობელი!..  
ამ სახლში აღრე იყო ვარდობა  
და სიყვარულის ჩუმი თოვება...  
ღღეს წარსულისთვის ამბობს მადლობას,  
ხვალ არაფერი  
მოეთხოვება!  
ეს სახლი იდგა, როგორც ზღაპარი,  
ბაღში ჩიტების იყო გალობა...  
ღღეს კი გამხდარა მიუსაფარი,  
დანებდა ბედის  
გარდუვალობას!..  
ო, ამ სახლს ჰქონდა ჟამი ზეობის,  
ახლა დაისის შუქი აღნება...  
ნუთუ გაურბის მოვალეობას  
და საოცარი  
ქრება ხატება?!  
ამ სახლში იდგა შუქი უღრევი

და აღტაცების ცა გუგუნებდა!..  
წასულან ო, ის გაზაფხულები  
და ებრძვის ახლა  
ღამის უკუნეთს!..

07. 05. 86.  
ბანძა





### რატომ ბაქრა?

ო, იმ დღეთა მოგონება ისევ რეკავს ზარებს  
და წარსულის შემოხედვა

ტკივილს მოაზღვავენს!..

ვის დაეძებ, სულო მითხარ! იქნებ გაკრთობს რამე?

რატომ გაქრა ასე უცებ, —

ის ცა მოკამკამე?!

მთვარე ცურავს ღრუბლის ზღვაში,

ბილიკს ველარ ირჩევს,

მოგონება ო, იმ დღეთა,

კვლავ ტკივილებს მიჩენს!..

14. 06. 86.

სოხუმი



**შემოჰპარვიათ სევდა**

შეხედე, მერცხლებს უჩუმრად მავთულებზე რომ სხედან,  
უეცრად შემოდგომური

შემოჰპარვიათ სევდა!..

არ ქრიან, არ ჭიკჭიკებენ ო, იმ საოცარ ხმაზე!

ჟამი მიდის და მინდორზე

შლის ლაყვარლოვან ხაზებს!..

მზეც უხმოდ გადაინახრა, ვერ არხევს სხივებს ლალად

და სიმსურვალე უცხრება,

მღერის თავისთვის ღალდა...

შეხედე, მერცხლებს უჩუმრად, მავთულებზე რომ სხედან,

უეცრად შემოდგომური

შემოჰპარვიათ სევდა!..

16. 07. 86.

ბანძა





### ნახვამდის!..

ნახვამდის, კომეტავ ჰალეის! შენ აღარ მოსულხარ  
რისხვით და მუქარით!

იხილე პლანეტა ჭრილობით მრავალით,  
დაღლილი ტკივილით,  
ო, მაგრამ უქაროდ!..

ნახვამდის, კომეტავ ჰალეის! ვერ გასძელ უჩვენოდ  
კვლავ მოგვინახულე,

შენ გზები უფრცესი ტრიუმფით გალიე,  
ქროლვით და გუგუნით  
რა გზები დახურე!..

კვლავ წელი სამოცდათექვსმეტი გაირბენს,

მუქსავსე ტკივილით

კვლავ დაგვიბრუნდება,

სიცრცეებს შორეულს ფენტაქვეშ გაიფენ,  
სიმღერით აავსებ  
ყანებს და სათიბებს...  
და მოხვალ გრძნეული! არ გიყვარს პატიჟი,

მე ველარ დაგხვდება

ღიმილით ნატიფით,

ო, მაგრამ დაგხვდება შენ ჩემი ბადიში!..

ნახვამდის, კომეტავ ჰალეის!.. შენ ოქროს გვირგვინით კვლავ  
სულში მინთიხარ,

ეგ შენი თეთრონი, ო, როგორ ძალია!

ცის, ლაღო ასულო,  
მიქრინხარ საითკენ?!  
შეჩერდი ცოტა ხნით,  
ნუთუ არ გცაღია?!

23. 07. 86.  
სოხუმი





**გულს რად მტკენდა?!**

ცამ საყელო გადაიხსნა მაღალი  
და ვარსკვლავთა კრთომით მომეფერა!  
ცაზე მთვარე მიცურავდა ახალი  
და ჩემს ბალებს  
სიომ დაუბერა...  
რატომ მოსწყდა თვალებს ცრემლი ობოლი?  
სულს მიმღვრევედა სევდა უდასაბამო!..  
მარტოდმარტოს ზღვის პირს მოხეტიალეს,  
გულს რად მტკენდა  
საოცარი საღამო?!

12. 08. 86.

სოხუმი



ბაჟრინლა ჟამის აჩრდილი

ჩემი ცხოვრების დღეები მოგონებებმა დაჩრდილა,  
 წაფიდა ჩემი ზაფხული,  
 გაფრინდა ჟამის აჩრდილი!  
 და შემოდგომის ფოთლები მხრებზე ტაატით მაცვიფა...  
 აჰა, საცაა, მოდგება ზამთრის  
 თოვლი და ქარ-წვიმა!  
 ხმება მინდორზე ბალახი და მზე უცქერის უგულოდ  
 და კაფე-თესეს შორიდან  
 აღარ იძახის გუგულო!  
 ნაღველი გამიათკეცდა, ვინლა დამითვლის იარებს?!  
 სადაც ყაყაჩო ღელავდა, —  
 ხმელი ფოთლები შრიალებს...  
 არ ღელავს ჩემი ბინული, არც მზე ეძლევა განცხრომას!  
 ვერ უძლებს სული ღროის და  
 ამ სივრცის გაუმადლობას!  
 არ ვიცი, საით მივდივარ! ხელში მიჭრება სანთელი,  
 მაინც სიმაღლეს დავეძებ  
 დაღლილი, ღამენათვეი!  
 ჩემი ცხოვრების დღეები მოგონებებმა დაჩრდილა,  
 წაფიდა ჩემი ზაფხული,  
 გაფრინდა ჟამის აჩრდილი!

19. 10. 86.

ბანძა





**ხსოვნამ მაინც ვეღარ მონიშნორა!**

შენი სული სხვა ფერებში ცურავს და ირწევვა  
ყვაფილების ტბორი...  
გახსენება არ მინდოდა სულაც,  
იმ დღეების უჩვეულოდ შორის!..  
ხსოვნამ მაინც ვეღარ მონიშნორა, ქარი არხევს  
მოგონების ფოთოლს!..  
შენ მოდიხარ და მიკითხავ მორაღს,  
თითქოს ახლაც ბავშვი ვიყო თოთო!  
ქამის ზვირთი მოაწყდება ხმელეთს და საცაა  
გახდის კიდევ მელოტს!  
სულო, ზეცის აღაფლინე ხოტბა,  
რომ ატმის რტო აღარ გადიბელოს!  
ლოურჯი კაბა გაუხდია ველობს და ნელდება  
აღტაცების ჩქერი,  
მზეო, შორით იქნებ მომეშველო,  
არ დამიჭენო ყვაფილები ვეილს!  
შენი სული სხვა ფერებში ცურავს და ირწევვა  
ყვაფილების ტბორი...  
გახსენება არ მინდოდა სულაც  
იმ დღეების უჩვეულოდ შორის!..

12. 10. 86.

სოხუმი



\* \* \*

ის სულ ჩემად ლოცულობს, ეს  
რამდენი ხანია!..

ცოდვა ბნელით მოცული  
ველარ მოინანია!..

უკვე თოვლი მოსულა, სადღაც შორს  
მზის ალია!..

მან კი ისევ ილოცა,  
მერე სული დალია!.

15. 01. 87.

სოხუმი



**იქ ყველაფერი ბალობს!..**

ახლა შორიდან ვუცქერ იმ დღეთა სილამაზეს!..  
ვინ არხევს ჟამის ფურცელს  
                                ცისკრის სხივებით სავსეს!..  
იმ ძველ სურათებს გავშლი და გაზაფხული დელავს!..  
ვეძებ აწმყოსთან კავშირს,  
მაგრამ ამაოდ, ლელა!  
იქ ყველაფერი გალობს და ახელს თვალებს ცისფერს!..  
ჩუმაღ ჩურჩულებს წყარო,  
                                გული მიცურავს ცისკენ!..  
მზე ფეთქავს ცაზე უხმოდ და არღვევს მიწის დუმილს  
და სულის შრიალით უხმობს  
იმ დღეთა აბრეშუმი!..  
ახლა შორიდან ვუცქერ იმ დღეთა სილამაზეს!  
ირხევა ჟამის ფურცელი  
                                ცისკრის სხივებით სავსე!..

22. 06. 87.

ბანბა



გალობლა რტოზე სისუერი ჩიტი

მე დავიბადე მაისის ჩვიდმეტს,  
როცა მზე უხვად

ათოვდა ბაღებს...

რტოზე ცისფერი გალობდა ჩიტი,  
მღეროდა ჩემი

ეზო და სახლი!..

მზე აღმავალი მოადგა სარკმელს,  
ისმოდა ლალი

ნადური სოფლის!..

და მამამ თურმე მოსწია სასხლეტს,  
შეეხმინა ძეობას თოფით!

ბიძამ ჭერს ღვინო შეასხა ყანწით  
და ქვეყნის გამჩენს

მადლობა უთხრა!

გზა დამილოცეს მომავლის ყმაწვილს,  
მოჭქონდა ნიაფს

ვარდების სუნთქვა...

აბოლდა თურმე კერაზე მწვადი,  
სახელდახელოდ

გამართეს სუფრა.

გამოჩნდა კართან ბაბუას ლანდი,  
ბებიამ უფალს

მადლობა უთხრა!

დედას თვალებზე მოადგა ცრემლი,  
ის სხივი ახლაც

ჩემს სულში ფეთქავს!..



და აჭიხვინდა ქურანა ცხენი,  
მღეროდა თურმე  
ადგილის დედა!..  
მე დავიბადე მაისის ჩვიდმეტს,  
როცა მზე უხვად  
ათოვდა ბაღებს...  
რტოზე ცისფერი გალობდა ჩიტი,  
მღეროდა ჩემი  
ეზო და სახლი!

27.06.84.

ბანძა



კიდევ რაღაცა დარჩა!..

მანსოვს, აქ იყო წინათ ის გაუფალი ტევრი,  
მოხანს ალგების მწკრივი,  
ქარი ეღება სტვენით!..

უნძოდ აყოლებ მზერას და მოგონება გტანჯავს,  
მაგრამ ვიღაცას ელი,  
კიდევ რაღაცა დარჩა!..

21. 07. 87.

ბანძა







**წუთისოფლის სიზმარია ისიც!**

არხეგს სიო ყვავეილების ტალღას, ეს მამალი რა  
უდროოდ ყივის?

ვარს კვლავები საუბრობენ მალლა  
და ისინიც ვერ მალავენ ტკივილს!..

მოჩანს სივრცის მოხასხასე ჭერი და მალლობზე  
მიიღბევა ნისლი...

მე ბავშვობა მახსენდება ჩემი,  
წუთისოფლის სიზმარია ისიც!..

კვლავ შემეხსნა ჭრილობების წყება და მინდორ-ველს მთვარე  
აფენს ხავერდს...

ახლა ზღვაც დუმს და სიჩუმე წვეება  
და ირხევა ვერცხლისფერი ღამე...

28. 07. 87.

სოხუმი



მაინც შენთან ვარ

ვეძებ და ველარ ვიპოვე განძი, წრიალებს ფიქრი  
დაღლილი ძებნით!..

რა სწრაფად თარავს

სული იმ მანძილს,

რომ იზომება სინათლის წლებით!..

არა აქვს კაცის სურვილებს ზომა და სული რწმენის

სხივებით ფეთქავს!..

შორეულ გზაზე მიფეხები ხომალდს

და ანძა სიფრცეს

მიაბობს მედგრად!..

მე სულაც ბედის მორჩილი არ ვარ, შორს მოვიტოვე

სიმშვიდის ჩერო!..

ცხოვრებამ ბევრჯერ

გამომღო სარმა,

მაინც შენთან ვარ, ძვირფასო ჩემო!..

ბოლომდე შენი ერთგული ვრჩები, თუმცა შორეულ

ბილიკზე მიფქრი...

მე შენთანა ვარ, ძვირფასო ჩემო,

ჩემი ტკივილით, ღელვით და ფიქრით!..

ვეძებ და ველარ ვიპოვე განძი, წრიალებს ფიქრი

დაღლილი ძებნით!..

რა სწრაფად თარავს

სული იმ მანძილს,

რომ იზომება სინათლის წლებით!..

31. 07. 87.

ბანძა

ეს რა ღელვაა მეღება!

მესმის ხმა უფერული, თვალს სილურჯე უშრება!  
მოდის ურჩი ღრუბელი

და სულს ეხამუშება!..

ეს რა ღელვაა მეღება, სივრცე კარგავს სიალეს!  
კრთომა ცრემლის წვეთების,  
კვლავ მიღრმავებს იარებს!..

მინდორს ფერი ეცვალა, ტყეს ხასხასა ხავერდი,  
ო, რამდენი ეწვალა, —

ბოლოს მაინც დაბერდა!

იმ გზას მაინც ეწია, რომელიც არ უნდოდა!

აფრა ფრთადაწეწილი,  
შორს ირხევა ბუნდოვნად!..

მესმის ხმა უფერული, თვალს სილურჯე უშრება!  
მოდის ურჩი ღრუბელი

და სულს ეხამუშება!

11. 08. 87.

სოხუმი



სადა ხარ, მხარევე ივერთა?!

რად გარინდულან ეს მთები, ან რისი  
მოლოდინი აქვთ?!

ო, სული ღელავით მენტება,  
არ ჩანს ვაჟა და ილია!  
დედა ქართველისა სად არის, არც ღელაა  
და კვირია!

სად ვხოვოთ მათი ბადალი,  
არ ჩანს ვაჟა და ილია!  
და ვცოცხლობ მაინც იმედით და გავცქერ  
ზეცას ლილიანს!..

სადა ხარ, მხარევე ივერთა,  
არ ჩანს ვაჟა და ილია!

16. 08. 87.

სოსუმი





\* \* \*

კვლავ ვლელავ მე შენს წინაშე, ოცნების რტო ვერ აყვავდა  
ცხოვრების ორომტრიალში,

უეცრად შემომალამდა!..

ველარ გავკაფე საფალი, ვერც ის ვარსკვლავი ვიხილე,  
სადღაც თეთრონი ჭინვინებს  
და კივის ქარი ტრამალის!..

19. 08. 87.

ბანძა



რას ბახსენებდა?!

ღის ხსოვნას!

ბინდი არხევდა კალთას... სული შეშფოთდა ერთობ!  
 იდექ სიკვდილის კართან,  
 გზა შორეული გედო!..  
 შენ შუბლი გქონდა ცხელი, ჰგავდა მხურვალე ლითონს!  
 იყო ფიფქების ცვენა...  
 სხვა არაფერი თითქოს!  
 სახე მიაღე მინას, ვილაც გეძახდა გარეთ!..  
 იყო ცისფერი ბინა,  
 თოვლი ათრობდა თვალებს!..  
 კრთოდა ალვის ხე ჩუმი, მდგარი სარკმელთან კენტად  
 და თოვლის აბრეშუმი  
 რას განსენებდა ნეტავ?!

26. 10. 87.

სოხუმი





### გაგაბაძანე ღაპიწყების ქარებს

ჩემს ბებერ მთებს მოხვევია ნისლი  
და ისევ თოვს უსაშველოდ გარეთ,  
რაც არ იყო მანსოფრობის ღირსი,  
გაგაბაძანე ღაპიწყების ქარებს!..  
ველოდები გაზაფხულის ნიაფს  
და მზის შუქზე აფეთქებას ტოტის!..  
ამ მღინარეს ჩემი სევდა მიაქვს,  
როგორც მთიდან დაშვებული ლოდი!..  
არ იქნება ღაპიწყებას მივცე,  
რაც ესოდენ მახარებს და მიყვარს!  
და ჩემსავით აცახცახებს სიფრცეს,  
რომ ღილაკს არ დააჭიროს ბრიყვმა!  
ჩემს ბებერ მთებს მოხვევია ნისლი  
და ისევ თოვს უსაშველოდ გარეთ,  
რაც არ იყო მანსოფრობის ღირსი,  
გაგაბაძანე ღაპიწყების ქარებს!..

07. 01. 88.

სოსუმი



**ვეთხოვები იმ შორეულ ზღაპარს!**

ეს დღეები კვლავ მიქრიან სწრაფად  
და ვერ ვასწრებ მე შევლებას თვალის!  
ვეთხოვები იმ შორეულ ზღაპარს,  
ვით სინაზეს  
ულამაზეს ქალის!..  
ნისლი მოსაგეს შელამების ველებს,  
გავცქერ ცაზე მთვარის ცისფერ პროფილს,  
აღბათ, ვინმე მომიგონებს მერე,  
რომ ჩაფივლი  
ბილიკს წუთისოფლის!..

17. 01. 88.

სოხუმი







მოდის კივილით!..

ბევრჯერ გაბზარა გული ტკივილმა, არ შეეშრობია  
ცრემლი თვალებზე!

სხვა საუკუნე მოდის კივილით  
და ჩემს ჭრილობას აუარესებს!..  
რამ დამავიწყოს შენი ხელები და შეღამების  
თოვლის პირბადე,

კვლავ ის დღეები მესახელება,  
რომელსაც ყრმობის  
სუნთქვა მიგანდე!..

მანსოვს ბალები თოვლით მოსილი, მე ისევ ხელებს  
შენსკენ გავიშვერ,

შეხედე, ეს რა ღელვა მოსულა  
და მირბევს მძაფრად  
სულის კლავიშებს!..

ბევრჯერ გაბზარა გული ტკივილმა, არ შეეშრობია  
ცრემლი თვალებზე!

სხვა საუკუნე მოდის კივილით  
და ჩემს ჭრილობას აუარესებს!..

04. 02. 88.

სოხუმი



**გული მწყობა!**

მე ვიხსენებ იმ ღამეს უჩვეულო ზმანებით!..  
 ვტოვებ ფერმკრთალ ბილიკებს,  
 წარსულს დავემგზავრები!..  
 წუთით ველარ ვივიწყებ აფრებს ზღვაზე გაშლილებს,  
 გული იქით მიმიწევს,  
 დელფა აღარ მაშინებს!  
 ჟამმა გამინაპირა, მთვარეც აღარ მილიმის!  
 მალე მოვა აპრილი,  
 აფეთქდება ღიღილო!..  
 ის დღეები გაფრინდნენ... გაპყვნენ სივრცის  
 აღმართებს...

სული სევდით მოცული,  
 ვერ იქნა, ვერ აგანთე!  
 მე ვიხსენებ იმ ღამეს უჩვეულო ზმანებით!..  
 ვტოვებ ფერმკრთალ ბილიკებს,  
 წარსულს დავემგზავრები!..

05. 02. 88.

სოსუმი





## ნაძვის ხე

მოვრთე ცასავით ზღაპრულად, შეხედე,  
როგორ იფერებს?!

ოქროს გვირგვინიც დავადგი,  
გაღამავიწყდა სიბერე!

სიცოცხლე გამიზაფხულა, რაც  
აღტაცებად შეყოფა!

მერე რამდენი ვეფერე  
ჩემი ბავშვობის მეგობარს!..

06. 02. 88.

მოსკოვი



ბებერი ლომი

ის ჩამოსცილდა სხვა ლომებს, იგრძნო სიბერე როცა!  
 დატოვა თავის სალომე,  
                                   არ ამჯობინა მოცდა!..  
 მისდევდა უკან სიკვდილი, საოცრად გრძნობდა ამას!  
 წავიდა ის ფერმინდილი,  
 გასცილდა ხედვის სამანს...  
 ქროდა მრისხანე არაფი... არხევდა მთვარე ფარანს...  
 დატოვა თავის კარაფი  
                                   და თვალებს მიეფარა...

არ უთხოვია ნუგეში, არ მისცემია კრთომას!  
 ასე დამალა ჯუნგლებში  
 თავის სამარა ლომმა!..

09. 02. 88.  
 მოსკოვი



კვლავ უსნაურად ვღელავ!

ჭადრის ხეების წყება, თოვლის ფიფქების ჩქამი,  
როგორ მიდიან წლები

და ის აჩრდილი სამი!..

ღუმიღს კვლავ ამხსვრევს ღელე, ისევ ხმაურობს წყალი,  
ო, ეს ზამთარიც წავა,

რა უცნაურად ვღელავ!..

ფრთებს შლის სიცოცხლე ისევ — ზღუდე დალაშქროს ყველა!

ჟამს აგრძნობინოს ძალა,

სიერცეს უსაზღვრო ღელავა!..

12. 02. 88.

სოხუმი



აქვს საოცარი ძალა!

დაუთოვია ბაღია და ის მინდორი ჭრელი,  
 ის ნაკვალევიც არ ჩანს,  
 არც ის ცისფერი ჭერი!  
 ვინ მადვრის ამდენ ფანტელს და რად მახსენებს  
 იმ დროს?

ცა არხევს თოვლის ფიფქებს  
 და ალამაზებს მინდორს!..  
 სადღაც ჩიტუნა წივის და გულს ტკივილით ბზარავს!  
 ამ მოგონებებს, კარგო,  
 აქვს საოცარი ძალა!

დაუთოვია ბაღია და ის მინდორი ჭრელი,  
 ის ნაკვალევიც არ ჩანს,  
 არც ის ცისფერი ჭერი!

01.03. 88.

სოხუმი





**ცას შერჩა შენი თვალებიშ შერი!**

თვალცრემლიანი გავცქერი წარსულს და იმ შორეულ  
საოცარ ბილიკს!..

მე განშორება არა და არ მსურს  
და მოდის ისევ  
დინება თბილი!..  
მე ბედი ახლაც მათებს შენი და წუთისოფლის  
მინდორი ჭრელი!..

ბალახებს ისევ ჩამოსდით ცრემლი  
და ცვივა უხმოდ  
ყვავილი ჭერამს...  
ვემშვიდობები საწუთროს ნიავს და გული ო, რა  
საოცრად მეწვის!..

მდინარეს ლურჯი  
ფოთოლი მიაქვს,  
ქარს კიდევ — ვაზის  
წითელი ლერწი!..

ზღვა დღესაც ისევ ბობოქრობს მღვრიე  
და იალქნების ხმაურობს წყება!..  
ცას შერჩა შენი  
თვალების ფერი,  
ვით შემოდგომის დაღლილი წყარო!..

03. 03. 88.

სოხუმი



**შენს სახეს ვხედავ!**

*20 წლის ჭაბუკმა შოთა გამკემლოძემ  
კრიზისულ სიტუაციაში მიიღო ვაჟკაცური  
გადაწყვეტილება და გასაოცარი გმირობა  
ჩაიდინა.*

შენს სურათს დავცქერ და ძარღვებში ტკივილი რეკავს!..  
შენს სახეს ვხედავ, ცეცხლმოდებულ  
ბილიკზე მიქრის!..

ამ შეშარბებას მე არ ვიცი რა უნდა ერქვას?!  
რომ უკვდავების გზა გაკაფე  
ვარსკვლავებს იქით!..

შენს სურათს დავცქერ, მაგ თვალებში რა ცეცხლი ფეთქავს!..  
და ბრძოლის ველზე შემზარავი  
გზგვინვაა ირგვლივ!..

შენ დაუთალხე გაზაფხულის მანდილი დედას,  
მაგრამ ვარსკვლავად შეემატე  
მამულის გვირგვინს!..

05. 03. 88.

სოხუმი







## შორს გამიფრინდა

მივდივარ ჟამით განაოცები, მზემ გაზაფხულის  
ისევ ინათა!..

შორს გამიფრინდა ჩიტო ოცნების  
და ლაქვარდებში გაუჩინარდა!..  
შენთან შეხვედრა ისევ მომინდა, სულმა ბავშვობა  
ისევ ინატრა!..

ნუთუ სიბერის ჟამი მოვიდა? —  
ისევ მოვდივარ იმ ძველ ჩინართან!

22. 05. 88.

ბანძა



ის ზღაპარი მიაგბე

სულო, აღარ მობერდე, თუმც ტკივილი გხანძრავს,  
სივრცეს დაუშეგობრდი

და მზეების ცახცახს!..

სულო, აღარ მობერდე, არ დაგეტყოს მოღლა!

ღამეს ფრთები მოჰკვეთე

და ჩაიკალ ბოღმა!..

ქარი ღრუბლებს მიაჩლვევს, სივრცეს ფრთებით ზომავს,  
ის ზღაპარი მიაგბე,

რომ შეემთხვა ხომალდს!..

როგორ გაუჩინარდა იმ შორეულ გზაზე,

მერე როგორ ინათა

ვარსკვლავებით სავსემ!..

სულო, აღარ მობერდე, თუმც ტკივილი გხანძრავს,

სივრცეს დაუშეგობრდი

და მზეების ცახცახს!..

02. 07. 88.





## ნიმუა

მერცხლებისგან ცა რომ გაიკრიტა  
და მოედო სევდა მთებს და მინდვრებს...  
მოყვითალო ბალახს ქარი თიბავს,  
მეც ამ ტკივილს  
ველარ განვეერიდე!..  
წყაროს პირას თამაშობდა ნიმუა...  
და რომ იგრძნო შექმნის ხრდილი...  
მერცხლებისგან ცა რომ გაიკრიტა,  
ატირდა და ტყისკენ  
გაჰყვა ბილიკს...

14. 09. 88.

სოხუმი



\* \* \*

ქუჩაში ხმაური მინელდა, სიჩუმე მოედო სანახებს,  
 არ ისმის ფოთლების შრიალი,  
 არც ჩუმი ჩურჩული ბალახის!  
 ქუჩაში ხმაური მინელდა, ათასი ფარსკვლავი ციმციმებს...  
 ქუჩაში ხმაური მინელდა  
 და მე ვგრძნობ უცნაურ სიმძიმეს!  
 კვლავ ვდგავარ სარკმელთან ეულად, კედელთან წიკწიკებს საათი,  
 ქუჩაში ხმაური მინელდა  
 და მთვარე ხეივნებს ანათებს...  
 ცა გახდა საოცრად ბრჭყვიალა! დრო მიდის და რატომ ვლონდები?  
 არ ვიცი, ვინ მიახლოვდება,  
 არ ვიცი, ვის ვუახლოვდები...

24. 10. 88.

სოსუმი





\* \* \*

მზე ჩადის... ღელავით გადაღლილი სამყაროს მგზავრი  
და ჩვენ გვიტოვებს

დაბრუნების სევდიან იმედს!

ზღვის ფსკერიდან კი ნიჟარები რეკავენ ზარებს,  
შორს, კი აცურდნენ

მეწამული ღრუბლები მძიმედ...

ისევ ქანაობს იისფერი ბინდები ხშირი

და შეტკივილთან

მარტოდმარტო, პირისპირ ვრჩები...

მთებიდან ვისმენ ხარირმების ნაღვლიან ყვირილს

და ეხლებიან გამუდმებით

ტალღები ჯვებირს...

27. 10. 88.

სოსუმი



\* \* \*

იყო საღამო, ცის ხავერდზე შუქი ქრებოდა  
და მზის ფერები გადნებოდა  
ცისფერ თვალეზზე!..

მხოლოდ ღამაზი მოგონებით იცრემლებოდი,  
მხოლოდ ბავშვობის  
მოგონებებს მიუაღერსე!..

მზე ჩადიოდა ზღვის სივრცეში სვენებ-სვენებით  
და შენს სარკმელთან  
აღვა ისევ იდგა მღუმარი!..

იზმორებოდა შელამების ღანდი ვეება  
და სიშორიდან გეძახოდა  
ხმა იღუმალი!..

08. 11. 88.

სოხუმი





\* \* \*

გაზაფხულის მოსვლას მინდა დაველოდო,  
მზის ცეცხლი რომ

ოქროსფერად შეირხევა!

ვერ გავიგე, ეს მთის მწვერვალს მოსწყდა ლოდი,  
თუ ზვირთების უთავბოლო  
ისმის მსხვერვეა?

ვერ გავიგე, ვინ აბრუნებს ჟამის ბორბალს,  
ან სოფელი ბინდში

რატომ იძირება?

გაზაფხულზე ბაგე თრთოლვით გაიპობა  
და მზის ჩასვლა

ჰგავს დედოფლის მიძინებას!..

ქარი ფეთქავს, ისევ ზღვიდან მონაბერი  
და ზვირთებზე

ხომალდით ჟამი დგება!..

ცრემლი მოგწყდა? — გულო, ღელვა შეიფერე,  
ჰა, საცაა, გაზაფხული  
მოგადგება!..

15. 02. 89.

სოხუმი









### მომეახლე დღეო!..

მე არ ვიცი, ვის მივენდო სულით?!  
ვერ გავუქეც მარტოობის ნაპირს!..  
გულს აჩნია იმ წამების წყლული,  
რომ ცხოვრება მაწყდებოდა ხატით!  
ის ლერწები ამიკაფეს დანით,  
რომ ფეთქავდა სიყვარულის ფერით!..  
იქ ირბევა თოვლისფერი ტანი,  
სად ფერია გაზატყულის მღერის!..  
შუქის რხევით, მომეახლე დღეო!..  
თორემ სულმა ვერსად დაივანა!  
ირგვლივ ისევ ბოროტება ღრეობს,  
გულს გაგინეგს უსახურის დანა!  
მე არ ვიცი, ვის მივენდო სულით?!  
ვერ გავუქეც მარტოობის ნაპირს!..  
გულს აჩნია იმ წამების წყლული,  
რომ ცხოვრება მაწყდებოდა ხატით!

12. 04. 89.

ბანძა







## მოდის გამთარბი

*საქართველოს სახ. არტისტ  
ლეო ჭედიათს ხსოვნას.*

შენი ღიმილი ღღეს ვერ ათბობს სოხუმის ქუჩებს,  
მოდის ზამთარი, ცის თაფანზე

მზე ველარ მზეობს!

იმ ღღეთა ხსოვნამ კვლავ მოზიდა ტკივილი ურჩი,  
ო, როგორ ხაქრა შენი ცეცხლი,  
ბატონო ლეო!

კითხულობ გრანელს და სხეული გეგსება ცრემლით!..  
კითხულობ გრანელს,

თვალწინ გიდგას რაინდი სევდის!..

გული ყვირის და იღუპება ზვირთების ცემით  
და სული სივრცის გამოუცნობ  
სიღრმეში შედის!..

დარეკა ზარმა, მწუხარების დარეკა ზარმა  
და განშორების

მოახლოვდა ტკივილი მკაცრი!..

ო, ის ცეცხლი და ჟრუანტელი გაპფანტა ქარმა,  
შენ სცენისათვის გაჩენილი

იყავი კაცი!..

შენი ღიმილი ღღეს ვერ ათბობს ქალაქის ქუჩებს,  
მოდის ზამთარი, ცის თაფანზე

მზე ველარ მზეობს!

იმ ღღეთა ხსოვნამ კვლავ მოზიდა ტკივილი ურჩი,  
ო, როგორ ხაქრა შენი ცეცხლი,  
ბატონო ლეო!

17. 07. 89. სოხუმი

**მოგონება ღამელის!**

ო, მაგ თვალებს გადაეკრა ლიბრი  
და შეწყვიტა უჩვეულო კრთომა!  
ნაზი იყავ, როგორც ტოტი იფნის  
და გიყვარდა  
შეღამების თოვლი!..  
ისევ ვდგავარ იმ კარებთან ბაღის,  
თუშცა ვიცი, ვერასოდეს მოხვალ!  
ო, მე შენზე მოგონება დამღლის  
და სულს ბევრჯერ  
აღმონდება ოხვრა!..

19. 07. 89.

ბანძა



**შენგან მე რას წავიღებ!**

ვერაფერი გავიგე წუთისოფლის ზმანების!  
შენგან მე რას წავიღებ, —  
სევდას მწუხრის ზარების!..  
მე სიმღერას მივინდე ზეცის მცირე ნახევრი,  
მაინც მრჩება იმედი,  
ვიცი დამენახვები!..  
შენთან ღამეს გავათევ, იყოს ჟღერა სიმების,  
ერთხელ კიდევ დამათვრე  
გაზაფხულის წვიმებით!..  
ერთხელ კიდევ მასხურე შუქი აყვავილების,  
სად ხარ, მთვარის ასულო,  
უკვე დარდით ვილევნი!..  
ვერაფერი გავიგე წუთისოფლის ზმანების!  
შენგან მე რას წავიღებ, —  
სევდას მწუხრის ზარების!..

30. 07. 89.

სოხუმი







შენი ლანდი

მაცლილებდი სოფლის შარავზაზე  
 და გირხვედა სიო ცისფერ მანდილს...  
 გაფრენილა იმ დღის სილამაზე  
 და ცრემლები მწუხარების დამდის!..  
 ჩემს ნაღვლიან ნამოსახლარს გხედავ,  
 ხსოვნა დღემდე შევინახე წრფელი!..  
 შენი ლანდი მეგებება, დედა!  
 მოაქვს კალთით  
 სურნელება რთველის...  
 შემოდგომის მოყვითალო ფარჩას  
 ბილიკებზე აშრიალებს ქარი...  
 მდინარის პირს დააბიჯებს ყანჩა,  
 როგორც თეთრი  
 ათინათი მთვარის!..

09. 09. 89.

ბანძა







\* \* \*

მიდის, მიიწევს მაღლა ო, ეს ბილიკი ვიწრო,  
ქამის ხმაურობს ტალღა  
და სული იმედს იწოვს!..  
არ შეუშინდე სოფლის ამ უთავბოლო ღელვას,  
გადაუფრინე ფრთებით,  
ო, იმ შორეულ მწვერვალს!..  
მე ამ მიწის ვარ მკვიდრი და ქვეყნის დარდი დამაქვს  
და მეც იმ ბედზე ვტირი,  
რაზეც ტიროდა მამა!..

20. 09. 89.

სოხუმი



ამაოების ჩრდილი

დაუფლებია ხავსი და ბალახები ხშირი,  
 აქ ხეტიალობს უხმოდ  
 ამაოების ჩრდილი...

გული მევსება ცრემლით, დგება წამების კამი,  
 მიიზღაზნება ცაზე  
 ღრუბლის ნაფლეთი შავი...  
 მძიმედ ირხევა ქარში ო, ეს ბებერი ძელქვა  
 და მზეს ამაოდ უშვერს  
 წვიმით დახეთქილ მერქანს!..

ვდგავარ ამ ლოდებს შორის, ხმა შორეული მესმის!..  
 ვდგავარ, აქ შენთან ახლოს  
 და გული მწარედ კენესის!..  
 რტოზე კანკალებს შიშით მზის მეწამული სხივი  
 და სულის საოცრად მიმღვრევს  
 ეს მღუმარება ცივი!..

ო, ეს ყვაველი ლურჯი თვალებს ცრემლიანს ახელს,  
 ვდგავარ, ვრჩურჩულებ ისევ  
 მე შენს საყვარელ სახელს!..

დაუფლებია ხავსი და ბალახები ხშირი,  
 აქ ხეტიალობს უხმოდ  
 ამაოების ჩრდილი!..

30.09.89.

ბანძა





## სარკმელთან ისევ ირხევა ტოტი

შენ გახდი ჩემი გრძნობის მორევი  
და დიდხანს მთვარის  
მინდორზე ვთრთოლდი!..

ვინსენებ, მე იმ დღეებს შორეულს,  
სარკმელთან ისევ  
ირხევა ტოტი!..

ის ხეივანი მდუმარებს, მეგი,  
შორს მიაქვთ ქარებს  
ფოთლები მკრთალი...

მიცურავს სადღაც ღრუბელი ლეგა  
და მივსდევ ბალში  
ნათეხურს მთვარის...

გაძარცულ სიფრცეს ვაწყდები ისევ,  
რა მელოდება —  
არავინ იცის!..

ამ გულის ღელვას არავინ უსმენს  
და მივსდევ მზერით  
ვარსკვლავთა ციმციმს...

სულს ეფინება იმ დღეთა განცდა,  
რომელსაც ვეღარ  
დავარქმევ ყოფილს!

ო, ფიქრი ღროის სამანებს გასცდა  
და მარღვევს სევდა  
კვლავ წუთისოფლის!..

შენ გახდი ჩემი გრძნობის მორევი  
და დიდხანს მთვარის  
მინდორზე ვთრთოდი!..

ვინსენებ მე იმ დღეებს შორეულს,  
სარკმელთან ისევ  
ირხევა ტოტი!..

27. 10. 89.

ბანძა





**შენ არა ხარ ღაპიწყების ღირსი!**

ისევ არხეგს ქარი თოვლის ფიფქებს და ზღვას თეთრი  
ეფინება ნისლი...

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ,  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

ცაზე იქნებ მზის გუგუნი მიჰქრეს და ქარაფზე  
გადაეშვას კისრით...

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ,  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

ო, სულს ბევრჯერ ავაღეგნე ფიქრი, ჟამის ველარ  
შეგეჩვიე სისინს!..

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ,  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

გხედავ, სული ისევ ღონეს იკრებს და საცაა  
განახლდება ისიც!..

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ,  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

ჟამი მიდის და ფრთებს მძალაგრად იქნეგს, გულს ჭრილობა  
ამჩნევია ისრის!

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

ისევ არხევს ქარი თოვლის ფიფქებს და ზღვას თეთრი  
ეფინება ნისლი...

ყველაფერი დაივიწყონ იქნებ,  
შენ არა ხარ

დავიწყების ღირსი!

15. 01. 90.

ბანძა











## ავწიოთ მაღლა

ვისაც ამ გზაზე წამება ერგო, რომელიც მაღალ  
ტაძარისკენ მიდის!..

მას უკვდავების მისწვდება ექო  
და ჟამის ვერას დააკლებს ზვირთი!  
მამულის დროშა ავწიოთ მაღლა, რომ საოცარი  
ფერებით ენთოს!..

შეათამაშე ცინფერი ტალღა,  
თავისუფლება გვაჩუქე, ღმერთო!

აურაცხელი ტკივილის ფასად, თუ ერთი სხივიც  
შემოვა სულში!

ის ჩემს ოცნებას შემოსავს ნაზად,  
როგორც მიდამოს ყვაფილი ნუშის!

წყლულს მომიშუშებს სინაზე ზეცის და სულის სიმებს  
შეარხევს ხემი!..

საგაზაფხულო ჟღერტულით მერცხლის,  
ღმერთო, გაძითბე მამული ჩემი!..

22. 03. 90.

სოხუმი



ასე რად ამატირა?!

აყვავილებამ ატმის, ასე რად ამატირა?  
ბალახებს ორთქლი ასდით,  
ფეთქავს აპრილის დილა!..

ჩიტის გალობა სულის არხეგს უნაზეს სიმებს!  
და ქარაფენები ღრუბლის,  
შორს მიცურავენ მძიმედ...

ის უჩვეულო გზნება ო, რა უეცრად ჩაქრა!  
და მოგონებამ უმაღ  
გულზე ჭანგები გამკრა!..

აყვავილებამ ატმის, ასე რად ამატირა?  
ბალახებს ორთქლი ასდით,  
ფეთქავს აპრილის დილა!..

04.04.90.

სოხუმი





## ყველაფერი სიზმარივით მიდის

მწვერვალები შუქით იმოსება,  
რტოზე გალობს გაზაფხულის ჩიტი...  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
ზღვა ამაღამ მთვარით აივსება,  
ნიავს მიაქვს ყვავილები შინდის!..  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
მიქანაობს ვარსკვლავების წყება  
და ირწვევა წუთისოფლის ხიდი...  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
შენს ძებნაში გადაძალაღეს გზებმა,  
დემონებსაც დაუჭიმავთ მშვილდი!  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
ვერც მე და შენ გადავუღრჩით ვნებას,  
როცა მთვარემ მოგვახვია ბინდი,  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
ვიცი, ეს ზღვაც ქარით დაირბევა  
და ეს კბოდეც ჩაიშლება ზვირთით!  
ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..  
სამუდამოდ არაფერი რჩება,  
ბოლოს ხდება უცნაურად მშვიდი!..

ყველაფერი სიზმარივით ქრება,  
ყველაფერი სიზმარივით მიდის!..

08.04.90.

სოხუმი





ის მოდის დაუნდობელი!

არ ვიცი, თუ რა მოელის! რეკავს და რეკავს დრო ზარებს!..

ის მოდის დაუნდობელი,

ის მოდის, როგორც მოზარე!..

არ ვიცი, თუ რა ბრალი აქვს, ან რა ფერები მოსავენ?

ტირის მინდორზე ბაია

და იცრემლება სოსანი!..

აჟღერე ჩანგი, მგოსანო, მზეს და სიცოცხლეს უძღერე!

რომ სიყვარულის ქარებმა

დაღეწონ ჟამის უღელი!..

09. 04. 90.

ბანძა



\* \* \*

ვის საფლავზე აწყობ ვარდებს  
და ვის აღფრი ცრემლს და სითბოს?  
ვის საფლავზე აწყობ ვარდებს,  
ნუთუ გული არას გითხრობს?  
ვის საფლავზე დგახარ მორცხვად,  
ვის სხეულზე კენესის მიწა?  
ვინც რჩეულნი დაგიხოცა,  
ვინც მამული გადაგიწვა?!

11. 04. 90.

სოხუმი





**ახმაურდა ძარღვში სისხლი!..**

ტანჯვით აღებ კარს მომავლის და რისხვაც  
არ გაშინებს!

ზეცას, როცა თვალს მოავლებ,  
გელიძება ბავშვივით!..

მზე ამოდის... წყნარს ნისლებს, სივრცეს მოავარაყებს...  
და ცა გალობს სიყვარულით,  
სიო არხევს ბალახებს...

ისევ რეკავს ზარი ცისკრის!.. უჩვეულო  
ხმა ისმის!

ახმაურდა ძარღვში სისხლი  
ო, ისევ იმ მაისის!..

21. 04. 90.

სოხუმი









გულმა ტკივილი აისხა

პირი უტირის პირიშესეს, ვიცი, რომ  
ველარ მოხვალ!  
მივალ მთვარისფერ ბილიკზე  
და გული მძიმედ ოხრავს!..

ჟამი ტკვილით მოსულა და მე არ ვიცი  
რა ვქნა!  
ის შუქი ცით გადმოსული,  
ო, რა უეცრად გაქრა?!

ცა კარგავს სიღარბაისლეს და ცრემლიანი  
ვდგავარ!..  
გულმა ტკივილი აისხა,  
პირს ვერ გამიხსნის დანა!

28. 06. 90.

სოხუმი



ცა კრთის რაღაც უშეროდ!

ტყე ფერს იცვლის თანდათან და დღე კარგავს სიალეს,  
ის სინაზე დამთავრდა,

სულს ვერ ათრობს ნიავი!

ნისლი ფრთებს შლის ნაცრისფერს

და მზე გელარ დიადობს!

დრომ ლაქვარდი გაცრიცა,

ხმა ჩაუწყდა იადონს!

ცა კრთის რაღაც უფეროდ და დღე იცვლის საბურველს,

ქარმაც ჩამოუბერა

და სულს აუდაბურებს!..

04. 07. 90.

სოხუმი



\* \* \*

ყველაფერი ერთმანეთში აირია,  
ჟამის უკვე არ მორჩილებს აღვირს!  
საუკუნე უიმედოდ დაიღია  
და ფიქრისგან მტკივა ყველა ძარღვი!..  
ცას ღრუბელი გაუშლია წვიმის,  
მღვრიე ნისლი ეფინება მაღლობს...  
ო, რაზე სწუხს ეს ბელურა წყვილი,  
ყვითელ რტოზე, აგერ ჩემთან ახლოს?!

20. 07. 90.

სოხუმი



საშუაარი მომავალთან

მეც ამ ლამაზი გზებით ვიარე და დაფფრინაფდი  
ცაში ტოლოებთან!..

თმებს მიფარცხნიდა დილის ნიაფი  
და ბაგე ვარდის  
მეც მათრთოლოებდა!..

ო, ამ ლამაზი გზებით ვიარე და მეპყრა ხელში  
ჟამის სადაფე!..

მე კარგად ვიცი,  
რა ვარ, ვინა ვარ  
და სად იწყება ჩემი სათაფე!..

ჩემშიც ფეთქაფდა მზე გაზაფხულის და ვარდფურცლობის  
თრთოლა ხაფერდი!..

მეც ეს ლამაზი ზეცა მეხურა  
და შუქს მადფრიდა აღმოსაფლოეთი!..

სულში ტკივილის ზფირთი მიგორაფს, კვლავ რეკაფს ზარი,  
როგორც რეკაფდა!..

მეც ვიდექ ჩემი დროის დიდგორთან!..  
მეც ვიდექ ჩემი დროის კლდეკართან!..

ჩემშიც ლელაფდა სისხლი წინაპრის და ულომობელი  
მწვაფდა სახმილი!..

მეც გაფიარე ჟამის გვირაბი  
და ვაღვიძებდი სიფრცეს საყვირით!..

მეც ამ ლამაზი გზებით ვიარე და დაფფრინაფდი

ცაში ტოლებთან!..  
თმებს მიფარცხნიდა დილის ნიაფი  
და ბაგე ვარდის მეც მათრთოლებდა!..

22. 07. 90.

ბანძა





**მწუხარებას გაუშლია აფრა**

დავდივარ და შენს ნატერფალს ვეძებ,  
იქნებ დარჩა სადმე ზღვასთან ახლოს?  
დავდივარ და შენს ნატერფალს ვეძებ  
და ტალღები ეხლებიან მაღლობს...  
ნუთუ ჟამი წაშლის დღეთა ზღაპარს  
და გაატანს დაფიწყების ქაოსს?  
მწუხარებას გაუშლია აფრა  
და ღუმს სიფრცე, როგორც სასაფლაო!..

30. 07. 90.

სოხუმი



ბაგაფსული მიდის!..

გაზაფხული მიდის და სიმშვიდეს ვეკარგავ!  
ჩამავალ მზის სხივებს  
სივრცე მოუქარგავთ!..

გაზაფხული მიდის... სწყვეტს გალობას ჩიტო,  
გაზაფხული მიდის!..  
გაზაფხული მიდის!..

დარდი მოიშორე! კარუსელი ბრუნავს,  
ქამს გაფრენილს შორეთს  
ველარ დაბრუნებ!

გაზაფხული მიდის და ხრის აფრებს დაბლა,  
დაბრუნდება იგი? —  
არასოდეს ალბათ!

31. 07. 90,  
სოხუმი







**გული რაგვი იცრემლება მხარედ?!**

ტირითს თმები გაუშლია მწვანე, არხევს ნელა  
გაზაფხულის ქარი...

გული რატომ იცრემლება მწარედ,  
ან ეს წყარო

მოვერცხლილი მთვარით?!

ის დღეები სად გამექცნენ, ნეტავ, ის თვალები და ის  
თოვლის ტანი?

სული მხოლოდ შეუპყრია სევდას,  
დავბარბაცებ

მოგონებით მთვრალი!..

იმ ბილიკსაც მოხვევია ბინდი და სულს მიმღვრევს ჟამის  
სევდა ჩუმი!..

ყველაფერი მიიწვება, მიდის  
და ყრუდ ერთვის ის

შორეულ დუმილს!..

ტირითს თმები გაუშლია მწვანე, არხევს ნელა  
გაზაფხულის ქარი...

გული რატომ იცრემლება მწარედ,  
ან ეს წყარო

მოვერცხლილი მთვარით?!

01.08. 90.

სოსხუმი



ძველი ბარათი

იმ ბარათს ახლაც ვკითხულობ მარტო  
და ვუბრუნდები ბედნიერ წუთებს!..  
ის სიყვარულის სხივებით მათრობს  
და მოგონებებს  
ღამეებს ვუთევ!,,  
იმ ბარათს ახლაც ვკითხულობ, მერი!  
სად ვარდფურცლობის სინაზე ფეთქავს...  
და გაზაფხულის ნიაფი მღერის  
და მოაქვს ზღვასთან  
ყვავილი თეთრი...

04.08.90.

სოხუმი





## იბალობებს შემოდგომის ქნარი

დაიწყება ფოთოლცვენა მალე და ხეები  
გაშიშვლდება ქარით!..

დაიწყება ფოთოლცვენა მალე,  
იგალობებს შემოდგომის  
ქნარი!..

რა მწუხარე ჩურჩულია გარეთ და მე იგი  
ქრუანტელად მივლის!..

დაიწყება ფოთოლცვენა მალე,  
დღე ირეკლავს  
ქარვისფერთა ლივლივს...

დაიწყება ფოთოლცვენა მალე, შენ საოცრად,  
რომ გტკიოდა, ლილი!

გაზაფხული უკვე გადაქანდა,  
სულში ისევ  
მწუხარება კივის!..

დაიწყება ფოთოლცვენა მალე და ხეები  
გაშიშვლდება ქარით!..

დაიწყება ფოთოლცვენა მალე,  
იგალობებს შემოდგომის  
ქნარი!..

07. 08. 90.

სოხუმი



ბანშორება

ეთხოვებოდი ყველას, ყველაფერს, რაც შენს გარშემო  
თრთოდა, ღელავდა!..

ბოლოს იმ ხესაც ხელი შეახე,  
აპრილის ცა რომ აგიფერადა!..

ეთხოვებოდი ო, რა ნაღველით და გრძნობდი  
ვერვინ დაგიფარავდა!

სადღაც შორეულ ბილიკს გაჰყევი  
და დარჩა ჩვენი ყრმობის ბაღადა!..

12. 08. 90.

სოხუმი





### ქამის ქარები ქრიან

მე შენ დაგეძებ ყველგან, ქარი ატმის რტოს არხევს...  
მოდი, ძვირფასო, ბაღი

ჩვენი ბავშვობის ნახე!

მე შენ დაგეძებ ყველგან, ავეღვენები ბილიკს,  
მოდის აპრილის ღამე,  
მთვარის ირხევა ჩრდილი!..  
შუქი მინდორ — ველს ქარგავს, ქამის ქარები ქრიან...  
ამ ალტაცებას, კარგო,  
არ ვიცი თუ რა ჰქვია!

15. 04. 61.

სოსუმი



**გული ისევ ალბანებას ითხოვს!**

ვეფერები ბავშვობის ამ ჭაღას,  
 სურნელებას ფორთოხლის და ატმის!  
 რომ მახუჭა სიყვარულის ძალა  
 და ჩემს სულში  
 რტო არხია ნატვრის!..

გული ისევ აღტაცებას ითხოვს  
 და მინდვრების ლაჟვარდოვან ხავერდს...  
 სულში ტრფობის დამიბრუნა ხვითო  
 და მახუჭა მათრობელა ღამე!..

ვეფერები ამ მოლურჯო ზეგანს  
 და მათროლებს ხეივანი მთვარის...  
 სად მიცურავს ეს ღრუბელი ლეგა,  
 ჩემი მინდვრის  
 სურნელებით მთვრალი!..

კვლავ ვიხსენებ ყვავილოვან ჩქერებს  
 და თვალების ფირუზისფერ ელიფსს!..  
 ო, ის ჟამი ველარ შევაჩერე,  
 ოღონდ ხსოვნა  
 შევინახე წრფელი!..

17. 08. 90.

სოხუმი



ის სინაზე სად არის?!  
ის სინაზე სად არის?

ის სინაზე სად არის და ჩურჩული ნიაგთან?  
სულო უფაქიზესო,  
რატომ დაგაგვიანდა?  
ის სინაზე სად არის, თრთოლვა ცისფერ რტოებთან?  
რად დაგჩემდა, ძვირფასო,  
ასე განმარტოება?  
ის სინაზე სად არის და ცისფერი ზმანება?  
ნუთუ ასე მინებდი  
ქამის ფერიცვალებას?!  
ის სინაზე სად არის, ის ღრო დაუფიწყარი?  
შენ, რომ ასე გიყვარდა,  
შენ, რომ ასე იწამე?!  
ის სინაზე სად არის და ჩურჩული ნიაგთან?  
სულო უფაქიზესო,  
რატომ დაგაგვიანდა?!

28. 08. 90.  
სოხუმი



**მხოლოდ ჩვენ ორმა ვინძით!**

ზღვას მთვარის შუქი ბარდნის, იწყებს  
ვენერა ციმციმს...

იმ ღამის საიდუმლო,  
მხოლოდ ჩვენ  
ორმა ვიცით!..

სად გაიტაცეს წლებმა ო, ის სინაზე სულის?  
უკვე ღუმილი წვება  
და სიმშვიდეა სრული!..

ათოვს ქუჩებს და ბაღებს მთვარის  
მოლურჯო სხივი,  
ისევ მოარხევს ნაღველს, —  
ეს ხეივანი ცივი!

ზღვას მთვარის შუქი ბარდნის, იწყებს  
ვენერა ციმციმს...

იმ ღამის საიდუმლო,  
მხოლოდ ჩვენ  
ორმა ვიცით!..

04. 09. 90.

სოხუმი







\* \* \*

ცხოვრება ბრძოლით ველარ ავაწყვე!  
ვერ გაგზდი კაცი  
სვებედნიერი!

არ ვიცი, ეს რა ღმერთი გამიწყრა,  
სად ვარდი ვთესე, —  
ხარობს იელი!

მე ღღემდე შენით ვცოცხლობ, თატმა!  
კვლავ მოდის ჟამი  
დაუნდობელი!..

მე წუთისოფლის ვგაგარ პატიმარს,  
მაინც ბოლომდე  
ყრუა სოფელი!..

05.09.90.

სოხუმი



სანთელს არავინ უნთებს!

გულზე მოაწვა სისხლი, მერე იფეთქა მუხტმა!..  
ვერ გადაურჩა ისიც  
სოფელს ცრუსა და მუხთალს!

სოფლის ბოლოში საფლავს ადევს უხეში ლოდი,  
სანთელს არავინ უნთებს  
და არც არავინ მოდის!

ერთი ვარსკვლავი ძაღლით გაშლის მოლურჯო  
აფრას

და შექს იღუმალს ადვრის  
მივიწყებულის საფლავს!..

07.09.90.

სოხუმი





## ფოთოლცვენის ქაგი

კვლავ გამოხტა თითქმის უხმოდ ქაგი ფოთოლცვენის,  
სადღაც მიაქვს უგზო-უკვლოდ  
ქარს ფოთლები სტვენით!..

მე ვდგავარ და გზას გავცქერი, ვიცი ვეღარ მოხვალ!  
მზე ამოდის, მზეს ჩაუცვამს  
ღრუბლის შავი ჩოხა!

არც შენ ჩანხარ, არც ის ხე დგას, არც ის ჩიტი მღერის,  
მხოლოდ ქარში მოქანავე  
ტყდება ლერწმის ღერი!

ეს საწუთრო მიდის ასე, სულს საოცრად მიმღვრევს,  
მივადექი კარს ბაღისას,  
კარს არავინ მიღებს!

კვლავ გამოხტა თითქმის უხმოდ ქაგი ფოთოლცვენის,  
სადღაც მიაქვს უგზო-უკვლოდ  
ქარს ფოთლები სტვენით!..

08. 09. 90.

სოხუმი



## ო, ეს იყო შემოდგომის ღაფღაფს!

უწინ იდგა იქ ზვინები თივის,  
 ბალახებზე ციმციმებდა რთვილი...  
 ტყეს ემოსა მხოლოდ ნისლი მკრთალი,  
 ბელურები აცეცებდნენ თვალებს...  
 იქ ჭადრების ხეივანი იყო,  
 წითელ ხარებს მიდენიდა ნიკო,  
 ბუხრიდან კი აღიოდა კვამლი  
 და ყვივლი ცას სერავდა მამლის...  
 მუხას ისევ ეხვეოდა მუმლი  
 და ჭრიალი ქარს მიჰქონდა ურმის...  
 მზე დიმილით მოდიოდა დილის,  
 ბალახებში ციმციმებდა რთვილი...  
 ო, ეს იყო შემოდგომის დამდეგს,  
 მას შემდეგ წყალს ჩაუვლია რამდენს!...  
 არც ნიკო ჩანს, არც ზვინები თივის,  
 მხოლოდ შემოჩა მოგონება თბილი!...

12. 09. 90.

სოხუმი





### ბაითავისებს ზღვის მელოდია

განშორების წინ საგნების წყებას  
რა უჩვეულო თვალებით ვუძნებრ!  
ჩემი ცხოვრების საღამო წვება  
და ის ტკივილად მედება გულზე!...

მზე ჩადის უკვე, სხივები ცხრება  
და შორეულის ხსოვნაც იღვება!...  
არ ვიცი, სული თუ რატომ კრთება,  
როდესაც იცვლის განზომილებას!

ძვირფასო! ნულარ დაძელოდები,  
ნურც დაიფიწყებ იმ ძველ ხეივანს,  
სადაც ვიყავით გრძნობით მთვრალეები  
და მთვარე გრძნობდა თავს არხეინად.

მე ქვეყანაზე ღიმილით მოველ  
და ავედევნე მაისის ნიავს...  
ამ ჩემს სიმღერას - გრძნობების მორევს,  
გაითავისებს ზღვის მელოდია!...

13. 09. 90.

სოხუმი



მე იმ სიმაღლის მჯერა

დროო, ვერ შემაშინებ, თუმცა უღმობლად მსეტყვავ,  
ნისლი მენხვევა ხშირი,

ადრე თუ შუქი მერტყა!

დროო, ვერ გადამთელავ და ველარც წამგლეჯ მახვილს!  
მე იმ სიმაღლის მჯერა,  
რომ არ მორჩილებს აღვირს!

14. 09. 90.

სოხუმი





## შემოდგომა მწვია

შემოდგომის დღეები ისევ ჩუმად მეწვია...  
სიმღერებით სავსე ცას  
ფრთები დაუკეცია!...  
იღვრებიან ფოთლები უკვე ფერნამკრთალები  
და ცა მიცქერს შორიდან  
ნაღვლიანი თვალებით...  
ახლა წავალ უშენოდ მე ამ სანაპიროზე,  
ჩუმად არხეგს ნიავი  
გახუნებულ მიმოზებს!...  
შემოდგომის დღეები ისევ ჩუმად მეწვია!...  
სიმღერებით სავსე ცას  
ფრთები დაუკეცია!...

15. 09. 90.

სოხუმი



\* \* \*

მზე ეშვებოდა ზღვის ხავერდზე რხევით, ზოზინით...  
იყო ლამაზი ჩვენი ყოფნის

ყოველი წამი!...

გალობდნენ ტკბილად ცის თავანზე ანგელოზები  
და ჩვენ ვნატრობდით, —  
მზის ჩასვლას და სამოსელს ღამის!...

20. 09. 90.

სოსუმი







### მეგობრები გამახლოდით ნიშნას!

მე მათგანებს ცა ვარსკვლავთა წყობით  
და ხავერდით საფსე მიწის კალთა!...  
შემატოვე ჟამი ავადმყოფი,  
ამაოდ რომ ერკინება ზამთარს!...  
მეგობრები გეძახოდით ნიშნას,  
ბევრჯერ იდექ ბედისწერის ზღვართან!  
ყვავილები სიყვარულის კრიფე  
და მაინც ვერ გადაურჩი ზამთარს!...  
ლამაზ მხრებზე თმას ვერ გადაიფენ,  
სოფლის ბრუნვას ო, ნეტავ ვინ მართავს?  
დრომ, რა უყო მაგ თათლისფერ ზილფებს,  
მოშრიალეს გაზატყულის კართან?!  
მშორდებოდ, არათერი მკითხე!  
მშორდებოდი, არათერი მითხარ!  
მე უშენოდ მწარე სევდა მითრევს  
და ვიცი, რომ ვერ გაგუძლებ დიდხანს!

24. 09. 90.

სოხუმი



**ჩაიქროლეს ბაგაფხულის წლებმა**

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს, ჩაიქროლეს  
გაზაფხულის წლებმა!...

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს,  
ამაოა და კარგულის ძეხნა!

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს და ცრემლები  
უსველებენ თვალებს!...

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს,  
მოკლებული მეგობრების ალერსს!

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს, შემოდგომა  
იზმორება გარეთ!...

ახლა იგი მოგონებით ცხოვრობს,  
ვერ გაექცა დაფიწყების ქარებს!

26. 09. 90.

სოსუმი





დღემდე ოლქანდრებს ახსოვთ!..

დიდხანს მოაჯჯირთან ვთრთოდით ზღვაში  
შეტყორცნილი ხიდის,  
პალმის ირხეოდა ტოტი,  
აფრებს ოცნებისას ვშლიდით!...  
შუქი ლაქვარდიდან თოვდა, ჩვენ კი  
ტირბფებთან ახლოს,  
დიდხანს მოაჯჯირთან  
ვთრთოდით,  
მთვარე ეღვრებოდა მალლობს...  
ღამეს ნიმფატებით ნაქსოვს სიო უბერავდა ნელი,  
დღემდე ოლქანდრებს ახსოვთ,  
ო, ის აღტაცება, მერი!...

19. 10. 90.

სოხუმი



\* \* \*

ზღვაზე იწვა შუქი მთვარის, მივცურავდით ნავით  
და მანის ქროდა ქარი,

ენტო ზეცა ღამის!..

მე ღიმილის ბიჭი ვიყავ, შენ შუქს მიაბნევედი,  
ზღვაზე ნავი მიცურავდა,  
როგორც თეთრი გედი!...

31. 10. 90.

სოსუმე



ასე რამ ჩამოგაბერა?!

ასე რამ ჩამოგაბერა? — შენ იყავ ჩემი რჩეული!  
ასე რამ ჩამოგაბერა,  
                    მუდამ გაზატყულის ჩვეული?!  
ასე რამ ჩამოგაბერა, მოვდივარ დარღით სწეული,  
ასე რამ ჩამოგაბერა,  
რამ დაგიწყლულა სხეული?!  
ასე რამ ჩამოგაბერა, ჯერ არც ხარ,  
                    ხეო, სამოცის,  
თუ სხვა ქარებმა დაჰბერეს და გაგიხუნეს სამოსი?!

24. 11. 90.

სოსხუმი



ეს რა ჩიტი წივის?

გარინდულად ხენი მოლოდინში წვიმის,  
ჩემს წინ ნაძვის ხეზე —  
ეს რა ჩიტი წივის?!

სად წასულან ნეტავ, ის დღეები ტრფობის?  
დავდივარ და ბაღში  
დავსდევ ლანდებს ყრმობის!..

დრო გაცურდა სადღაც, როგორც ზღვაზე ნავი  
და მეხვევა მხოლოდ  
ლურჯი ნისლი ღამის...

გარინდულან ხენი მოლოდინში წვიმის,  
ჩემს წინ ნაძვის ხეზე —  
ეს რა ჩიტი წივის?!

26. 11. 90.

სოხუმი





\* \* \*

ისევ ფიფქები შემოაქვთ ღრუბლებს  
და ფანტელებმა

შეცვალა წვიმა!..

ნაძვებს კვლავ თოვლით ევსება უბე  
და ხეებიდან

ფოთლები სცვივა!..

მე ბაღში ვდგავარ ეული კაცი,  
ელება ხეებს

შიში და კრთომა!..

ისევ მოვიდა ზამთარი მკაცრი  
და ბილიკები

დათარა თოვლმა!..

ბავშვობის ზღაპარს ვიხსენებ ისევ  
და ტოლბიჭებთან

გაფრენილ დღეებს!..

ო, მე ეს თოვლი ტკივილებს მისევს  
და სულ სხვა ხმაზე

ჩურჩულებს დღეე!..

22. 12. 90.

სოხუმი



მოვიდა ზამთარი!..

მოვიდა ზამთარი ფიფქების შრიალით  
და ფრთებით გედების

დატარა მთა-ბარი...

მე ისევ შეშენსნა ის ძველი იარა  
და სული ამივსო

სევდიან ზღაპართა!..

მოვიდა ზამთარი ჩურჩულით ფარულით,  
კვლავ თეთრი ჩიტების

მოფრინდნენ გუნდები...

და, როცა ბავშვობის სანახებს ჩავუვლი  
ის წლები ოცნების

კვლავ დამიბრუნდება!..

მოვიდა ზამთარი ფიფქების ლოცვებით  
და გადაათეთრა

საოცრად მუხნარი...

მოვიდა ზამთარი ლამაზი ოცნების,

მაგრამ არ გუგუნებს

ბავშვობის ბუნარი!..

29.12..90

ბანძა







## საქვლა

ყოველ ღამე მესიზმრება ჩემი სოფლის შუკები,  
მზის სხივებით ნათურები,

მთვარით განაშუქები!..

ყოველ ღამე მეჩვენება მე აბაშის ჭალები,  
მოგონების შუქი კრთება,

სევდით გავიმსჯელები!..

ყოველ ღამე შენთან ვრჩები, სადღაც დავიარებით,  
გავიღვიძებ, შემომჩნება

გული ნაიარვეი!..

08. 03. 91.

სოსხუმი



**რა რჩება ჩემთან?**

ნაპირს შორდება გემი, ერთურთს ვშორდებით, ლელა!  
ნაპირს შორდება გემი  
და ზღვა საოცრად ღელავს!..  
ნაპირს შორდება გემი... თოვლის იღვრება ფიფქი,  
ნაპირს შორდება გემი,  
გული დამძიმდა ფიქრით!..  
ნაპირს შორდება გემი და მწუხარება სული!  
რა რჩება ჩემთან? — სევდა  
და ხსოვნა გარდასულის!..

13. 03. 91

სოხუმი





\* \* \*

ნახე, მოიწივეს ისევ აბრილი, მზე ფეთქავს  
ცაზე ვნებით,

ჩემი ბავშვობის  
მოხანს ნაპირი

ოცნების იალქნებით!...

ზამთარს გაეხა შუბლი ცხრაპირი, გული  
ინთება ვზნებით,

ჩემი ბავშვობის  
მოხანს ნაპირი

შორს მიმავალი ვზნებით!...

28. 03. 91.

სოსხუმი



\* \* \*

მზე ოქროს ხელებს მომიშვერს, ქარი ალვის ხეს არხვეს...  
იქნებ ტკივილი მომიღრჩეს

შენი თვალების მნახველს!

გულს განა ტრფობა აბერებს? მზემ გაუცინა ფერდობს,  
ამ სილამაზეს, ამ ფერებს,

როგორ არ უნდა ენდო?!

ცას სხივი ეხუჭუჭება, მზე კოცნის ცისფერ ხაზებს,

ყველას ტკივილი ურჩება,

გულო, შენ ღელავ, რაზე ?!

24. 04. 91.

სოსუმი





### ხსოვნად გეძნა!..

ისევ იქით ვიცქირები, სურვილს ველარ ვმალავ!  
ლაჟვარდები ციმციმებენ,  
შეშრიალებს ალვა...

ისევ ის დღე მენატრება, იმ ყვავილის ბუჩქი!  
და სულს ისევ ეს იზმრება,  
მაგ თვალები ლურჯი!..  
მე ის ღამე ხსოვნად მექცა და ჩურჩული მთვარის,  
მდინარესთან იდგა ძეწნა  
ნათყერები მთვარით!..

ისევ იქით ვიცქირები, სურვილს ველარ ვმალავ!  
ლაჟვარდები ციმციმებენ,  
შეშრიალებს ალვა!..

14. 05. 91.

სოხუმი



ჩემი ბავი

ჩემი პატარა ბავი ქარმა აიკლო ისევ,  
გული ვერ მალავს ნაღველს,  
რომ აწევს ღრუბლის სისქე...  
მე მის სიტუტურფეს მივენდე და ვეფერები გრძნობით,  
ჩემი სიბერის იმედი,  
ტრფიალი ჩემი ყრმობის!..  
ჩემი სიცოცხლის მშფენებას ქარი აწყდება ურჩი,  
არ ფიცი, რა მეშველება,  
თუ ცა დამემსხგრა ლურჯი!

15. 05. 91.

თბილისი



იყო გენის წყალობა

ჰამლეტ გონა შეილის ხსოვნას

შეწყდა ო, ის გალობა, რხევა ცისფერ სიმების,  
იყო ღმერთის წყალობა

ციდან მონასხივები!..

ის ზღაპრული სიაღვე და ზურმუხტის ფერები,  
სადღაც დააქვთ ნიაგებს  
იმ შორეულ ველებზე...

როგორ მოგიხაროდა ხმებით ანგელოზების,  
შენ გალობდი, გალობას

ვერ ბედავდნენ ფრთოსნებიც!

ეს რა შუქი გვასხივე, გვექონდა ჯადო-თილისმა,  
ახლა ვინღამ გვასმინოს  
დაისის თუ დილის ხმა?!

სივრცე ღელავით ირღვევა, ქარმა იძალიერა!  
შენ აფრინდი სიმღერით...

დარჩა სიცარიელე!..

შეწყდა ო, ის გალობა, რხევა ცისფერ სიმების,  
იყო ღმერთის წყალობა

ციდან მონასხივები!..

22. 05. 90.

სოხუმი



მე ვინც ჩემი თავსასთუმალი

მიახლოვდება ჟამი სიბერის, ვერ ურიგდება  
 სული რომელსაც!  
 კვლავ ჩრდილოეთის ქარი უბერავს,  
 ვერ იქნა, შეება ველარ მომეცა!  
 ნისლი ედება თვალებს ცეცხლოვანს და მოდის ჟამი  
 ღელვა-შეტვეით!..  
 მოვედი მისთვის, - ლექსით მეცოცხლა,  
 შემექმნა, თუნდაც ერთი შედეგრი!  
 მე არ მოვსულვარ როგორც სტუმარი და არც გავექრები  
 დილის ბინდივით,  
 მე ვიცი, ჩემი თავსასთუმალი  
 და ისიც ვიცი, ვისაც მივტირი!..  
 მე ვიცი, ჩემი ღელვის საგანი და თრთოლვა ო,  
 იმ იღუმალების,  
 გამოვარღვიე მე ის საკანი  
 და ტყვე ვარ მხოლოდ შენი თვალების!..

06. 08. 91

სოხუმი





პრჩეპი ზგაუპოვარი!

*„რომ მითხარი მოვალა,  
რატომ დაიგვიანე?“*

მზე მიქრება მომავლის, სიო მინვევს იარებს!  
არ ჩანს ღამის მთოვარი,  
არც ტირიფი შრიალებს!

შემოდგომის ფოთლები, საით მიაქვს ნიავებს?  
ვრჩები გზაუპოვარი,  
სულში დარდი ხმინებს!..

გაქრა თვალთა ოვალი, არც ანძები ჭრიალებს,  
სევდა მკლავს, ვით ნოვალისს,  
სულში იჭვი ტრიალებს!..

გავცქერ სივრცეს მკრთომარეს და ღანდები რიალებს,  
„რომ მითხარი მოვალა,  
რატომ დაიგვიანე?“

10. 08. 91.

სოსუმი



ხსოვნა

ასე უეცრად როგორ გაქრა შენი ხატება?

მე შენს ნაკვალევს, საყვარელო,

ისევ მივსტირი!..

რა ვუთხრა მზეს და შემოდგომის ზეცის ნათებას,

რომ სული ერთობ ამიმღვრიეს

სევდის მოტივით!..

გული შემომრჩა და კაწრული ჟამის ეკლებით,

დავეხეტები მე უშენოდ,

როგორც ყარიბი!..

ქუჩაბანდებში სადმე შენს ლანდს შევხვდე ეგების,

რომ სიყვარულით შემითფოთლოს

სიგრცე ღარიბი!..

სული სიმშვიდეს ხშირად კარგავს ავადმყოფურად,

მე შენი ხსოვნა შემრჩა

მარად სათაყვანები!..

შორს, შემოდგომის მწვერვალები მოხანს ჩოფურა

და ცა მაღალი ანთებული

შენი თვალებით!..

18. 08. 91.

სოხუმი





## ინესას

სულში ტკივილი ჭანგებს ილესავს  
და მიჩენს უხვად

თმაში ჭაღარას!..

შენ მახსენდები, ჩემო ინესა,

ვინც ეს ცხოვრება

მე შემაყვარა!..

ვინც საოცნებო გზები გამიხსნა

და ვარსკვლავეთში

მანეტიალა...

ვინც შინდისფერი ღვინო დამიხსნა,

დამალოცვინა

ღამე შრიალა!..

ვინც დამაწათა ბაგეებს თათლის

და სიყვარულის

ცეცხლი მაჩვენა!..

ვინაც მატარა მზისფერი აფრით

და შემაყვარა

ქვეყნად გაჩენა!

ვინც ვირდფურცლობის ფეთქავდა ეშხით

და სულს ათრობდა

დაუსრულებლად!..

ვინც აღტაცება დატოვა ჩემში

და იქცა მერე —

ღეჭსად თქმულებად!..

სულში ტკივილი ჭანგებს ილესავს

და მიჩენს უხვად



თმაში ჭაღარას!..  
შენ მახსენდები, ჩემო ინესა,  
ვინც ეს ცხოვრება  
მე შემაყვარა!

09.09.91.  
სოსუმი





### მთვარე მიწურავს

შენ წახველ, გაგყვამ გული დაჭრილი,  
და ეს, ძვირფასო, მექცა წამებად!..  
გადმოჭრის სივრცესშენი აჩრდილი  
და შემოჰყვება შემოღამებას...  
მეძახის შორით ხმა იღუმალი,  
და ეს ტკივილი ზღვართან მისულა,  
ისევ ხმაურობს ო, ის მდინარე  
და გაზაფხულის  
მთვარე მიცურავს!..

14. 09. 91.

სოსხუმი



**მოვა აპრილი**

*ჩემს შვილიშვილს — გიორგი გოშუას*

ჩემო გიორგი! ახლა უკვე მარტო ვარ, ბაბუ!

მოვა აპრილი — ჩემი ფიქრი

და ჩემი ნატვრა!..

იღუძალებას ბევრჯერ ლექსით ავნადე ტაბუ,

მაგრამ თვალები ანგელოზის

ვერ დამინატავს!

მზე ზღვასთან ახლოს, მაგ შენს თოთო

ნაკვალევს ეძებს

და ქუჩებს ისევ

ჩვეულებრივ მიკვივს „ბიბი“ ...

უშენოდ, ბიჭო, რომ იცოდე, ვერა დ ავერ ვძლებ,

მოვდივარ ზღვასთან

და გაცტქერი მოლურჯო ლივლივს!..

მოვა აპრილი, მოაშურებ სამხრეთის ქარებს,

მიაყურადებ ბავშვურ თრთოლვით

ტალღების ფეთქვას!..

მე ვიცი, ახლა შენ ჯიუტად მიიწევ გარეთ

და სიყვარულით გიჯავრდება

ოთახში დედა!

ჩემო გიორგი! ახლა უკვე მარტო ვარ, ბაბუ!

მოვა აპრილი — ჩემი ფიქრი

და ჩემი ნატვრა!..

იღუძალებას ბევრჯერ ლექსით ავნადე ტაბუ,

მაგრამ თვალები ანგელოზის

ვერ დამინატავს!



### მიმღერე რაბე!

მიმღერე რაბე, რომ სიცოცხლის სილაღე ვიგრძნო!

მიმღერე რაბე, რომ ტკივილი

დამიცხრეს ძველი!

მიმღერე რაბე, დარღებს წუთით გავექცე, ვინძლო,

რომ სულში ისევ აშრიალდეს

ზღაპარი ველის...

მიმღერე რაბე, თორემ უხამი იმღენი მასვევს,

რომ ჩემში ღამის

ვარსკვალებმა შეწყვიტონ კრთომა!

მე ვეებერთელა ჭურჭელი ვარ ტკივილით სავსე,

რომელსაც უკვე აღარ აქვს

ფერი და ზომა!..

მიმღერე რაბე, თორემ ერთობ ამამღვრევს ჯჯაფრი!

მიმღერე რაბე, სანამ გული

იმედით ფეთქავს!..

ნუ მომაგონებ, მეგობარო, იმ დღეებს ჩავლილს,

იმ ორღობეებს და ხელგაშლილ

საყვარელ დედას!

მიმღერე რაბე! სიყვარულზე მიმღერე რაბე,

მიმღერე რაბე, დამიბრუნე

საწუთროს რწმენა!...

ნუ მომაგონებ, მეგობარო, შორეულ ღამეს,

მთვარის ხეივანს და ფოთლებს

ჩიტების სტვენას!...

მიმღერე რაბე, რომ სიცოცხლის სილაღე ვიგრძნო!

მიმღერე რაბე, რომ ტკივილი

დამიცხრეს ძველი!  
მიმღერე რამე, დარდებს წუთით გავექცე, ვინძლო!  
რომ ჩემში ისევ აშრილდეს  
ზღაპარი ველის!..

15. 10. 91.  
ბანძა







### საიმი წახველ?!

აქ ჯდომა და ზღვისკენ ცქერა გიყვარდა,  
მთერალი იყავ  
გაზაფხულის ფერებით!..

აქ ჯდომა და ზღვისკენ ცქერა გიყვარდა,  
მაგონდება და გრძნობას  
ვერ ვერვები!..

დღეს ცა მიცქერს სევდიანი თვალებით  
და ფოთლები  
ცვივა მოოქროვილი...

ამ მაღლობზე მარტო დავიარები  
და საოცრად მტკივა  
სულის ქსოვილი!..

30. 10. 91.

სოხუმი



ისევ მოვიდა!

ისევ მოვიდა წელი ახალი ასი ათასი  
მაძლის ყივილით,  
მზეო, ამინთე ჭერი ძალაღი  
და ამაშორე ეგ სიმძიმელი!..  
ო, ის მოვიდა თოვლის ციმციმით, თუმც სისხლიანი  
მოჩანს ზეწარი!..  
დღემდე ვერ იქნა,  
ვერ მოვიცილე, ო, ის ტვივილი  
სულის მწეწავი!..  
შენთან შეხვედრა ისევ მომინდა,  
რომ გავუშალო სივრცე იადონს!..  
ისევ ახალი წელი მოვიდა  
და მღერის თოვლი  
საგანთიადოს!..

29. 12. 91.

სოხუმი



მაგონდება ის წლები!..

დათოვილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,  
მაგონდება ის წლები,

თვალს ედება სისველე!..

მახსოვს შენი თვალები ფერთა ათამაშებით

და ოცნების კოშკები

ბროლ-ბადახშით ნაშენი!..

აგერ მოხანს ის ბალი, ის ბილიკიც ვიცანი!..

მაგრამ არ ჩანს მებაღე,

არც ის წყარო ცინცხალი!

შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, ხსოვნის სიმებს მივენდე,

ვიცი თრთოლვა ფიფქების

ველარ დაამიმედებს!

ის დღეების წასულა, სულს დღე ველარ მინათებს!

თოვლის თეთრო ასულო,

შენი თრთოლვა ვინატრე!

დათოვილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,

მაგონდება ის წლები,

თვალს ედება სისველე!..

01. 02. 92

ბანძა



**ო, ის ზღაპარი დასრულდა!**

ის ჟამი არ დაბრუნდება, მზე დასაგლოეთით დაცურდა,  
ის ჟამი არ დაბრუნდება,

ო, ის ზღაპარი დასრულდა!..

ის ჟამი არ დაბრუნდება, არც ის დღეები სიამის!

ის ჟამი არ დაბრუნდება,

არც ვარდფურცლობის ნიაფი!

ის ჟამი არ დაბრუნდება, არც იმ ზვირთების შეტევა,

ის ჟამი არ დაბრუნდება

და არც მე შეიძლება!..

06. 02. 92.

სოხუმი





\* \* \*

სულის ეღება სევდა უფრო, მახსენდება დღე მაისის,  
გზაზე ჩუმად მივსაუბრობთ

და მზე გვაფენს შუქს დაისის...

ის ხავერდი შეღამების როგორ უნდა დაივიწყო?

ღამე იყო სავსე ვნებით,

სიყვარულის თაფლს რომ იწოვს!..

14. 02. 92.

სოხუმი



\* \* \*

შენ დარჩი მარტო მდინარის იქით  
და ხსოვნა ახლაც ტკივილებს მინთებს!..  
შენ დარჩი მარტო მდინარის იქით,  
თუ ყვავილოვანს  
შემორჩი მინდვრებს?  
შენ დარჩი მარტო მდინარის იქით,  
არ შეგხვედროდი ნეტავი სულაც!  
შენ დარჩი მარტო მდინარის იქით  
და მე დავცქერი  
სევდიან სურათს!..

15. 02. 92.  
სოხუმი



**რა უსწრაფ ვლელავ?!**

ჭადრის ხეების წყება, თოვლის ფიფქების ჩქამი,  
ისევე მიდიან წლები

და ის აჩრდილი სამი!..

ყინვამ შებოჭა ღელე, შესწყდა ხმაური წყლის!  
ო, ეს ზამთარიც წავა,

რა უცნაურად ვლელავ?!  
ფრთები გაშალე მძაფრად! დალაშქრე

ზღუდე ყველა,

ჟამს აგრძნობინე ძალა,

სივრცეს უსაზღვრო ღელვა!..

16. 02. 92.

სოსხუმი



ოსკვ ვენვი

ისევ გეწვიე მშობლიურ დელოს,  
შხეფებს მზის შუქზე  
ვისხურებ პეშვით!..

ყანხას მოუხანს ქათქათა ყელი  
და წყალი ისევ  
ჩამდგარა ხეში!..  
მოცურავს ისევ აპრილის გედი,  
სული სინარულს  
უკვე ვერ იტევს!..

ბავშვობის ლანდი  
მომყვება გვერდით  
და მოგონებას ვერ განვერიდე!..

12. 03. 92.

ბანძა







\* \* \*

რამ დამაფიწყოს წამწამების ჩუმი გალობა,  
რამ დამაფიწყოს მაგ  
თვალების ლურჯი ყვავილი?  
შენი ღიმილი ხომ ბუნებამ მე მიწყალობა  
და ამიყვავა ზამბახებით  
სულის ყამირი!..  
რამ დამაფიწყოს მოგალობე ჩიტი სამოთხის,  
რამ დამაფიწყოს  
თაფლისფერი თმების ნიაგი!..  
შენ ლაყვარდიდან ანგელოზის ფრთებით ჩამოდი  
და მოგყვა, სულო,  
ვარდფურცლობის თეთრი შრიალი!..

15. 04. 92.  
სოხუმი







**სამონ ბაგაფსულს ლაპუნარ!**

სამოც გაზაფხულს დაფესწარ, მზის სამოც აყვავილებას,  
მზე ვარდფურცლობის გამექცა, —

შემოდგომის მზეც ილევა!..

ქამი ტკივილმა დაძეწყრა, ვერც მე გადფურჩი უვნებლად,  
სამოც გაზაფხულს დაფესწარ, —

წლის სამოც შემობრუნებას...

სიფრცე გრიგალმა დაღეწა, — არ მინდა ნახონ თვალებმა!

სამოც გაზაფხულს დაფესწარ, —

მზის სამოც ფერიცვალებას!..

რამდენი მოძმე წამექცა და გაჰყვა ღროის დინებას...

სამოც გაზაფხულს დაფესწარ, —

მზის სამოც აღორძინებას!..

მომძალებია ჭაღარა, გზაც ნისლით შეიმოსება...

წლებთან ჭიდილმა დამლალა,

ვერ ვუძლებ დარდის მოსევას!..

როგორც შემეძლო ვეცადე, მივსტირი მე შენს მშვენებას,

ის კი ვთქვი მე რაც მეწადა,

ვაკეთე ის რაც მენება!..

სამოც გაზაფხულს დაფესწარ, მზის სამოც აყვავილებას,

მზე ვარდფურცლობის გამექცა, —

შემოდგომის მზეც ილევა!..

14. 08. 92.

სოხუმი





## ყველაფერი ბერდება და მიდის

ყველაფერი ხუნდება და ხმება, ყველაფერი ბერდება  
და მიდის!..

ეს ცხოვრება მდინარეა დიდი  
და მარად ქრის  
ქარი განახლების!..

ვერ გავიგებ ვერასოდეს იმას, ყოველივე თუ  
საიდან მოდის?

დღეს — ღამე ცვლის,  
მზეს — თოვლი და წვიმა  
და ქანაობს წუთისოფლის ხიდი!..

ღრო მშვიდია, ხან ზედმეტად ურჩი და საოცრად ფერს  
და იერს იცვლის!..

ხან დილის მზის წააწყდები სიცილს,  
ხან ბობოქრობს  
ოკეანე ლურჯი!..

ყველაფერი წარმავლობით ფეთქავს და ყველაფერს ღროის  
დაღი აზის!..

დღეს სივრცეებს ქარი უტევს მედგრად,  
ხვალ — ამ ჭიდილს  
ეკარგება აზრი!

ყველაფერი ხუნდება და ხმება, ყველაფერი ბერდება  
და მიდის!..

ეს ცხოვრება მდინარეა დიდი  
და მარად ქრის  
ქარი განახლების!..

05. 07. 92. ბანბა

ვლავარ ბაღის კართან

გუშინ ცეცხლი დაუშინეს სოხუმს, დღესაც ცეცხლის  
აღწი ცურავს იგი!..

არ ინდობენ: დიდს, პატარას, მოხუცს,  
ქალაქს კვამლის ახურავენ გვირგვინს!..  
ზღვა ღელავს და ზვირთებს ისვრის მღვრიეს,  
თვალზე ცრემლი მოსდებია თებოსს!..  
გუშინ ქალაქს დაუშინეს ძლიერ

და ცახცახებს ბალი საოცნებო!..

მანსოვს, ის მზის იხურავდა გვირგვინს,  
დღეს კი სისხლით ავსებია კალთა!..  
ცრემლიანი ვიციქირები ირგვლივ,  
დაბოლმილი ვდგავარ ბაღის კართან!..

16. 08. 92.

სოხუმი





### კვლავ ვეწვიე

კვლავ ვეწვიე მე აბაშის ჭალას,  
თუმცა იგი სხვა ფერებში სუნთქავს!..  
სული ტრფობთ ისევ განიმჭვალა,  
ცა დასცქერის მოღურჯო და სუფთა!..  
მავთულებზე ბელურები სხედან,  
ო, გასულა, — ეს რამდენი წელი!..  
ნიაფს დააქვს შემოდგომის სევდა  
და ტკივილებს ვედარ გაფუძელი!  
ო, აქ არსად ნაურმალი არ ჩანს  
და შრიალებს მდინარის პირს ლელი!  
მხოლოდ დინჯად დააბიჯებს ყანჩა  
და მეგობარს სიყვარულით ელის!..

27.08.92.

ბანძა



მეზობარ ქალიშვილს

მე მათცებს ცა ვარსკვლავთა წყობით  
 და ხავერდით საფსე მიწის კალთა!..  
 მახსენდება სილამაზე ყრმობის,  
 ამაოდ რომ  
 ერკინება ზამთარს!..  
 მეგობრები გეძახოდით ნიმფას,  
 ბევრჯერ იდექ ბედისწერის კართან!  
 ყვავილები წუთისოფლის კრიფე  
 და მაინც ვერ  
 გადაურჩი ზამთარს!..  
 მშორდებოდი, არათყერი მკითხე,  
 მშორდებოდი, არათყერი მითხარ!  
 მე უშენოდ ჩუმი სევდა მითრეგს  
 და ვიცი, რომ ვერ  
 გაფუძლებ დიდხანს!  
 მე მათცებს ცა ვარსკვლავთა წყობით  
 და ხავერდით საფსე მიწის კალთა!..  
 მახსენდება სილამაზე ყრმობის  
 ამაოდ რომ  
 ერკინება ზამთარს!..

02.09. 92.

ბანძა





**ახლა რა მიმდევრებაა?!**

სული ითხოვს ფერებს, მაგრამ ვიღას სცალია?  
ახლა რა მიმდევრება,

გზას, რომ ვხედავ ცარიელს?!

ღროის ფერიცვალებას უვნებლად ვინ დაშორდა?  
მე გამომყვა წამება

ალბათ დედის საშოდან!..

იმ სიმაღლეს ვერდგულობ, იმ თვალების გახელას,  
რომ არ გაუბედურდეს

სიყვარული ამხელა!

სული ითხოვს ფერებს, მაგრამ ვიღას სცალია?  
ახლა რა მიმდევრება

გზას, რომ ვხედავ ცარიელს?!

25.09.92.

სოხუმი



## მზე მათრობდა შენი გუნის!

შენს კალთაში ვინეტარე, მზე მათრობდა შენი ზეცის,  
მივდივარ და მომსდევს მთვარე,

აწი უკვე გადახვეწილს!..

შენს უბეში ვინებივრე და მათრობდა ბაგე მარწყვის,  
ზეცა უკვე ნისლებს ირევს,

სულში ჟამის სევდა მაწვიმს!..

ვეტრფი შენი სივრცის ფერებს და ღვთისმშობლის თვალებს გკოცნი,  
მანსოვს, როგორ მოგეფერე

და ღელავდი ბაგემორცხვი!

მზე დაისის მიიწვევა და მახსენებს რამდენ რამეს!..

მესმის შენი გულისცემა,

ტკივილს ველარ დავემალე!

შენს კალთაში ვინეტარე, მზე მათრობდა შენი ზეცის,

მივდივარ და მომსდევს მთვარე,

აწი უკვე გადახვეწილს!..

20. 10. 92.

ქუთაისი





\* \* \*

ს\_ს

როგორ შეგბედა სიკვდილმა ქიში,  
გაზაფხულს სევდა

ეს ვინ მოჰტუნა?

შენ სილამაზედ სიცოცხლის იშვი  
და როგორ უნდა

იქცე ყოფილად?!

უცნაურობის ო, როგორ მიკვირს,  
როცა სიცოცხლის

გალობა ისმის!..

ვინ ამოზიდა წყვედიანი ნისლის,  
როდესაც მიწა

მზის იდგამს გვირგვინს!..

მზე დედამიწას სინაზეს აღვრის,  
ისევე ირხევა

აბრილი ირგელოვ!..

ქეთონებს შენი ბავშვობის ბაღი  
და სიყვარულით

გისხენებს იგი!..

16. 05. 09.

მოსკოვი



**არ გადაჰყვეს სითამამეს?!**

ზღვას ახურავს შავი ფერი და საშინლად შფოთავს ღამე,  
ეს ხომალდი საით მიდის,

არ გადაჰყვეს სითამამეს?!

თორმეტია უკვე ღამის და ზღვას მაინც აღარ სძინავს!  
ორი ქარიშხალი ბღაგის,

როგორც ქარიბდა და სცილა!

აქ ხომალდი ბევრჯერ — ბევრი ვერ გასცილდა ზვირთთა ქაოსს,  
მეშინია, ზღვა კვლავ გახდეს

ხომალდების სასაფლაო!..

ის კი სადღაც მიბარბაცებს და მიენდო თითქოს უფალს,  
ნუთუ ანძებს ქარით ნაცემს

გაიმეტებს დასაღუჰად?!

ზღვას ახურავს შავი რიდე და საშინლად შფოთავს ღამე,  
ეს ხომალდი საით მიდის,

არ გადაჰყვეს სითამამეს?!

12. 09. 93.

ბათუმი





## აჭარას

იყო დრო, როცა გედგა უღელი,  
 ყოფნა არ ყოფნას რეკდნენ ზარები!..  
 მაინც იდექი მკლავმოუღლელო  
 და განვლუ ყველა  
 ფაზა წამების!..  
 ჟამს სისხლიანი ჰქონდა კლანჭები,  
 მძლავრად ფეთქავდნენ სულში აფრები!..  
 ველარ გიქციეს გული ნაჭრებად  
 და იყო ღელვა  
 მიუსაფრობის!..  
 ხეტიალობდა შავი აჩრდილი  
 და გუგუნებდა ღამე უკუნი...  
 მაგ შემართებამ გადაგარჩინა  
 და შენ გმირი ხარ  
 ამ საუკუნის!  
 შენში ათასი ვარსკვლავი ფეთქავს,  
 მოარღვევს სივრცეს მზე გაზაფხულის!..  
 შენ მართალი ხარ კაცთან და ღმერთთან  
 და სათაყვანო  
 ზეცა გახურავს...  
 შენ ჯაჭვანწყვეტილს ჰგავხარ ამირანს,  
 ფრთა შეაღეწე ჟამის ზვაობას!..  
 და გშვენივს ახლა მხოლოდ სამი რამ:  
 ნიჭი, შრომა  
 და გამბედაობა!  
 ნუ მოიგონებ ღამეს საზიზღარს,

ნურც იმას — უღვთოდ ჯვარზე რომ გაცვეს!  
იღელვე, როგორც ღელავს შავი ზღვა  
და ამ ბრძოლაში  
არასდროს დაცხრე!..

19. 09. 93.

ბათუმი



მოველ თქვენთან!

აჭარელ მეგობრებს

ცრემლმა ბევრჯერ დამისველა წამწამები,  
კარგად ვიცი

ერთგულების ფასი!

მოველ თქვენთან ნაგვეში და ნაწამები,  
გამოვსცილდი ენგურსა

და ფაზისს!..

დღემდე თქვენზე ბევრი რამე გამეგონა,  
მაგრამ რა სჯობს

ნანახსა და განცდილს?

ამ ჩემს სულში დარდის მღვრიე ზვირთი გორავს,  
ლამის არის

დამამსხვრიოს კაცი!..

შემოდგომა სივრცეს აღვრის დაღლილ ფერებს,  
თქვენი სითბო

მე გამყვება ვალად!..

მიმიღეთ და ძმაცაცურად მომეფერეთ,  
ინაწილებთ ჩემს

დარდსა და ვარამს!..

მთა მაღალი ნისლის მანდილს აფრიალებს  
და ზღვა ნისლით

თეთრად იმოსება...

საით მიდის ეს ხომალდი აფრიანი,

ზვირთების რომ

გაარღვია წყება?

გული მტკივა! ზღვასთან ახლოს დავალ უხმოდ,  
სად მიცურავს

ეს ღრუბელი ზანტი?

ამ მიწაზე მინდა ლოცვით ჩავიმუხლო  
და მათრთოლებს

ფოთოლცვენის ლანდი!..

ცრემლმა ბევრჯერ დამისველა წამწამები,  
კარგად ვიცი

ერთგულების ფასი!

მოველ თქვენთან ნაგვემი და ნაწამები,

გამოვსცილდი ენგურსა

და ფაზისს!..

24. 09. 93.

ბათუმი







## ბათუმის დილა

ელევათ ღონე ღამის ნათურებს,  
 მზე აფერადებს ზეცის საფერონს...  
 მე ძლიერ მიყვარს, ჩემო ბათუმო!  
 შენი ზღაპრული  
 ზღვა და ნაპირი!..  
 შემოდის დილა და ცის თავანი  
 დაიზნიქება შუქთა მტევნებით!..  
 მზე ფეთქავს ღაღად ამომავალი  
 და შენს ხეივნებს  
 აედევნება...  
 გიცქერ ოცნების ცისფერ დედოფალს  
 და ზღვის ხავერდი ფენქვეშ გეგება...  
 შენ კარგად იცი, — რაა დედობა  
 და სიყვარულით  
 შემოგებება...  
 შენ ამ გულისთქმას ენდე ბოლომდის!  
 ვიცი ხვალ უფრო შეჰკრავ კამარას...  
 შემოიგლიჯე ღამე ბორბტი  
 და მიაბიჯებ  
 გზებზე თამამად!..  
 და მეც მოვმართე ჩანგი ხმიერში,  
 რომ შენს სიმაღლეს მივესალამო!  
 შენ ხარ, ქალაქო, ფენბედნიერი  
 და დაჭრილ გულზე  
 მადებ მალამოს!..  
 მიდის მეოცე მსხვრევით, წვალუბით

და უსაშველო დარდით სხეული!  
და საოცარი ფერიცვალებით  
ფეთქავს სივრცეში  
შენი სხეული!  
მე მიყვარს შენი ზღვა და ხმელეთი,  
როცა ცისკრის ჟამს შუქი მიათოვს...  
აღებ კარიბჭეს ოცდამეერთის,  
დგახარ და მღერი  
საგანთიადოს!..

28. 09. 93.





## თოვლი მოდის

აჭარაში ზღვა ბობოქრობს, დღე საოცრად ცივია,  
აჭარაში თოვლი მოდის...

თოლიები წივიან...

აჭარაში ზღვა ბობოქრობს, ზღვა გუგუნებს შემტვევი,  
ცამ მთა-ბარი დაამშვეენა

თოვლის ორნამენტებით!

ქარი ქრის და სივრცეებში ფიფქებს დააფრიალებს,  
გავცქერქალაქს თოვლში მცურავს,

ლექსიც დავაფრთიანე!

აჭარაში თოვლი მოდის... ყველგან თოვლის ხვაფია...

ქუჩებს თოვლი მოეფინა

და სულის გაუხარია!..

აჭარაში თოვლი მოდის და ფიფქები მღერიან,

ზღვაზე ვხედავ მცურავ გედებს,

გედებს თოვლის ყელიანს!..

აჭარაში თოვლი მოდის და ცა შემწედ მეგულის,

შორს დავტოვე ძმათა სისხლით

ამღვრეული ენგური!..

აჭარაში ზღვა ბობოქრობს, დღე საოცრად ცივია,

აჭარაში თოვლი მოდის...

თოლიები წივიან...

13. 12. 93.

ბათუმი



მაგონდება ის წლები!..

ცის თავანზე ირხევა მთვარის ლურჯი ოლარი,  
მაგონდება ის წლები,  
მარად მოსაგონარი!..

დღეთა გადავიწყება ველარ შევძელ მთლიანად,  
ჩემი თეთრი ზღაპარი, —  
ეს ვინ გამიტიალა?!

წყალზე ხიდი ირწევა, ვპოვე გზა უპოვარი,  
მაგონდება ის წლები,  
მარად მოსაგონარი!..

15. 12. 93.

ბათუმი.





**ასე რატომ იცრემლება ბაღი?**

შაშვი გალობს... ხიდან თოვლი სცვივია...  
ცის თაგანზე მზე კი  
იკრებს ძალას!..

ზღვის ნაპირზე მოდის თეთრი ცირა  
და მე ცრემლი  
რატომ მომეძალა?!

შაშვი გალობს... ცა სინაზეს აღვრის...  
და მზე ღრუბლებს  
აღარ უშინდება!

ასე რატომ იცრემლება ბაღი,  
როცა უკვე  
გაზაფხული დგება?!

21. 02. 94.

ბათუმი



**ისევ გამონდა!**

ისევ გამონდა ბილიკზე თვალები ცრემლით სველი!..  
შენ თითქოს გლოვობ, დედა,

ასი ათასი წელი!..

კვლავ მიაქვს ოხვრა-მუდარა ჟამის მდინარეს იქით  
და დგახარ ლოდთან სამარის  
მძიმედ დაღლილი ფიქრით!..

ცახცახებს სივრცე და ნიავს მოაქვს ყვაველი კალთით  
და ხელში შვილის გიჭირავს,  
შენ სისხლიანი კვართი!..

24. 03. 94.

თბილისი





## ამ საუკუნის ბოლოს

ო, ენით აღარ ითქმის — რა ღვარძა ჩაიქროლა,  
სისხლის ღანქერი ათასს

ააცურებდა ხომალდს!..

ამდენ ჩადენილ ცოდვას, დრო უკვე ველარ ზიდავს!  
მხოლოდ გრიგალი ჰქროდა, —

ხმელეთიდან თუ ზღვიდან...

იღვა ცრემლების ტბორი და ჟამი ჰგავდა აფთარს,  
სივრცეს ახრხობდა შმორი,

კაცი კაცის ხორცს ჭამდა!..

ოცდამეერთის კართან — რა ღვარძა ჩაიქროლა,  
სისხლის ღანქერი ათასს

ააცურებდა ხომალდს!..

30.09.94.

ბათუმი



\* \* \*

რა გზაა დაუძლეველი, ციდან ვერ ატანს სხივი,  
რა გზაა დაუძლეველი

და რა საშინლად ცივი!..

რა გზაა დაუძლეველი და რა ავღარი უვლის!..

რა გზაა დაუძლეველი

და რა უდაბნო ღრუბლის!..

რა გზაა დაუძლეველი, ვისმენ ქარების ხივილს

და დუმს ტკივილით მიდამო,

სულში მზე იწყებს კივილს!..

რა გზაა დაუძლეველი, ციდან ვერ ატანს სხივი,

რა გზაა დაუძლეველი

და რა საშინლად ცივი!..

12. 12. 94.

ბათუმი







\* \* \*

მთელი ღამე ზღვა ბორგავდა წუნელის  
და შიშისგან ცანცანებდა ჯებირი!..  
მხრებზე ზამთრის

ედგა მძიმე უღელი,  
მთები იდგნენ თეთრი ფასკუნჯებივით!..  
ზვირთთა ცემით ზღვამ ხმელეთი დაკოდა,  
სველი ჰქონდა ცას

თვალეები დიდრონი!..  
და სივრცეში უგზო-უკვლოდ დაქროდა  
თეთრი რაშით  
ურჩი პოსეიდონი!..

14. 12. 94.

ბათუმი



ბაგაფხულის პირველი ღღე

უკვე მოვიდა მარტის პირველი და მზემ  
ლაჟვარდი მოახავერდა,  
გაფრინდა თოვლის  
თეთრი ფრინველი  
და თითქოს ზამთრის  
ქარიც დაბერდა!  
მზემ ათასობით მშვილდი მოზიდა და მალღრის ჰანგებს  
ხიდან ჩიტუნა...  
გზებზე გადადის  
ნისლი ზოზინით  
ზღვაც დაცხრა ერთობ  
და გაიტრუნა...  
ცამ საოცარი შუქი მოდენა და შეხსნა სივრცეს  
ყველა დარბა...  
მოვა მერცხალიც მოულოდნელად  
და ულამაზეს  
სიმებს გააბამს!..

01.03.95.

ბათუმი





## ოსკვ ველოდები მერცხალს

რა ლამაზი გახდა ეს ცა და მზე კიდევ რა სხივმნათი!..

ველოდები ისევ მერცხალს,

კრთის ათასი ათინათი...

ენახე რტოებს შუქი ესხა, ეს მთაც მალე ზამთარს მოლევს!

რა ლამაზი გახდა ეს ზღვა,

ზვირთებს აღარ მოაგორებს!

ეს რამდენი ჩიტი გალობს, ბელურები მოლზე დახტის...

მზემ ათასი ოქროს ზარით

დაუშსნვრია ზამთარს ტახტი!

რა ლამაზი გახდა ეს ცა და მზე კიდევ რა სხივმნათი!..

ველოდები ისევ მერცხალს,

კრთის ათასი ათინათი...

12. 04. 95.

ბათუმი



წუსელ

წუსელ რამდენი ვიხეტიალე, მერე შეგჩერდი  
 ერთხანს მუხებთან

და ქართან ომით

გადაღლილ ხეებს

ვნახე იარებს

მთვარე უხვევდა!..

ფიქრით ღამეში სად არ დავჭროდი, ვსერავდი

სივრცეს უკიდევანოდ...

ზღვის სურნელება

ნიაფს დაჰქონდა

და ქათქათებდა

მთვარის ზეგანი!..

არვის ესმოდა ჩემი წუხილი, ზღვა ნისლებს შლიდა

თითქოს აფრებდა...

მივწვდი ვარსკვლავებს

თვალთ უხილაფს

და ვცადე ფრთებით

ცაში აფრენა!..

ვერ გავაგონე მანც ვერავის ო, ეს ღელვა და

სულის ძახილი!..

შორს ჭიხინებდა

ჩემი მერანი

და ჟამს ეჭირა

თითქოს აღვირით!..

სული ზმანებამ ცამდე აზიდა, კიოდა ჭოტი

ღამის მთეველი



და წუთისოფლის  
მღვრიე საზღვრიდან  
მოჩანდა სივრცე

დაუძლეველი!..

წუხელ რამდენი ვიხეტიალე, მერე შევჩერდი  
ერთხანს მუხებთან

და ქართან ომით  
გადაღლილ ხეებს  
ვნახე იარებს

მთვარე უხვევდა!..

24. 08. 95.

ბათუმი



ოსკვ მიწურავს...

ო, ეს რამდენი სიცოცხლე ჩაქრა და ეს რამდენი  
დავღვარეთ სისხლი?!

სული კვლავ ებრძვის  
ეპოქის ავქარს

და დემონების საშინელ სისინს!..

იქ, სადაც ენთო ფერების გამა და მზეს უსტვენდა  
ჩიტების ქორო,

დღეს შვილის ცხედარს  
დაეძებს მამა

და ყვავ-ყორნები ღრეობენ მხოლოდ!..

გული კვლავ ხვდება კივილით ლახვარს, იგი დაღუპვას  
სულაც არ შიშობს!

პლანეტა ისევ მიცურავს, მაგრამ  
სისხლის მდინარეს

ტანზე ვერ იშრობს!

24. 09. 95.

ბათუმი





## ბარში ისევ შემოდგომა დადის

გუგუნებენ მთებში თეთრი ქარები, ბარში ისევ შემოდგომა დადის...  
და ხეები ძლიერ ფერხამკრთალები,  
მისტირიან იმ

ძველ სიღიადეს!..

ტყეს ჩაუცვამს სამოსელი ჭრელი და სივრცეში სიყვითლის  
დგას ტბორი...

ზეცას თითქოს ჩამოერღვა ჭერი  
და დაიმსხვრა

ვარსკვლავები ბროლის!..

გუგუნებენ მთებში თეთრი ქარები, რომ ბარისკენ  
გაილაშქრონ მერე...

და ღრუბლების ლაშქარს მოაქანებენ,  
ცას ცრემლებით თვალები

აქვს სველი!..

ჟამის სევდას სული ველარ იშრობს, ზღვა ღელავს და  
ველარ მალავს ბოდმას!..

ზღვამ არ იცის თუ რა არის შიში,

ზღვამ არ იცის თუ

რა არის მოღლა!..

გუგუნებენ მთებში თეთრი ქარები, ბარში ისევ  
შემოდგომა დადის...

და ხეები ძლიერ ფერხამკრთალები,  
მისტირიან იმ

ძველ სიღიადეს!..

02.11. 95.

ბათუმი

პარლუმენტების მათრობს ქარი

ჩემს შვილიშვილს — პატარა ანას

მე სახელად ანა მქვია და ნუკრივით ლამაზი ვარ!  
ცამ ნათელი დამაფრქვია,

მზემ სინაზე დამასხნია!..

პატარა ვარ, ფრთები არ მაქვს და კალთაში დავგოგმანებ,  
ვარდფურცლობის მათრობს ქარი,  
რომ მოვედი აღარ ვნანობ!

ვაზაფხული მინდვრად ყივის, ეფერება ცას და ხმელეთს,  
მოვა დრო და სიყვარულით  
მთელ ქვეყანას დავაშფენებ!..

07.06.96.

მოსკოვი







## ველარ ბაღაშორჩა

ამდენ ბოროტებას ველარ გაუძელო, ბოლოს დაგახალეს  
ტყვია მაუზერის!

სისხლით შეგიღებეს  
შუბლი დაღარული,

მთვარის გელვრებოდა შუქი დაღალული...

ხელებს დემონისას ველარ გადაურჩი,

სული ანგელოზის

ბოღმამ გადარუჯა!..

შურმა გადალახა ყველა ბარიერი,

შორით მოისმოდა

მრავალჯამიერი!..

16. 07. 96.

ბათუმი



## სიყვარული

*ჩემს ნანას და ანას*

ნანას უყვარს ანა, ანას კიდეც — ნანა!  
ანა უტკეპს ნანას,  
ნანა კიდეც — ანას!..

ცამ დედა და შვილი მზის ღიმილით ბანა  
და ორივე დილის  
ყვავილს დაამკვანა!

სიო მოდის თრთოლვით, სიო სიფრითანა  
და ორივეს უმღერს  
ტკბილად იავნანას!..

და ყველაფერს ამას ანგელოზი ხედავს,  
დედას შვილი უყვარს და  
შვილს კიდეც — დედა!

ჟამი შიდის, როგორც ღრუბლის თეთრი ფარა,  
ამ სიყვარულს მაღალს  
ღმერთი დაიფარავს!..

02.09. 96.

მოსკოვი





## მე და შენ

მე და შენ, ძვირფასო, სულ ერთად დაფრბოდით ნაპირზე ზღვის,  
მთვრალეები ვარდების სურნელით

და ეშხით მაისის მზის!..

გზომავდით ბავშვური თვალებით სიღრმეს და სიგანეს ცის...

და მუდამ ერთურთით მთვრალეები

მიწას ვერ ვამჩნევდი ძირს!..

ტალღები მოლურჯო ლივლივით სინაზით გვევსებდნენ სულს,  
ოცნებით ცას გადავივლიდით,

ერთმანეთს ეკოცნიდით სულ!..

გვხიზავდა ცა იღუძალების, რომ შუქის გვალვრიდა ბროლს  
და ზღვაზე სრიალით ნავეები

გვეძახდნენ უსაზღვროდ შორს!..

წავიდა ის ჟამი გუგუნით და სული იალქნებს ხრის!..

ტყვიდან არ გვეძახის გუგული

და ცვივა ფოთოლი ხის!..

დავდივართ ჯოხების კაკუნით, დეკემბრის ქარები ქრის!..

გაფრინდა ის ჟამი ზღაპრული

და ვცოცხლობთ იმედით, — რის?!

რა ახლოს კივიან ხარები და ტოტზე ყორანი ზის!

მოვიდა დრო ფერტიცვალების,

ჰა, ბოლოც გამოჩნდა გზის!..

და იქცა ყოველი წარსულად, ორთავეს ცრემლები გვდის!..

შეხედე, ჩვენი მზეც ჩასულა

და იქით გვეძახის ის!..

04. 12. 96.

მოსკოვი

ნატოს

აქ, ისევ თეთრად მოირთო ნაძვი და მიდის ზამთრის  
დღეები ბოლო!..

სული გაუზრბის დროსა და მანძილს  
და ყველგან — შენ ერთს  
დაგეძებს მხოლოდ!..

აქ, ისევ თეთრი ფანტელი ცვივა და მე ქუჩაში  
დავდივარ მარტო!..

გული, ძვირფასო, ო, როგორ მტკივა  
და ყველგან — შენ ერთს  
დაგეძებს, ნატო!

მე არასოდეს ვყოფილვარ მშვიდი, ნუთუ ყველაფერს  
ეცვლება ფერი?!

თუმცა გვაშორებს მანძილი დიდი  
და მაინც შენთან  
შეხვედრას ველი!..

27. 01. 97.

მოსკოვი



ვენახალ ვამოგახვევი

ჩემი მამულის სიყვარულს ნეტავ სად უნდა გაგექცე,  
სულმა საოცრად იხარა,  
როცა მზემ შუქით დამმეწყრა!..  
შენთან მოვდივარ, სანახებს ვნახავ და ღელვით ვინთები!..  
სხვა ასეთი ცა მანახეთ  
და უფრო ღურჯი მინდვრები!  
ვეჩურჩულები ბალახებს, რაღაც ღვთიური უფლებით,  
ცა უფრო ნაზი ვინ ნახა  
და უფრო თეთრი ღრუბლები?!  
დღეო, კარები განახვნი, სივრცე შემოსე ფერებით,  
სხვა ასეთი მზე მანახეთ  
მარადის დაუბერები!..  
ღმერთო, ბოროტი დალახვრე, გული გაუბე ისრებით!  
სხვა ღამის ზეცა მანახეთ  
სავსე კლდემით და ღირსებით!..  
სულში მომავლის მზე ატანს, შეგ შრიალებენ ვერხვები,  
ამოვალ ლოცვით და ტანზე  
ვენახალ შემოგახვევი!..

25. 04. 97.  
თბილისი



ორი მხელარი

*ზვიად გამსახურდიასა და  
მერაბ კოსტავას ხსოვნას!*

როგორ სძლებთ ასე შორიშორ,  
გამაგებინა ნეტავი?  
რა ძალამ ჩამოგაშორათ  
ორი უზადო მხელარი?  
სივრცე კვლავ დაობს ქარებთან, მტკვარს დაფცქერ  
სისხლით შეფერილს..  
და ჯოჯოხეთის კარებთან  
ისევ ყეფს დინჯად ცერბერი!

22. 07. 97.

თბილისი





\* \* \*

ჟამი მოდგა ფოთოლცვენის მზეს ღიმილი უქრება,  
დგას ტირიფი ცრემლით სველი  
და ცა უფრო მუქდება!..  
მთა კი ირჩევს ისევ დუმილს, დგას ალვის ხე მკრთომარე!  
სივრცე გახდა უფრო ჩუმი  
და ცრემლების მთოვარი!..  
მაცელი დგას იქ ჩინართან, როგორც ღროის მსტოვარი!..  
სული დელავს, ვით მდინარე,  
მარად გზაუბოვარი!..

02.09. 97.  
ბათუმი



## ისევ მოდის შამოღობა

ხესთან ვდგავარ და ფოთლები ჩამოდინ ტრიალით...  
ისევ მოდგა შემოდგომა,  
თუ სიკვდილი ტიალი?!

დაერია ხეებს ქარი უსულო და ავეცია,  
თოვს ფოთოლი ფერი მთვარის  
და შუქს არხევს ნაღვლიანს!..

ყველაფერი ბრუნვას ქამის, როგორ ემორჩილება?  
და სიცოცხლე ფრთებით შავით  
საღლაც მიაქვს დინებას!..

11. 09. 97.

მოსკოვი







\* \* \*

სამოსელი ამ ბაღის ქარებს დაუწეწია  
და სულს ველარ ამაღლებს, —

ეს რა სევდა მეწვია!..

წეროების კივილი სივრცეს აუღაბურებს,  
გავცქერ მინდვრებს ტკივილით  
და ცის მღვრიე საბურველს!..

ქარი სივრცეს ვარცხნის და, — რა ფერმკრთალი  
მზე მოჩანს?

ბაღს ფოთლები დასცვივდა  
და ყვავები შემორჩა!..

14. 09. 97.

მოსკოვი



\* \* \*

*ჩემს შეილიშვილს — პატარა ალინას*

შენ ბაბუა დაგავიწყდა აღბათ,  
 არც ბებიას განსოვს თბილი კალთა!  
 პატარა ხარ, სივრცეს იწოვ ხარბად  
 და ოცნებებს სიყვარულით ფანტავ...  
 შენს მომავალს ვერვინ გამოიცნობს,  
 თუმცა დღითი დღე საყვარელი ხდები!..  
 გაზაფხულის სილამაზეს იწოვ  
 და სიცოცხლის აღტაცებით თვრები!..  
 იაღონის შენ გალობას მოჰყევი  
 და ხავერდი გიყვარს მინდვრის ლურჯი...  
 მზე აპრილის გიფერებადებს ლოყებს  
 და გიქარგავს მომავლის  
 გზას ფუნჯით!..  
 შენ ლამაზი ყვავილი ხარ მინდვრის  
 და გელვრება შუქი ფენა-ფენად...  
 შენს ნახვაზე სული როგორ მიგვდის,  
 მაგრამ გვიჭირს  
 მე და ბებოს ფრენა!

20.10.11

მოსკოვი





## შორენას

ის ტკივილი კვლავ მომრავლდა, გულის ვინ შევლის დაჭრილს?!  
ძმა წაგართვა ზღვის მოვარდნამ,

შენ ნაპირზე ღარჩიი..

შველას თხოვდი ცას და ხმელეთს, ქარი ქროდა ძლიერ!..  
და იშვერდი იქით ხელებს,

სად ზღვა იყო მღვრიე!..

ის მთელი დღე აღარ დაცხრა, ზვირთს ისროდა გრეხილს,  
ზღვამ ძამიკო გამოგტაცა,

ვით ფოთოლი ვერხვის!..

როცა მთვარე შუქმკრთომარე ისვრის ფერმკრთალ ფოთლებს,  
მიხვალ უხმოდ ცრემლმთოვარე

და ნანგრევთან გოდებ!..

19. 09. 97.

მოსკოვი



**მივალ ქუჩაბანდებით**

ახლაც მახსოვს, ცა იგი მთვარის ლურჯი პროფილით,  
ის ტაძარი დაინგრა,

გახდა უკვე ყოფილი!..

ახლაც მახსოვს, ცა ლურჯი და მუსიკა შოპენის!

შენ კი, სულის საუნჯევე,

ჰგაფდი ზეცით მობერილს!..

ახლაც მახსოვს, შრიალი იმ მაისის ფოთლების,

ქროდა ლურჯი ნიაფი

სივრცით შენაშფოთები!..

მახსოვს, მე ის ბაქანი, განშორების წამები!

გულზე შემომელვარა

სევდა შემოლამების!..

მივალ ქუჩაბანდებით, არსად მაგვიანდება!

მთვარის ლურჯი სანთლებით

სადღაც მივილანდები!..

20. 10. 97.

თბილისი





## ისევ აცვიდა

უსაზღვროდ შენაშფოთები სივრცეს გავცქერი ცრემლიანს,  
ისევ აცვიდა, ფოთლები

სიცვიით იხოცებინა...

წვიმას თანდათან თოვლი ცვლის და ქარმა სივრცე არია,  
გზები ზამთარმა მოვერცხლა,

ო, რა ყინვა და ქარია!..

ცაზე მზის ჩაქრა ნათელი, ვით ღროის გარდუვალობა!

შორს დარჩა მზე შარშანდელი

და ჩიტუნების გალობა!..

21. 10. 97.

მოსკოვი



მოსწოლია შამოღომის სევდა

წვიმს... რა მძლავრად დაუბერა ქარმა  
 და ხეები გაწუწულნი დგანან,  
 რა ტკივილი ჩამორეკა ზარმა,  
 რომ მიდამოს პირს  
 ვერ უხსნის დანა?!  
 რა ტკივილი ჩამორეკა ზარმა,  
 ცას ღრუბლების მოსწოლია ფლოტი!..  
 წვიმს... რა მძლავრად დაუბერა ქარმა  
 და შიშისგან ტოტს  
 აწყდება ტოტი...  
 მობუზული ბელურები სხედან  
 და უმწეოდ გასცქერიან ველებს...  
 მოსწოლია შემოდგომის სევდა  
 ამ სივრცეებს  
 მოყვითალო ფერის!..

22. 10. 97.

თბილისი



ბიძეობა ნიკე შახაველიანი

მიხეილ მესხის ხსოვნას

შენ გძინავს უკვე დაღლილს, ნაომარს,  
წავიდა ნიკე ფეხბედნიერი!..  
სად არის შენი „ცრემლოძრობა“,  
ჩაწოდება თუ  
დარტყმა ძლიერი?!

ლექსის ჩარჩოში ველარ ეტევა,  
შენი ცეცხლი და თვალთა ნათელი!..  
სად არის ფიცხლად შენი შეტევა  
და მაგ ფინტების  
კორიანტელი?!

დრომ შეჩერება თითქოს ინება,  
ცას აწყდებოდა ხმები საყვირის  
და ტრიბუნები მიგაცვილებდნენ, —  
აღტაცებით და  
„მესხის“ ძახილით!..

ის ცეცხლი როგორ დაცხრა, მინელდა,  
ან ვინ მოთოკა ჟამის აღვირით?  
დროის დინებას როგორ მინებდა  
ხალხის ღელვა და  
ზღვა შეძახილი?!

ვინ მოაცილებს ზეცას საღებავს,  
იღვრება სულში ხსოვნის ფანტელი...  
ახლა სად ვპოვოთ შენი გარღვევა  
და მაგ ფანტების  
კორიანტელი?!

18. 11. 97.

მოსკოვი







## მერის

ვდგაფარ სარკმელთან და შიშველ ხეებს ო, რა  
ლაშაზად ათოვს!..

მე მახსენდება ო, ის დღეები  
და ბაგეები სათნო!..

ვდგაფარ სარკმელთან და თოვლში ვხედავ, რომ შენი  
ლანდი მოდის!..

რაფაზე თეთრი მტრედები სხედან,  
ირხევა თეთრი ტოტი...

ო, ეს რამდენი ფიფქი თამაშობს და ყველა  
თეთრი ფერის!..

შენ მაგონდება, შენ მაგონდება,  
შენ მაგონდება, მერი!

22. 11. 97.

მოსკოვი



ანა ღა თოვლი

ანა ბაღში დადის, ბაღს ფოთოლი სცვივია,  
 ტოტებს თოვლი ბარდნის,  
 მოდის თეთრი წვიმა...  
 ანა ბაღში დადის — ხან ეტლით, ხან ციგით  
 და ღვთისმშობელს თეთრი  
 გაუშლია წიგნი...  
 დგას ხეების რიგი, უცქერს არყებს ტანადს  
 და ბუნების იგი —  
 სწავლობს ანა—ბანას!..  
 ფიფქი ცვივია უხმოდ ნაზი, სიფრიფანა  
 და ის სითეთრეში  
 ეჯიბრება ანას!..  
 თოვლი მოდის უხვად... დგება ზამთრის ხანა,  
 ანას თოვლი უყვარს  
 და თოვლს კიდევ ანა!  
 ხეებს სძინავთ ბაღში, სიფრცეს თოვლი ღებავს,  
 დადის ჩუმად ბავშვი  
 და თან ელიძება...  
 სულის სიფრცეს ერთვის სულ ქათქათა ტალღა  
 და მტრედები თეთრი  
 ფარფარებენ მაღლა...  
 ანა ბაღში დადის, ბაღს ფოთოლი სცვივია,  
 ტოტებს თოვლი ბარდნის,  
 მოდის თეთრი წვიმა...

03. 12. 97.

მოსკოვი



\* \* \*

ბელურები შემოფრინდნენ ოთახში, ზამთარია, აღარ  
სწყალობთ ბედი!

ბელურები შემოფრინდნენ ოთახში,  
როცა მიწას გაუცივდა მკერდი!

ბელურები შემოფრინდნენ ოთახში, თოვლია და  
ქარიშხალი გარეთ!..

ბელურები შემოფრინდნენ ოთახში,  
და უბეში უსხდებიან ქალებს!..

18. 01. 98.

მოსკოვი



**ვერ ღანხრა!**

სული დემონის ვერ დაცხრა მოძმეთა

სისხლის დაღვრითა!..

ჯერ საქართველო ჯვარს აცვა, —

მერე ბერდანიტ დახვრიტა!

და ხვრებადა მხეცის სიმაღლით ო, სისხლს

გზადაგზა ნაგუბარს!..

და პირველია იმათში,

ვინც საქართველო დაღუბა!..

10. 02. 98.

მოსკოვი





## ანა და მტრელები

ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა, მოფარფარებდნენ  
თოვლისფერი ქარებით...

ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა  
და ნაძვები დგანან ნათურამკრთალები!..  
ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა, სარკმელს აღარ  
აშორებენ თვალებს!

ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა  
და ოთახში დაეძებნენ მთვარეს!..  
ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა და რაშიგით თოვლი  
არხვეს ფაფარს!..

ანას ისევ მოაკითხეს მტრელებმა  
და მინდვრების უყვებთან ზღაპარს!..

12. 02. 98.

მოსკოვი



ვღბავარ სარკმელთან

ვდგავარ სარკმელთან, ფიფქების რიალს  
 ვუცქერი, როგორც იდუმალ ზღაპარს!..  
 მე კვლავ ტრფობისთვის გული მაქვს ღია  
 და თოვლი არხევს  
 რაშივით ფაფარს!..  
 ვდგავარ სარკმელთან, თოვლის ციმციმით, —  
 გულს აღტაცების ზვირთი მოება!..  
 ჩემი ბავშვობის ლანდი იცინის  
 და ეჭიდება ამაოებას!..

01.03.98.

მოსკოვი





**მხედავ სერზე ამაყად მღგარ ლუხუმს!**

ზამთარმა კვლავ დაიხია უკან,  
გაზაფხულის შუქს ვერ უძლებს მღვეარს,  
მზე ეღვრება — ტყეს, მინდორ — ველს, შუკებს  
და სიმების სივრცეს  
ავსებს რხევას..  
სული იწყებს ქედანივით ღულუნს  
და ფერები ეფინება მალლობს..  
ვხედავ სერზე ამაყად მღგარ ლუხუმს  
და შენ რატომ  
იცრემლები, ბალოა?!  
შენთვის ბევრჯერ უფალს შეგვედრე  
და ღამეში ვლოცულობდი მარტო!..  
საყვარელო, მიყვარხარ და მენდე,  
თუკი ოდნავ მიგაჩნიაარ სანდოდ!  
წუთისოფლის ამარიდე ეკლებს,  
სიო დასდევს მთაზე ნისლის კოტორს..  
შენ ხარ ჩემი ოცნებების მეკვლე  
და მახუქე გული უბოროტო!..  
ზამთარმა კვლავ დაიხია უკან,  
გაზაფხულის შუქს ვერ უძლებს მღვეარს,  
მზე ეღვრება — ტყეს, მინდორ — ველს, შუკებს  
და სიმების სივრცეს  
ავსებს რხევას!..

24. 02. 63.

სოხუმი



\* \* \*

მოგა დრო და შენც სცენიდან გახვალ,  
 თუმცა ცხოვრება ისევ ენთება!..  
 ჟამი მოწამლულს გაძგერებს ლახვარს  
 და ერთიანად მოითენთები..  
 მოგა დრო, შენი ვარსკვლავი ცაზე  
 ღრუბლის მორევში შეწყვეტს ნათებას!  
 შენ ივლი მძაფრი ტკივილით სავსე  
 და დაიდვრები ხსოვნის სანთლებად!..  
 მოგა დრო, მინდვრის ბალახი სველი,  
 საფლავს მდუმარეს მოგინახვრდებს!..  
 და იხურჩულებს ნიაფი ველის,  
 შენი სიმღერა რომ არ დაბერდეს!

21.03.98.

მოსკოვი







**ყველას თავისი ბედი აქვს!**

შენი მზე უკვე არ მზეობს, ყველას თავისი  
ბედი აქვს!

ისე გასცილდი სამზეოს,—  
უკან არ მოგიხედია!

ისევ ქარი ქრის უემური, ხევში  
ნისლეები შედიან...

მესმის ბალახის ჩურჩული  
და დავცქერ საფლავს სევდიანს!..

27. 03. 98.

მოსკოვი



მოლოდინი

ჩემს შეილიშვილს — პატარა ანას

შენ შორიდან ელოდები დედას, არყის ხეებს მზე  
მაისის ათოვს...  
შენ შორიდან ელოდები დედას,  
გული გიცემს პაწია და სათნო!..  
შენ შორიდან ელოდები დედას და თანჯვრიდან  
იციბირები ხშირად...  
შენ შორიდან ელოდები დედას  
პატარა და სულ ლამაზი ცირა!  
მინდორ—ველი მწვანე კაბას იცვამს და ჩიტები  
ქღურტულებენ გარეთ...  
და სარკმელთან შენი თეთრი ციცა  
დასაჭერად ჩაუსაფრდა მთვარეს...  
შენ შორიდან ელოდები დედას და მზეს მოაქვს  
უთვალავი ფერი!..  
შენ შორიდან ელოდები დედას  
და თვალეში სიყვარული მღერის!..

18. 05. 98.

მოსკოვი



ბერიკაცი საქანელაზე

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე და ბავშვები  
თამაშობდნენ მინდვრად,

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე  
და გარშემო

ფოთოლცვენა იდგა!..

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე, მზე კარგავდა  
ცაზე სიმხურვალეს!

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე  
და ცრემლები

მოერია თვალებს!..

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე და ბექობზე  
ჭინვინებდა კვიცი!

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე  
და ბავშვები

ვერ მალავდნენ სიცილს!..

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე, ჩიტი ხიდან  
იძახოდა ტიას!..

ბერიკაცი შეჯდა საქანელაზე,  
ჩამოშორდა

წუთით სოფლის ტრიალს!

22. 10. 98.  
ბანძა



ანა ლა თეთრი მტრედი

თოვლზე მტრედი გოგმანებს, უხვად ცვივა ფანტელი,  
თოვლზე მტრედი გოგმანებს,

როგორც ზეცის ნათელი!..

თოვლზე მტრედი გოგმანებს და დღე მეხალისება!..

თოვლზე მტრედი გოგმანებს,

სული დელფით ივსება!..

თოვლზე მტრედი გოგმანებს, ფიფქი ცვივა ციმციმით,

თოვლზე მტრედი გოგმანებს,

მისდევს ანა სიცილით!..

12. 01. 99.

მოსკოვი





## რაა მიზანო?!

ცოცხალთა შორის თქვენ არა ხართ, მაგრამ სიზმარში,  
ისევე მხარულთი გადმოლახავით

ბობოქარ ლეთას!..

ამ შეხვედრების მე არ ვიცი, რაა მიზანი?

და მთელი ღამე, მეგობრებო,

დავდივართ ერთად!..

ხან ხიდზე ვდგავართ მიყრდნობილნი მოაჯირს რკინის

და ჭაბუკური სისხლი

ისევე აწყდება ვენას!..

ხან ზღვა ბობოქრობს უსაშველოდ და სივრცე კივის,

ხან ზღვაური ქრის

და ხან ქარი უბერავს ზენას!..

ხან ქუჩაბანდებს მიუყვებით, ხან კიდევ პროსპექტს,

ხან ქალების კენ აღტაცებით

გაგვირბის მზერას!..

ო, სულელებს ერთგულს ერთურთისგან ვერაგინ მოსხლეტს

და მივსდევთ ისევე ჭაბუკობის

ბილიკებს ფერადს!..

ხან ერთმანეთთან ძველებურად ლექსებით ვდაობთ,

ხან აფორიზმებს ვიშველიებთ,

ხან კიდევ იგავს!

კვლავ იბობოქრე, იბობოქრე, ცხოვრების ზღვაო!

და გადმოღვარე, გადმოღვარე,

რაცა დგას შიგან!..

ხან ველოდებით ზღვის ნაპირას საყვარელ ქალებს,

აგერ მოდიან: ქეთი, ირმა,



მეგი და თამარ!  
 ო, რა ლამაზად ხეივანში შემოღის მთვარე  
 და ტოვებს სადღაც, სიშორეში  
 მთებსა და ტრამალს!..  
 განთიადისას, როცა ფრთებს შლის შუქი ცხოველი,  
 ქრებით უეცრად,  
 როგორც ცაზე მთიების წყება!..  
 ო, ისევ ხდებით უხილავი, მიუწვდომელი  
 და ჩემში მხოლოდ  
 უდაბური ტკივილი წყება!..  
 ცოცხალთა შორის თქვენ არა ხართ, მაგრამ სიზმარში,  
 ისევ და ისევ გადმოლახავთ  
 ბობოქარ ლეთას!..  
 ამ შეხვედრების მე არ ვიცი, რაა მიზანი  
 და მთელი ღამე, მეგობრებო,  
 დავდივართ ერთად!..

04.10.09.

მოსკოვი





## ამ ჩაირბინა

აქ ჩაირბინა შენმა ბავშვობამ ო, ამ პატარა  
მდინარის ახლოს!..

აქ ჩაირბინა შენმა ბავშვობამ,  
აქ იდგა შენი ცისფერი სახლი!

აქ ჩაირბინა შენმა ბავშვობამ, ეფერებოდი  
ყვავილებს მინდვრის...

აქ, ახლა შენი ლანდი თამაშობს  
და მდინარე კი თავის  
გზით მიდის!..

22. 03. 99.

ბანძა



ჩემი პირველი მასწავლებელი

*ქალბატონ ლილი ზაქარაიას*

შენ წლებით დაღლილს ჭაღარაც გ შეგენის და მისდევ ბინდში  
 ნაკვალევს მთვარის,  
 ისე მიყვარდა ღიმილი შენი,  
 ვით გაზაფხულზე ყვავილის ქარი!..  
 შენზე ლექსის თქმა ველარ გავბედე, ვერ იქნა გრძნობას  
 დღემდე ვერ ვსძლიე!

თუმც ბავშვობიდან ლექსს შევებერდი  
 და უთქმელობაც  
 მამდგრეგდა ძლიერ!..  
 სერაფიტეით იყავი ნაზი და ჩვენთვის მუდამ  
 სიკეთე გსურდა!..

არ გამქცეოდა კალამი განზე,  
 შენი ხელები მშველოდა მუდამ!  
 იყავ ალმზრდელი სისხლით და ხორციით და ვეძევ შენთვის  
 სიტყვებს ღონიერს,

გათეთრდი ქალი ბავშვებზე ლოცვით  
 და სიყვარულიც გაიყოლიე!..  
 გზაზე წარსულის ირხევა ჩრდილი, დავექებ მინდვრად  
 ბავშვობის ღანდებს,

ახლაც მათცებს, ძვირფასო ლილი!  
 შენი ღირსება  
 და სილამაზე!  
 ცაზე რამდენი ვარსკვლავი ფეთქავს და გავცქერ ზეცას  
 ლურჯად შეფერილს,





შენ იყავ ჩემი მეორე ღეღა, —  
ჩემი პირველი მასწავლებელი!

23. 03. 99.

მოსკოვი



მომენატრა

*ჩემს ძმას გიორგი გაბუნას*

ჩემი ბანძა მომენატრა და აბაშის ჭალა!  
 ჩემი ბანძა მომენატრა  
 ტრფობა მომეძალა!..  
 ხან ჭადრების ხეივნებით, ხან ალგების მწკრივით,  
 ჩემი ბანძა მომენატრა  
 და ბინჯული ცივი!..  
 მომენატრა თეთრი ღამე და ჭილოფი მთვარის,  
 ჩემი ბანძა მომენატრა  
 და თვალები ლაღის!  
 ჩემი ბანძა მომენატრა — ხმა ბებერი ზარის!..  
 ჩემი ბანძა მომენატრა  
 მზის ფერებით მთვრალი!..  
 ჩემი ეზო მომენატრა და ჩიტები ჭრელი,  
 ჩემი ზეცა მომენატრა  
 ვარსკვლავების ჭერით!..  
 ჩემი ბანძა მომენატრა ბაღებ — ვენახებით,  
 მზის ტუჩებით და კოცნილი,  
 მთვარით შენახვევი!..  
 ჩემი ბანძა მომენატრა და შორს მთები ასხის...  
 და სუფრასთან მოძახილი —  
 — დალიე და მასვი!..  
 ჩემი ეზო მომენატრა და თამაში ლახტის  
 და ბიჭები თვალვარსკვლავა, —  
 გულით მუდამ ნაღდი!



მომენატრა ლამაზები წყვილი ნაწნავებით  
და თარული სიყვარულით  
გული ნაწამები!..

ჩემი ეზო მომენატრა და დაწნული ღობე  
და ბუღბუღი ატმის რტოზე  
ტკბილად მოგალობე!..  
ჩემი ზეცა მომენატრა შვიდფერ არტანებით  
და ნისლეები ისლის ტბაში  
მიმავალი რხევით...

ჩემი ღელე დასაბანად ძლივს რომ ყოფნის ხელებს,  
ჩემი ღელე მომენატრა, —  
ჩემი პუმპუ ღელე!..  
უნსოვარი დროიდან რომ სულ ჩურჩულით მოდის...  
ქარსაც უძლებს, ქარიშხალსაც, —

ეს ცისფერი ტოტი!..  
აქ ორაგულს ვერ იხილავთ, ვერც სხვა ჯიშის თევზებს,  
მანც მოდის ის ამაყად,  
აჟღარუნებს დეზებს!..  
მომენატრა შელამება ნაზი, როგორც შველი,  
და ჩემი ცის ლურჯ თაფანზე

ღრუბლის ბურბუშეღა...  
ჩემი ვერხვი მომენატრა ტანით ბუმბერაზით,  
ბებერ მხრებზე მუდამ თეთრი  
არწივი რომ აზის!..

მამის ჩონა მომენატრა ახალუხით თეთრით  
და ზერდაგის ქარიშხალთან  
დაჯანება მკერდით!..

მომენატრა ჭალის პირას მოშრიალე ყანა

და ჭაღარა დედის ლოცვა, —  
მისი იაგნანა!..  
მომენატრა და წარსულზე მიგალობეთ რამე!  
ჩემი ციციანათელებით  
დაცხრილული ღამე...  
ჩემი ბანძა მომენატრა წყურვილებით ბროლის  
და ჩემი ცა წეროების  
სევდით დანატბორი!..  
ჩემი ბანძა მომენატრა და აბაშის ჭაღა!  
ჩემი ბანძა მომენატრა, —  
ტრფობა მომეძალა!..

12. 04. 99.

მოსკოვი





\* \* \*

სივრცეს ისევ მოერია სევდა და მიდამოს  
ქარი აუხირდა!..

სივრცეს ისევ  
მოერია სევდა  
და ფოთლები მოცურავენ ხიდან...  
სივრცეს ისევ მოერია სევდა და მიდამო ტკივილს  
ველარ მალავს!

სივრცეს ისევ  
მოერია სევდა,  
ასე იყო და იქნება მარად!..  
სივრცეს ისევ მოერია სევდა და სატკივარს გული  
ველარ უძლებს!

სივრცეს ისევ  
მოერია სევდა  
და ბავშვივით ამატირა უცებ!..

16. 10. 99.

მოსკოვი





მერსხალი

ქარს ჩრდილოეთის არ შეუშინდი, ფრთებით  
სერავდი სივრცეს...

ქარს ჩრდილოეთის არ შეუშინდი,  
არც წვიმასა და ნისლებს!  
ეფერებოდი თვალთა ციმციმით მინდვრის  
საოცარ ზღაპარს!..

არ შეუშინდი თოვლს და სიცივეს,  
არ შორდებოდი მთა-ბარს...  
დიდხანს იქროლე განმარტოებით ჩემს  
ფანჯარასთან ახლოს,  
ალუბლისა და ატმის რტოებთან,  
დიდხანს იქროლე მარტო!..  
ღამით, როდესაც თოვლი მოვიდა, ვნახე  
ქათქათა დილით  
თოვლის ეკრანზე იწვა გულადმა  
შენი პატარა ჩრდილი!..

25. 12. 2000.

ბანძა







## ტბასთან

ჩვენ იმ საღამოს ტბის ნაპირზე მიმოვდიოდით,  
გვეფერებოდა ცა მაისის  
იღუმალ რხევით!.

როგორ გვხიბლავდა ჩინარების რწვევა— შრიალი  
და მიცურავდა შორს გედევით  
ღრუბელი თეთრი!..

იმზირებოდა ტბის სარკეში ცა მოციაგე  
და ჩვენს გარშემო  
ყველაფერი იყო ზღაპრული!.

გვენთო სხეულში სიყვარულის თეთრი კოცონი  
და ამ ზღაპარის ჩვენც ვიყავით  
ერთი ნაწილი!..

წავიდა ის ღრო და ჩვენს თმებში მოხშირდა ვერცხლი,  
ჩაქრა ის ცეცხლი  
მე ზნებარებით შეუღარები!..

იმ შეღამების ხსოვნა თუკი შემორჩა რამეს, —  
იასამნისფერ მთვარის შუქს  
და ტბის სილაყვარდეს!

02.09.09.

მოსკოვი







## მინდვრის პატარა ღელოვანი

*ტრაგიკულად დაღუპული ჩემი  
მამიდა შეილის ხუტუს ხსოვნას!*

შენ დარბოდი გაზაფხულის ბაღში, შორს ღრუბელი  
მიცურავდა თეთრი...

უცაბედად შეტორტმანდი ბავშვი  
და კალთაში ჩაიკეცე ღედის!..  
ხელში შეგერჩა მოკბეჩილი ვაშლი, იგრძენ პირში  
უცნაური გემო!

რომ ანგელოზს  
ჩაგდგომოდა კვალში  
აზრად როგორ მოუვიდა ღემონს?!  
შენ ხომ მინდვრის ღელოვანი იყავ და თვრებოდნენ  
ყვავილები ეშხით!..

მეჩვენება წყაროს  
პირას ზინარ  
და გიჭირავს ღედაენა ხელში!..  
ციდან ლურჯი მოკამკამებს წყარო და ფანჯარას ქარი  
რტოებს ახლის!..

რად მოგექცა  
ბედი უმოწყალოდ,  
რად დაგიჭენო სიყვარულის ბაღი?!  
ვინ დაგიკრეტს გაზაფხულზე იებს და მაგ თვალებს ვინ  
დანატავს ფუნჯით?

შენ, პატარამ  
სიკვდილს ერთხელ სძლიე

და მეორედ ველარ გადაურჩი...  
ოხვრით ბევრმა ჩაიარა წყალმა და ვაშლის რტო შლის  
ცრემლიან კოკორს!..

ო, სიკვდილმა  
მუდამ მოუცლელმა,  
შენთვის ორჯერ მოიცალა, გოგო!  
ზამბახს შერჩა შენი მზერა თბილი და თვალეები გაგყვა  
ცრემლით სველი!..

გულზე ოხვრით  
დაიკრიფე ხელი  
და განშორდი წუთისოფლის ბილიკს!..  
შენს სარკმელთან რტო ირხევა ვაშლის და ადგილის დედა  
ისევე ხვნიშის!..

ანგელოზმა აგიტაცა ცაში  
თუ ნიშნებმა გაგიტყუეს ტყეში?!  
შენ ხომ მინდვრის დედოფალი იყავ და თვრებოდნენ  
ყვავილეები ეშხით!..

მეჩვენება წყაროს  
პირას ზინარ  
და გიჭირავს დედაენა ხელში!..

05. 12. 2000.

მოსკოვი





**ხსოვნა კვლავ ტკივილს არხევეს!..**

შენ არ გეღირსა დედობა ღვთიური  
შუქით მოსილს!

შენ არ გეღირსა დედობა,  
ტყუპისცალს ანგელოზის!  
შენ არ გეღირსა დედობა, ბედის  
დაცინვა, ნახე!

შენ არ გეღირსა დედობა  
და ხსოვნა ტკივილს არხევეს!..

12. 12. 2000.

მოსკოვი



\* \* \*

დრო იმედებს რა უღმობლად მაცლის, მოგონება სულს  
წამებით მივსებს!..

მომაშორეთ ეს ფერები ბაცი,  
გამიფანტეთ ეს დღეები მქისე!..  
ქარი ისევ ხოშკაკალას მაყრის და საგალი კვლავ  
რამდენი მიღვეს!..

დამიბრუნეთ ის თვალეები მაყვლის,  
რომ ათრობდა ჩემი სოფლის მინდვრებს!..

22. 12. 2000.

მოსკოვი





**მე იმ ქალაქში რა მინდა?!**

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც შხამის დგას გუბე?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სადაც სიკვდილი სუფევს...

მე იმ ქალაქში რა მინდა, სად სისხლი არღვევს ჯებირს?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სადაც ყმუიან მგლები?!

მე იმ ქალაქში რა მინდა, ბავშვებს რომ თხრიან თვალებს?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სად გლოვობს მზე და მთვარე?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, სად ცა დაღეწეს ბროლის?

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც სისხლის დგას ტბორი?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სადაც სისხლის დგას ტბორი?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც ანგრევენ ძეგლებს?

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც ანგრევენ ძეგლებს?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სად სული გადაჯვებეს?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, სად სისხლით რეცხენ ქუჩებს?

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც ანგრევენ ძეგლებს?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

სად სული გადაჯვებეს?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, სად სისხლით რეცხენ ქუჩებს?

მე იმ ქალაქში რა მინდა, სად სისხლით რეცხენ ქუჩებს?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,

ტკივილს რა გამიყურებს?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც ბატონობს ღამე

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც ბატონობს ღამე  
და ყოველ ამოხვნემაზე

და ყოველ ამოხვნემაზე  
ზღვა ისვრის განრწინილ გვამებს!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,

მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,  
სადაც კაცის ხორცს ჰკიდებენ

სადაც კაცის ხორცს ჰკიდებენ  
ღმერთს ხორხორცით ხეზე?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,

მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,  
სადაც კაცის ხორცს ჰკიდებენ

სადაც კაცის ხორცს ჰკიდებენ  
ღმერთს ხორხორცით ხეზე?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,

ღმერთს ხორხორცით ხეზე?!  
მე იმ ქალაქში რა მინდა, რომ დგას მკვლელები გზებზე,

მე იმ ქალაქში რა მინდა, სადაც შხამის დგას გუბე?  
მე იმ ქალაქში რა მინდა,  
სადაც სიკვდილი სუფევს?!

21. 01. 01.

მოსკოვი







### დამიბრუნეთ სალოცავი მიწა!

ისევე ვისმენ განწირულის ძახილს!... მეძარცვება  
ნარინჯების ჭაღას!..

დამიბრუნეთ ჩემი ზღვა და ბაღი,  
რომ წამგლიჯეთ,  
ჯვალათებო, ძალად!

სიო დილის, რომ ტირიფებს არხევს და მინდვრებზე  
ვირღ-ყვავილთა ჩქერი,  
მაგონდება და ტკივილით მამღვრევს,  
დამიბრუნეთ  
სიყვარული ჩემი!..

მოგონებებს ვეფერები გზაზე, ჩემი ზეცის სილაყვარდე მასვით!..  
მაგ თვალების შუქით  
ვიყავ საფსე,  
ვით ღამის ზღვა მთვარის სილამაზით!..  
მზე ქვიშაზე ქალწულივით იწვა, ვარსკვლავების  
ირწეოდა თაღი!..

დამიბრუნეთ სალოცავი მიწა!  
დამიბრუნეთ  
მშობლიური სახლი!

ქამის მედგრად ვეჭიდები აღვირს, თვალებს აღარ  
ეკარება რული!..

დამიბრუნეთ ჩემი ზღვა და ბაღი,  
თორემ დეღვით  
გამისკდება გული!..

ო, ამ ღამით სატანჯველი ყველა, ასე რატომ  
მომეძალა ერთობ!..

ჩემი ქვეყნის თუ ვერ შესძელ შეველა,  
მათიო ზებს რად

ჩაუგდე დმერთო ?!

აქ ბუნების იღვრებოდა მადლი, გაზაფხული  
ზეიმობდა ირგვლივ!..

დღეს სიკვდილის  
დაბარბაცებს ლანდი!..

რატომ გამიუბედურეთ იგი?!

აქ მუხლამდე იდგა სისხლის წვიმა, ახლაც ასდის მთა-ბარს  
მძიმე შმორი!..

ჩემი ხალხის სატკეივარი მტკივა  
და მზე ზღვაზე

ჩამავალი შორით!..

24. 01. 2001.

მოსკოვი





\* \* \*

ო, რა შორს ხართ ჩემგან, ვარსკვლავებო ბროლის!  
რალაც ძალა უნძოდ  
თქვენს კენ მიმაქროლებს...  
ო, რა შორს ხართ ჩემგან შუქთა ყვავილებით,  
თქვენზე ოცნებით და  
ფიქრით დავიღვევი!..  
ხეტიალით, როცა დავიღლები მგ ზაფრი,  
ჩემი სული ხდება  
თქვენი თანამგ ზაფრი...  
ო, რა შორს ხართ ჩემგან, ვარსკვლავებო ბროლის!  
თქვენ ხართ იღუმალი  
სიყვარული შორი!

25. 01. 01.  
თბილისი



\* \* \*

ისევე აფრინდა თოვლი უჩუმრად, როგორც  
მინდვრიდან ყანჩა...  
მოდის აპრილის სიო ჩურჩულით,  
ის თვალები კი არ ჩანს!..  
ო, ეს ზამთარიც სადღაც გაფრინდა და მზე  
აპრილის ფეთქავს!..  
სული იღუძვალ რატომ გაფითრდა  
მკრთალი თამაშით ფერთა?!.

12. 04. 2001.

მოსკოვი





## ბერიკასი

აყოლებს მზერას ნაღვლიანს ქუჩაში ხალხის დენას,  
გული ღელვისგან დაღლია

და უკვე ებმის ენაც!

ვხედავ უზომოდ მოთენთილს, მოხეტიალეს ცალად,  
რამ დააღონა ნეტავი, ცრემლი რად მოეძალა ?

12. 09. 01.

მოსკოვი



მეგობრის საფლავთან

*ჩემი ბავშვობისა და ყრმობის მეგობრის —  
ბოხია კოტიას ხსოვნას!*

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო და ჭალისკენ გავეყვით  
სოფლის შარას!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო,  
თორემ დარდი გულის  
მოედო შეავად!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო, თორემ დელვით  
სული დამეღალა!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო,  
და განგშორდეთ  
მღუშარების ქალაქს!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო, ზვირთი ისევ  
ეხეთქება კბოდეს!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო,  
და განგშორდეთ  
ამ ხანისან ლოდებს!..

გარს მარტყია სიგრცე მოგანგაშე და დღეები რა  
ულმობლად რბიან?!  
წამო ბიჭო, ჯოხი ვტყორცნოთ ვაშლებს,

წამო ბიჭო, ქვა ვესროლოთ ბიას!  
ჩემი სული ვერ იშორებს ტკივილს, მოგონების ბილიკს  
მივსდევ მარჯვედ...  
განსოვს, ბიჭო, რომ გვიცქერდა გზიდან  
ანგელოზის თვალი მოდარაჯე?!  
ანგელოზის თვალი მოდარაჯე?!



ეჯახება ქარი რკინის კარებს და ჩემს ცრემლებს მიწა  
იწოვს ხარბად,

ბედისწერა ისევ მიმაქანებს,  
სადმე ჯვებირს

მიმანეთქებს აღბათ!..

შენს საფლავზე მკრთალი ნისლი ცურავს და რტოების  
ვაცქერდები რიალს...

ლოდზე მე შენს ვეფერებს სურათს  
და ჭრილობა

სულში რჩება ღიად!..

წყარო თვალებს აციმციმებს ცინცხალს  
და აბაშა ტალღებს

ამსხგრევს ბროლის,

წამო, ჩიტებს ავედევნოთ ფიცხლად,  
მშვილდ-ისრების

და შურდულის სროლით...

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო, ზვირთი ისევ  
ეხეთქება კბოდეს!..

აქ რა გინდა, წამოდექი ბიჭო,  
და განვშორდეთ

ამ ხავსიან ლოდებს!..

18. 10. 02.

ბანძა



\* \* \*

ამაოდ ვუცქერ იმ ფანჯრის მინას,  
რომელიც ადრე მიხმობდა გრძნობით!..  
იმ ჟამს სალოცავს — რა ჩუმად სძინავს,  
სად გაქრა ჩემი  
დღეები ყრმობის?!  
გარეთ ფერების არის რიალი,  
ის ღელეც მიდის და ხსოვნა მიაქვს!..  
და კარუსელი ისევ ტრიალებს  
და სულში სევდის  
აღვიძებს ნიავს!..

17. 04. 90.

სოხუმი







\* \* \*

ღრაკონმა ავბედითად დაიწიგლა და ცა  
ყორნისფრად იქუფრება!..

ბეჭზე საქართველო გააწვინეს,  
ჩემი საქართველო იღუპება!..

გულმა შემზარავად დაიკვნესა!.. სულმა ო, რა  
მწარედ გაიცინა!..

ცაში ორბის ფრთები დაიკეცა,  
ჩემი საქართველო გაიწირა!..

04. 12. 01.

მოსკოვი



ხსოვნას ვეფერები

შემოდგომის ქარი არხეცს ყვითელ ფარჩას,  
ის შეხვედრა, მარი,  
საიდუმლოდ დარჩა!..  
გახსოვს? — მთვარემ გრძნობით შუქი მოგვაქსოვა,  
ის ხე გახმა შინდის,  
წყაროს შერჩა ხსოვნა!..  
აქ მოვდივარ ხშირად, დიდხანს მარტო ვდგები,  
გაქრა ო, ის სივრცე  
ტრფობით ანანთები!..  
ღრო კვლავ მიქრის, ბასრი გაუშლია ფრთები,  
მე დაღლილი ფიქრით  
ხსოვნას ვეფერები!..

24. 10. 02.

ბანძა





\* \* \*

მე მიყვარს ჩემი ლამაზი კუთხე  
და ჩემი ზეცის ცისფერი რიდე!..  
შევხვდები გზაზე სევდიან ურთხელს,  
მოვეფერები ბავშვობის მინდვრებს!  
ავეღვენები ბილიკებს მთვარის,  
სადაც აბაშის წყალი ხმინებს  
და სიყვარულით ბოლომდე მთვრალი  
ჩემს ძმობიჭებთან ვიხეტიალებ!..

29.07.03.

მოსკოვი



იღბა ტირიფთან სანთლით

პოეტ ოთარ მიქაძის ხსოვნას

შენ სიკვდილს შეხვდი მშვიდად, წასვლა არ დაახანე!  
ფიქრით იალქნებს შლიდი

იმ შორეული ხანის!..

მზის ილეოდა ცეცხლი, თვალი ვერ მოარიდე

და გაზაფხულის ზეცის

ქარი წეწავდა რიდეს!..

შენი ბავშვობის ლანდი ველარ მალავდა ვარამს!

იღბა ტირიფთან სანთლით

ცრემლი სდიოდა ღვარად!..

04. 06. 05.

თბილისი



თოვლი ახალ წლის ღამით

რას საოცარი რხევით ჩამოდის თოვლი  
ახალ წლის ღამით,

ვინ შეხსნა ყველა  
კარი სამოთხის  
რომ სივრცე თეთრად ყვავის?!

მოხანს ქალაქის თეთრი ხედები, თუმცა  
არაფინ მიცდის!

ვთვრები ბუნების  
შემოქმედებით...  
თოვლში ჭიხვინებს კვიცი!..

სივრცე ვერ იქნა ვერ გადავლახე, გული  
რად მტკივა ეგ ზომ?

თოვლი ბავშვობის  
დღეებს მახსენებს,  
ჩემს ფიცრულ სახლს და ეზოს!..

თოვლის ფერიამ არ დამივიწყა, გული კვლავ  
ტრფობით მიცემს!..

დედოფალივით  
მოძირთო მიწა  
და ამიყვავა სივრცე!..

რას საოცარი რხევით ჩამოდის თოვლი  
ახალ წლის ღამით,

ვინ შეხსნა ყველა

კარი სამონის,

რომ სიფრცე თეთრად ყვავის?!

31. 12. 06.

თბილისი





\* \* \*

კვლავ ქუჩაში მანქანების მორევით, მენატრება  
ხეივანი ჩინარტა,

ცა თვალისთვის გახდა მიუწვდომელი  
და ქალაქი კვამლში გაუჩინარდა...

ჩემი მთების სილამაზე მაჩვენებთ და კალთებზე  
ჩანჩქერების რხევა,

არ იქნება არ ვადიდო გამჩენი  
სიო სოფლის, როცა მომეხვევა...

ო, მანახეთ გაზაფხულის სიაღვე, რომ ეტრფოდა ღელვით  
ჩემი ყრმობა,

ვარდფურცლობის ფერს  
რომ მოაშრივლებს,

შენედავ და დაიღვრები გრძნობად!..

02. 10. 07.

მოსკოვი









\* \* \*

ვინგევდით თოვლის ფანტელებს ტანზე,  
ო, იმ საღამოს მე და შენ, მერი!  
ახლა ყოვანი დამჩნავის თავზე  
და მიცქერს შენი თვალები სველი!...  
მე ყრმობის ლანდებს ამაოდ დავსდევ,  
ო, ის ჟამი ჰგავს გაფრენილ მერანს,  
მე ყელამდე ვარ ტკივილით სავსე  
და მაინც შენი  
სიმაღლის მჯერა!...

15. 11. 07.

მოსკოვი



\* \* \*

იჭერდი კბილით, მეგობარო, გასროლილ ტყვიას!  
აყურადებდი სიშორიდან

ირმების ბლავილს!..

რატომ დანებდა ცეცხლოვანი თვალები წყვილადს,  
და უჩვეულო მღუმარებას  
პირქუში ღამის?!

ცხოვრების ხნულში შენ სიკეთის ჩაჰყარე თესლი  
და ახლა იგი აბრილის მზის

ამოსვლას ელის...

რომ სამუდამოდ ჩვენს ხსოვნაში გაიდგას ფესვი  
და ჰქონდეს მუდამ  
გაზაფხულის ღიმილის ფერი!..

14. 12. 07.

მოსკოვი





ბაგაფხულის მაცნე

მოიდრუბლა და იქუნა! მერე დაეშვა წვიმა,  
წყალნი გარბიან ჩქაფუნით  
და ლოლუები ცვივა...  
შეხედე საგანათულო ფრთა გაუშლია ნიავს,  
მდინარე მიიზვირთება...  
თოვლის ნამქერი მიაქვს...  
ქათქათა სივრცე ერთბაშად ნაკადულეზად იქცა  
და ზამთრის ნაფეხურებზე  
ვხედავ ყვავილებს ციცქნას...  
ჯერაც უფოთლო რტოებზე იწყებს ჩიტები ჟღერტულს,  
მას უსმენს ბიჭი-გოგია  
და შორს მოისვრის შურდულს!

28.02.08.

ბანძა





## თეთრი პაპულა

ყვავილთა ტევრში დაცურავ, გოგო!  
ფრთა გაუმლია

ფერადი ნიაფს!..

იღვრება ციდან ჩანჩქერი ოქროს  
და ეფერები

სიცოცხლის შრიალს!..

შენ იმოსები სინაზით შუქის

და სილამაზით

ყვავილებს ერთვი...  
მინდვრის ფერიებს სიყვარულს ჩუქნი

და ფეთქავ, როგორც

პეპელა თეთრი!..

04. 04. 08.

მოსკოვი



## მამას

შენ წყაროს წყალი მოითხოვე და მოგიტანეთ,  
როცა დალიე,

უჩვეულოდ ამოიხზრე!..

შემოღამების ცა მოჩანდა ფანჯრიდან მწვანე,  
მასხენდება და გული ტკივილს ვეღარ იოხებს!..

ვინ მოთვლის სიკვდილს თუ რამდენჯერ გაეთამაშე,  
არ დაგკლებია: დევნა, ტანჯვა

და სიმძიმეილი!..

შენი ამბოხი სული ჟამმა ვეღარ დააშრო,

ვერც შემოტევით,

ვერც მაცდურის

ჩუმი დიმილით!

ბავშვობის წყალი მოგიტანეთ და მისი გემო,

თან გამყვებაო, —

ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვი იგი!

ვერ გაექცი კარზე მომდგარ შემზარავ დემონს

და მღუპარება ულმობელი

ჩამოწვა ირგვლივ!..

08. 04. 08.

მოსკოვი





### ვერასოდეს ბაიუღვებს აწი!

კვლავ იქნება ყვავილობა ატმის  
და ვაშლების

აწითლდება ღაწვიც!

ის ლამაზი გამონედვა, ნატრი,  
ვერასოდეს გაიეღვებს აწი!

ფოთოლცვენაც იქნება და თოვლიც,  
მზეც ამოვა

რწევით შესაშურით!..

გაზაფხული ყვავილებში მთრთოლი,  
აწი ველარ

შემოგვხედავს შურით!

ღაწვებს კვლავაც მოედება ალი,  
ხეივანში

უცაბელი კოცნით!

ზღვაზე თეთრი გაცურდება ნავი,  
ცაზე მთვარეც

აინთება ლოცვით!..

კვლავ იქნება ყვავილობა ატმის  
და ვაშლების

აწითლდება ღაწვიც!

ის ლამაზი გამონედვა, ნატრი,  
ვერასოდეს გაიეღვებს აწი!

09. 04. 08.

თბილისი



სურვილი

ჩაულურჯდება ცას როცა ღაწვი  
და მთვარის შუქი  
მარაოს გაშლის...  
ჩემი ცხედარი მტკვრის პირას დაწვით  
და მეჩრე ფერფლი  
გაპფანტეთ ქარში!..

02.08. 08.  
თბილისი







\* \* \*

შ-ს

მოკვდება? — არა, უნდა გადარჩეს,  
ამაოდ უტევ, სიკვდილო ბრწყინო!  
ვერ გამოუტან მას შენ განაჩენს,  
რადგან სიცოცხლის მოგარდნა იყო!..  
აუტანელის შესძლო ატანა და მოჩანს  
სივრცე ჟამით ნატორი!..  
ბნელში ამაოდ ჩხავის სატანა,  
ის კი დგას, როგორც გლადიატორი!

25.08.08.

მოსკოვი





**შენ მათზე ფიქრით დაღამდი!**

*ქვა უყვარდა და ქვის ქვეშ  
პაოვა განსასვენები.  
გ. ზუხბაია*

იდექი განაოცები! გზიბლავდა მათი ცქერა!  
სწვდებოდი სულით, ოცნებით,  
ქვის პარმონიას ფერადს...

შენ, მათზე ფიქრით დაღამდი, არ დაგტყობია მოღლა!  
გესმოდა ქვათა ღაღადი,  
მათი ფიქრი და ოხვრა!..

შენ ქვის სამყაროს მინდიას, ქვები გინთებდნენ სანთელს!..  
გლოცავდნენ, გეფერებოდნენ,  
შენს სადღეგრძელოს სვამდნენ!..

მათი ალერსით ფარულით ო, რა საოცრად თრთოდი!..  
წახვედი, ქვის სიყვარულით  
გადაიხურე ლოდი!..

16. 09. 08.

მოსკოვი



ნაძვის ხე

ო, დედოფალო ახალ წლის, მე მთელი გრძნობით  
შენთან ვარ!..

იანვრის ბოლოს ნეტავი,  
ასე რამ გაგაფერმკრთალა?!

ცურავდი ფერთა მორევში, მხოლოდ  
სიცოცხლის ტრფილით

და ბევრჯერ გადამავიწყე  
ამ წუთისოფლის ტრიალი!..

დრო, ნუთუ შენაც გერევა, მფეთქავს  
ფერადი ალებით!..

ცრემლებით რად გებერება  
განშორებისას თვალები?!

27. 01. 09.

მოსკოვი





## წაშალა ქაშმა

*ჰო, მოითმინე, მოითმინე, ძალიან  
შორს ყველაფერი უკვე ჩავიდა!..  
საფო*

ჩვენი ბავშვობის ნაფეხური წაშალა ქაშმა!  
ზღვა ღელავს ძლიერ  
და ზარის ხმა ჩემამდე მოდის!..  
გადაეფარა ოცნების ცას ღრუბელი შავი,  
ვის დაველოდო? — როცა აზრი  
არა აქვს ლოდინს?!  
ის ნაპირები მოხასხასე დაფარა ზვირთმა,  
ტირითვის რაზე იცრემლება  
ბებერი ტოტი?  
ო, ეს ტკივილი შემზარავი სანამდე ვზილო,  
ზღვა ღელავს ძლიერ და ზარის ხმა  
ჩემამდე მოდი!

25. 02. 99.  
თბილისი



რა ღარჩა?!

დრო, ალბათ, ხსოვნასაც გათელავს, ვით სივრცეს  
ქარები ურჩი,

ციმციმებს ფერმკრთალი სანთელი,  
ცა ცრემლებს აწვიმებს ლურჯი!..  
შენ უკვე გერაფერს მპირდები, დაიმსხვრა  
იმედის სხივი!..

და მღვრიე მოგორავს ზვირთები,  
რომ გაწყდეს ის ერთი სიმიც!  
დრო მიდის, დრო მიდის ჭენებით, იქ უკვე  
არავინ მელის!

რა ღარჩა? — სიშორის ფერები,  
სიშორის ფერები, მერი!..

22. 11. 92.

ბანძა





\* \* \*

მზე ღრუბლებს გამოარღვევს, გაშლის ოქროსფერ კალთას,  
მერე გახედე ბაღებს,

თუ რა ნათელი ადგას!..

მოდის აპრილის დილა და რტო იცინის ატმის,

მერე ბუდეში ტკბილად

აყლურტულდება ბარტყი!..

ნიაფი გაიმინდვრებს, ფრთებს ცისარტყელად გაშლის

და ქვეყნად ცოცხლობ ვიდრე,

შენც ვერ დარჩები ვალში!

21. 03. 68.

სოხუმი







მედიტაციის ნაპირებს

გულო, რაღას აპირებ, სულო, შენ რას მოელო?  
ახლოვდება აპრილი  
და მზე უკრავს როიალს!..

ისმის ირმის ყვირილი, მიდამოს რომ ეღებო...  
და გალობა გვირილის  
როგორ შეიძლება!..

ეს მთა ისევ გუგუნებს, ცას სერავენ გედები...  
უნდა იყო უგულო,  
რომ ვერ იგრძნო ეღებო!..

მზე მოაწვია ნაპირებს, ისევ უკრავს როიალს!..  
გულო, რაღას აპირებ,  
სულო, შენ რას მოელო?!

24. 03. 82.

სოხუმი



\* \* \*

სადღაც სიღრმეში სართულს ისევ მისდევს სართული,  
თვალთა სილურჯეს გადასერავს

ცეცხლის კამარა...

და მზე მიწვევა მოთენთილი ზამთრის ტრამპლზე,  
თუმცა ჟამი ისევ

იკვირება მუხანათურად!..

მდინარის პირას ბალახებში სიო დაცურავს

და მდინარის ტანს

უცნაური თრთოლვა ედება!..

ხან აინთება, ხან ჩაქრება რაღაც მაცდურად

და ცვლიან კადრებს

ისევ მუნჯი კინო კადრები!..

22. 10. 70.

სოხუმი





**გულს!**

შენ დაიღალე, გულო, ნამდვილად!  
    ჟამთან ნიადაგ: შეხლით, შეტყევეთ!..  
ვერ იქნა გ'ნა ვერ გაიადვილე  
და ბოღმით მკერდში  
ველარ ეტყევი!..  
შენ დაიღალე, გულო, ნამდვილად!  
    არ ვიცი, ხვალე თუ რა მოგეღის!..  
საწუთრომ ბევრჯერ მწარედ გატირა,  
მაინც უტყვდი,  
როგორც ბოკვერი!..  
შენ დაიღალე, გულო, ნამდვილად!  
    არ გიცხოვრია მარტო მითებით!  
შენ დაიღალე, გულო, ნამდვილად,  
მაგრამ იპოვე  
გ'ზები ღიდების!..

29. 10. 72.

მოსკოვი



\* \* \*

ბავშვი ცეკვავს და იცინის, მას ხომ ყველაფრის სჯერა!  
დღე კი ჭიხვინებს კვიცივით,  
იღვრება შუქთა ჩქერი!..

ბავშვი ცეკვავს და იცინის, ფანტავს აპრილის ყვავილს!..  
ტოტზე ზის, ჩუმად უცქერის  
სულგანაბული ყვავი!..

05. 04. 52.

სოხუმი





პაღლების პროტესტი

გულში ბოღმას ვერ ვინახავთ, ქვეყანა გახდა სატანის,  
აქ სამართალი ვინ ნახა,

აქ სამართალი სად არის?!

და, როცა პროტესტს ვაცხადებთ, ამრეზით გვიცქერს პატრონი!  
ჩვენ, როგორ მივწვდეთ საწადელს,  
როცა ავკაცობს ბატონი?!

04.10.2000.

მოსკოვი





\* \* \*

წარსულის იქეც აჩრდილად, ხარ უფსკრულისკენ  
მაგალი..

რად გინდა ღერბი არწივის,  
როცა ყვავი ხარ ტრამალის?!  
ხმალი ქარქაშში ჩააგე, კარს მიაღექი

სამარის...

საკუთარ ხელით ჩააქრე  
მზე ცაზე ამომავალი!

14. 08. 99.

მოსკოვი



ყვარყვარე

ჟამს იკლებს ვიღაც ხარხარით, შენ კი  
დოღარებს იტენი...  
და მოგვევლინე ყვარყვარე,  
ვით ეროვნული ლიდერი!  
დემოკრატიას ქადაგებ, ამდენი  
ცოდვის მზიდველი..  
მშიერ—მწყურვალთ  
და ლატაკებს  
ეკლესიაში მიდენი!..

18. 06. 99.

მოსკოვი







\* \* \*

ჟამი მოდის დაბერების, გერათფერი შველის,  
შენი ხელით ნათქვამი

გარბის ტყეში შველი...

ჟამი მოდის დაბერების, ფარსკვლავები გზობებზე,  
სულო, მითხარ, რატომ კრთები,  
რომ შორდები სოფელს?!

30. 04. 99.

მოსკოვი



306 არის?!

მოდის და ვიღაც უხეშად ხელებს მაფარებს თვალზე,  
წამართვა სიერტე გაშლილი  
და სილამაზით სავსე!..  
ველარ ვამშვიდებ ვერაფრით გულის ერთობ განახელებს,  
ვინ არის ველარ გაფიგე,  
ვინლა მაფარებს ხელებს?!

07.09.76.

სოხუმი





\* \* \*

საცაა მთები გადივერცხლება, ჟამი გაფრენის დადგა,  
ეთხოვებიან ჩემს ცას მერცხლები  
და მე ამიკლო დარღმა!..  
მოაწვნენ სივრცეს ციფი ქარები, იწყებს ბუნება კვდომას,  
მერცხლებო, საით მიგეჩქარებათ,  
რად გაკრთობთ შემოდგომა?!

18. 08. 91.

ბანძა



\* \* \*

მზე მიაჩნევს ზღვაზე ფერთა გამას  
და მთა იხსნის თავზე  
ნისლის მანდილს!..

მოგონებით დატვირთული ვდგავარ  
და ფოთლები სცვივა  
ხიდან ჭადრის...

12. 10. 90.

სოხუმი





\* \* \*

დრო ათასფერად დელაგს და ფლობს უსაზღვრო ძალას!..

ისე ვიქცევით ყველა,

როგორც ბუნებამ ბრძანა?!

ზოგს სინარული ელის, ზოგს მწუნარება ზარავს!

ისე ვიქცევით ყველა,

როგორც ბუნებამ ბრძანა?!

12. 07. 66.

სოხუმი



## ნოქტიურნი

ნისლში ცურავენ მთები, ზღვამ სუნთქვა სიფრცეს მიანდო...

ჯერაც ღამეა, ჩიტები

მღერებიან საგანთიადოს!..

თრთის და ირხევა მიდამო, სიომ დაჰქროლა ლელიანს,

ჰანგები ასე მდიდარი

ჯერ არასოდეს მსმენია!

09. 05. 65.

სოხუმი





## სამყაროს

მაოცებს შენი უსაზღვროება და ვარსკვლავების  
გალობა ცაზე,

მაოცებს შენი უსაზღვროება,  
შეუცნობელი მუსიკით სავსე!..

ისევ ქანაობს ლურჯი მორევი და ხმაურობენ  
ანძები ზღვაზე,

მაოცებს შენი უსაზღვროება  
და სილამაზე!..

17. 05. 64.

სოხუმი



\* \* \*

თეთრი ისრებით დაცხრილულს განთიადის  
ცას ვუცქერ...

გარბის ბილიკზე მაცილი,

გული შიშისგან უცემს...

გარბის ბილიკზე მაცილი... შუქი

იცინის მზისა,

და ციხ გუმბათი ციმციმებს,

ვით ჯადოსნური ლინზა!..

14. 07. 73.

სოხუმი







სოფლის სურათი  
(შრამენტი)

ბინდებს კვლავ არხევეს დაისი,  
    მოაწვა სიერცეს ბორიო...  
მიდის ურემი თავის გზით  
და მისდევს ყეფით ბროლია...

10. 08. 60.

ბანძა



ჩიტი

ზის რტოზე ჩიტი ცისფერი  
და მზეს უცქერის ჩამაგალს...  
მეც ვზივარ ლოდზე, ვისვენებ,  
საცაა ბინდი ჩამოვა...

12. 08. 59.

სოხუმი





### 306 ამიტორა მთაწმინდის მთვარე?!

მე ჩემს მამულში წავიდე უნდა,  
დამღალა ჟამმა უფერულ ყოფნით!..  
კვლავ ყვავ—ყორნების მებვევა გუნდი  
და შუბლზე ჭირის  
გადამდის ოფლი!..  
მე ჩემს მამულში წავიდე უნდა,  
ავედევნები ფეხდაფეხ ქარებს!..  
გზა საოცნებო ვინ გამიმრუდა?  
ვინ ამიტორა  
მთაწმინდის მთვარე?!  
იქნებ, მეც ვანთო სანთელი მცირე?  
და გეოცნო მიწა სისხლით ნაპოხი!..  
რომ შევუხვდეთ ჭრილობა მძიმე  
საუკუნობით  
ბრძოლით დაბოღმილს!..  
მე ჩემს მამულში წავიდე უნდა,  
დამღალა ჟამმა უფერულ ყოფნით!..  
კვლავ ყვავ—ყორნების მებვევა გუნდი  
და ჭირის ოფლი  
გადამდის შუბლზე!..

12. 09. 09.

მოსკოვი



ჩემი სა

ეს რამდენი სილამაზე მასვი,  
 მიყვებოდი იმ შორეულ ზღაპარს!..  
 ასეთი ცის არ უნახავს მსგავსი,  
 ო, ამ ჩემს სულს  
 მარად მიუსაფარს!..  
 მიზიდავდი იღუმალის რხევით,  
 მაოცებდა ვარსკვლავების ცეკვა!..  
 გამინათე გზა და მოსახვევი,  
 და ის ჟამი ჩემში  
 ახლაც რეკავს!..  
 დღემდე თითქმის მე ვერაფერს ვხედავ, —  
 სილამაზის ზღვართან ასე მისულს!..  
 ო, შენ მუდამ უჩვეულოდ ფეთქავ  
 და მიფანტავ  
 სივრცეს გადანისლოუს!..

24. 08. 09.

მოსკოვი





## რამ მომანატრა?!

რამ მომანატრა სოფლის გზაზე ჭრიალი ურმის,  
მინდვრის სურნელით დატვირთული,  
როცა შინ მოდის.

ო, ჩემში ხსოვნის ეს რამდენი ირხევა ტოტი  
და ჩემს არსებას ის კვლავ ნახვის  
უღვიძებს სურვილს!..

რამ მომანატრა სოფლის თავზე შრიალი ვერხვის,  
მზის ამოსვლის ჟამს, რომ ათრობდა  
სივრცეს ღულუნით?

როგორ დაშალა ზამთრის მძიმე ქარებთან შეხლამ,  
ის არვის ახსოვს  
გადაფერდილ, გადაღუნული!

რამ მომანატრა ჩემი ვრცელი აბაშის ჭალა,  
მისი ტალღების ნაპირებთან  
მსუბუქი ჩქამი?

ო, მიზიდავდა უჩვეულო, ღვთაებრივ ძალით,  
როცა იხდიდა განთიადზე  
სამოსელს ღამის!..

რამ მომანატრა ხეივანი მთვარის ზღაპარით,  
ძვირფასო მერი!  
ჩვენი ტრფობის თავშესაფარი?!

09. 08. 09. მოსკოვი

\* \* \*

ეს ჩემი ბაღი გამიძარცვეს ჟამის ქარებმა  
და რა უეცრად გაუხუნდა

მთვარეს ემალი ?

ღრო, სადღაც მიქრის, რა ჯიუტად მიექანება,  
უძისამართოდ ვხეტიალობ  
ღამის მთევარი.

ო, ისევ მიღის ეს მდინარე ღელვით, განგაშით,  
ვერც ეს ღრუბლები შევაჩერე

აქეთ დაძრული !..

ჩემს ამოხფრას, უკვე არვინ უწევს ანგარიშს  
და იცრემლება ბაღი  
ფოთლებშემიძარცული!..

14. 11. 10

ბანძა





### რად იბრემლებსა?!

დავდივარ ბაღში შემოდგომის... ნისლებში ვცურავ,  
მაღლე სამთარი ამხედრდება

ქარით და ყინვით!..

ვუცქერ ბუნების გახუნებულ, უფერულ სურათს,  
ვისმენ შორიდან არწივების

ნაღვლიან ყივილს!..

მინდა, როგორმე მოვეფერო, მაგრამ ამაოდ,

არც მზე იცინის ვარდფურცლობის,

არც ხმა ჩანს ბუკის!

იქნებ შენ მითხრა საიდუმლო სოფლის, მამაო!

რად იცრემლება ჩემი ბაღი

თვალეებით ნუკრის?!

17. 11. 08.

ბანძა



\* \* \*

მივალ რუსთველის გამზირზე მარტო  
და მე გაფრენილ დღეებზე ვფიქრობ!..  
ცახცახებს მზეზე დღეები მარტის  
და ტკივილს ჟამი  
მაინც ვერ მიქრობს!  
ხან წვიმა მოდის, ხან ფიფქი ხშირი,  
ხან ჩამიქროლებს ქარები ახლოს...  
ხან ვაყურადებ ირმების ყვირილს,  
ხან გრძნობით გავცქერ  
მთაწმინდის მალღობს...

25. 03. 08.  
თბილისი







## სად მიხვალთ?

თითო-ორიოლად სად მიხვალთ, ძმებო?  
ო, რა ტკივილი მედება მწუხრის!..  
ჩემში ცრემლი და წუხილი მეფობს  
და მწვერვალები  
იზრება რუხი!..  
შორს, კვამლი ისევ ამოდის ბუხრის  
და მახსენდება ბავშვობის წლები!..  
ო, რა ტკივილი მედება მწუხრის  
და მიიზრება  
ღღეების წყება!..

15. 01. 08.

მოსკოვი



**ისევ დაჰქროლე, აპრილის ქარო!**

ყველაფერს იწოვს დროის საშრობი, —  
 დღის ელვარებას, ყვაველთა ციმციმს!  
 ო, ამ ბალს ანსოვს ჩვენი ბავშვობა  
 და ჩვენი ტრფობის  
 ზღაპარიც იცის!..  
 აქ ლაჟვარდების რიალებს ტევერი,  
 მზის უთვალავი სანთელი ფეთქავს!..  
 და ყრმობის ბილიკს კვლავ ავედევნე,  
 ამ საოცარი  
 შრიალით ფერთა!..  
 მე აქ მოვდივარ, რომ განვიქარვო,  
 აუტანელი ჭრილობა ყველა!  
 ისევ დაჰქროლე, აპრილის ქარო!  
 რომ კვლავ მოეცეს  
 სულს აღმაფრენა!..

04.04. 06.

ბანბა





### ღამენანება!

ბავშვობის წლები ჩემთვის უკვე იქცა მითიბად,  
ბევრი რამ მახსოვს და  
ბევრ რამეს ველარ ვიხსენებ!..  
როცა წარსულში მოგონებით გადავირთვები,  
ო, მე არ ვიცი, რად ედება  
თვალებს სისველე!..  
ჩემი აბაშა ისევ ლაღად მიედინება,  
ჩამოუშვიათ მდინარეზე  
ტირიფებს თმები!..  
ხან ლამინარულ სილაძის ვუცქერ დინებას,  
ხან მოგანგაშე ტურბულენტურ  
დინებით ვთვრები!..  
ის შორეული წლები უკვე მექცა ზმანებად,  
ვერ უძლებს გული  
მეწყერივით დარდებს მოდენილს!..  
ვიცი, რომ შენთან განშორება ღამენანება!  
და როგორ მინდა იყოს  
იგი მოულოდნელი!..

16. 11. 06.

ბანძა



\* \* \*

ბედთან ჩვენ მაშინ ვდაობთ, რომ შემოგვიტევეს იგი,  
შენც მსხვერპლი განდი, დაო,  
ეს მერამდენე რიგით!..  
ისევ დაჰქროლე, ქარო, და რტო არხიე შინდის,  
რა სევდიანად გალობს  
შენს ლურჯ საფლავზე ჩიტი!..  
ვუსმენ და გული მტკივა და ვერც ვერაფერს გშველი,  
ნატერფალები თეთრი  
დარჩა მინდორზე შენი!..

14. 05. 2006.

ბანძა





\* \* \*

მშობლიურ კუთხეს უბრუნდები სვენებ-სვენებით,  
აედევნები ხსოვნის მინდვრებს,

ხელს არვინ გიშლის!..

თვალებს ცრემლები არაერთხელ დაგისველებენ,  
თუმცა არასდროს არ გქონია

სიკვდილის შიში!

შთანთქავს ყველაფერს საბოლოოდ უდაბნო ქვიშის,  
ბავშვობის ლანდი გეჩვენება

ხეებთან ალვის...

ცაზე ღრუბლები მიიჩნევა ფერებით ქარვის

და აყურადებ გაზაფხულის

ნისლების შიშინს...

დასრულდა შენი ხეტიალი საწუთროს გზებზე,

თავი და ბოლო ამ ცხოვრების

არავინ უწყის!..

შენ დადინარ და გულმოდგინედ რაღაცას ეძებ

და კვლავ მიდიან ეს დღეები

კენტი და ლუწი...

17. 03. 05.

ბანძა



ვერხვი

ახლაც იმ ვერხვის შრიალი მესმის,  
რომელიც იდგა ჩემს სახლთან ახლოს!..  
მას, თითქმის ყველა ჩაუწყდა ფესვი,  
მაინც იმედით  
უმზერდა მადლობს!..  
მე მისი ოხვრა ჩამესმის ახლაც,  
სიგრცეს ტკივილით იკლებდა ერთობ!..  
მის რღვევა — დაშლის არ მსურდა ნახვა  
და იგი რატომ  
მაჩვენე, ღმერთო?!

20. 11. 02.  
ბანძა





\* \* \*

ეს ვინ მოხვეტა ამ მინდორზე ჩრდილები ხეთა?  
სად არის ის ტყე  
კონტრშემტევი მოვარდნილ ქარის!..  
ის ლურჯ იალქნებს მთარხევდა სივრცეში მედგრად  
და თავზე ადგა მას გვირგვინი  
მზისა და მთვარის!..  
ტყის გაქრობასთან ერთად უმაღ ის წყაროც გაქრა,  
ფერიცვალებას წუთისოფლის  
არა აქვს ზღვარი!..  
დრომ უღმობელმა მთელი ძალით ჭანგები გამკრა,  
შეხედე, აღარ შეჩინია  
აქ ნაფესვარიც!  
მე ამ მიდამოს გაეუბრებარ, არ მინდა ნახვაც!  
მივდივარ, მაგრამ  
საით მივალ, არავინ იცის!..  
საწუთროს ბრუნვას ეს რამდენი ტკივილი ახლავს!..  
ამაოდ გავცქერ ცის თავანზე  
ვარსკვლავთა ციმციმს!..

27. 06. 02.

ბანძა



თოვლის სიმღერა

სულში თეთრი ფანტელების კრთომა, გზაზე ოქროს  
ვარსკვლავების ხომლი,

სივრცეები მოაქანებს ხომალდს...  
მოდის ციდან

დედოფალი თოვლის!..

როგორ ღელავს უდაბური ზღვები, ჩემს თვლებში  
ვარსკვლავები რეკავს!..

მწუნარება გაგატანე ღრუბლებს  
და სულს თოვლის  
შუქი გადაეკრა!..

სული არის იდუმალი ტვერი, დეღვით ერთვის  
მოქათქათე მორევს!..

თოვლი, როგორც თეთრი ჩიტის მღერის  
და მთა—გორებს  
ეფინება მდოვრედ...

თოვს და მოდის თეთრი ბეწვი უხვად და ეს გული  
სიყვარულით მიცემს!..

მე არასდროს არ მეღლება მუხლი,  
მე არასდროს აღარ  
მყოფნის სივრცე!..

სულში თეთრი ფანტელების კრთომა, გზაზე ოქროს  
ვარსკვლავების ხომლი,  
სივრცეები მოაქანებს ხომალდს...



ღმერთ გაბრიელის



მოდის ციდან

დედოფალი თოვლის!..

23. 01. 01.

ბანძა



\* \* \*

ჩემს ცის თავანზე ირევიან ძაძები ღრუბლის,  
 პოსეიდონი პირქუშ კლდეებს  
 კვლავ ზვირთებს ახლის!..

გახლეჩილი აქვს კავკასიონს ამაყი შუბლი,  
 ირწყევება სისხლით უმოწყალოდ  
 ეს ჩემი ბალი!..

ვერ გაუძკლავდა მოზღვაგებს დინოზავრების,  
 გათელეს იგი, მეგობარო,  
 უკიდევანოდ!..

ისევ რეკავენ ცის სიღრმიდან რწმენის ზარები,  
 რომ არ გაცივდეს მხარე,  
 როგორც მთვარის ზეგანი!..

და სივრცის მრუმე ოკეანე ბობოქრობს ძლიერ,  
 ცის ფერიებმა ჩემი ზეცა  
 დატოვეს ერთობ!..

უბედურებას მოზღვაგებულს უკვე ვერ ვძლიე  
 და ვრჩები შენი მოწყალების  
 იმედით, ღმერთო!..

15. 09. 93.  
 თბილისი





## ნოსტალგია

გუშინ მთელი დღე დაგდიოდი იმ ხეივანში,  
ჩვენ, რომ ორივეს

გვიზიდავდა ესოდენ, მერი!

ისიც შესულა, მეგობარო, ჩვენსავით ხანში  
და ვნახე, მასაც რა უღმობლად

შეცვლია ფერი!..

აქ ვერაფერი ვბოვე მოწმე ჩვენი ტრფილის!

გახუნებულა და ის უკვე

არაფის ელის!

მხოლოდ ლანდების უცნაური იდგა რიალი

და შორს მიჰქონდა ზამთრის ქარებს

ფოთლები ხმელი!..

27. 11. 90.

სოხუმი



## წვიმა

უცებ წვიმა წამოვიდა ხშირი,  
 მე ვიდექი აივანზე გარეთ.  
 ჩვენს შეხვედრებს ვიგონებდი, ლილი!  
 და ცის კიდე  
 იყო მოვარვარე!..  
 ცისარტყელას ირხეოდა რკალი,  
 რტოზე ვაშლი ქანაობდა წყვილი...  
 მე შორს, სადღაც გაშირბოდა თვალი  
 და ვისმენდი  
 ჩიტუნების წივილს!..  
 ეხლებოდა წვიმა კარს და თანჯრებს,  
 ჩამავალი მზე უცქერდა სახტად!..  
 მერე ეზო გადირბინა მარჯვენად  
 და სივრცეში  
 უჩინარი გახდა...

28. 06. 92.

ბანძა





\* \* \*

დავცქერ მჭმუნვარედ მეგობრის საფლავს,  
ო, რა უსაზღვროდ მდუმარებს იგი!..  
მზე ჩადის, ნისლმა გაშალა აფრა  
და კიბარისთა  
ირხევა რიგი...  
ცანცახებს შიშით ცა მინანქარის,  
ვერ იქნა სევდა ველარ დავაშრე!  
გადარბის ლოდზე ოქტომბრის ქარი  
და ყვითელ ფოთლებს  
მიათამაშებს!..

24. 10. 92.  
ბანძა







## მანის წვიმა

კვლავ სიყვარულზე იქდეროს სიმმა,  
როცა რტოები სიმწვანეს გაშლის!..  
როგორ მიყვარდა მანისის წვიმა  
და ხეტიალი  
უქუდოდ ქარში!..  
ყვავილებს ყელზე ეკიდათ მძივად,  
ო, უთვალავი წვეთები ბროლის!..  
როგორ მიყვარდა მანისის წვიმა  
და მონასხასე  
მინდორზე მოლი...  
შენზე ფიქრები ვერ მოვიშორე,  
მზე ნაწვიმარზე დგებოდა ფუნჯით!..  
და მივდიოდით მე და შენ ორი,  
ზღვა კი ღელავდა  
საოცრად ლურჯი!

19. 05. 77.

სოხუმი



\* \* \*

შენ მოიქანცე, გულო ჩემო, ამდენი ბრძოლით!  
 ო, თუმცა დღემდე  
     შემართებით ვერაფერს გახდი!  
 ვინ დაგიმსხვრია მეოცნებეს კოშკები ბროლის?  
 ნამსხვრევთა გროვა შეგერჩა ხელში  
 უნომოდ დაღლილს!..  
 ანგელოზები გიცქერიან მღელვარეს მალლით,  
 როგორ არ უნდათ, რომ  
     ეგ შენი წაშება ნახონ!  
 რა მწარედ ტირის ზღვის პირს შენი პატარა ბალი  
 და ეფინება უდაბური  
 ნისლეები მალლობს!..  
 ზღვა ისევ დელაფს და ნიადაგ ჯვებირებს ახლის,  
 ამ წკვარამ ღამით  
     უჩვეულოდ ზვირთების ქაოსს!..  
 ისევ ქვითინებს ზღვის პირს შენი პატარა ბალი,  
 დრო მიდის პირზე ულაგამოდ  
 და მიქანაობს!..

12. 09. 92.

სოხუმი







## შემოღობა

შემოდგომის სურნელება ისევ მათთვის,  
ფერთა მორევს მივსდევ  
სადღაც ბილიკ-ბილიკ...  
ამ ხეივანს მივუყვები მარტოღმარტო,  
მზეს ჩამავალს სევდიანი  
უჩანს პირი!..  
და ფოთლები ცვივა ისევ კანტიკუნტად  
და ნიაფი უმოწყალოდ ათამაშებს...  
ბუჩქნარებში ისევ ცეკვავს ზღაპრის გუდა  
და ზღვის კბოღეს კვლავ აწყდება  
ზვირთი მლაშე...

21. 08. 92.

სოხუმი



\* \* \*

ახლა ამ სახლში არაფინ ცხოვრობს  
და უზრველო დუმილი სუფევს!..  
ახლა ამ სახლში არაფინ ცხოვრობს  
და ლამის ვიქცე  
ტკივილის გუბედ!..  
ახლა ამ სახლში არაფინ ცხოვრობს,  
დრო იმზირება სიმკაცრით მეფის!..  
ახლა ამ სახლში არაფინ ცხოვრობს,  
მხოლოდ მურია  
შემომხვდა ყეფით!..

19. 07. 89.

ბანძა





\* \* \*

გემწვიდობები, მეგობარო, შენი სტუმარი,  
შენ ერთს გაგანდე —  
ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება...  
ბევრჯერ მოგწვდება მთვარიანში ხმა იღუმალი,  
როცა ეს სული  
სიშორეში გაიტყორცნება...  
აქ დავდიოდი: ხან მღელვარე, ხანაც მღუმარი...  
და აჰა, უკვე განშორების  
სევდა მედება!..  
გემწვიდობები, მეგობარო, შენი სტუმარი,  
მივდივარ, მაგრამ  
მეზიდება უკუქმედება!..

12. 10. 97.

ბათუმი



ის მხოლოდ სივრცეებს ენდო!..

ის იდგა ყველაზე მაღლა, ებრძოდა ქარების წყებას,  
ის იდგა ყველაზე მაღლა,

ამაოდ უტევდნენ წლები!..

ის იდგა ყველაზე მაღლა და შურდათ საოცრად მისი!  
ის ფეხით თელავდა ღრუბლებს,

ის ფეხით თელავდა ნისლებს!..

როგორც ზღვის შუქურა ენთო და ზეცა

აზიდა მხრებით,

ის მხოლოდ სივრცეებს ენდო,

უსაზღვროდ გაშალა ფრთები!..

21. 08. 65.

სოხუმი





\* \* \*

მომეცით ჩემი გიტარა, მინდა ჩამოვკრა სიმებს!  
მომეცით ჩემი გიტარა,  
უნდა მოვუხმო იმედს!..  
მე შიში ჟამის არა მაქვს და ვივლი აღმართ-აღმართ,  
მომეცით ჩემი გიტარა,  
სულმა იფრინოს მაღლა!..  
კვლავ ბილიკ-ბილიკ მივიწვევ... გული რა მძაფრად მიცემს!  
მომეცით ჩემი გიტარა,  
რომ გადავლახო სიფრცე...  
ბედისგან განაწამები, ო, რა საოცრად ვცხარობ!..  
მომეცით, სანამ ბუნება  
დამსჯიდეს უმოწყალოდ!..

16. 09. 73.

სონუმი



**გარდასული ღღეების ნოსტალგია!**

როცა სამხრეთით გაფრინდება წეროთა მწკრივი  
და შემოდგომა ლიმონისფერ

იალქნებს გაშლის!..

მოგვაგონდება გარდასული დღეები, ღილი,  
და გაზაფხული დაგვშორდება  
ღიმილით ბავშვის!..

ველარ მოვისმენ სააპრილო ხოხბების ყივილს,  
ის ოცნებებიც გაფრინდება

ალბათ მთვარეზე...

ამ ხეივანში მხოლოდ ჩვენი ღანდები ივლის  
და არაერთხელ მოგვადგება  
ცრემლი თვალებზე!..

27.08.73.

სოხუმი





\* \* \*

მე შენს საფლავთან ყვაფილი მომაქვს  
და იცრემლება გული გრძნეული!  
ასე უეცრად რად მიმატოვე  
და მწუხარებით  
ვდგავარ ძლეული!  
ო, იმ დღეების ვინსენებ რომანს  
და ლოდს მღუმარეს ცრემლით ვასველებ!  
მე შენს საფლავთან ყვაფილი მომაქვს  
და გული  
სევდით გადანასერი!

19. 04. 79.

სოხუმი



მერის

აწი ვერასდროს ვერ შევხვდებით მე და შენ, მერი!  
იმ ლურჯ ბილიკებს

უკვე მათრის ნისლები აწევს!

საით გაგვექცა ის დღეები თვალებით შევლის,  
ვხედავ, ძვირფასო, რომ

ცრემლები გისველებს ღაწვებს!

ამ განშორებით უკვე ყველა უჯრედი მტკივა!

ის გაზაფხული აწი ჩვენთვის

ვერ გაშლის აფრას!

მივდივარ ჩუმად ო, რა მძიმე ნაღველი მიმაქვს!

რომ ის დღეები დაემსგავსა

შორეულ ზღაპარს!

27. 11. 86.

სოხუმი







## ღის ხსოვნას!

აქ, ზღვის ნაპირას ვსეირნობდით მე და  
შენ, დაო!

და მივარღვევდით სიშორეებს  
ფერადი ფრთებით!..

ახლა ცხოვრების მოზღვავებულ  
ზვირთებთან ვდაობ

და მაწევს სევდა ვეებერთელა  
სიმძიმით მთების!..

საით გაცურდა ის დღეები ფერებით მთვრალი?  
ვღგავარ მდუმარე, და ძვირფასო!  
ო, როგორ მიმძიმს!..

ზღვას მოლაყვარდეს იტაცებდა ღიმილი მთვარის  
და ცა გვალვრიდა ვარდფურცლობის  
მოლურჯო ციმციმს!..

ბავშვობით ობოლს, შენ შემიშრე ცრემლები სიმწრის!  
და ფუცქეროდით ცაზე მთვარის  
ოქროსფერ ზეგანს...

დაო ძვირფასო! მოგონება იმ დღეთა მიმძიმს,  
როცა ნისლები მეფინება  
ხშირი და ლეგა!..

აქ, ზღვის ნაპირას ვსეირნობდით მე და  
შენ, დაო!

და მივარღვევდით სიშორეებს

ფერადი ფრთებით,

ახლა ცხოვრების მოზღვავებულ

ზვირთებთან ვდაობ!..

და მაწევს სევდა ვეებერთელა  
სიმძიმით მთების!..

28. 10. 86.

სოხუმი



ო, როგორ მიმიძის!..

მე იმ დღეების გახსენება როგორ არ მინდა,  
ახლაც ვცახცახებ

ნანახის და განცდილის შიშით!..

ათამაშებდა ყვეთელ ფოთლებს ნიაფი მინდვრად  
და ტყე მოეცვა შემოდგომურ  
ნისლებს შიშინს!..

შენ კი ებრძოდი, დედაჩემო, მიწიერ კოშმარს,  
მაინც რა იყო,

რა პირშავი, ჩემთვის ის წელი?!  
სიკვდილმა, როცა გამარჯვების გაშალა ღროშა,

ეს იყო წყევლა ულმობელი —  
იმ ბედისწერის!..

შენი ხატება გაქრა სადღაც უმისამართოდ,  
დავდივარ ბოლმით დამუხტული  
და სევდა მაწვიმს!..

მე კი ვწყველიდი წუთისოფლის ამგვარ სამართალს,  
ო, როცა დედა გამომტაცა  
ხელიდან ყმაწვილს!..

მე იმ დღეების მოგონება ო, ახლაც მიმიძის!  
ვინ მოთვლის ჟამმა,

თუ რამდენი სამსალა მასვა?

მე გაფურბოდი: მზეს და მთვარეს, ვარსკვლავთა ციმციმს,  
და თავშესაფარს ვაოულობდი  
ყმაწვილი არსად.

მე იმ დღეების გახსენება როგორ არ მინდა,  
ახლაც ვცახცახებ

ნანახის და განცდილის შიშით!..  
ათამაშებდა ყვეთულ ფოთლებს ნიაფი მინდვრად  
და ტყე მოეცვა შემოდგომურ  
ნისლების შიშინს!..

10. 03. 83.  
ბანძა





\* \* \*

მე ვიცი შენი წარსული და მომავალი მათეიქრებს!  
ზღვა ღელავს უდანასრულოდ,  
ცაო, რას უცდი, დამფიფქე!..

მე ამ გზის მემედება და სული შენზე ლოცულობს!..  
შეხედე, როგორ თენდება,  
გულო, ტკივილით მოცულო!..

ო, ისევე მოქრის ზღვაური, მაგრამ სულაც არ მაშინებს,  
ის გაზაფხული ხმაურობს  
და მზე იცინის ბავშვივით!..

კვლავ ვხედავ სივრცეს სანატრელს იმ მოზეიმე იერით!  
ო, ის თვალეხი ანათებს,  
კვლავ სიყვარულით ძლიერით!..

23. 03. 68.

სოხუმი



ՁՆԵՆՎՆԵՆՎՆԵՆ







## ხეობი

ინახავთ რამდენ თრთოლვას და ტკივილს  
და დუმნარტ, როგორც შეკრულნი ფიცით!..  
როცა ზამთარი გასაქცევად გამართავს ტივებს,  
ახმაურდებით და ერთბაშად  
დააყრით სიცილს...

## მწინარე

დაბურული ხარ სინათლით და ღრუბლის ჩრდილებით  
და ღროსთან ერთად,  
ნეტავ, საით მიედინები?!

## ღამე

შენ შემოდინარ, როცა დაღლილ დღეს ეძინება,  
ამოვა მზე და  
უფსკრულეებში ჩაიძირები...







### ახალი მთვარე

თბილი ხარ ისე, როგორც ცელქი პატარა ცირა,  
ხელს რომ შეახებს ყვაველით მთვრალ  
პეპელას ფრთხილად!

### მუსიკა

რა არის იგი, რა სივრცე აქვს ვერასდროს იტყვი,  
ფერიცვალებას ბუნებისას  
განაგებს რიტმი!..

### სა

შორიდან კრთომა არ იმყოფინა  
და ლურჯი რთოლვა  
მიწას მოჰფინა...



### ბაგაფსული

იღვრება შუქი ვარდფურცლობის ღრმა საწყაულით  
და სული თვრება ცის დამ იწის  
დღესასწაულით!..

### გაფსული

ვარვარებს სივრცე... ყველაფერი მზეს ეძლევა  
ზღვა და ხმელეთი მოუთენთავს  
ცის ელვარებას!..

### უმოდგომა

ბრძენი ხარ, ყველას დაარბიებს, დაამწყალობებს...  
განშორების წინ  
სევდიანი იცი გალობა!..





### გამთარი

შემოგარდები წვიმებით და ურჩი ქარებით...  
და მერე თოვლის  
ქათქათა ფრთებს შეეფარები...

### შემოქმედი

შენ დაიღალე, დასვენება უკვე იხებე,  
მზე, ქარები და  
ვარსკვლავები მიგაცილებენ!..

### ფოთოლი

განშორების წინ წრიალებ და რაღაცას უცდი,  
მერე გაჰყვები ქარს ფარფატი  
ფერმკრთალი, სუსტი...



### სიყვარული

მოდინარ ჩუმად, ფეხაკრეფით მოიპარები,  
შრიალებს ნუში გაზაფხულის  
მთვრალი ქარებით!..

### სასაფლავო

ვინც უნდა იყოს, შეშფოთდება შენი მნახველი!  
გაქვავებული ვეებერთელა  
შენ ხარ ნაღველი!..

### ულანო

ისადგურებს დუმილი მზის ამოსვლისთანავე  
და ის ცეცხლის ნიაღვრით  
სიკვდილს მოაქანავებს!..





## ობოლი

დადინარ უმისამართოდ, არც გხურავს არცა გაცვია!  
დაიბადე და ცხოვრებამ  
უკვე მათხოვრად გაქცია!

## სიბერე

შენ სარეცელს გიმზადებს ჟამი უკვე საძილედ,  
დრო მოვა და სიცოცხლეს  
ველარ გაიხანგრძლივებ!

## ღასასრული

ცის სიღრმეში უთვალავი ვარსკვლავი რომ ციმციმებს,  
დაბერდება, ისიც რღვევას  
ველარ ჩამოიცილებს!



### ცხოვრება

მზის ამონთებას ელოდე, თუმცა რწმენა გაიბზარა!  
უბედურების გჯეროდეს,  
ბედნიერების — არა!

### ღრო

მას შეშარტება არ აკლდა, არც ღირსება და ცოდნა,  
მაგრამ წაფიდა მისი ღრო,  
უკვე არაფინ ცნობდა!

### ცვალებალობა

ცა იმსხვრევა ოხვრით მინანქარის  
და ქარს მიაქვს  
მოტანილი ქარის!..





### სიცოცხლე

მუდამ კრთი, მუდამ ცახცახებ, რომ ის ჩემად მოგა ოდეს!..  
არ ყოფნა — რა საშიშია,  
მხოლოდ ყოფნის გეშინოდეს!

### სიკვდილი

სად დაგეწევა არ იცი, რა მიზნები აქვს ბოროტს?  
თუნდ ტანზე ჯაჭვი ჩაიცვი,  
მანც ჩამოგხეგს ბოლოს!..

### წუთისოფელი

მიღიხარ... მღერით, სიხარულით, ტანჯვით, წვალებით,  
შენ საოცარი უნარი გაქვს  
ფერიცვალების!

22. 04. 70. — 15. 06. 92.











LEMBAGA







\* \* \*

დრომ მოგვახვია ვარდისფერი რხევით ნისლეები,  
 იყო საოცრად მოძიბლავი შემოგარენი!..  
 მზე ჩადიოდა ძოწისფერი სროლით ისრების  
 და თეთრ აფრებთან თამაშობდნენ ზღვაზე ქარები!..

მოიჩხეოდნენ ნაპირისკენ ჩუმი შრიალით  
 მზის შუქნასგამი, მონასხასე ლურჯი ჩქერები!..  
 ქარი არხევდა მდინარესთან ძალაღ ფშიარებს  
 და ჩვენ ვთვრებოდით, საყვარელო, მზის ჩანჩქერებით..

შუქს ირეკლავდნენ გუმბათები მოოქროვილნი,  
 დაცხრა გალობა ჯადოსნური ტყეში მგოსნების!  
 შემოლამებამ შეგვიჩხია სულის ქსოვილი  
 და დაცურავდნენ ცის სიღრმეში ანგელოზები!..

ვიცი, ძვირფასო, რომ ვერასდროს მოვალთ მეორედ,  
 ვერც ამ საღამოს ჟამი ველარ გაიმეორებს!

სოხუმი  
 20. 06. 64.





\* \* \*

შეგცურეთ ზღვაში შეღამების, მსუბუქი ნავით,  
ცა შემოგარენს ქლიაფისფერ ბინდებში ხვევდა...  
ზღვა დუმდა ძლიერ, არ ისმოდა ზვირთების ჩქამი  
და მთა არხევედა მშობლიური იდუმალ სევდას!..

ო, რა ღამაზად ვირწოდით ნაპრთან ახლოს,  
გვათრობდა ძლიერ ტირიფების შრიალი ლურჯი!..  
ნეტავ, შემეძლოს ის დღეები რომ ერთხელ ვნახო  
და ცა ნახატი ფიროსმანის ღვთაებრივ ფუნჯით!..

მიდიან წლები!.. უშენობას ვერ ვეგუები  
და ის დღეები სადღაც გაქრა ნაოცნებარი!..  
ო, რამ გათიშა უმოწყალოდ ჩვენი გულები,  
რომელსაც უკვე ჟამის ლეგა ნისლი ეფარვის!..

ნუთუ ყველაფერს დავიწყების ბინდი დარაჯობს  
და სიყვარულიც კვდება ჩუმად, როგორც ყაყაჩო?!

სოხუმი  
22. 06. 65.





\* \* \*

ცისფერ ბილიკით მარტოდმარტო მოდინხარ ზღვასთან  
და წყალში ხსოვნის სულ ძოწისფერ მიხაკებს ისვრი...  
ფერიცვალებით გადაღლილი ლერწამის მსგავსად,  
შენი მწუხარე და ფარული ჩურჩული ისმის!..

ვერ დაივიწყე მოწოლილი ტკივილი დიდი,  
მას შემდეგ, თუშცა, ოცდახუთი გაგიდა წელი!  
ცხოვრებამ მძიმე და სასტიკი აგკიდა ტვირთი  
და გაქვს თვალები იღუმალი ცრემლებით სველი!..

შენ ბედისწერამ დაგიმსხვრია ამაყი ფრთები,  
ამოიზიდა ბორბტება თითქოს წამიდან!..  
და მოგონებით შორეული დღეების თვრები,  
ის აღტაცება, ვით სიზმარი გაქრა, წაფიდა!..

როგორ გაუძლოს სულმა ამდენ ღელვა კირთებს?  
უცნაურობა ბედისწერის გაგვიკვირდება!

სოხუმი

14. 07. 66.





\* \* \*

ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე,  
ჩაქრება ო, ეს სილამაზე სიცოცხლის მიღმა!..

სულო მითხარი, ფრთებდაღლილი საითკენ მიხვალ,  
გულო, რას უცდი, შენც აფეთქდი ერთბაშად, ბარემ!

რაგინდ ეცადო, დრო გარდასულს ვეღარ აბრუნებს,  
ვერც იმ თვალების სილაჟღერდე დაგიბრუნდება!  
შეხედე, ირგვლივ ყველაფერი როგორ ხუნდება,  
არ მინდა ვნახო ის ბილიკი, ნისლო, დაჰბურე!

შემოინახე, ლექსო, ხსოვნა გარდასულ დღეთა  
და ვარდფურცლობის უჩვეულო ფერთა სიალე!  
ო, ახლა უკვე შემოდგომის ქარი რიალებს,  
მალე შემოსაგეს ამ მიდამოს ზამთარი თეთრად!

დრო ისევ გარბის, არ მორჩილებს ფოლადის ლაგამს,  
ის ცოცხალს არა, — უსულოსაც აბერებს საგანს!

სოხუმი

13. 11. 66.





\* \* \*

ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი  
 ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!  
 ნ. ბარათაშვილი

შორს, ცის ხავერდზე დაცურავდნენ ღრუბლის გედები,  
 გავცქერდი სივრცეს უბოლოოს, ვგრძნობდი სიამეს!  
 იმ შეღამების მოგონებაც მეიმედება,  
 თრთოდა ვარდებში გაზაფხულის ლურჯი ნიაფი!..

ჩამავალ მზეზე ზღვა არხევდა ტალღებს ნაპირთან,  
 იწყებდნენ კრთომას მნათობები ზეცის თავანზე...  
 ჩემო ვარსკვლავო! შენ ამოსვლას უხმოდ დამპირდი  
 და უჩვეულოდ გზა ოცნების გამილამაზე!..

ცა ირხეოდა იისფერი იდუმალ წყობით,  
 ბაღის სიღრმეში მხოლოდ ორი ჩიტო გალობდა!..  
 მე ის საღამო სულის მივსებდა ფარული გრძნობით  
 და გაზაფხულის ნიავს სადღაც მიუხაროდა!..

რამ დამავიწყოს ცის და მიწის მე ეს ხატება,  
 მომაგონდება და ის ჩემში იწყებს ნათებას!..

სოსუმო  
 25. 04. 67.







\* \* \*

მოვედი ისევ, ჩემი სოფლის ვნახე წყლის პირი,  
იმ დღეთა ლამაზ ნათევურებს უნძოდ დავეძებ!..  
ღელეზე ჩუმად კვლავ რაკუნობს ძველი წისქვილი  
და უნებურად რად მომაწვა ცრემლი თვალებზე?!

ო, აქ ყველაფერს ვეფერები ბავშვური რიდით,  
გამოვექეცი ქალაქების ფერად ცდუნებას!  
ვერ მოვიშორე მოგონების ტკივილი დიდი  
და ნოსტალგია, ვიცი, აღარ გამემტყუნება!

ბედნიერებას უფრორე ვგრძნობ შენს სიანლოვეს,  
აქ ყოველივეს სიყვარულით ვეთაყვანები!  
ზეცა დამცქერის შორეული ვარსკვლავთა ხომლით  
და რა საოცრად შრიალებენ ლურჯი ყანები!..

მე ბავშვობიდან დამყვა შუქი შენი ხედების,  
როცა შორსა ვარ, მაშინაც კი მემიედები!

ბანძა

21. 07. 67.





\* \* \*

მეცა მახურავს სილაყვარდით გაუხუნარი  
და შრიალებენ უბოლოო ლურჯი ყანები!..  
გულს შერჩა კვლავაც საოცარი ტრფობის უნარი  
და შენს სიშორეს უჩვეულოდ ვეთაყვანები!

წლები ბავშვობის ამ სანახებს ესისხლხორცება  
და აქ ლექსისთვის არ მჭირდება ძებნა თემების!  
კვლავ მეძახიან ჩემი მინდვრის ლურჯი ბორცვები  
მზის ამოსვლის ჟამს, ნისლის თეთრი დიადემებით!

ო, უთქვენობა ჩემთვის გახდა გაუსაძლისი,  
როცა შორსა ვარ, როგორ მიჭირს სევდის ტარება!  
აქ ფეთქავს ფესვი პოეტური ჩემი საწყისის,  
მხოლოდ სული გრძნობს მიუწვდომელ ამ ნეტარებას!

გამოვიღვიძე გაზაფხულზე ცისკრის ნათელით,  
ყველგან მიმყვება, სადაც მივალ, ხმა სანატრელი!..

ბანძა

28.04.69.





\* \* \*

ღრო სიშორეში, როგორც თეთრი გლისერი მიქრის,  
ტირიფონიდან ჩიტი ისევე იძახის — ტიას!..  
ეს კიბარისი ჟამმა რატომ დაღალა ფიქრით?  
ჩვენ ხიდზე ვდგავართ ვაყურადებთ ზღვის მელოდიას!..

ნუთუ ყოველი აქ ფერთა სვლას ემორჩილება?  
შემოდამების ზღვას კვლავ უკრთის თვალები სუფთა!  
ნიაფის ფრთებზე ირხევიან ლურჯი ჩრდილები,  
ცა კი ვარსკვლავთა მოლოდინში ხალვათად სუნთქავს!..

რამ მოაზღვავა ქვეყანაზე ეს საოცრება,  
შორს თოლიები თითქოს ფრთებით იაღქნებს შლიან!..  
ყმაწვილობიდან ხომ ზღვა იყო ჩემი ოცნება,  
ბევრჯერ ფიქრებით ავედევნე ტალღების შრიალს!..

ახლა აქ ვდგავართ, ყველაფერი ტრფიალით გვიმზერს,  
მოდინათია! ეს საღამოც ჩავწეროთ ფირზე!

სოხუმი  
17. 06. 69.





\* \* \*

შეხედე, ტალღებს ქარი ისევე ეთამაშება,  
 მიიზნევიან ვარდფურცლობის დღენი ცინცხალი...  
 გადაიქროლეს ჩემს მინდორზე თეთრმა რაშებმა  
 და მომაგონეს წლები სიყრმის დაუფიწყარი!..

მივეყვები ნაბირს... ზღვაზე ჩადის მზე გადაღლილი,  
 ვინ დამახალა უმოწყალოდ მკერდზე ისარი?  
 აჰა, საცაა, აფეთქდება გული ნალმივით,  
 შორს დარჩა სივრცე ღღეთა ქროლვით ნათილისმარი!

შენი თვალების სილაყვარდე მექცა ოცნებად,  
 ველარ დამძლია ულმობელმა ჟამმა მუქარით!  
 ჩემი ჭრილობის შენ შესძელი შესისხლხორცება,  
 გზას გვინათებდა სიშორიდან ტრფობით უფალი!

ვისსენებ იმ დროს, აღტაცებით ისევე ვივსები,  
 რამ დამავიწყოს ის დღეები სავსე ღირსებით!..

სოხუმი  
 29. 04. 70.





\* \* \*

ვერ შემიცვნია მაგ თვალების ლურჯი ნათება  
და რასაც ვხედავ, ნუთუ იგი ლანდია მხოლოდ?  
რა გტკივა ასე, ო, ძვირფასო, რა გემართება?  
მივაყურადლოთ ცის თავანზე ვარსკვლავთა ქოროსს!..

აქ ყველაფერი საოცარი ფერებით ფეთქავს!..  
ბრუნავს და ბრუნავს ეს სამყარო — უსაზღვრო სფერო...  
მამლის ყვილით გათენდება ეს ღამეც თეთრად,  
ჩვენ შევრჩით ხელში სიყვარულის უჩინარ დემონს!..

მხურვალე ბაგე გამძაფრებით დაეძებს ბაგეს  
და მოქათქათე მთვარის ქორთა მკლავებზე ვწვებით...  
ნუთუ, ჟამთა სვლის მდინარეზე ყველაფერს ანგრევს  
და ჩვენს სიყვარულს დააბერებს მოვარდნა წლების?

არ მეშინია, საყვარელო, რაც უნდა მოხდეს,  
არ შეიძლება სიყვარულის ყვავილი მოკვდეს!

ბანძა

26. 07. 70.





\* \* \*

*„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნი“*

ჩვენ ქუდს გიხდილით ბრძოლის ველზე დაცემულ მხედრებს,  
იყო ღიმილი სევდიანი და მძიმე ოხვრაც!  
ამ ჩემს ხსოვნაში ისევ ვხედავ გულშეძრულ დედებს  
სულის ჭურჭელი ვერ იტევდა დარდსა და ბოლმას!..

დარჩა ამ ქვეყნად ვაჟკაცური სახელი თქვენი,  
ცა ღრუბლებისგან გაიწმინდა და გახდა ლურჯი!..  
ამოდიოდა მზე მაისის სხივებისმთენი,  
ვერ დაუღეწა მამულის თაღს გრიგალმა ბურჯი!

დაუბრუნდებით ვერასოდეს მშობლიურ მინდვრებს,  
დედების გულებს ვინ განკურნავს უზომოდ დაჭრილს?!  
დრო წარმავლობის ვერ დაგფარავთ უხეში ბინდით,  
საომარ ველზე მარადიულ მხედრებად დარჩით!

იმ დღეთა ხსოვნა მე გზადაგზა ლექსებს გაგანდე,  
თქვენ კი სიკვდილით უკვდავება გაიმარადეთ!

ბანძა

09. 05. 72.





\* \* \*

იღგა ჟამი მაშინ მთვარის მოვანების  
და ჩვენ სულში ტრფობის მტევნებს ვიწურავდით!..  
შენ იყავი ძალზე ნორჩი წლოვანებით  
და ზღვის პირად ყვაველებში მივცურავდით...

ჩავიბრუნეთ ჩვენ ბილიკი ზღვისკენ ვიწრო,  
მოგონებით, საყვარელო, გული მითრთის!..  
ის დღეები მე რამ უნდა დამავიწყოს,  
რასაც ვგრძნობდით, განა ენით გამოითქმის?

ის მშვენება, მითხარ, როგორ დავიბრუნო,  
როცა აფრა შორეულ გზით მიმაქანებს?!  
მიდის ჟამი!.. შენც მიცურავ გაზატხულო,  
და იმსხვრევა ჩემი სულის მინანქარი!..

დავიწყებას შენს ღიმილს ვერ მივაკარებ,  
რჩება ჩემში ო, იმ დღეთა სიანკარე!..

სოხუმი  
07.06.72.





\* \* \*

ჩვენ მთელი ღამე, საყვარელო, მთვარის ქვეშ ვთრთოდით,  
ზღვა იყო მშვიდი უცნაურად და იღუმალი!..

შენ კი დალალებს ტირიფებთან გირნეგდა ქარი  
და ირწეოდა იასამნის ფერადი ტოტი...

მას შემდეგ ოცი ნაღვლიანი გავიდა წელი,  
რომ არ გვინახავს ერთმანეთი, ძვირტუასო მარი!  
იმ შეხვედრების თითქოს დღესაც მედება ალი  
და სუნთქავს ჩემში, როგორც ნაზი ყვავილი ველის!..

ო, ეს სონეტი დავიწყებას არ მიაკარებს  
ჩვენი გულების ვარდფურცლობის საოცარ რომანს!..  
ვინ მოთვლის მთვარე ტირიფებთან რამდენჯერ მოვა,  
მაგრამ იმ თვალებს ვერ ჩახედავს თბილს და ანკარას!

წავიდა ის ღრო!.. მხოლოდ ხსოვნით სტრიქონებს ვათბობ  
და ჩემი სევდა საუკუნოდ შეჩრება მნათობს!..

სოხუმი  
06. 09. 72.







\* \* \*

ო, რა ცოტა ხანს ენთო ქვეყნად შენი სინაზე,  
საით წავიდნენ ის დღეები ასე ზღაპრული?  
ცრემლის წვეთები დამიტოვე სულის მინაზე  
და მოაქვს ქარებს სიშორიდან ხმადაზაფრული!

შენი თვალები დღეს მზის შუქით არ იკოცნება  
და ვერც შეგიჩნევს გაზაფხულის სიო დალალებს!  
მე ის ხატება შემჩნა ჭაბუკს, როგორც ოცნება  
და ტკივილების მოზღვაება ველარ დაგძალე!..

იქნებ შეცდომა იყო, სულო, შენი მოფრენა  
და ეს უთუოდ იგრძნეს ალბათ ზენა ძალებმა!  
მაგ მშვენიერებისთვის ჯერ იმდენად ყრუა სოფელი,  
რომ მაგონდება, გულზე ცრემლი მომეძალება!..

მიწაზე გაქრა სათაყვანო შენი ხატება,  
მაგრამ ხსოვნაში ის ვერასდროს შეწყვეტს ნათებას!..

სოხუმი  
07. 09. 72.





\* \* \*

ისევ ვიხსენებ გაზაფხულის ხასხასა ჭალას  
და შენს საოცარ სურნელებით ავსებულ სიცილს!..  
ეს მოგონება უჩვეულო ტკივილით მსჭვალავს  
და მას ჟამთა სვლა ვერასოდეს ვერ წაშლის, ვიცი!

ძვირფასო, ახლაც მაგ თვალების ზმანების ტყვე ვარ!  
და მისდევს მზერა მინდვრის ქორთა ყვაფილთა ციმციმს...  
მე თვალწინ მიდგას აწვართული აღვების რხევა  
და მწვანე მოღზე გაქცეული ჭიხვინი კვიცის!..

კვლავ ჩემსკენ მოდის, მოიხრევა იმ დღეთა ექო,  
როდესაც უკვე გადათქერვას მიპირებს ჟამი!  
იმ წლების ხსოვნა იღუმალი შემორჩა ბექობს  
და გულს დაღალულს, მეგობარო, ტკივილის შხამი!

ჩვენს ნათყებურებს ღამე უხმოდ შეიწოვს ხარბად,  
ის დრო წავიდა, რომ გვასმევდა საწუთრო შარბათს!

სოხუმი  
16. 09. 72.





\* \* \*

გაზაფხულს ისევ ველოდები ამ ბაღის კართან,  
დილით ჩიტების ჟრიამულის მომინდა ნახვა!  
ზამთარმა უხმოდ აიკეცა ქათქათა კალთა  
და ფეხაკრეფით ცრემლიანი ფერდობებს აჰყვია...

მზე ფერთა რხევით კვლავ მოაწვა ხასხასა სივრცეს  
და ის დღეები სანატრელი მომელანდება!..  
ნიაფი მთიდან მონაბერი ოცნებას მიწვევს,  
მოვა აპრილი სულს ამინთებს ფერად სანთლებად!..

ზღვა შეწყვეტს გუგუნს და მე აფრებს ოცნების გაეშლი,  
გარდასულ დღეთა ისევ ვიგრძენ ცეცლის მოდება!..  
მე სიცოცხლესთან მერამდენედ ვანახლებ კავშირს,  
მზე გაზაფხულის ალტაცებით მიახლოვდება!..

რას უცდი, დროო, განახლების გზები მაჩვენე,  
დედაო ღვთისაგ, შენი ლოცვა შემომაშველე!

12. 03. 75.





\* \* \*

შენს სასთუმალთან მთელი ღამე ენთო სანთელი,  
 იქნებ ღუძილში, მეგობარო, გრძნობდი რაიმეს?  
 ის ღამე იყო იდუმალი და სხივნათელი,  
 მხოლოდ აკრთობდა ამ დიდ სევდას დედის — „გაიმე!“

ჩვენ დაგდიოდით შენს გარშემო ფრთხილი ნაბიჯით,  
 არ ვაშორებდით შენს ძვირფას ნეშტს ცრემლიან თვალებს!  
 მოულოდნელად ზღვარს სიცოცხლის გადააბიჯე  
 და ნაღვლიანი დაგცქეროდა ფანჯრიდან მთვარე...

მოვიდა ჟამი განშორების! ხელდაკრეფილნი  
 ვიდექით უხმოდ!... და მიმწუხრის ზარმა დარეკა!  
 მთიდან ჩურჩულით შელამების ქროდა ზეფიერი,  
 მაგრამ გულიდან სიმძიმელი ვერ გადარეკა!

და დარჩა ხსოვნა ჩვენს გულებში საოცრად სუფთა,  
 დაგდივართ, მაგრამ როგორ გვიჭირს უშენოდ სუნთქვა?!

სოხუმი  
 03.06.75.





\* \* \*

ის ღრო წავიდა, აწი უკვე ვერაფერს შეცვლი,  
შენ რომ გიყვარდა, საყვარელო, ის წყაროც დაშრა!..  
მოვა აპრილი, აგაცრემლებს სიმღერა მერცხლის,  
რასაც საოცარ აღტაცებით ხვდებოდი შარშან!

ცივი სადგური გახდა შენთვის პლანეტა მთელი,  
უცხო ჩიტყვით სული სადღაც გატყუენას ღამობს...  
აჰა, საცაა დაიწყება, ძვირფასო, რთველი,  
ბრძენი ბუნება ყვავილოვანს გაიხდის სამოსს!

ვერ იქნა, ველარ შეურიგდა ტკივილებს სული,  
ის ბაგეებიც გაფერმკრთალდა ნაზი და ცხელი!  
გადაწყდა უკვე, ველარ მალავ გატყუენის სურვილს  
და მაგ დაწვებზე გაჩნდა ორი მდინარე ცრემლის!..

შორს დარჩა, სადღაც გაზაფხულის ბალი შრიალა,  
ყველა ტკივილმა მაგ შენს გულზე გადაიარა!..

სოხუმი  
19. 12. 75.





\* \* \*

მე იმ საღამოს შენ მეგონე თოვლის გოგონა,  
 ოდნავ შემკრთალი, გადაფიფქულ მინდორზე გნახე!  
 სულში ამინთე სიყვარულის ჭიაკოკონა  
 და ჩემს არსებას ო, ის დღემდე საოცრად არხევს!..

მიიწეოდი სოფლის გზაზე თეთრი ზღაპარი,  
 დღემდე ხსოვნაში წარუშლელი დარჩა სურათი!..  
 ო, ეს რამხელა გაცემა შემომაპარე,  
 თოვლის მინდორზე მიდიოდი, თუ მიცურავდი?!

დრო უძლურია, რომ წაშალოს ის შელამება,  
 საითაც მივალ, მხოლოდ ყველგან შენ მეჩვენები!..  
 მე ის საღამო სამუდამოდ მექცა წამებად,  
 დავრჩი ბედისგან უმოწყალოდ შენაჩვენები!

მე შენ მოგსდევდი ფაშარ თოვლში, სავსეს სინათლით,  
 და მოსახვევში უცნაურად გაუჩინარდი!..

სოხუმი  
 22. 02. 74.





\* \* \*

ფანჯრიდან ვუცქერ უბოლო ვარს კვლავთა რიალს,  
წლებით დაღლილი, საყვარელო, შენს ჩურჩულს ვნატრობ!..  
შენთან შეხვედრა კვლავ მომინდა, ძვირფასო ღია,  
მე ამ ოთახის სიჩუმეში დარჩენილს მარტო!..

მაგ თმის კულულებს კვლავ ათასჯერ ვეამბორები,  
კოცნით აგვივსებ მაგ ელიფსურ თვალთა სიაღეს!..  
შენ ხარ, ძვირფასო, ჩემი ნაზი ტრფობის მორევი,  
რომელიც სულში ვარდფურცლობის ფერით შრიალებს!..

როცა შენთან ვარ შუქი ციკრის მომეფინება  
და გაზაფხულის ცისფერ ტალღას ვეთამაშები!..  
მე რას დამაკლებს უღმობელი ჟამის დინება,  
რომელიც მიქრის სიშორეში თეთრი რაშებით!..

ჩემს მინდორ—ველზე გაზაფხულმა გადინვივინა,  
რაც ვნახე იმას, ხელმეორედ ველარ ვინილავ!

სოხუმი  
27. 06. 74.





\* \* \*

მე არ მშორდება საოცარი შენი ხატება,  
 ის ჩემთან მოდის, ჩემს ჭრილობას ეალერსება!..  
 ეს რა ნაღველი მომეძალა, რა მემართება,  
 შავი ფიქრები ფუტკარივით რატომ მესევა?!

მე დავიღალე სივრცეებში ქროლოვით, კვეთებით,  
 მაგრამ სხეულში მუდამ ფარულს ვგრძნობდი დინებას!..  
 ვიქროლე ჟამის ქარიშხალში თავგამეტებით,  
 დღემდე გადავრჩი, ალბათ, ღმერთმა ასე ინება!

მე შენი ძუძუს ვწოვე, დედავ, უხვი ნათელი  
 და ბავშვობიდან შენი ლოცვა მსდევდა საფარად,  
 ვხედავ შენს სხეულს ტკივილებით მწარედ გათელილს  
 და ჩემი ჩანგი მწუხარებამ თაღხით დაფარა!..

მე მთვარიანში ახლაც მესმის შენი ვედრება,  
 ჟამი მღვრიეა, მაგრამ მაინც შეიმედება!..

სოხუმი  
 10. 09. 74.







\* \* \*

შენ ჩაიშალე იმ წიაღში მშობლიურ მიწის,  
რომელიც, სულო, ბავშვობიდან გიყვარდა ეგ ზომი!  
დღეს შენს საფლავთან ირხევიან ხეები წიწვის  
და დედის მოთქმა ეფინება, ბავშვობის ეზოს!..

ცა ვარსკვლავებით დაცხრილული ინთება ღამით  
და წყლის ნაპირზე თუხში შევლი ნისლეები სხედან...  
იქნებ ყურს უგდებ განთიადზე ირმების ბლავილს,  
როცა შეგიპყრობს მარტობის მტანჯველი სევდა?!

მიდის მდინარე და მთარხევს ტალღების წყებას,  
შენი ბავშვობის კვლავ ჭინვინებს მინდორზე კვიცი!..  
აჰ, შენს საფლავზე სევდიანი საღამო წვეება  
და ცის ხავერდზე ვარსკვლავების იზრდება რიცხვი!

იქნებ ამყარებ შორეულთან იღუმალ კავშირს,  
როცა საღამო ვარსკვლავების იალქნებს გაშლის!..

სოხუმი  
24. 04. 76.





\* \* \*

ლექსების წიგნში ვნახე მკრთალი ფურცელი ვარდის  
და მოგონება იმ დღეების მექცა იარად!..  
ზღვის ზირას მოველო, მთვარე ნისლის ინსნიდა მანდილს,  
ყველა ტკივილმა ამ ჩემს გულზე გადაიარა!..

მასსოვს, შენ მაშინ თექვსმეტი წლის იყავი ცირა  
და ერთობოდი სილამაზით ცისა და მიწის!..  
ძვირფასო ჩემო! ო, ეს იყო დიდი ხანს წინათ,  
თუშცა ეს გული მოგონებით ნიადაგ იწვის!..

მხოლოდ ღიმილში გადმოფენდი მშვენიებას სულის,  
იყავ წარმტაცი, ვით ნიაგში თამაში ფერთა!..  
უკვე, იმ დღიდან ჩვენ იღუშალს მივენდეთ სურვილს  
და ჩემში იგი ახლაც იმავ სინაზით ფეთქავს!..

რადგან შენ თრთოლვით ეს უძირო სული ამივსე,  
ფერიცვალება გერასოდეს გაგითავისებს!

სოხუმი  
17. 06. 76.





\* \* \*

ის ლამაზი დღეები, ვიცი, კვლავ რომ არ მოვა,  
შენთვის მზე ვერ აანთებს ცაზე ფერად ნათურებს!  
შუქთა ლურჯი მეწყერით მთვარე ბევრჯერ ამოვა,  
მაგრამ იმ ჩვენს ბილიკზე სევდა დაისადგურებს!..

მოჩანს ზეცის თავანი შუქთა დიადემებით,  
ზღვას შეხედუ, ქცეულა გარს კვლავების საბადოდ...  
მე შენს მსუბუქ ფენის ხმას ბევრჯერ აგედევნები,  
დიდხანს ვიხეტიალებ, ალბათ, უმისამართოდ!..

იქნებ სადმე წავაწყდე შენს საოცარ ხატებას,  
სულის სიმებს შემიბრუნე უჩვეულო ზმანებით!..  
ეს ვინ არის ნეტავი? — ჩემსკენ მოემართება  
და რეკავენ შორიდან ღამეული ზარები!..

წუთისოფლის ბილიკზე მარტო დაგბორიალობ,  
ნუ მახსენებ იმ დღეებს, შემოდგომის ნიაფო!

სოხუმი  
04. 09. 76.





\* \* \*

მიიზნეოდნენ ცის თავანზე ღრუბლები ლეგა,  
დაფარეს სივრცე იღუმალი ხასხასა ღამის!..  
შეგზვდით ზღვის პირას პაემანზე მე და შენ მეგი!  
და ყურს ვუგდებდით პორტში გემის სევდიან ბლავილს!..

ზვირთები ჯებირს აწყდებოდნენ ღელვით, ხმაურით  
და მთა სოხუმის დაეფარათ ნისლეებს ნახევრად...  
სადგურს მოადგა გემი რაღაც ხმით უცნაურით,  
ნაძვებს შემართულს შემოდგომის ქარი არხევდა...

ჩვენ კი საყელოშეხსნილები მიმოვდიოდით,  
ღამპიონების შუქზე ენთო ლურჯი ნაპირი!..  
ცას ელიფსური თვალებიდან ცრემლი სდიოდა,  
შორს დარჩენოდა სამოსელი თეთრი აპრილის!

გადაგვდიოდა გულზე რაღაც სევდისმაგვარი,  
რომ ფერს იცვლიდა ჩვენს გარშემო ყველა საგანი!..

სოხუმი  
18. 09. 76.





\* \* \*

დააზრო ჟამმა ყვავილნარი შენ რომ დატოვე  
და ჩემს სტრიქონებს მოეძალა სევდის მოტივი!..  
ვერ ამინსნია, რა ყოფილა ეს სიმარტოვე  
და დაგებარბაცებ ამღვრეული გზებზე ლოთივით!..

შემომაშველო იქნებ შენი თეთრი ხელები,  
იქნებ უშველოს ჩემს ჭრილობას შენმა ძალამომ!  
მე საწუთროსგან გაფხდი ასე განახელები  
და შენი კალთა მინდა ისევ ცრემლით დავნამო!..

საწუთროს გზები გახდა ჩემთვის უკაცრიელი,  
არ ვიცი, ასე სანამ უნდა ვიხეტიალო?  
თუმცა მაჩუქა მე განგებამ სული ძლიერი  
და რას დამაკლებს უდაბნოში ქარის ტრიალი?!

დავხეტიალობ ნატერფალის შენის მკოცნელი,  
როცა ჩამიქრა ცის თავანზე შუქი ოცნების!

სოხუმი  
18. 11. 76.





\* \* \*

ამოდრიოდა სიშორიდან მზე მეწამული  
და ვარდფურცლობის საოცარი იდგა სიალე!..  
გადასდიოდა ჩემს მშობლიურ მთა-ბარს აღმური,  
მისდევდა მინდვრად აღტაცებით ნიაფს ნიაფი...

ათრობდა ბაღში არემარეს სტვენა ჩიტების,  
ზღვა ირხეოდა სხივთა ჩქერით ნათილისმარი...  
მე ახლაც ო, იმ მოგონებით ძლიერ ვინთები  
და მიიჩნევა დღე აპრილის, როგორც სიზმარი!..

აქდერებს სიმებს გაზაფხულის პლანეტა ვრცელი,  
საიდან მოდის ყოველივე? — განსჯას ფუნდები!  
შეხედე, ვარდებს სინარულის ჩამოსდით ცრემლი,  
ო, სიყვარულო, ნურასოდეს ნუ გახუნდება!

გულო, რას უცდი? — ფერთა ღელვა შეისისხორცე  
რომ არ გახუნდეს დროზე აღრე შენი სიცოცხლე!

სოხუმი  
12. 04. 78.





\* \* \*

ხსოვნის ლანდებთან ხეტიალობ უდასასრულოდ  
და სივრცე ისევ მოყვითალო ფოთლებში ცურავს...  
სულის სიმაღლეს არ შორდება ერთი ასული,  
რომლისაც გულით დაატარებ პატარა სურათს!..

დღეებმა მინდვრებს სამოსელი გახადა მწვანე  
და შემოდგომის უჩვეულო ნაღველით ავსებს!..  
შეგისხნა ჟამმა სულის ყველა ჭრილობა მწვავე  
და ბედისწერა შავი ფრთებით დაგჩხავის თავზე!..

შემორჩი სივრცეს გარდასული დღეების სევდად,  
ფერიცვალების კართან მანც ამაყად დგახარ!..  
უხმოდ ქანაობს შეღამების ლანდები ხეთა  
და მოგონებას საოცარი ტკივილი ახლავს!..

ქვეყნად ყველაფერს რა უღმერთოდ ეცვლება ნირი?  
კლდეს შერჩენილი, როგორც ცალი ირემი ყვირი!..

სოხუმი  
01.10.78.





\* \* \*

ხალასი გრძნობით ბავშვობიდან ერთმანეთს ვენდეთ,  
 დარჩენილ დღეებს, რომც იდინოს არათურად ჩავთვლი!  
 ამ ბაღში, მეგი, ვერასოდეს მოგიტან ვარდებს  
 და ვერც სანატრელ ბილიკებსე გაფივლი ჩანთით!

შორიდან უკვე სევდიანი ხმა მესმის ჩხართვის,  
 დავდივარ მარტო, სიყვარულით ვიხსენებ იმ დროს!..  
 მოდის საღამო... სიშორეში მზე ოხვრით ჩადის  
 და მოგონების ცრემლები სდის მაისის მინდორს!..

აქ ყველაფერი არხევს სიმებს იმ წარმტაც დღეთა  
 და შენს ხატებას ვეფერები ხსოვნაში მხოლოდ!..  
 ო, ეს სონეტი დაგიწყებას შეუტევს მეღვრად,  
 თუმიც დროთა ტალღა ალბათ მასაც დაამსხვრევს ბოლოს!..

მიქრიან წლები, მაგრამ გული ველარ დავაცხრე  
 და ვხედავ უკვე დრო—ჟამს ტრფობა როგორ ამარცხებს!

ბანძა

12. 05. 79.







\* \* \*

მე დავბრუნდები, საყვარელო, ასი წლის შემდეგ  
და იმ შეხვედრის ხეივანში უთუოდ მოვალ!..  
ო, მაგ ღიმილის სილამაზეს იმდენად ვენდე,  
თუ არ დამხვდები, შენს აჩრდილთან გავაბამ რომანს!..

რა დამავიწყებს შენი ტანის საოცარ რხევას  
და ნაპირებთან ზღვის ტალღების უცნაურ სიცილს?  
მიცნობს ტირიფი, მოვა კრძალვით და მომეხვევა  
და გავიხსენებთ მაგ თვალების იღუმალ ციმციმს!..

მოვეფერები გარდასული დღეების ხსოვნას,  
დავულობ ცრემლით მინდვრის ყვავილს ქათქათა უბეს!..  
მექნება თითზე ის ბეჭედი, რომ მისახსოვრე  
და მოვიგონებ შენი ტანის თოვლისფერ ღრუბელს!..

მე შენი ტრფობით ო, ეს გული იმდენად მიცემს,  
რომ გადმოვლახავ უსათუოდ დროსა და სივრცეს!..

სოხუმი  
14. 05. 80.





\* \* \*

*„რიკ—ფაინის დრო გარდუა,  
ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების“...*

*დავით გურამი შვილი*

ჟამმა ქარით ჩაიქროლა ჩემი ბავშვობის  
და ჭაბუკობის წლებმა სივრცე გადითქარუნა!..  
ასე დამთავრდა ჩემი სულის დიდი ლაშქრობა  
და ჩემი ჩანგის შესწყდა ოქროს სიმთა წკარუნი!

შემოვრჩი ბილიკს ნაღვლიანი, ბრძოლით დაღლილი  
და მარტობამ რა უეცრად გამითავისა!..  
ქანაობს კლდეზე ჩემი მუხა ტოტებდახრილი,  
მზე მეფერება, მაგრამ ველარ მიჩენს ნაისარს!

ამ პლანეტაზე კაცი ახლა თითქმის მარტო ვარ,  
ჩაქრა ის ცეცხლი და შეწყვიტეს რეკვა ზარებმაც!  
ერთობ მოქანცულს დრომ ჭადარა შემომათოვა  
და ის დღეები დაემსგავსა უკვე ზმანებას!..

რაც მიწყალობა, კვლავ წამგლიჯა ერთობ ბუნებამ,  
ამაოდ გცდილობ გარდასულის შემობრუნებას!

ბანძა

05. 12. 79.





\* \* \*

ძვირფასო ჩემო! სად გაფრინდი მოულოდნელად?!  
მთელ სამყაროზე შენი სულის ვარდი მერჩია!..  
გულზე დამაწვა სიმძიმისი მთებისოდენა,  
ჩემი არსება უშენობას ვერ შეეჩვია!

ნეტავ, რა გუყვო უღიმღამო დღეებს დარჩენილს,  
რას ვიფიქრებდი, რომ იყავი ჟამის სტუმარი?  
შეშფოთლებოდა, ალბათ, შენი ცოდვით გამჩენიც,  
როცა გიბოძა ეს უხეში თავსასთუმალი!..

შენი წასვლა ხომ გაზაფხულის ჰგავდა გაფრენას,  
ვერ გამიგია ამ საწუთროს თუ რა ფერი აქვს!  
ეს რა უეცრად განშორების ქარმა დაჰბერა,  
დავრჩი ჰამლეტი ამ მიწაზე უოფელიოდ!

საიდან მოდის, ასე უღვთოდ სულის ობლობა,  
ბუნებას, ნეტავ, რად სჩვევია დაუნდობლობა?!

სოხუმი  
21.09.77.





\* \* \*

„სიჭაბუკისა ყვაფილი დამიჭკნო ჟამთა დენამა.“

დ. გურამი შვილი

გადააყვითლა შემოდგომამ ირგვლივ ყოველი,  
ფერი უცვალა, რაც კი სიკვდილს ემორჩილება!  
მითხარ, ბუნებაე, რატომა ხარ დაუნდობელი  
და სივრცეს რატომ ეფინები მწუხრის ჩრდილებად?!

ხედავ, ნიავი მინდვრის ყვაფილს ცრემლით ასველებს,  
შეხედე ბინულს, ფოთლების რომ გახდა სატივე!..  
შენ, ჟამთა დენაე, ჩემი გული დანით დასერე  
და განშორების უნაზესი ცრემლით მატირე!..

ჩვენი სინორჩე გაიტაცე, როგორც ნადავლი  
და მოგვახვიე ფოთოლცვენის უამინდობა!..  
შენ ხელთ გიპყრია ამ ცხოვრების ყველა სადავე  
და ისიც ვიცი, თუ რას ნიშნავს შენზე მინდობა!

ვინ თქვა, ჟამთა სვლა ყოველივეს აუჩინარებს,  
თუ შენს ხატებას აირეკლავს ლექსის მდინარე?!

სოხუმი  
16. 10. 77.





\* \* \*

ამ ხეივანში ახლა მხოლოდ დუმილი სუფევს,  
დაუტბორია ქარებს იგი ფოთლების შვაგით!..  
ვნახე და სული გადამექცა ტკივილის გუბედ,  
მიცურავს ისევ ცის თავანზე ღრუბელი შავი!..

აქ დავდიოდით ო, მე და შენ ღიმილით, მერი!  
და ფერთა ლივლივს არ უჩნდა, ძვირფასო, ბოლო!..  
საით გაფრინდნენ ის დღეები ნაზი და წრფელი,  
მინდა იმ ტუჩებს სათაყვანოს კვლავ ვეამბორო!

მზეს ბაგეებზე შეაცვივდა ერთობ სიცილი  
და სცვივა ხეებს ჟამგარდასულთ ტოტები ხმელი!..  
საით წავიდა ის თვალები შუქთა ციმციმით,  
ვინსენებ იმ დროს, თითქოს წყლულებს ვეხები ხელით!..

დაქროლა ქარმა!.. უღიმღამოდ ჩიტები ფრენენ  
და არხევს ჟამი უცნაურად გაცრეცილ ფერებს!..

სოხუმი  
30. 11. 77.





\* \* \*

იწექ ბალახში და გათოვდა ყვავილი ატმის...  
და მე ვთვრებოდი სილამაზით, ძვირფასო ჩემო!  
მაშინ, ვიგრძენი უცნაურად სიცოცხლის გემო  
და ირხეოდა ამ ჩემს სულში რტოები ნატვრის!..

მანსოვს, ეს იყო აპრილის თვის დღე უნაზესი,  
შორს მიცურავდნენ ცის თავანზე ღრუბლები თეთრი...  
ჩვენ სიყვარულმა ერთ არსებად რომ შეგვავერთა  
და გულში გრძნობამ რა საოცრად გაიდგა ფესვი!..

ახლა დავდივარ ამ მინდორზე უკვე მსცოვანი,  
მზე ჩადის რხევით და ხუნდება ფერები შინდის!  
ამ გულის ღელვა ვერ იქნა და ვერ დაგამშვიდე  
და ცრემლი დამდის თვალებიდან, როგორც ნოვალისს!

ღრო სიშორეში მიდის უხმოდ, დაუბრუნებლად,  
რატომ გრძნობს ამას მტკივნეულად კაცის ბუნება?!

ბანძა

17. 10. 81.





\* \* \*

სადღაც გაფრინდა მოგალობე ჩიტების გუნდი  
და მე შემოვრჩი შემოდგომის ყვითელ ნაპირებს!..  
ვერ იქნა, დღემდე ჟამის ველარ დავლევწე ხუნდი  
და დარდმა ბევრჯერ მომამწყვდია, გამინაპირა!..

უკვე დაკეცა გაზაფხულმა აფრები მწვანე  
და მოხასხასე გაიხადა სივრცემ მანტია!..  
გულს მისუსხავენ ფოთოლცვენის ქარები მწარედ  
და სული ველარ ეგებება ლხენით განთიადს!

დღეთა დინება ვერ მიფანტავს მღვრიე კაეშანს,  
მინდორზე უხმოდ მოყვითალო ნისლი მოცურავს...  
აიკლო სული უსაშველოდ ქარის თარეშმა  
და ვდგავარ ბაღში ფოთოლცვენით გარემოცული!..

უშენოდ, ნეტავ, სანამ უნდა ვიხეტიალო,  
მოდ, ეს გულიც ამომგლიჯე, ბარემ, ტიალო!

სოხუმი  
06. 09. 82.





\* \* \*

თავთუხის ზღვაში მივდიოდით თუ მივცურავდით  
 მე და შენ, მეგი, შორს, ხოხობი ვეღზე ყიოდა!..  
 ამ ცის და მიწის საოცარი ვნახეთ სურათი,  
 მზე კი ოქროსფერად მოლაღანე ამოდიოდა!..

მიიწოდნენ ცის თავანზე ღრუბლის გედები,  
 ციხის კოშკების ქონგურებზე ვჭვრეტდით არწივებს...  
 ისევ ფეთქავდა მზე ოქროსფერად შენადედები,  
 რამ ღამავიწყოს, ჩემო მეგი, ის სიყმაწვილე!

მას, რაც ვინილეთ ვერ გადმოსცემს კალმის თილისმა,  
 ვერც ატმის რტოზე მოგალობე ჩიტების ქორო!  
 ის დრო წავიდა, სული სევდამ მოაირისა  
 და სივრცე ჟამით გაძარცული შემომჩჩა მხოლოდ!..

ჩემი ცა სიზმრად მზემ აპრილის მოავგირილა,  
 გამოძაღვიდა ერთხელ კიდევ ირმის ყვირილმა!..

სოხუმი  
 27. 04. 83.







\* \* \*

მოვიდა თოვლი გაათეთრა წვევარამი ღამის,  
მინდორზე უკვე უთვალავი ფანტელი გალობს!..  
ვისმენ ფერდობზე გადმომდგარი ხარირმის ბღაფილს,  
ამ სილამაზეს აღარ მინდა დაჰქროლო, ქარო!

ფეხის წვერებზე ღგება ჩემი ბავშვობის ღანდი  
და განთიადზე სიყვარულით მეგობრებს უხმობს!  
ეს თოვლია თუ მოგალობე ბუნების მადლი,  
რომ ეფინება ჩემი ყრმობის მინდორ-ველს უხმოდ!..

მომინავერდა სანუკვარი ეზო და ბაღი,  
გტოვებ ოთანს და ყმაწვილივით გავრბივარ გარეთ!..  
ბუნება თავზე ისევ თოვლის ყვავილებს მადღრის,  
ვეძახი ღღეებს ჭაბუკობის და ვრეკავ ზარებს!..

მაგრამ წარსული უკვე აღარ მიბრუნებს ექოს  
და სევდა მძიმე ჩემი გულის აწყდება ბექობს!..

ბანძა

14. 01. 84.





\* \* \*

სული გაურბის შემოდგომის დღეებს მთვლეძარეს  
და გაზაფხულის საოცარი ქრება ნათება!..  
რა რჩება ქვეყნად დაუმხობი, გაუთელავი?  
და თვალებიდან არ მშორდება შენი ხატება!..

ხორცი ადვილად ითელება დროის ფლოქვებით  
და გული ხსოვნით კვლავ რამდენჯერ დაიცვარება!..  
ვდგავარ ეულად, უჩვეულოდ შენაშფოთები  
და სული მედგრად უპკლავდება ფერიცვალებას!..

ჩემმა ხომალდმა ზღვის სივრცეში აფრა გაშალა,  
თუმც უტევს ჟამის ქარიშხალი დაუნდობელი!..  
გულო, რას უცდი? — მოიშორე ეს კაეშანი,  
რადგანაც ისეც მდიდარია დარდით სოფელი!..

მივალ ბილიკზე ღელვით სავსე, უკვე ღამდება,  
ისე ვიჩქარი, თითქოს სადღაც მაგვიანდება!..

სოხუმი  
22. 08. 84.





\* \* \*

შენს ნათესურებს ჟამი უკვე შლის გულმოდგინედ,  
მაგრამ ის ჩემში შენი ხსოვნის ვერ წაშლის სურათს!  
დარდი ვეება გულზე მაწევს მძიმე ლოდით,  
დღე შემოდგომის მიიწევა ფერგადასული!..

შორს დარჩა სადღაც, — ის მინდორი და ის მდინარე  
და გაზაფხულის უჩვეულოდ ღამაზი თრთოლვა!  
დაჭკნა, დასცვივდა ის ვარდები პირმოცინარე,  
მოვა ზამთარი და შრიალით დაფარავს თოვლი!..

ვინ გაიხსნებს მაგ თვალების ცისფერ ნათებას,  
ანდა იმ ღიმილს, რომ ფეთქავდა ღამაზ ბაგეზე?  
არ ვიცი, ეს გზა ახლა საით მიემართება,  
ან გული ჩემი ასე დეღვით რატომ დაგეძებს?!

თუ ყველაფერი ფერს იცვლის და მიედინება,  
როგორ გაუძლოს ჩემმა სულმა ამგვარ დიღვებს?!

სოხუმი  
12. 09. 84.





\* \* \*

ო, მაგ ბაგეებს ნუთუ კვლავ ვერ ვეამბორები?  
 ღრო მიქრის ისევ და ჯიუტად რეკავს საათი!..  
 გულზე გადამდის წუთისოფლის მღვრიე მორევი  
 და მიქანაობს ბილიკებზე დღე მუხანათი!..

ქარი ბექობზე ათამაშებს გროვას ფოთლების  
 და მზე დაღმართზე მიიწვევა სევდანასვამი!..  
 მე ვდგავარ ჟამით ძვალ—რბილამდე შენაშფოთები  
 და მოდის ღამე სიშორიდან სტვენით, საგსავით!..

ბეგრი ეცადა, მაგრამ ვეღარ გამაუხეშა  
 ურჩმა ცხოვრებამ, უბოლოო მძაფრი შეტევით!..  
 შენი ხატება, საყვარელო, მექცა ნუგეშად  
 და წუთისოფლის ბილიკებზე დავეხეტები!..

შორს მიქრის ჟამი და სულში კი სევდა ნატიფი  
 შრიალებს, როგორც უბოლოო ლურჯი სათიბი!..

მოსკოვი

21. 10. 84.





\* \* \*

შენს ფანჯრის მიღმა ნაღვლიანი ჩამოწვა ღამე,  
რატომ შეჩერდა ხეივანში ქროლვა ნიავის?  
აფრები ზღვაზე ფერნამკრთალებ მთვარის შუქს სვამენ  
და იმ დღეების ხსოვნა მძაფრი მიჩენს იარებს!..

იმ ბებერ ჭაღარს თითქოს ახლაც ვეხები თბილად,  
ჩვენ ხომ გვეყვარდა მის ტოტებქვეშ ჩურჩული, მეგი!  
დრომ, რად ჩაგვიქრო უმოწყალოდ მაისის დილა  
და როგორც ზვირთი ვეხეთქები ცხოვრების ჯებირს!..

მოდის ზამთარი და იმ დღეთა წაშლას აპირებს,  
მე კვლავ ვაღვიძებ ხსოვნით სავსე სიმებს უჩუმეს!..  
რა შორს გაფრინდა გედის ფრთება ო, ის აპრილი  
და ჭრელ ფოთლებში განახლების სული ჩურჩულებს!..

იმ სილამაზეს ო, რა ტანჯვით ვემშვიდობები,  
დრო მიქრის ისევ და ხმაური მესმის ბორბლების!..

სოხუმი  
24. 09. 85.





\* \* \*

ჩემო ძვირფასო! შენს საფლავთან მოვედი ისევ  
და გაზაფხულის ნორჩ ბალახებს ცრემლით ვასველებ!..  
ბორცვს მონვევია შეღამების ფერმკრთალი ნისლი  
და შენი სახის მოლანდება მე არ მასვენებს!..

ეს მერამდენედ მოვდივარ და სიკვდილთან ვდაობ,  
მაგრამ ეს გლოვა და გოდება არაფის ესმის!  
ვერ გავარღვიე ბედისწერის გრიგალი, დაო,  
გულს კი მიკაწრავს შორეული ვარსკვლავის კენესა!..

დღეები ისევ დღეებს მისდევს უდასასრულოდ,  
არ ვიცი უკვე, სად შეწყდება ჩემი წამება!  
მე ვგრძნობ, ძვირფასო, გაზაფხულის მზე რომ ჩასულა  
და სული მძაფრად აპყოლია მხოლოდ ზმანებას!..

ამ ფერმკრთალ სტრიქონს როგორ ვანდო შენი ხატება,  
ის მღვრიე ქარში დიდხანს შესძლებს განა ნათებას?!

სოხუმი  
24. 05. 86.





\* \* \*

გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით,  
ღრო დაილუქა და მას აწი ვერავინ გასხნის!  
შემოაცვითა შენს ძლიერ სულს ბუნებამ გარსი,  
მე კი დამტოვა შარა — გზაზე დაღლილი ფიქრით!..

იცოდი კარგად წუთისოფლის აფანჩაფანი,  
გძულდა სიფლიდე, სივერაგეს არ იკარებდი!  
შენი აჩრდილი ფნახე ჩემი ბალის კარებთან,  
როცა დაეშვა ჰორიზონტზე მზე ჩამავალი...

მე აგედევნე... ვერ იქნა და ვერ დაგეწიე,  
ბალის სიღრმეში რა უეცრად გაუჩინარდი?!  
ვიდექი ღელვით მთვარიანში მარტო ჩინართან,  
ასე უეცრად როგორ გასცდი სივრცეს მიწიერს?!

და, როცა კაცმა ვერ გაფუძელ გრძნობას მოწოლილს,  
შორს ლაყვარლებში გაკრთა მაშინ ელვის კოცონი!..

სოხუმი  
14. 06. 86.





\* \* \*

ეს განშორება იყო ერთობ მოულოდნელი,  
 რასაც ვერ ავხსნით, მას მივაწერთ ხშირად განგებას!..  
 ჟამი უხეში, როცა უნდა ნისლეებს მოდენის  
 და ფრთებს ულმობელს ლახვარავით შემოგაგებებს!..

მივდივარ მარტო, ახლა უკვე არავინ მელის  
 და გორმანებში მხოლოდ ნისლი მიილანდება...  
 გაფრინდა სადღაც, შენი სულის ნაზი ფრინველი  
 და მეჩვენება შენი ტანის თეთრი ხატება!..

რა რჩება ქვეყნად, მხოლოდ ხსოვნა უფაქიზესი  
 და ლექსად ვამბობ, როცა გრძნობა მომეძალება!..  
 სიყვარული და ტკივილია ლექსის მიზეზი,  
 როცა ერთბაშად ჩამორეკავს სულის ზარები!..

სხვა გზა ვერ ვპოვე, ღმერთმა მხოლოდ ეს გზა მაჩვენა  
 და ლექსს მივენდე ჩვენი ტრფობის გადასარჩენად!..

ბანძა

15. 08. 86.







\* \* \*

აქ ყველაფერი მხოლოდ შენზე მესაუბრება:  
ეს ბუჩქნარები, ეს ხეები და ეს ბინული..  
განგებამ უკვე მომანიჭა ტანჯვის უფლება,  
ჩემამდე მოდის უჩვეულო ხმა განწირულის!..

მე აღრე ვიგრძენ ჟამის ასე დაუნდობლობა,  
ბევრჯერ უფსკრულთან უცნაურად ანლოს მივედი!  
შემიმსუბუქე, შენ ძვირფასო, მწარე ობლობა  
და დამიბრუნე შექით საგსე ხვალის იმედი!..

შენ მომიშუშე, მე უმწეოს, ჭრილობა ყველა  
და შენი გულის სათნოება რამ დამავიწყოს?  
დაო ძვირფასო, უკვე მჯერა ამაოდ ვლელავ  
და ეს ცხოვრება მეჩვენება საოცრად ვიწრო!

შენი სინაზე, შენი თრთოლვა, ასე საჩინო,  
თუ არა ლექსმა, სხვამ რამ უნდა გადაარჩინოს?!

ბანძა  
09. 09. 86.





\* \* \*

გარეთ წვიმს... ზღვიდან კვლავ უბერავს მრისხანე ქარი,  
ჰა, იწურება შემოდგომა და გული გვტკივა!  
ჩვენ გვაგონდება ხეივანი მაისის მთვარის  
და ფანჯარასთან მოყვითალო ფოთლები ცვივა!..

წეროებივით შორს გაფრინდნენ დღეები ყრმობის  
და ირეკლება ჩვენს მზერაში ლამაზი ხანა!..  
მოგონებები ისევ გვაგებს ფარული გრძნობით,  
რომ გვიგალობდნენ გაზაფხულზე ფოთლები ნანას!..

აწი ვერასდროს ავინთებთ იმ სილამაზით,  
ჩაბარდა ხსოვნას ყოველივე, რაც იყო წინათ!  
ჩვენ სიყვარულის, ხომ ბოლომდე დავცალეთ თასი  
და ახლა ვუსმენ შემოდგომის სევდიან წვიმას!..

ქარი და თოვლი მხოლოდ ყრმობის ნაკვალევს წაშლის,  
მაგრამ სულები საბოლოოდ არ სწყვეტენ კავშირს!..

სოხუმი

17. 11. 86.





\* \* \*

ო, ვერასოდეს დაგიბრუნებთ დღეებს მაისის!  
და გაზაფხულის გამჭირვალე ნისლეების წყება  
ვერ მოგვეხვევა ნეტარებით და იმ ხალ ისით  
და ვერ მოუტანს ამ ჩვენს სულებს იღუმალ შეებას!

დავდივარ ჩუმიად, გული დამაქვს ნაღველით საგსე  
და ჩემს ტკივილებს უჩვეულოს ვერავის ვანდობ!..  
დაო, ძვირფასო, იქნებ სადმე შემომხვდეს გზაზე,  
იქნებ შემახო სიყვარულით ხელები სათნო!

რომელიც ჩემში აურაცხელ ჭრილობას წაშლის  
და დამიბრუნებს პირველქმნილი სამყაროს კრთომას!..  
მაშინ ტოტიდან მეწამული მოსწყდება ვაშლი  
და დაეცემა მოყვითალო ფოთლებზე თრთოლვით...

ისევ შეგვასძევს გაზაფხული შინდისფერ ნექტარს  
და ჩვენს ნაკვალევს გამოჰყვება მზრუნველი დედა!..

სოხუმი  
12. 09. 87.





\* \* \*

არ გამახსენო ის თვალეები გრძნობით ნათრობი!  
 არც ის ბილიკი, არც ის ზეცა ნაოცნებარი!..  
 საით წაფიდა ჩემი ტრფობის თეთრი მნათობი  
 და აღტაცებით ანთებული გული მგ ზნეპარი?!

მე ახლაც ვეტრფი იმ ხეივანს მწვანედ დაფოთლილს,  
 განგშორდით ერთურთს და სულს აღარ ელირსა შეგება!  
 ჟამის მდინარეს მიაქვს ღრუბლის თეთრი ნაფოტი  
 და ცაზე მთვარე მოგონებით კვლავ იშმუშნება!..

მინდა შევიქცე, დაფუბრუნდე იმ ნეტარებას,  
 მაგრამ მე ვხედავ ამაოა ფიქრი ამაზე!  
 ო, როგორ მიჭირს ტკივილების უხმოდ ტარება,  
 ვინ გაიტაცა, ვინ წამართვა ის სილამაზე?!

გავცქერი სივრცეს, კვლავ ღრუბლები მიიგრავნება,  
 ერთი ფიცოდე, რას მიმზადებს კიდევ განგება?!

სოხუმი  
 20. 09. 87.





\* \* \*

დავდივარ ზღვის პირს, მოგონებით ისევე ვინთები  
და სული მხოლოდ იმ, იმ დღეთა თვრება ზმანებით!..  
საით გაფრინდნენ სიჭაბუკის თეთრი ჩიტები,  
საით წაფრინდნენ ჩემი დროის ლამაზმანები?!

შემოვრჩი ნაპირს მე იმ დღეთა მესაიდუმლედ,  
ვინ დამიმსხვრია ოცნებათა თეთრი კოშკები?  
შემომალამდა და ზღვა შემრჩა გადაბინდული  
და ვიცი ერთობ ტკვილებით გავითოშები!..

სევდამ უღმობლად დამარბია, გამინაპირა,  
რა ვქნა, ძვირფასო, მარტობას არ ვარ ჩვეული!  
დავდივარ წლებით გადაღლილი ამ ზღვის ნაპირას  
და ველოდები, მაგრამ არ ჩანს ჩემი რჩეული!

აჰა, საცაა მზე ჩაქრება ზეცის თავანზე,  
შენ არ მოდიხარ! დიმილს ვინლა შემომთავაზებს?!

სოხუმი  
14. 10. 87.





\* \* \*

ცა განთიადის გაიკრიფა ღრუბლისგან ისე,  
 იოტისოდენა არ შემორჩა ვრცელ თალედს ფთილა!  
 აუკეციათ თეთრი კალთა ფერდობზე ნისლეებს  
 და ოქროსფერი ახვინვინდა მინდორზე დილა!..

შეაშრათ ცრემლი ღამეული ბექობზე ნაძვებს  
 და ლურჯ რტოებზე თოვლისფერი მტრედები სხედან...  
 ადგილის დედა ცრემლშეუმშრალს გაიხდის ძაძებს  
 და გამარჯვების გზას ულოცავს გაფრენილ მხედარს!

ჟამმა კვლავ რწმენის მოქათქათე გაშალა აფრა  
 და მზის ჩქერებში ჩემი სულის მდინარე ღელავს!..  
 მიწაზე, თითქოს ერთობ ყველა ტკივილი გაქრა,  
 მზე გაზაფხულის ესალმება ღიმილით ყველას!..

ო, გაზაფხულის მოსვლის ფასი ჩიტებმაც იგრძნო,  
 და განახლებულ სილამაზეს უმღერენ, ვინძლო!..

სოხუმი  
 12. 03. 90.





\* \* \*

დავდივარ მარტო, სულში ჟამის ზვირთი თარეშობს  
და ჩემს ჭრილობას თუკი შევლის მხოლოდ კალამი!  
დავხეტიალობ მარტოობის ცისფერ მხარეში  
და ვეგებები მაისის მზეს თბილი სალამით!..

სამოთხის ბაღში ცას უგალობს ჩიტი ფერადი  
და არხევს სივრცეს მოწკრიალე სიმი რამდენი!..  
სულ ცოტა დარჩა ამ ჩიტუნას შორს გაფრენამდე  
და მიღის ასე უჩვეულოდ დღე დღევანდელი!..

შენთან შეხვედრას ველოდები, ჩქარობს ისარი  
და მზე მაისის მოლივლივე ზღვაში ეშვება...  
შენი თვალების სილამაზის გავხდი ხიზანი,  
იჩქარე სულო! თორემ ჟამი შეუხეშება!

მაშინებს, ცა არ დამილეწონ ღროის ქარებმა,  
თორემ ამ ქვეყნად, რომ მოგედი დამენანება!

სოხუმი  
12. 05. 90.





\* \* \*

ისევე შეალო გაზატხულომა კარები ბალის  
და სილამაზით ცა და მიწა მოახავერდა!..  
ცრემლი მოგაწვა მაგ თვალეებზე უზომოდ დადლილს,  
მზემ კი გაჰფანტა უჩვეულო სევდა ღამეთა...

მომართეს ჩანგი ფრინველებმა გაუხუნარი  
და ჩემს მინდორ—ველს საოცარი თრთოლვა ედება!..  
იცვლის სამოსელს ეს საწუთრო მარად მბრუნავი,  
ღრუბელი ზამთრის სადღაც შორს, შორს მიეხეტება...

მოდის ნიავი და თან ფერებს მოათამაშებს,  
მზე გაზატხულის თოვლს და ქარებს ბევრი ედავა!..  
დგას სივრცეებში ანგელო ზთა ფრთების მარმაში,  
მიდის ზამთარი ჭიუხებში გაუბედავად...

წერე ლექსები და თუ ხელი მოგეცარება,  
მინებდი, სულო, წუთისოფლის ფერიცვალებას!..

სოხუმი  
29. 02. 91.







\* \* \*

სიკვდილ—სიცოცხლე გაჩენიდან ერთად მოდიან,  
ო, ასეთია ბუნების, თუ ნება უფლისა!  
ბევრი მინახავს უმოწყალოდ გულდაკოდილი,  
რომ ფიქრით ჰქონდა გაწყვეაზე ძარღვი შუბლისა!..

მოდის აპრილი და საოცრად ყვავის ბუნება,  
მაგრამ ეუცრად გამობტება ჟამი ჭკნობისა!..  
ლურჯი მინდვრები თეთრი ფრთებით დაიბურება  
და უსაშველოდ აგატირებს ხსოვნა ყრმობისა!..

რა რჩება ქვეყნად ფერუცვლელი, გაუხუნარი?  
რა ვუყვით, ჟამმა თუ ოცნების გზები მონისლა!..  
იყავ ბოლომდის ანთებული ბრძოლის უნარით  
და არასოდეს დაიხურო ქუდი მონისა!

მოხვედი ქვეყნად? — უნდა გქონდეს თვალი ქორისა!  
რომ თაობებმა ნახონ კარგად გისი გორის ხარ!

სოხუმი  
25. 07. 91.





\* \* \*

*მაგრამ საწუთრო ვანა ვისძეს  
დიდხანს ახარებს?*

*ნ. ბარათაშვილი*

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ ამ ქვეყნად იშვი,  
რად დაეფინა რუხი ნისლი ბავშვობის მინდორს?  
რატომ ცახცახებს ცა და მიწა სიკვდილის შიშით,  
რომელიც უკვე ქვეყანაზე არავის ინლობს!

სევდა თარული კვლავ მახსენებს, ძვირფასო, იმ დროს  
და თვალებიდან უნუგეშოდ ცრემლები მსწყდება!..  
რად დაეფინა, რუხი ნისლი ბავშვობის მინდორს,  
ვინ გაიტაცა ვარდფურცლობის დღეების წყება?!

დაჯენა ყვაფილი სიყვარულის შუქით ნათური,  
სული კვლავ ოხრავს, მაგრამ უკვე არაფერს ითხოვს!  
რას უცდი, ქარო, ამ მინდორ—გელს ისევ დაჰბერე,  
თუძცა ვერაფერ დაძიბრუნებს იმ ჟამის სითბოს!

ო, იმ მანისის სილამაზე რა უცებ დაშრა,  
ნუთუ ტრფობაც გერ გადურჩება დღეების ლაშქარს?!

ბანძა

19. 10. 92.





\* \* \*

ო, რა უღმობლად აგანგაშდა სივრცე მთვლეძარი,  
შეხედე, როგორ აცახცახდნენ შიშით რტოები?!  
ქრის ქარიშხალი ამ მიწაზე დაუტეგარი,  
რატომ ატირდი, ბალო, ზამთრის მოახლოებით?!

შენს სილამაზეს უმოწყალოდ გაძარცულს ვხედავ,  
იცრემლებიან ფერიების ლურჯი თვალები!..  
მოაქვს ყინვა და მრისხანება ზამთრის თეთრ მხედარს  
და მეც შენსავით გაფხდი უკვე ნათერმკრთალები!

გადაათეთრა სივცე ფიფქთა კორიანტელმა  
და ღელავს სული ტკივილების მწარე მოსევით!..  
ჟამმა რა მძაფრად შემიჩხია სულის ანტენა,  
მოვიდა თოვლი და ატირდნენ ისევ ფრთოსნები!

იძინე, ბალო, ნუ გაქვს შიშით ხმა და ზფრული,  
გამოიღვიძებ სილამაზით ისევ ზღაპრულით!..

სოხუმი  
12. 12. 92.





დოდო ნარმანიას

ჩვენ მოფიტოვეთ ორი ჟამი საწუთროს გზაზე,  
 ახლა მესამე მონაკვეთზე მივდივართ ნელა...  
 ხან სინარულით, ხან ტკივილით ყელამდე სავსე,  
 ხან მზე იცინის, ხან ქარი ქრის, ხან კიდევე ელავს!..

დავაფრთიანეთ ორი ბარტყი, — მედგრად ფრთებს შლიან,  
 რომ შეუპოვრად შეუტიონ დინებას აღმა...  
 ჩვენ თვალს ვადევნებთ მათი ფრთების საოცარ შრიალს  
 და გვეშინია სადმე აღარ მოღალოთ ტალღამ!

ბედნიერი ვართ! ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ასე!..  
 სამადლობელო უნდა ვუთხრათ ბუნებას დიადს!  
 ჩვენ ორი ჟამი მოფიტოვეთ ცხოვრების გზაზე  
 და, ჰა, მესამე მონაკვეთზე მივდივართ ღიად!..

არ გაგვივლია ეს ცხოვრება მარტოღონ ფრენით,  
 მოვევდებით, მაგრამ ჩვენი მაინც იცოცხლებს გენი!..

მოსკოვი  
 12. 10. 97.





დოდო ნარმანიას

მოვდივართ ერთად ოცდაშვიდი წელია უკვე,  
სულის სიმები და გულისთქმა ერთმანეთს ვანდეთ!..  
სველი თვალებით მოვიხედავთ ხანდახან უკან  
და სიო არხევს ფოთოლცვენის სევდიან ლანდებს!..

მოვდივართ ერთად და სიცოცხლით ჯერ არ ვგრძნობთ  
დაღლას,

თუმიცა ჭაღარა მოგვეძალა ორივეს თმაში!..  
მოვდივართ ერთად, ჩვენი შემწე ღმერთია მადლა,  
მოვდივართ ერთად და ცხოვრებას არ ვრჩებით ვალში!

მოვდივართ, ისევ ვეფერებით — სალოცავ ხატებს,  
მათი ბავშვობის შორეული ჟღერტული გვესმის!..  
ო, ეს დღეები ბედნიერი სიცოცხლეს გვმატებს  
და მაისის ცის სილაჟვარდე თვალებით შევსვით!..

მზე ჩადის ნელა და გრძელდება ჩრდილები მწუხრის...  
ნუ გეშინია, კიდევ დიდხანს გაგვიძლებს მუხლი!

ბათუმი  
14. 10. 93.





*დავით აღმაშენებელს*

შენ, ჯერაც ჭაბუკს უმძიმესი გვირგვინი გედგა  
და მამულის ხსნის გაიხადე თავი მოვალედ!..  
უთვალავ ლაშქარს შეუტეე დიდგოროთან მედგრად  
და განდი მეფე სიღიადით სწორუბოვარი!

ალაგმე მტერი, როგორც შიდა, ისე გარეშეც,  
ბევრჯერ დალეწე ბრძოლის ველზე ხმალი ვადამდე!  
ვერ აიტანე სამშობლოში მტრების თარეში,  
განაგრცე ბჭენი — ნიკოფსიით — დარუბანდამდე!..

შენს სახეს ვუცქერ ცის სიღრმეში შუქად შეფენილს,  
გაოცებული ვრჩებით შენი ნამოქმედარით!..  
რა შორსმჭვრეტელი ბრძენი იყავ, მეფეთ მეფეო,  
და ბრძოლის ველზე აქლევსის სწორი მზედარი!

რომ ასეთ დღეში დაგენახეთ, სულო ძლიერო!  
ქვეყნის მესვეურთ მიაგებდი სამაგებროს!

მოსკოვი  
29. 10. 93.





\* \* \*

გიკრთის ტუჩები სველი, როგორც კოკორი ვარდის,  
ორი ცისფერი ტბიდან ეს რა სინაზე მოდის?!  
მე შენს ხატებას, მერი, მაინც ვერაფერს ვადრი,  
რაა ვარსკვლავი, ან ატმის აფეთქებული ტოტი?!

ვერ შეგედრება ცისკარი და ვერც ყვავილი ნუშის  
და ვერც ფოთლებში მთრთოლი სიო მაისის დილის!  
ყველა ფარული ძაფით შენ ჩამექსოვე გულში,  
ასე საოცრად სათნო, ასე საოცრად თბილი!

შელამდება და ღელვით მთვარის ხავერდზე დავალთ,  
ციდან ვარსკვლავთა ფერი როგორ იღვრება წყალში,  
ამ სამზეოდან, ვიცი, რომ ყველაფერი წავა,  
მაგრამ სიყვარულს ჩვენსას ჟამი ვერასდროს წაშლის!..

ორი მდინარე სულის ღელვით ერთმანეთს ერთვის,  
რომ შემახვედრა შენთან, მადლობელი ვარ ღმერთის!..

ბათუმი  
28. 06. 95.





\* \* \*

ისევ შინდისფრად შეიღება აღმოსავლეთი,  
 ვდგავარ ბექობზე და უეცრად ავტირდი, რაზე?  
 ნიაგის ფრთებზე ირჩეოდა მიწის ხავერდი,  
 დიდხანს ვუცქერდი, მეგობარო, ამ სილამუზეს!..

ენტო სიცოცხლე მოზღვავებულ ყვავილთა ჩქერში,  
 მიიჩნეოდა ლაჯვარდის კენ სილურჯე მთების!..  
 ხსოვნა ბავშვობის იღვიძებდა საოცრად ჩემში  
 და მთარღვევდა სიშორეებს ფიქრები ფრთებით!..

წამებად მექცა მოგონება გარდასულ დღეთა,  
 ასე ძალუძად ო, ეს გული, ნეტავ რად ხვნიშის?  
 ხსოვნის სიღრმეში შორეული დღეები ფეთქავს  
 და მიიჩნევა ცის თავანზე ღრუბელი მრეში...

ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა ნაპირებს გასცდა  
 და ხსოვნის ფონზე ულმობელმა შემიპყრო განცდამ!

ბანძა

27. 04. 97.







\* \* \*

ო, ეს შენი გზა, სულო, ცისკენ მიემართება,  
რადგანაც უკვე მიწიერი გზები დახურე!  
შენ სიშორიდან მთიებზე იწყებ ნათებას,  
აქ, მიწას ისევ სევდიანი მთვარე დაჰყურებს!..

ყამის ქარ-წვიმა მაგ ნაკვალევს ვერასდროს წაშლის,  
რადგან ამ ქვეყნად შენ ნათელი გზებით იარე!..  
ამაოება ვერ შეგბედავს ჩაგიდგეს კვალში,  
რამდენიც უნდა უგზო-უკვლოდ იხეტიალოს!..

ცხოვრებამ ბევრჯერ მოაზღვავა ურჩი ჩრდილები,  
რა ვუყოთ, გულმა, თუ წამისად შეწყვიტა ძგერა?!  
დღეიდან უკვე სხვა სისტემას ემორჩილები  
და არხევ, სულო, სიშორიდან ყვავილებს ფერადს!..

ამიერიდან ცის და მიწის მშვენიებად იქეც,  
მე შენზე უკვე ლამის არის გადაწყვეტილება!..

მოსკოვი  
10. 08. 97.





\* \* \*

*ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას!*

იღვა სივრცეში ვარდფურცლობის უხვი შრიალი  
და იღვრებოდა ცის სიღრმიდან შექთა ფანტელი!..  
შენ კი იდექი ბებერ გერხვთან სახენათელი  
და ზღვა ფოთლებში ჩურჩულებდა ღამის ნიაგი...

ხმით საოცარით აედევნე ცისფერ ხეივანს  
და მიცურავდა მთვარე ცაზე სახემწყაზარს!..  
თითქოს მიქროდი რაშით ველზე მულღანზანზარის,  
თვრებოდა შენი ხმის ხავერდით ცა მოზეიმე!..

მოედო ტემბრი ჯადოსნური ცასა და ხმელეთს,  
არხევდა სივრცე ნარინჯისფერ მთვარის ოლარებს!  
ფეთქავდა ყელი ანგელოზთა ნაამბორალი  
და ვარსკვლავები აღტაცებით გაღვრიდნენ ფერებს!..

მოვედი ბაღში ფოთოლცვენის იღვა რიალი  
და შენს საფლავთან ცა გალობდა თვალცრემლიანი!..

თბილისი  
08. 10. 97.





\* \* \*

*თამარ დედოფალს*

შენ ბასიანიც გეყოფოდა, სხვა რომ არ იყოს,  
სათაყვანებლად, საქართველოს დიღო დედაო!  
უკვდავებისგან დრო ვერასდროს ველარ გარიყავს,  
შენს სიღიადეს, ის რამდენიც უნდა ედაოს!..

ჩვენს ღრმა ქართულ ცას ათრობს ხსოვნა შენი თვალების,  
ო, ეს რა მძლავრად შეარხნე ტრფობის სიმები!..  
სამშობლოს ბჭენი შენ განადე მიუკარები  
და დღესაც გვათოვს სიშორიდან შუქი იმედის!..

ჩვენ ამ მიწაზე შენს საფლავს რად ვეძებთ, რჩეულო,  
როდესაც ერის გულში ჰპოვე განსასვენები!..  
რა სიშორიდან მოდის ახლა ხმა უჩვეულო  
და თაობები ამაცობენ შენი ხსენებით!..

შენისთანები მამულს თუკი მოევლინება,  
ის სამზეოზე არასოდეს შეწყვეტს ღინებას!..

თბილისი  
29. 05. 02.





\* \* \*

ო, ამ წყაროსთან ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ,  
ვერც გაზაფხულზე ატმის რტოებს მოეფერები!  
მე კი უშენოდ აქ რამდენჯერ აღმომხვდა ოხვრა,  
რას ჩურჩულებენ სევდიანად მინდვრის ფერები?!

წლებმა უეცრად ჩაიქროლეს!.. მე მარტოსული  
შემოვრჩი მინდვრებს და ცრემლები აღარ მშორდება!..  
შუქი ირხევა სიშორიდან ცით გადმოსული,  
გული ვერ უძლებს უსაშველო ღელვის მოღებას!..

ვინ მოიგონებს გარდასულის იდუმალებას,  
მშვიდობით აწი, ო, ღლეებო დაუფიწყარო!..  
მზე ბევრჯერ მოვა ამ წყაროსთან ოქროს თვალება  
და ჩვენს ნატურფალს შემოქარგავს ფერით ცინცხალით!..

სულო, რას უცდი შეარხიე ხსოვნის ზონარი!  
შენ, ხომ ამ ქვეყნად ბევრი რამ გაქვს მოსაგონარი!..

ბანძა

14. 10. 02.





\* \* \*

*„კლდეზე ბუნდოვანო,  
შენს ბილიკად მიმოვდიოდით...“*

*ნ. ბარათაშვილი*

აქ, მტკვრის ნაპირზე შლილი ფიქრთა ცისფერ იალქანს  
და შენი სული შეღამების არღვევდა ღუმილს!..  
მაგ გულის სევდას შორს ატანდი მწუხრის ნიაგქარს  
და იღვა ირგვლივ საოცრება ნაზი და ჩუმი!..

მიიწვოდნენ ბილიკებზე ნისლეები მკრთალი,  
შორს ინთქმებოდა ტყის სიღრმეში ხმები ფრთოსნების...  
და ლოცულობდა ქნარით ხელში მთაწმინდის მთვარე,  
გალობდა ცაში თეთრი ქორო ანგელოზების!..

კლდეებს ბუნდოვანს იღუმალი ცრემლი სდიოდა,  
ლურჯი სინამდის, როგორც ტივი, წვებოდა მტკვარზე!..  
შენ კი სევდიან ბილიკებზე მიმოდით  
საკაცობრიო ტკივილებით და ღელვით საფსე!..

შენს მერანს სულაც აღარ უჭირს მხედრის ტარება,  
ქროლვაში ხედავს ცხოვრების აზრს და ნეტარებას!

თბილისი

17. 10. 02.





\* \* \*

*შოთა რუსთაველს*

დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტო, ქნარით  
და შენი სული ვესპერივით ანათებს, იწვის!..  
ო, პოეტური მეტყველების ხარ ჯადოქარი,  
დაუშრეტელი ოკეანე დიადი სიბრძნის!..

შენ გადმოენთე სიშორიდან შექით უღევით  
და უსახსოვრე სიყვარულის პოემა მერმისს!..  
ათრობ თაობებს პოეტური თაიგულებით,  
შენს სიღიადეს სამზეოზე უარყოფს ვერვინ!

ცხოვრების სიღრმეს შენსავით ხომ ვერავინ სწვდება  
და საიდუმლო შენზე უფრო არავინ იცის!  
მიღის საწუთრო და მიგორავს ზვირთების წყება  
და კვლავ ახალი მწვერვალები დიდების გიცდის!..

თუ სამყაროში ყველა ვარსკვლავს მიეძინება,  
ეგ შენი ლექსი მაშინაც არ შეწყვეტს ღინებას!..

თბილისი

22. 10. 02.





\* \* \*

*„კეთილი გულით მიძღვნილი  
მცირედიც შეიწირების“  
შოთა რუსთაველი*

მე შენს სიყვარულს ქვეყნად განა ვინმე მაძალებს?  
და მანაც სულში გამძაფრებით რეკავს სანთურნი!..  
შენა ხარ ჩემი ღვთაებრივი დიდი ტაძარი  
და ჩემი ჩქარი მატარებლის ბოლო სადგური!

მოვდივარ შენთან, საჩუქარი მომაქვს მცირედი,  
რომელშიც დღეღვით ჩავაქსოვე სულში ნადები!..  
აღარ დამძრახავ, ამის ნაღდად მრჩება იმედი,  
რომ ვერ ავივსე სივრცე ლექსთა განთიადებით!

მე შენს მუხლებთან ჩავიმუხლებ, ძვირფასო, რიდით,  
გუილით ნათელით და ტკივილით დაუცხრომელით!..  
შენა ხარ ჩემი სიყვარული საოცრად დიდი  
და ჩამოღვრილი სიშორიდან შუქი ცხოველი!..

დღემდე ვინახავ შენს სიყვარულს სულში განძივით  
და მას ვერასდროს ვერ ჩააქრობს დრო და მანძილი!..

თბილისი  
24. 10. 02.





\* \* \*

აქ ხელმეორედ რომ მოვიდე ათას წლის შემდეგ,  
კვლავ შემოვალე სიყვარულით მე შენს კარიბჭეს!..  
ამ ჩემს გულისთქმას, საყვარელო, ბოლომდე ენდე,  
რომ უშენობა მოუჩვენებ ტკივილს მანიჭებს!

ავედევნები ბავშვურ თრთოლვით ცისფერ ხეივნებს  
და მზე მომიქსოვს გაზაფხულის ფერად მანტიას!..  
ისევ ოცნებით გამიტაცებს ცა მოზეიმე  
და შემომხვდება ქარი მინდვრის — ჩემი ნათლია!

ოქროსფერ კვიციტთა ვაფიქროლებ ისევ ჭალისკენ  
და იმ შორეულ ნაფეხურებს ვეამბორები!..  
კვლავაც დავიდგამ დაწულ გვირგვინს თავზე ჩალისფერს  
და ჩამიხუტებს აბაშის წყლის ლურჯი მორევი!..

ეს შენგან მოდის ჩემი გრძნობა, ჩემი გონება,  
დარჩეს ეს ლექსი ჩვენი ტრფობის მოსაგონებლად!..

ბანძა

09. 11. 02.







\* \* \*

იოსებ სტალინს

„შენ კაცი იყავი, ვით შეჭფერის კაცსა კაცობა!“  
შექსპირი

მიწიდან კაცი ევერესტად წამოიძართე,  
შენს სილიადეს და გენიას, როგორც შეჭფერის!  
დგახარ ამაყად კოსმოსური დიდი სინათლე,  
ცოტაა შენთვის ეს პლანეტა — მიწა ბებური!

შენი ბადალი ისტორიას არ ახსოვს ჯერაც,  
არც მომავალში, ვიცი, რომ არ ემანსოვრება!  
განა უბრალოდ გიწოდებდნენ შენ ხალხთა ბელადს?  
ებრძოდი ბნელეთს დასამხობად მთელი ცხოვრება!..

ყველა ბოროტი, რომ შეიკრას ერთ დიდ სხეულად,  
ო, მირიადი შხამიანი სულით მსტოვარით!..  
შენ იდგომები ამ ზეცის ქვეშ გამორჩეულად,  
შენი ღირსებით და სიმაღლით სწორუბოვარი!

მთელი ბნელეთი, რომ აზვირთდეს ძალით მგრეველით,  
დარჩები მარად ჟამთა ღენით დაუძლეველი!

მოსკოვი  
08. 05. 03.





\* \* \*

*ალექსანდრ პუშკინს*

უნდა შებმოდი მეფის კარზე დაგეწილ ბოკვერს,  
შაფი მდინარის პირას იდექ — სიკვდილის კართან!..  
არაფინ იყო შენი მხსნელი, რომ ითქვას მოკლედ,  
არაფინ იყო, ერთადერთი დამბახის გარდა!

გეჩქარებოდა უსაშველოდ ბრძოლაში ჩაბმა,  
შენ არ იცოდი, თუ რა იყო ამ ქვეყნად შიში!  
და ეს სოფელი, რომ ბოლომდე არ გასმევს შარბათს,  
კარგად იცოდი! — პასუხობდი მიგების ნიშნით..

ორთაბრძოლაში შეუპოვრად შეები ბოროტს  
და ბრძოლის ველზე შენ დაცემა არჩიე სირცხვილს!  
შენ დამბახამაც გიღალატა უთუოდ ბოლოს,  
რომელიც დარჩა საიდუმლოდ შორეულ რიცხვის!..

დაეცი, მაგრამ სული გაჰყვა დინებას აღმა  
და ვარსკვლავების შეერია საოცარ ბაღნარს!..

მოსკოვი  
06. 06. 03.





\* \* \*

*„ყოფნა — არყოფნა? —  
საკითხავი აი ეს არის!“  
უილიამ შექსპირი*

იღგა მიწაზე საუკუნის სუსხი მძვინვარე!..  
შენმა გენიამ მიიჩნია თავი მოვალედ, —  
სულის ხლართებში შეჭრილ იყო ის უწინარეს,  
ვით პოეტი და ტრაგიკოსი სწორუბოვარი!

და შესძელ კალმით კაცმა თითქმის შეუძლებელი,  
თუკი ცხოვრება გარეგნულად ჰგავდა სახატეს!  
ააცახცახე ცოდვით სავსე მიწა ბებერი  
და ბოროტებას საუკუნოდ ფარდა ახადე!..

შენ გაარღვიე გაუვლელი გზა სახიფათო,  
სად დამე იღგა კუნაპეტი, არსად ნათელი!  
მიაყურადე სულის ვარდების სინაზით ნათრობს  
და რიჩარდების სივერაგით სივრცეს გათელილს!..

ამაოდ უტევს შენს სიმაღლეს ფრთები დემონის,  
სერაფ სივრცეებს უსამანოს გედი ევონის!..

მოსკოვი  
01. 08. 03.



\* \* \*

„ ვით სპარტანელი თარს დაყრდობილი  
 ამაყად ვდგავარ!..“  
 ჯორჯ ბაირონი  
 „ ის ღმერთების ტოლია და ქუხილის ნაკადი,  
 მას შერჩება გლორია, ხვენ კი ცრემლის ნაკადი!..“  
 გოეთე

შენს დიდ გენიას ვერ იტყვდა ბებერი მიწა,  
 სულით— ხორცამდე პოეზიის ცეცხლში იწვოდნი!  
 პლანეტის მკერდზე ღამის შავი ფეშაპი იწვა,  
 უკან დახევა, თუ რა იყო, აღარ იცოდნი!

კაცი სამშობლოს აუჯანყდი ყალბს, ხავსმოდებულს  
 და ყრუ კედლების შენ ერთბაშად სცადე განგრევა!  
 ებრძოდი მედგრად ამ სამყაროს გაბოროტებულს,  
 რომ ის გექცია კართაგენის პირქუშ ნანგრევად!..

გადაიქროლე შენ სიმღერით ჩაილდ-ჰაროლდის  
 ზღვა და ხმელეთი... შემართება გასცდა მოლოდინს!  
 თავისუფლებას მხოლოდ შენკენ მოუხაროდა  
 და მისთვის ბრძოლას შეეწირე კიდეც ბოლომდის!..

იდექ და აღზებს ანეთქებდი მსოფლიო სევდას  
 და რას დაგაკლებს ჟამი ურჩი კოსმოსურ მხედარს?!

მოსკოვი 12. 08. 03.





\* \* \*

„ მთები თავზაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა!..“

ვაჟა—ფშაველა

„არაფინ არ იმსახურებს იწოდებოდეს შემოქმედად,  
გარდა ღმერთისა და პოეტისა.“

/იტალიური სიბრძნე/

შენ, დიდ პოეტს და ბუნების ღრმა მესაიდუმლოეს,  
მამულის წყლოული ეკალიგით გულზე გეყვარა!..  
და მოგძახოდა შორეული ხმა იღუშალი,  
სულით—ხორცამდე გაძარცული იყო ქვეყანა!..

ბორგავდა მიწა, ვით დაჭრილი არწივი ველად,  
რომ ფრთებს მიითრევს ყვავ-ყორნებთან დაღლილი ბრძოლით...  
შურისძიების სისხლი ხეთქავს უღმობლად ვენას,  
რომ ცა დაიმსხვრა დავითის და თამარის ღრმის!

შენ გადაფურცლე ჟამი ოდით გაღუფურცლავი  
და გააცოცხლე რაინდული სული ყოფილი!..  
მამულს ზვერაგდა ათასობით თვალი მუცალის  
და შენ იდექი, ვით ალუდა ფარს დაყრდნობილი!

შენისთანების მოსვლა ღმერთმა თუკი ინება,  
იგი არასდროს არ მორჩილებს ღრმის დინებას!

მოსკოვი

17. 08. 03.



\* \* \*

„ შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,  
შენ უკვდავების ხარ ბინადარი...“

გალაკტიონი

შენ პოეზიის დიდ მეუფეს ხელთ გეპყრა ქნარი,  
შეუდარები და ტკივილით ცეცხლმოდებული!..  
შორს კი გედღვით მიცურავდა მთაწმინდის მთვარე  
და მოგძახოდა პოეტების მეფედ წოდებულს!..

იყო მსოფლიო შეპყრობილი ციებ-ცხელებით,  
არ ჰქონდა ზღვარი შენს საოცარ ხილვა-ზმანებას!  
იძვროდა სივრცე შმაგი ქროლოვით ლურჯა ცხენების  
და შორს გრაალის იმსხვრეოდნენ რეკვით ზარები!..

ჟამს გაეშალა უდაბური რუხი თაფარი,  
ამირანივით მიჯაჭვული მწარედ გმინავდი!..  
ქარს ჰქონდა ბინა, შენ არ გქონდა თავშესაფარი;

იცრემლებოდნენ: ბეთანია, ვაზი წინანდლის!..  
შენ სივრცეებმა საუკუნოდ დაგაბინადრეს  
და უკვდავების სამუდამოდ ხარ ბინადარი!..

მოსკოვი  
20. 08. 03.



\* \* \*

*გალაკტიონ ტაბიძეს*

შენისთანები იშვიათად მოეგლინება, —  
ამ ჩვენს პლანეტას განაწებს ტერფით — თხემამდე!  
ქართულ მიწაზე შენი მოსვლა ღმერთმა ინება  
და სული ჟამით გაყინული გაათხევადე!..

ო, სულის ქროლოვით გაცოცხლება ერის იწამე,  
უძღერდი მამულს მრავალტანჯულს გედი მთაწმინდის!  
და თაობები თავს გინრიან უკვე მიწამდე,  
რადგან ამ ქვეყნად ვარს კვლავეთის შუქად გაწვიმილი!..

მონვედი კაცი პოეზიის ფერიცვალებად  
და შენი ღელვა ოკეანის ძალით აზვირთდა!..  
გადაიტანე ყველა სახის ტანჯვა, წვალედა  
და სული ერის სიყვარულით ცამდე აზიდე!..

ო, ეს მსოფლიო ხან ბრძენია, ხან შეშლილია!  
შენ არც წარსულის, არც მომავლის არ გეშინია!

მოსკოვი  
21. 08. 03.





\* \* \*

*ჩემს შვილიშვილს — პატარა არტიომს!*

ჩემო არტიომ! პატარა ხარ ჯერ კიდევ, ბიჭო!  
და როგორ მიკვირს, შენ ამდენი საიდან იცი?  
უთუოდ მჯერა დაბადებით დაყოლილ ნიჭის,  
ცაზედაც კი ვგრძნობ შენი ბედის გარსკვლავთა ციმციმს!..

შეღიხარ ბაღში...ფერთა თამაშს ბოლო არ უჩანს!..  
გიყვარს მინდორი დაფარული ქათიბით რბილით...  
გიცქერ ჩამუხლულს, ანგელოზო, ყვავილთა ბუჩქთან  
და სილამაზე გეზიდება თვალებით თბილით!..

მე შვის ემბაზში ამოვლებულ ანგელოზს გხედავ  
და ჩემს ოცნებას მოქათქათე ესმება ფრთები!..  
ციცინათელა მაგ თვალეში ურიცხვი ფეთქავს  
და ჩვენ კი შენი სილამაზით, პატარავ, ვთვრებით!..

იღინე დროო და სიცოცხლის არხიე ტოტი!..  
უძღერე ჩანგო, სიყვარულის საოცარ მოტივს!..

მოსკოვი  
25.08.03.







\* \* \*

შენ მეოცნებე რომანტიკოსს მეძახდი, გოგო,  
რომ გულში მენტო რწმენის ცეცხლი დაუცხრომელი!..  
მზე აღვიძებდა ათასობით ოქროსფერ კოკორს  
და ვივსებოდით ვარდფურცლობის შუქით ცხოველით!..

როგორ მჯეროდა იღუმალის, შეუცნობელის,  
იქით მიქროდა ფრთებგაშლილი ჩემი თეთრონი!..  
დღეს ვდგავარ უხმოდ, სიშორიდან არას მოველი,  
შემოზღუდული მხოლოდ ჟამის რუხი ბეტონით!..

ჩემი ცხოვრების გავიარე ვრცელი მინდორი,  
ღროს სურს ჩამიქროს რწმენის თითქმის ყველა ნათურა!  
გაფხდი მხილველი ო, რამდენი უამინდობის,  
და შხამიც მასვეს უმოწყალოდ, მუხანათურად!

ახლა, რაღა ვარ? — კაცი მარტო მოხეტიალე  
და ჩემს გარშემო კარუსელი ჟამის ტრიალებს!..

მოსკოვი  
04. 09. 03.





\* \* \*

*თამარ გვერდწითელს*

შენ ძღვერი, ისევე ცისფერ სართულს მისდევს სართული  
და მაგ თვალეში ჩვენი ზეცის შუქი ირწყევს!..  
იმღერე, თამარ, გადმოღვარე გრძნობა ქართული,  
თუ არ იმღერე, სული ნაღდად გადაიწვება!

ო, რა ძლიერად ფეთქავს ჩვენი მიწის აღმური,  
რწმენას მომავლის სულის ქროლვა ესხნივოსნება!  
თამთამებს ღამე, როგორც ტანი სიასამურის  
და სიშორეში სასოებით ფრთებს შლის ოცნება!..

სივრცე, შენი ხმის საოცრებას ნაზიარები,  
რა ჯადოსნური სილამაზით ირხევა, ფეთქავს!..  
შორს, ცის სიღრმიდან წკრიალებენ ოქროს ზარები,  
ანგელოზები ფრთებფარფატით მოდიან შენთან!

და ჟრუანტელად სულს ეღება შენი ხმის ექო,  
თუ გაზაფხულის შუქით სავსე მზე ათოვს ბექობს...

მოსკოვი

06. 11. 03.





\* \* \*

ო, ამ დილით ვენერა რა საოცრად ციმციმებს!..  
ცაზე ვერსად ვერ ვხედავ უკვე ღრუბლის ნატამალს,  
შენზე ფიქრით, ძვირფასო, სევდას ველარ ვიცილებ,  
ნუთუ შევძლებ უშენოდ ამდენ ღელვის ატანას?!

მომსდევს განახელები რისხვით შავი სატანა,  
მივდივარ და ჟამს ისევ მკაცრად ვეკამათები!..  
თუკი დამრჩა სავალი — ალბათ ძალზე პატარა,  
მაგრამ მავსებ ბედგამწყრალს უჩვეულო ნათებით!..

გზებით იღუმალების ჟამმა ბევრი მატარა,  
თუმცა ცეცხლი მგ ზნებარე გულში ისევ მინთია!..  
ისევ მომსდევს ჯიუტად ჟამის შავი სატანა  
და დღეები თავნება სადღაც ქროლვით მიდიან!..

რადგან ბევრჯერ შემასვი შუქი ცისკრის ცინცხალი,  
წავალ, მაგრამ დარჩება გზები დაუფიწყარი!..

მოსკოვი  
07. 10. 04





\* \* \*

ვდგავარ მუხასთან გაუძარცვავთ, რომელიც ქარებს  
და მწუნარების მოზღვავენას არ უჩანს ბოლო!..  
მაგ დაკორძილ ტანს მინდა ისევე რომ ვეამბორო  
და სიშორიდან ნაღვლიანი დამცქერის მთვარე!..

მოდის ზამთარი... მოაგელვებს ღრუბლების რემას,  
მაგრამ არ იცი, თუ რა არის შიში და კრთომა!  
ტოტები ისე შევიმართავს, ვით ანძა ხომალდს,  
ვერ დაგაბერა ვერც მუქარამ, ვერც შემოტევა!..

შენ ხარ უბადლო მაგალითი შეუპოვრობის,  
ღღეში ათასი ქარიშხალი მოვარდეს თუნდაც!..  
დგახარ ბექობზე შემართული საომრად მუდამ  
და ამ ბრძოლაში დაილია შენი ცხოვრება!..

ღრო კივის, მაგრამ რას დაგაკლებს ავღრის მოსევით,  
მოვა აპრილი, ხელმეორედ შეიმოსები!..

ბანძა

30. 10. 04.





\* \* \*

იმ სევდიან ღღეს ჭაბუკობის ვისენებ ისევე,  
როცა დავტოვე მშობლიური ეზო და შუკა!  
მიირწეოდა სოფლის თავზე პატარა ნისლი  
და მოვიხედე ცრემლიანმა რამდენჯერ უკან!..

შორს დამჩნა უკვე საოცნებო აბაშის ჭალა  
და ჩემი ვერხვი, რომ შრიალით ავსებდა სივრცეს...  
სოფლის ბილიკი ეჭ, რამდენჯერ ვარჩიე ქალაქს  
და ახლაც მძაფრი მონატრება იქითკენ მიწვევს!..

ამაოდ ვუხმობ, სიშორეში ღღეებს გაფრენილს,  
ბალახი მინდვრის მამულისკენ მიხმობს ცვრიანი!..  
ეს არის ჩემი სატკივარი, — სხვა არაფერი,  
რომ ტრამალებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი!..

ღრო მიბარბაცებს... ვიგრძენ გულზე ცეცხლის მოღება,  
ნუთუ ის ყამი არასოდეს განმეორდება?!

